

თეიმურაზ ვახტანგიშვილი  
თენგიზ სიმაშვილი

თ ე ლ ა ვ ი

წარსული და თანამედროვეობა

თბილისი

2020

ნაშრომს გარკვეულწილად ქალაქ თელავის ისტორიის „მეგზურის“ დანიშნულება აქვს. მასში ზოგადად გაშუქებულია თელავის ისტორია უძველესი დროიდან დღემდე, თუმცა, უფრო მეტი ყურადღება დათმობილი აქვს ახალი და უახლესი პერიოდის მოვლენებს, ისტორიული ძეგლებისა და ქუჩების აღწერილობას. წიგნის ავტორებმა მთავარი ყურადღება ქალაქის ცენტრალური მოედნისა და მასთან დამაკავშირებელი ძირითადი ქუჩების აღწერაზე, განაშენიანებასა და იქ მცხოვრებ ადამიანთა ვინაობის წარმოჩენაზე გაამახვილეს.

გამოკვლევაში გარკვეული ადგილი უკავია თელავის რევოლუციურ წარსულს, ამასთან ერთად, მოთხრობილია საბჭოთა რეპრესიების დროს (XX-ს. 20-30-იანი წწ.) წამებისაგან დაღუპულ ადამიანებზე, მითითებულია თელავში არსებულ რეპრესირებულთა წამების ადგილები, მათ შორის მოთხრობილია „თელავის გოლგოთა“-ზე (გიგოს გორა) დახვრეტილ ადამიანთა შესახებ.

თელავისა და მისი შემოგარენის გასაცნობად ჩამოსულ სტუმრებს წინამდებარე ნაშრომში განხილული საკითხები შეუქმნის ზოგად წარმოდგენას ქალაქის წარსულსა და აწმყოზე, გაუწევს მათ მეგზურობას საქართველოს ამ ლამაზი და საინტერესო ისტორიით ცნობილ ქალაქში. ტურისტს ძირითადად თელავის ცენტრალური ქუჩების დათვალიერება მოუწევს და წიგნის საშუალებით გაეცნობა სწორედ ამ ქუჩების ისტორიას, ბევრ ახალ, საინტერესო დეტალს გაიგებს არა მარტო ამ ქალაქის, არამედ ჩვენი ქვეყნის ისტორიის შესახებაც.

გამოკვლევას ავტორებმა საფუძვლად დაუდეს საქართველოს ეროვნული, კახეთის რეგიონალური და შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივებში დაცული მასალები, ასევე, თელავის ისტორიული მუზეუმის ფონდებში დაცული ქალაქის მემატიანეების: ივანე ჰაატაშვილის, გიორგი მელითაურის, გიორგი ჯაშიაშვილის და სხვათა მემუარული მემკვიდრეობა.

ავტორები სიამოვნებით მიიღებენ მკითხველთა სამართლიან შენიშვნებს და შეეცდებიან შემდგომ გამოცემებში მათ გათვალისწინებას.

მეორე შევსებული გამოცემა

## მადლიერება გვინდა გამოვხატოთ,

თელავის ისტორიული მუზეუმის, საქართველოს ეროვნული არქივის, კახეთის რეგიონალური არქივის, შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივის თანამშრომლების, ასევე ქალბატონების - მაკა მოსიაშვილის, ნათია მეთოდიშვილის, ბატონების - რევაზ ჩანტლაძის, კახა გემაზაშვილის მიმართ გაწეული თანადგომისა და დახმარებისათვის!

განსაკუთრებული მადლობა გვინდა გადავუხადოთ თელაველ ქალბატონს, ნანა სპარსიაშვილ-ვეისმანს გაწეული ქველმოქმედებისათვის, მისმა ფინანსურმა დახმარებამ შესაძლებელი გახადა წიგნს დღის სინათლე ეხილა!

ვუძღვნით თელავს და თელაველებს!

რედაქტორი  
ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი  
დოდო ჭუმბურიძე

რეცენზენტები  
ნატო სონლულაშვილი, ისტორიის დოქტორი  
ზვიად ტყეშელაშვილი, ისტორიის დოქტორი

გამომცემლობა „მერიდიანი“,  
თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ., №47  
ტელ: 239-15-22  
E-mail: [meridiani777@gmail.com](mailto:meridiani777@gmail.com)  
ISBN 978-9941-25-774-2

## რედაქტორის წინასიტყვაობა

ქალაქი თელავი საქართველოს უძველესი, ისტორიული ქალაქია. პირველი, ის, ყველაზე დიდი და ეკონომიკურ-სტრატეგიული მნიშვნელობის მქონე რეგიონის - კახეთის ცენტრს წარმოადგენს, მეორეც, ისტორიულად თელავი სამეფოს დედაქალაქი, კახეთის მეფეთა რეზიდენცია იყო, რაც ზრდიდა მისდამი ადგილობრივი მოსახლეობის მიზიდულობასა თუ უცხოელთა ინტერესს.

ქალაქი გამოირჩევა როგორც ბუნებრივი სილამაზით, ასევე ისტორიული ნაგებობების სიმრავლით. ქალაქის ისტორია ქართველი ხალხის ისტორიის კვლადკვალ ვითარდებოდა. წიგნის ავტორები – თეიმურაზ ვახტანგიშვილი და თენგიზ სიმაშვილი ამ ისტორიის ყველაზე საინტერესო და შთამბეჭდავ მოვლენებს გადმოსცემენ. ისინი ამ ქალაქის მკვიდრნი, ცნობილი ისტორიკოსები არიან და მშობლიური ქალაქი არა მარტო წარსულის ანალებით აქვთ შესწავლილ-შეცნობილი, არამედ მთელი ცხოვრებით არიან მასთან დაკავშირებულნი.

ნაშრომი ჩაფიქრებულია ერთგვარ „მეგზურად“, რადგან ძირითადად განკუთვნილია ტურისტებისა და თელავის ისტორიით დაინტერესებულ პირთათვის. ამიტომაც, მთავარი განსახილველი საკითხები ამ ფორმატში არის მოქცეული. ავტორები ზოგადად გვაცნობენ თელავის ისტორიულ წარსულს, უძველესი ბრინჯაოს ხანიდან მოყოლებული, საზოგადოების განვითარების შემდგომი ეტაპების ამსახველი არქეოლოგიური კვლევების მასალებს, ქალაქის წარმოშობის ისტორიულ ვერსიებს. ამ ისტორიული ექსკურსის მეცნიერული არგუმენტირებისთვის ისინი ეყრდნობიან მრავალფეროვან და არცთუ მცირე ისტორიოგრაფიულ ლიტერატურას, საარქივო და სამუზეუმო წყაროებს, მე-19 და მე-20 საუკუნის პრესის პუბლიკაციებს. ლიტერატურის მიმოხილვისას ხდება მათ მიერ სხვადასხვა სამეცნიერო მოსაზრების შეჭერება და მოვლენათა ირგვლივ საკუთარი ინტერპრეტაციის წარმოჩენა.

სამეცნიერო კვლევებიდან ძირითადად გამოყენებულია თავად ავტორთა მიერ თელავის ისტორიის თემაზე გამოქვეყნებული ნაშრომები: თეიმურაზ ვახტანგიშვილის - „თელავის საქალაქო თვითმმართველობის ისტორიიდან,“ და თენგიზ სიმაშვილის - „თელავი - ძალისმიერი სტრუქტურები, პოლიტიკური პარტიები და

საზოგადოებრივი ვითარება XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისში“. ნარკვევში ასევე ფართოდ არის გამოყენებული თელაველი მეცნიერების - გიორგი ჯავახიშვილისა და მარინე ოზგაიძის (წმინდა ნინოს ქალთა სასწავლებლის შესახებ დაწერილი მონოგრაფიული კვლევის ავტორები), თამარ თამარაშვილის - („თელავის განათლება და კულტურა XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისში“) და მირიან თვალთაშვილის („თელავის განაშენიანება, ქუჩები, ბაზრები, ხელოსნები, ამქრები XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისში“) და სხვათა შრომები.

გარდა ამისა, გამოკვლევა ეყრდნობა მთელ რიგ ფუნდამენტურ ნაშრომებს როგორც თელავის, ასევე, საქართველოს ისტორიის დარგში. ყველაზე უფრო საინტერესო და ექსკლუზიური მონაცემებისაა თელავის ისტორიული მუზეუმის, კახეთის რეგიონალური არქივების ფონდებში დაცული ქალაქის მემატიანეების: ივანე შაატაშვილის, გიორგი მელითაურისა და გიორგი ჯაშიაშვილის მემუარული მემკვიდრეობა, რომელთა ნაწერებში მოტანილი ფაქტების ჩართვა ნაშრომს განსაკუთრებულად საინტერესო შინაარსს აძლევს. მიუხედავად ამისა, ავტორები ზოგიერთ მათ მოსაზრებას ბრმად არ იზიარებენ და მკითხველს ქართულ მეცნიერებაში დღეს დამკვიდრებულ განსხვავებულ თვალსაზრისებსაც აცნობენ.

თელავის საქალაქო ცხოვრებისა და ადმინისტრაციული მოწყობის შემდეგ ყველაზე მნიშვნელოვანი ადგილი ქალაქის საგანმანათლებლო და კულტურული მდგომარეობის ზოგად მიმოხილვას ეთმობა. ამ მხრივ თელავმა დიდი მისია შეასრულა ჯერ კიდევ ერეკლე II-ის პერიოდში. სწავლა-განათლების ძირითად კერებს შორის, XVIII საუკუნის მეორე სახეობაში ერეკლე II-ის მიერ გახსნილი საღვთისმეტყველო-საფილოსოფოსო სასწავლებელი გამოირჩეოდა, რომლის ადგილზე შემდგომ გაიხსნა ჯერ სასულიერო სემინარია, მოგვიანებით კი ვაჟთა გიმნაზია. ამ სასწავლებლებში ბევრი კარგი მამულიშვილი აღიზარდა.

ავტორები ყურდღებას ამახვილებენ 1865 წელს ანა ბაგრატიონ - ჭაჭავაძის მიერ გახსნილ წმინდა ნინოს სახელობის ქალთა სასწავლებელზე, სადაც მოღვაწეობდნენ ისეთი თვალსაჩინო პედაგოგები, როგორებიც იყვნენ: ვასილ ბარნოვი და მისი ძმა ალექსანდრე, ილია და ქრისტეფორე ზარაფიშვილები, ივანე

როსტომაშვილი, ზაქარია კლიშიაშვილი, ზაქარია ჩხიკვაძე, ვალერიან სიღამონ-ერისთავი, ნიკო სულხანიშვილი. პედაგოგი და პოეტი დავით ჩხეიძე (თურდოსპირელი).

თელავის სასულიერო სასწავლებლის კურსდამთავრებულთაგან, გარდა ბატონიშვილებისა, რომლებმაც უმაღლესი განათლება საღვთისმეტყველო-საფილოსოფოსო სასწავლებელში მიიღეს, აღსანიშნავია: დიდი ქართველი პოეტი და საზოგადო მოღვაწე ვაჟა-ფშაველა, დიდი ქართველი რეჟისორი ალექსანდრე (სანდრო) ახმეტელი, ცნობილი ქართველი ფიზიოლოგი ივანე ბერიტაშვილი და მრავალი სხვა, რომლებმაც თავიანთი შემოქმედებით მნიშვნელოვანი კვალი დატოვეს ქართული ლიტერატურის, მეცნიერებისა და საერთოდ კულტურის განვითარებაში. ავტორები ყურადღებას ამახვილებენ იმ დიდ ღვაწლზე, რაც თელავის წმინდა ნინოს სახელობის ქალთა სასწავლებელს ჰქონდა არამარტო თელაველი, არამედ კახეთის რეგიონის მაცხოვრებელ ქალთათვის განათლების მიცემის საქმეში. ამ სასწავლებლის წარჩინებით კურსდამთავრებულები თავიანთ მოღვაწეობას აგრძელებდნენ როგორც კახეთის რეგიონის, ისე საქართველოს სხვადასხვა სასწავლებლებშიც, აღსაზრდელები არამარტო თეორიულ განათლებას იღებდნენ, არამედ პრაქტიკულ უნარ-ჩვევებსაც.

თელავის კულტურული ცხოვრებისადმი დიდი ინტერესი ჰქონდათ ილიას, აკაკის, იაკობ გოგებაშვილს, არჩილ ჯორჯაძეს და სხვებს, აქ მუდმივად ჩამოდიოდნენ ქართული კულტურის ცნობილი წარმომადგენლები და გამოჩენილი უცხოელი სტუმრები. მათ შორის იყო ბევრი დაუვინყარი მომენტი, ისეთი, როგორიც მარჯორი უორდროპის სტუმრობა და აქაურ ქალბატონებთან მეგობრობა იყო.

მკითხველს აუცილებლად დაინტერესებს ქალაქის მოსახლეობის დინამიკისა და განაშენიანების, უბნების, ქუჩებისა და შენობების ძველი და ახალი ისტორიები. ესენია: ძველი თელავის უბანში ქაქუცა ჩოლოყაშვილის ქუჩა, ერეკლე II-ის გამზირი, თელავის ცენტრალური მოედანი, რუსთაველის გამზირი და მისი რეკონსტრუირებული სახე, ნადიკვრის და ელენე ახვლედიანის ქუჩები, გურამ რჩეულიშვილის, გიორგი ლეონიძის, თეთრიანის, მარჯანიშვილის და ბიბერახის, გიორგი არსენიშვილისა და კახი ასათიანის ქუჩები, რომელთა ისტორიებს დანვრილებით განიხილავენ წიგნის ავტორები. ისინი,

სამართლიანად, ვერც იმ უკმაყოფილებას მალავენ, ქალაქის ზოგიერთი ამაგდარი ადამიანი დღევანდელი ადგილობრივი ხელისუფლებისგან დაუფასებელი რომ არის და ითხოვენ, გამოჩენილ თელაველთა სახელების მიკუთვნებას იმ ქუჩებისათვის, სადაც ისინი ცხოვრობდნენ, ან მოღვაწეობდნენ.

ვფიქრობ, წიგნის ავტორებმა მოახერხეს ქალაქის ძველი და ახალი ისტორიის გაცოცხლება და საინტერესოდ გადმოცემა. დარწმუნებული ვარ, გამოკვლევა საინტერესო მეგზურობას გაუწევს საქართველოს ამ ლამაზ და ძველ ქალაქზე შეყვარებულ ადამიანებს, აქ ჩამოსულ ყველა სტუმარს.

დოდო ჭუმბურიძე

ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

## წინათქმა

წინამდებარე ნაშრომი ზოგადი სახისაა და მიუხედავად მისი ფართო ფორმატისა, შესაძლოა იგი ერთგვარ „მეგზურადაც“ გამოდგეს, რადგან ძირითადად განკუთვნილია თელავის ისტორიით დაინტერესებული პიროვნებებისა და ტურისტებისათვის.

ნაშრომის წაკითხვისას, ჩვენი აზრით, მკითხველთათვის ძნელად აღსაქმელი იქნება სრულად გაეცნოს ქალაქ თელავის ისტორიულ წარსულსა და თანამედროვეობას, თუ როგორ, რა ვითარებაში მიმდინარეობდა ქალაქ თელავის განვითარება, როგორი იყო უწინ თელავი და როგორი არის დღეს. ამიტომ გვინდა, მკითხველს შევთავაზოთ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტის - „თელავი - ისტორია და თანამედროვეობა“ (მე-19 საუკუნის ბოლო და მე-20 საუკუნის პირველი ოცნლეული) საფუძველზე გამოცემული მონოგრაფიების გაცნობა. ესენია:

თეიმურაზ ვახტანგიშვილი - „თელავის საქალაქო თვითმმართველობის ისტორიიდან“, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი, 2017;

თენგიზ სიმაშვილი - „თელავი - ძალისმიერი სტრუქტურები, პოლიტიკური პარტიები და საზოგადოებრივი ვითარება XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისში“, გამომცემლობა „ედვერთ სტუდიო“, თბილისი, 2017;

თამარ თამარაშვილი - „თელავის განათლება და კულტურა XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისში“, გამომცემლობა „ედვერთ სტუდიო“, თბილისი, 2017;

მირიან თვალთაშვილი - „თელავის განაშენიანება, ქუჩები, ბაზრები, ხელოსნები, ამქრები XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისში“, გამომცემლობა „ედვერთ სტუდიო“, თბილისი, 2017.

გვინდა ასევე აღვნიშნოთ, რომ ამ ნაშრომში გამოყენებული მასალების უმეტესობა ჩვენს მიერ მოძიებულ იქნა წლების წინ. გვსურდა ტურისტული საჭიროებისთვის თელავის „ისტორია-მეგზური“ გაგვეკეთებინა, გვეთარგმნა რამოდენიმე უცხოურ ენაზე და ვფიქრობდით, რომ იგი სავიზიტო ბარათად იქცეოდა თელავისთვის. მივმართეთ შესაბამის სახელისუფლებო დაწესებულებასაც, გავდიოდით მათთან აქტიურ კონსულტაციებს, მაგრამ ჩვენს მიერ

წარდგენილი პროექტი არ დაფინანსდა.

იმის გამო, რომ არ გვაქვს საშუალება ჩვენი სახსრებით გამოვცეთ სრულყოფილი, თანამედროვე სტანდარტებით შემუშავებული მეგზური და სრულად მოვიცვათ ქალაქ თელავის ქუჩები, გვინდა მკითხველს ზოგადად გავაცნოთ წინა საუკუნეების, ძირითადად გვიანდელი ფეოდალიზმის, XIX საუკუნისა და ნაწილობრივ XX საუკუნის თელავის ცენტრალური ქუჩების ისტორია.

ქალაქი თელავი, გვიანდელი ფეოდალიზმის ეპოქაში, განსაკუთრებით XVIII საუკუნეში, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრი იყო არა მარტო საქართველოს, არამედ კავკასიის მასშტაბითაც. მარტო იმის თქმაც კმარა, რომ თითქმის მთელი XVIII საუკუნის მანძილზე იგი კახეთის სამეფოს პოლიტიკურ ცენტრს, მეფეთა რეზიდენციას წარმოადგენდა, რომლის აღზვევაში დიდი როლი შეასრულა ქართველთა სათაყვანებელმა მეფე ერეკლე II-მ. თელავის „ბატონის ციხე“ – სამეფო სასახლე, იქცა დიდი ერეკლეს როგორც დაბადების, ისე გარდაცვალების ადგილად, იმ ერეკლე მეფისა, რომელმაც ქართლ-კახეთის სამეფო კავკასიის რეგიონის ერთ-ერთ უძლიერეს სახელმწიფოდ აქცია.

აღმოსავლეთ საქართველოს პოლიტიკური სიძლიერე მის ეკონომიკურ აღმავლობაშიც გამოვლინდა. თბილისი, გორი, თელავი, სიღნაღი და სხვა ქალაქები ეკონომიკური განვითარების გზას დაადგნენ, ამის დასტურად ამ ქალაქებში მიმდინარე აღმშენებლობა, ხელოსნობისა და ვაჭრობის განვითარება, მანუფაქტურული ტიპის საწარმოების გაჩენა იკმარებდა. მათ შორის, სამთამადნო მრეწველობის - სპილენძის მადნის მოპოვებისა და მისი გადამამუშავებელი ქარხნის დაფუძნება ქვემო ქართლში და სხვ.

რაც შეეხება კულტურულ-საგანმანათლებლო ვითარებას, თელავი, თბილისის მსგავსად, მნიშვნელოვან საგანმანათლებლო ცენტრს წარმოადგენდა. ქვემოთ მოთხრობილია თელავის საფილოსოფოსო სასწავლებლის შესახებ, რომელმაც ჩვენს ქვეყანას მისცა არაერთი განსწავლული პიროვნება.

რუსეთის იმპერიის მიერ საქართველოს ძალდატანებითი შეერთების (1801-1810 წ.წ.) შემდეგ, თელავმა საქართველოს სხვა ქალაქების მსგავსად, დაკარგა თავისი მნიშვნელობა, უბრალო

პროვინციულ ქალაქად იქცა და მხოლოდ სამაზრო ცენტრის ფუნქცია დაეკისრა, რომელსაც მამასახლისის, ქალაქის თავის ნაცვლად, ცარიზმის მიერ დანიშნული რუსი კაპიტან-ისპრავნიკი მართავდა.

რუსეთის კოლონიურმა პოლიტიკამ დიდი დარტყმა მიაყენა საქართველოს ქალაქებს, მათ შორის თელავის წინსვლა-განვითარებასაც. მათ დაკარგეს არამართო პოლიტიკური, არამედ, ეკონომიკური და ასევე კულტურულ-საგანმანათლებლო მნიშვნელობაც.

საყოველთაოდაა ცნობილი, რომ ქართველი ხალხი ვერ ურიგდებოდა უცხოელ დამპყრობელთა მონობას, ცარიზმის კოლონიალიზმის უღელს და იარაღით ხელში იბრძოდა მოძალადეთა წინააღმდეგ დამოუკიდებლობისათვის, ქართული სახელმწიფოებრიობის აღსადგენად. თითქმის XIX პირველ მესამედში, მთელი სამი ათეული წლის განმავლობაში საქართველოში მიმდინარეობდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, ბრძოლა ზემოაღნიშნული იდეების განხორციელებისათვის, რომელთა ერთ-ერთ კერას კახეთი და მათ შორის თელავიც წარმოადგენდა. იგი დაიწყო ქიზიყიდან, 1802 წლის ქელმენჯურის თავადაზნაურთა შეთქმულებიდან, რომელშიც თითქმის მთელი კახეთის მოსახლეობა მონაწილეობდა, ამ გამოსვლას 1804 წელს მოჰყვა მთიულეთის აჯანყება; ასევე აღსანიშნავია 1801-1810 წლებში იმერეთის მეფის, ერეკლე II-ის სახელოვანი შვილიშვილის სოლომონ მეორის თავდადებული ბრძოლა იმერეთის სამეფოს დამოუკიდებლობის შენარჩუნებისათვის, კვლავ 1812-1813 წლების კახეთის აჯანყება, რომელმაც საყოველთაო ომის ხასიათი მიიღო; 1819-1820 წლებში იმერეთის აჯანყება და ბოლოს, 1832 წლის შეთქმულება, რომლებიც ცარიზმმა სისხლში ჩაახშო. მიუხედავად ამისა, ცარისტულმა რუსეთმა ვერ შესძლო თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ქართველი ხალხის მებრძოლი სულის ჩაკვლა.

XIX ს-ის 60-იან წლებში საქართველოში ხელახლა იწყება ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, რომელსაც სათავეში ედგნენ სახელოვანი ქართველი მოღვაწეები, ე. წ. „თერგდალეულები“ დიდი ილიას მეთაურობით. ახალი მოძრაობის ლიდერებმა შეცვალეს ცარიზმთან ბრძოლის ტაქტიკა და იარაღის ნაცვლად ქართველ

ხალხში კულტურულ-საგანმანათლებლო იდეების შეტანა გადაწყვიტეს. ამას ემსახურებოდა 1879 წელს ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების, ასევე თეატრალური და სხვა მსგავსი ორგანიზაციების შექმნა, რომელთაც უნდა გაენათლებინათ და დაერაზმათ ხალხი ცარიზმის წინააღმდეგ მომავალი ბრძოლისათვის, დამოუკიდებ-ლობის აღსადგენად.

ასეთი საზოგადოებრივი ორგანიზაციების ფილიალები XIX ს-ის 80-იან წლებიდან მოყოლებული თელავშიც იქნა გახსნილი. მათ ფართო შემოქმედებითი საქმიანობა გააჩაღეს. იწყება სკოლების, ბიბლიოთეკების, ასევე სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და ამხანაგობების შექმნა.

1864 წლის საგლეხო რეფორმამ, რომელსაც შემდგომ მოჰყვა 60-70-იანი წლების სხვა ბურჟუაზიული რეფორმები, ხელსაყრელი პირობები შექმნა კაპიტალისტური ურთიერთობის განვითარებისათვის. საქართველოს სხვა რეგიონების მსგავსად, კახეთშიც, მათ შორის თელავშიც იწყება კაპიტალისტური ურთიერთობისათვის დამახასიათებელი ნიშან-თვისებების მქონე სანარმოების გაჩენა.

უპირველეს ყოვლისა, ვითარდება კაპიტალისტურ მრეწველობასთან ერთად წვრილ-საქონლური წარმოება ანუ მარტივი კოოპერაცია და ჩნდება მანუფაქტურული ტიპის სანარმოებიც. საფუძველი ეყრება კაპიტალისტურ წყობას. ხელოსნობასა და ვაჭრობის განვითარებასთან ერთად კაპიტალიზმი ვითარდება სოფლადაც. განსაკუთრებული ყურადღება მიექცა მევენახეობის განვითარებას. კახეთი ხომ არა მარტო საქართველოს, არამედ თითქმის მსოფლიო მასშტაბით ვაზისა და ღვინის სამშობლოდ არის მიჩნეული. იწყება ვენახების თანამედროვე ყაიდაზე გაშენება და მოვლა. კახური ღვინო წარმოადგენდა ექსპორტის ძირითად საქონელს, რომელიც გადიოდა არა მარტო რუსეთის იმპერიის დიდ ქალაქებში და აკმაყოფილებდა ადგილობრივ ქართულ ბაზარს, არამედ იგი ევროპაშიც კი გაჰქონდათ. მევენახეობასთან ერთად ვითარდებოდა მარცვლეული კულტურების მოყვანა და მეცხოველეობა.

თელავის ბაზარი თავისი ფართო სასოფლო-სამეურნეო და ხელოსნური ნაწარმით, თუ არ ჩავთვლით თბილისის ბაზრებს, სიუხვით აშკარად გამოირჩეოდა საქართველოს სხვა ქალაქების ბაზრებისგან.

ეკონომიკურმა სიძლიერემ თავისი გამოხატულება ჰპოვა ქალაქის განაშენიანებაშიც, რომლის შესახებ მოთხრობილი გვაქვს ქვემოთ,

როცა ვიხილავთ ქალაქის ცენტრალურ ქუჩებს. იქვე აღვნიშნავთ, რომ

XIX საუკუნის მიწურული და XX საუკუნის პირველი ოცნლეული, I მსოფლიო ომის დაწყებამდე, თელავში ბინათმშენებლობის ე.წ. „ბუმად“ ითვლება.

აი, ასეთია ზოგადად ამ წიგნის ავტორთა მოკრძალებული შეთავაზება მკითხველთათვის, რათა გაეცნონ ზემოთ აღნიშნულ მონოგრაფიებს, თუ არადა, უკიდურეს შემთხვევაში ჩვენს მიერ მოტანილი მოკლე ცნობებით დაკმაყოფილდნენ, რომლებშიც ძირითადად გვიანდელი ფეოდალიზმის ეპოქისა და XIX-ს მიწურულსა და XX ს-ის პირველი მეოთხედის თელავის ისტორიაა გადმოცემული.

## თავი I

### თელავის ისტორიული წარსული და აწმყო (ზოგადი მიმოხილვა)

საქართველოს ქალაქებს შორის თავისი კოლორიტით და მრავალსაუკუნოვანი ისტორიით თელავს ერთ-ერთი განსაკუთრებული ადგილი უკავია. იგი დაფუძნებულია კახეთში, ცივ-გომბორის ქედის ჩრდილო-აღმოსავლეთის კალთის ფერდობსა და მდინარე ალაზნის ვაკეზე. ამჯერად ქალაქი თელავი წარმოადგენს კახეთის მხარის ადმინისტრაციულ ცენტრს. საქართველოს დედაქალაქ თბილისთან თელავი დაკავშირებულია როგორც სარკინიგზო ხაზით (158 კმ.), ისე საავტომობილო (საგარეჯო-გურჯაანის გავლით - 155 კმ. და გომბორის უღელტეხილით - 85კმ.) გზებით.

XIX საუკუნის დასაწყისში (1802 წ.), ქალაქად, სამაზრო ცენტრად მისი ოფიციალურად გამოცხადება რუსეთის იმპერიის ხელისუფლებას მიეწერება, თუმცა თელავის საქალაქო ცხოვრების შესახებ ქართულ წარსულ ნაშრომებში საკმაოდ ცნობები მოგვეპოვება. ეს განსაკუთრებით ითქმის გვიანდელი ფეოდალიზმის ხანის დაფიქსირებულ მასალებში.

არქეოლოგიური ექსპედიციების მიერ ჩატარებული კვლევების შედეგად დასტურდება, რომ დღევანდელი თელავის ტერიტორიაზე პირველი დასახლება გვიანდელი ბრინჯაოს ეპოქაში გაჩნდა; ელინიზმის პერიოდში იგი კიდევ უფრო გაიზარდა და განვითარდა, ხოლო გვიანდელ ანტიკურ ხანაში მის ბაზაზე წარმოიქმნა ქალაქური ტიპის დასახლება.

მართებულად მიგვაჩნია და მთლიანად ვეთანხმებით ქალაქ თელავის მკვიდრს, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორს, პროფესორ ლევან რჩეულიშვილს, რომელიც თავის მონოგრაფიაში, ეხება რა თელავის განვითარების ძირითად ეტაპებს, აღნიშნავს, რომ „საქართველოს ფეოდალური ურთიერთობის ადრინდელ საფეხურზე, V-VI სს.-ში თელავი საკმაოდ ხალხმრავალია. მას უკავია გორაკი „თელავის ხევსა“ და „კაკლის ხევს“(1) შორის. ამ პერიოდის ნაგებობებისგან შემორჩენილია დღევანდელი თელავის უძველესი

არქიტექტურული ძეგლი - „ღვთაების ეკლესია“, რომელიც დღესაც ქალაქის სილუეტის დომინანტს წარმოადგენს“. (2)

ანალოგიური დასკვნის ავტორია არქეოლოგიის დოქტორი ცისანა ჩიკოიძე. მისი აზრით: „თელავი ფეოდალიზმამდელი ქალაქი უნდა იყოს, რომელიც არსებობას განაგრძობს ადრეფეოდალურ ხანაში და ყალიბდება ახალ ფეოდალურ ქალაქად, რომელიც პოლიტიკურ დანინაურებას აღწევს X-XI სს.-ში“. (3)

ქალაქ თელავის ტოპონიმის (სახელწოდების წარმომავლობის) შესახებ სხვადასხვა მოსაზრებაა გამოთქმული. მათ შორის ყურადღებას იმსახურებს ცნობილი ქართველი ისტორიკოსის, აკადემიკოს ივანე ჯავახიშვილის შეხედულება. მისი აზრით, სახელწოდება „თელავი“ წარმოიქმნა ხე-მცენარე თელადან, სადაც „ვი“ სუფიქსი მრავლობითი რიცხვის ნიშანია და ახალი ქართული ნორმებით ნიშნავს „თელებს“. (4) ფაქტობრივად, აღნიშნულ ვერსიას იზიარებს ქართველ ისტორიკოსთა უმრავლესობა. (5)

ამ საკითხთან დაკავშირებით ერთ-ერთი ვერსია გამოქვეყნებულია 1851 წელს რომელიც უნდა განთავსებულიყო 1852 წლის „Кавказский Календарь“-ში. სტატიის ავტორია ვინმე თავადი ანდრონიკოვი. (6) მასში გადმოცემულია თელავის გეოგრაფიული მდებარეობის, მისი ისტორიის, სახელწოდებისა და ეკონომიკის მოკლე დახასიათება. ჩვენთვის კი საინტერესოა მასში გამოთქმული მოსაზრება ქალაქის სახელის წარმომავლობის (ტოპონიმის) შესახებ. ნათქვამია, რომ სახელწოდება „თელავი“ ორი სიტყვისგან წარმოდგება - „მთელი“ და „ჰავა“, ე.ი. ჯანმრთელი ჰავა და არა მცენარე თელისგან. ანდრონიკოვი წერს, რომ „ქალაქ თელავის სახელის ხე თელადან წარმოშობა საეჭვოა, რადგა თელას ჯიშის ხეები ქალაქის შემოგარენში არ დგას“-ო. (7)

სწორედ ანდრონიკოვის მიერ გამოთქმულმა ამ მოსაზრებამ ავერ ლამის ორი საუკუნეა განაპირობა, ქალაქ თელავის სახელის წარმოშობის თელის ხისგან ვერსიაში ეჭვის შეტანა. არადა ამ ჯიშის ხეები დღესაც დგას და საკმაოდ ბევრი თელავის შემოგარენში, მათ შორის სამხრეთით, იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტადიონის ირგვლივ, „ჯვარპატიოსნის“ სახელობის ეკლესიის გარშემო, ცივის მთის კალთებზე. როგორც ჩანს, არც შემდგომში შეუწუხებიათ თავი, ანდრონიკოვის მოსაზრების

გადამოწმებით და წლებია, თელავის სახელის წარმოშობის ამ ვერსიას იმეორებს უამრავი გამოცემა.

ცნობილი ინჟინერის, 1952-1961 წლებში თელავის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავჯდომარის გიორგი ჯაშიაშვილის პირად არქივში დაცულ მასალებში „ზოგიერთი ცნობები ქალაქ თელავის ცხოვრებიდან, 1954 წლის 1 იანვრისთვის“(8) ვკითხულობთ - „პირველად მისი სახელის წარმოშობის ისტორია გვამცნობს, რომ დღევანდელ თელავს, დასახლებულ ადგილს ერქვა „მთელი-ჰავიანი“, რომელიც გარდაქმნილია მთელემა.“ ცხადია, რომ აქ ავტორი იმეორებს „Кавказский Календарь“-ში გამოთქმულ მოსაზრებას კრიტიკული გააზრების გარეშე.

თელავის შესახებ „Кавказский Календарь“-ში გამოქვეყნებულ მოსაზრებას, ასევე უკეთებდა კომენტარს ცნობილი პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე გიორგი მელითაური. იგი თავის სტატიაში – „ზოგიერთი ცნობები თელავის თაობაზე“(9), ეთანხმებოდა „Кавказский Календарь“-ში გამოქვეყნებულ მოსაზრებას, რომ ქალაქის სახელი არ წარმოსდგება „თელასაგან“. ამის დასამტკიცებლად გ. მელითაური წერს, ფაქტობრივად კი იმეორებს ანდრონიკოვის აზრს, რომ „თელავში და მის შემოგარენში იშვიათად თუ შეხვდება კაცი ხე-მცენარე „თელას“. არადა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ამ ჭიშის ხეები საკმაოდ დიდი რაოდენობით მოიპოვება თელავის შემოგარენში არსებულ ტყეებში. გ. მელითაური აქვე აქვეყნებს საკუთარ ვერსიას, რომ „თელავი წარმოდგება სიტყვა „თნელისგან“.

თუმცა, შემდგომში, რამოდენიმე წლის შემდეგ გიორგი მელითაურმა შეცვალა თავისი შეხედულება და მის პირად ფონდში დაცულ, დღემდე გამოუქვეყნებელ ნაშრომში „თელავი“ (მეგზური), იგი წერს - „სახელწოდების წარმოშობაზე რამდენიმე ვარიანტი არსებობდა. საბოლოოდ დადგინდა, რომ თელავი წარმოიქმნა თელადან. ამ ადგილას ბევრი თელა ყოფილა და ამ დასახლებულ ადგილსაც თელავი დაერქვა.“(10)

არის კიდევ ერთი ვერსია, რომლითაც „თელავი“ სომხურ სიტყვა „კარგს“ უკავშირდება, რაც ჩვენ სრულ აბსურდად მიგვაჩნია. ასეთივე შეუსაბამოა ვერსიაში, თითქოს „თელავი“ სიტყვა „თელვას“ ანუ მატყლის მომზადების პროცესს აღნიშნავს. ჩვენთვის მიუღებელია და არ მიგვაჩნია სარწმუნოდ, როგორც „Кавказский Календарь“-ში

მითითებულ პუბლიკაციაში, ისე გიორგი მელითაურის, და სხვების გამოთქმული შეხედულებები.

აი, ასეთია „თელავის“ ტოპონიმის შესახებ არსებული ვერსიები, რომლებიც ფაქტობრივად ერთმანეთს გამორიცხავენ. იმედია, რომ მომავალში შესაძლებელი გახდება მისი გაშიფვრა, სწორი და მეცნიერული დასკვნების გაკეთება. ჩვენ კი ვფიქრობთ, რომ ამ ეტაპზე ერთადერთი და სწორი ახსნა ჩვენი ქალაქის სახელის არის სწორედ ხე თელადან მისი წარმოშობა.

\*\*\*

აქვე გვინდა შევეხოთ დღემდე ქართულ ისტორიოგრაფიაში დამკვიდრებულ შეხედულებას, რომლის თანახმად ანტიკური ეპოქის ავტორზე - კლავდიოს პტოლემოსზე დაყრდნობით, ზოგიერთი მკვლევარის თვლის, რომ თითქოსდა თელავი ახ.წ.აღ. II საუკუნეში მოხსენიებული იყო თელება (ტელება), თელადას სახელით.

ეს იდეა ქართველ ისტორიკოსთაგან ჰიპოთეზის სახით პირველმა გააუღერა ნოდარ ლომოურმა, რომელსაც შემდგომ სხვა თანამოაზრეებიც გამოუჩნდნენ და ყოველგვარი კრიტიკის გარეშე უსიტყვოდ გაიმეორეს ეს მოსაზრება, რაც არასწორი უნდა იყოს. ნებისმიერი რიგითი მკითხველიც კი, ვისაც წარმოდგენა აქვს ისტორიულ გეოგრაფიაზე, დარწმუნდება იმაში, თუ იგი დახედავს კლავდიოს პტოლემოსის მიერ შედგენილ რუკას, სადაც თელავთან გაიგივებული თელება (ტელება) კასპიის ზღვის ჩრდილო-დასავლეთის უკიდურეს სანაპიროზეა მონიშნული.

ამდენად, თელავის გაიგივება ტელებასთან ან თელადასთან, ჩვენი აზრით, უნდა იყოს მცდარი. ამას გარდა, ქალაქ თელავის ასაკისთვის რამდენიმე საუკუნის (ორი-სამი) მიმატება არაფრის მოქმედი არ არის, რადგან თელავს ისედაც მნიშვნელოვანი და განსაკუთრებული ადგილი აქვს მიკუთვნებული საქართველოს ისტორიაში.

ასევე არასწორი უნდა იყოს ქალაქ თელავის ალბანეთის საზღვრებში მინიშნება, რომელიც XI საუკუნის ქართველი მემკვიდრის ლეონტი მროველის ნააზრევადან მომდინარეობს და იგი მრავალმა ქართველმა ისტორიკოსმაც გაიმეორა. მათ შორის, ცნობილმა ქართველმა ისტორიკოს-გეოგრაფმა ვახუშტი ბაგრატიონმა და მისი მომდევნო თაობების მკვლევრებმა.

თანამედროვე მკვლევრების მოსაზრებით, მათ შორის ახალგაზრდა მკვლევარის, არქეოლოგის, დოქტორის გიორგი ლალიაშვილის სიტყვებით „საკითხის ამგვარი გააზრება ემყარება არა რაიმე ხელჩასაჭიდ საბუთს, არამედ ორ გარემოებას: 1. ტოპონიმ „თელადა“-სა და თელავის გარეგნულ მსგავსებას; 2. ჩვენს ისტორიოგრაფიაში შემუშავებულ კონცეფციას, რომლის მიხედვითაც იორ-ალაზნის ორმდინარეთი ადრეანტიკურ-ადრეელინისტურ ხანაში ალბანური მოდგმის ტომებით იყო დასახლებული და მათ პოლიტიკურ გაერთიანებაში შედიოდა. შესაბამისად, ალბანურ ქალაქ ტელადას ქვეშ ნაგულისხმევი იქნა თელავი. ეს მაინც არ გვაძლევს საფუძველს კლავდიოს პტოლემეაიოსისეული ტელადას ქვეშ თელავი ვიგულისხმოთ, რადგან, როგორც არაერთხელ აღინიშნა ზემოთ, ძვ.წ. III საუკუნიდან მოყოლებული, ამ რეგიონში არც ალბანეთის პოლიტიკური ძალაუფლება ვრცელდება, და არც ალბანური მოსახლეობის არსებობა დასტურდება. ხოლო, უფრო ადრეული პერიოდისათვის, არ მოგვეპოვება არანაირი მისალა იმისათვის, რომ თელავის ადგილას ქალაქური ტიპის დასახლებული პუნქტის არსებობა ვივარაუდოთ.“(11)

გიორგი ლალიაშვილი აქვე აგრძელებს - „იორ-ალაზნის ორმდინარეთის გვიანანტიკური ხანის არქეოლოგიური ძეგლების კულტუროგენეზი ამჟამად შიდა ქართლის მატერიალურ კულტურასთან არის დაკავშირებული და იმავე დროს მკვეთრად განსხვავდება ალაზნის ქვემო დინების აღმოსავლეთით გამოვლენილი სინქრონული მასალებისაგან.“

იგი თვლის, რომ „ეს არქეოლოგიური ფაქტი, მატერიალურ დადასტურებად მიგვაჩნია ანტიკური ხანის წერილობით წყაროებში ასახული იბერია-ალბანეთის სასაზღვრო ვითარებისა, რომლის მიხედვითაც, ამ სახელმწიფოთა ეთნოპოლიტიკურ საზღვრად მდ. ალაზნის ქვემო დინება მოიაზრება. ამდენად, ერთი მხრივ წერილობით წყაროთა ჩვენებანი, მეორე მხრივ კი რეგიონის არქეოლოგიური სიტუაცია, ვფიქრობთ საფუძველს აცლის იმ ავტორთა მოსაზრებებს, ვინც ცდილობს ანტიკური ხანისათვის იორ-ალაზნის ორმდინარეთი წარმოაჩინოს ალბანური ეთნიკური ჯგუფებით დასახლებულ რეგიონად და მათ ტომთა კავშირში შემავალ ტერიტორიად“.(12)

ამრიგად, არქეოლოგ გიორგი ლალიაშვილის და სხვა მკვლევარების მიერ მოძიებული სარწმუნო წყაროებზე დაყრდნობით მტკიცდება, რომ კახეთ-ალბანეთის სახელმწიფო საზღვარი გადიოდა არა მდ. თურდოზე, არამედ მდინარეების ალაზნისა და იორის ქვემო დინებაზე. ეს კი მიანიშნებს იმაზე, რომ თელავი ალბანური ქალაქი კი არ არის, არამედ იგი ძირძველ ქართულ, კახეთის მიწის ნაფუძარზეა აშენებული.(13)

### **ქალაქ თელავის შესახებ არსებული ნაშრომების (ისტორიოგრაფიის) ზოგადი მიმოხილვა**

საქართველოს სხვადასხვა ქალაქების მსგავსად, კახეთის ძველმა ქალაქებმა - ნეკრესმა, ხორნაბუჯმა, უჯარმამ, გრემმა, ძეგამმა და კიდეც ვინ იცის რამდენმა ასეთმა, დროთა ქართვეილებს ვერ გაუძლეს და აღიგავნენ პირისაგან მიწისა. მხოლოდ თელავი დარჩა როგორც უკვდავ-უბერებელი ქალაქი.

თელავმა, საქართველოს სხვა უძველესი ქალაქების მსგავსად, თავისი განვითარების საკმაოდ დიდი გზა განვლო. მისი ისტორიული წარსული საკმაოდ მრავლისმეტყველია, რომელიც ჯერ კიდეც ღრმად და საფუძვლიანად, მონოგრაფიულად არ არის შესწავლილი. თუმცა იგი, რა თქმა უნდა, ხელუხლებელი ყამირი როდია. ამ პრობლემასთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხი, სახელდობრ, თელავის ისტორიული წარსული, მკვლევართა ყურადღების ცენტრში იყო. იგი მრავალი ავტორის მიერ სხვადასხვა დროსა და სხვადასხვა კუთხით მეტ-ნაკლები სისრულითაა გაშუქებული.

ქალაქ თელავის შესახებ ისტორიულ-ლიტერატურული ნარკვევის პირველი ავტორია XIX საუკუნის თვალსაჩინო მწერალი, 1832 წლის შეთქმულების ერთ-ერთი აქტიური ლიდერი, ერეკლე II-ის შვილიშვილი, თეკლა ბატონიშვილის ვაჟი ალექსანდრე ჯამბაკურ-ორბელიანი.

თელავის სილამაზით მოჭადოებულმა ალექსანდრე ორბელიანმა 1857 წელს დაწერა ნარკვევი - „თელავი“, რომელიც ამ ოციოდე წლის წინათ „ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოების“ გრიფით

გამოსაცემად მოამზადა, ტექსტი და ბოლოსიტყვაობა დაურთო თელავის მკვიდრმა პროფ. გიორგი ჯავახიშვილმა.(14)

აღ. ორბელიანი თავის წიგნში საკმაოდ ადგილს უთმობს ქალაქის ისტორიულ-გეოგრაფიულ განაშენიანებას. მასში ყურადღებაა გამახვილებული იმ თავდაცვით და საყოფაცხოვრებო ნაგებობებზე, რომლებიც რამდენიმე საუკუნის მანძილზე ამშვენებდა და დღესაც, ზოგიერთი მნიშვნელოვანი ცვლილებების მიუხედავად, ამშვენებს თელავს. წიგნში დიდი ადგილი აქვს დათმობილი ავტორის სახელოვანი პაპის ერეკლე მეორის დახასიათებას, მისი ცხოვრების ცალკეულ ეპიზოდებს.

ვფიქრობთ, მკითხველისათვის უინტერესო არ იქნება გაეცნოს დიდი ერეკლეს შვილიშვილის ალექსანდრე ჯამბაკურ-ორბელიანის თვალთ დახახულ ქალაქ თელავს და მის შემოგარენს, ბუნების სილამაზეს და ადგილმდებარეობას. ამისათვის მისი წიგნიდან „თელავი“ მოგვაქვს მოკლე ამონარიდი: „აბა, მივხედოთ თელავს, იმის მდებარეობა გავჩხრიკოთ. ეს მომალლო ვაკე ადგილი ლამაზ მუხასავით მოყვანილი... იტყვიან: ედემსა და სამოთხესა! მივიდეთ კახეთს და თელავის ქალაქის გადახედვის სიმაღლიდან, ჯერ პირდაპირ ვაკეკაზიის მთისკენ მივიხედოთ ჩრდილოეთისკენ, მას უკან მიმოვიხედოთ, ოთხივე კუთხე რაგვარ ბუნებას დავინახავთ.

თელავია მაღალს ადგილზედ პატარა ქალაქი, გაშლილი ქვიშიან, წვრილქვიან და ვაკეზედ საშუალო ის შენობით მოფენილი თეთრი ეკლესიებით, თავის ქუჩა-ბაზრებით... თელავის ქალაქი მეტად მდიდარია საუცხოო წყაროებით, სხვადასხვა ადგილებში გამოქმდინარე და ჰაერი უკეთესი აღარ უნდა ინატროს ადამიანმა... ამ ხსენებულ ქალაქს, წინ უდგას ჩრდილოეთის მხრისკენ ოთხი გალავანი ქვითკირისა თავისი ბურჯებით... ამ ოთხ გალავანში პირველი გალავანია დასავლეთის მხარეს, მეტად ძველი... ამ გალავნის დიდი ხევის გადმოღმით მეორე გალავანია, პირველს გალავნიდან აღმოსავლეთისკენ თავად ყორჩიბაშვილებისა... მესამე გალავანი მეფეთა გალავნიდან აღმოსავლეთით, კვალად ხევის გადმოღმით, უფრო დიდი ამ გალავნებზე: უფრო მკვიდრი შენობა და უკან სამხრეთისკენ მეოთხე გალავანია პატარა ხევის გაღმით, რაშიც თვით პატრონები დგანან, თავადნი ვახვახიშვილები... ორთა გვართა ამათ, თავად ყორჩიბაშვილებსა და ვახვახიშვილებს, მოსაწონად უნდა

ჰქონდეთ თავი, რომ თვითონ გალავანში დგანან და იქიდან გადაჰყურებენ მეტად მოსაწონ ბუნებას.

ოთხი ესე გალავანი დგას ერთ ხაზზე მალლობიდგან გადმოჰყვრეტელი დაბლა პირმიმართული ჩრდილოეთის კავკაზიის მთისკენ... ქალაქ თელავის უკან სამხრეთის მხარეს შეივლის წვრილი ტყიანი ვრცელი აღმართი; ამის დასასრული არის აშლილი ტყიანი მაღალი ცივის მთის ნაპირი, ლამაზი ღელეებითა და ხევებით ჩამოსული, საიდანაც ერთს რომელიმე თელავის მაღალი ადგილიდგან (რომ ეძებოთ იპოვით) საამოდ ჩანს ის წვრილი ტყიანი აღმართი და აშლილი მაღალი ტყიანი ცივის მთა ხომ რა საკვირველია... რა თვალს გადაავლებთ, დასავლეთის მხრიდგან აღმოსავლეთისკენ, თვალისმიდევნებით დაინახება შორიდგან წამოსული ორასი ვერსი მეტი კავკაზიის მთა.“(15) ალექსანდრე ორბელიანის ნარკვევი, რომელიც უფრო ლიტერატურული ხასიათისაა, ერთგვარად მნიშვნელოვანი ისტორიული წყაროცაა ქ. თელავის ისტორიის მეცნიერულად შესწავლის საქმეში.

თელავის შესახებ საინტერესო მოსაზრება აქვს გამოთქმული ცნობილ ქართველ ისტორიკოსს პლატონ იოსელიანს. იგი 1850 წ. რუსულ ენაზე გამოცემულ წიგნში აღნიშნავს, რომ თელავი დაარსებულია 793 წელს მდინარე თურდოზე, კახეთის პირველი მეფის კვირიკეს მიერ.(16) ქალაქი შემდეგში კახეთის მეფეების რეზიდენციად ითვლებოდა. XVII ს-ში ვახტანგ შაჰნავაზის შვილმა არჩილ II-მ ქალაქი გაამშენიერა, ააშენა სასახლე და ტაძარი, რომლებიც ახლაც არსებობენ. პლატონ იოსელიანი თავის მოსაზრებას ამთავრებს იმით, რომ ქალაქის გალამაზება-გამშენიერებაზე ძალიან ზრუნავდა ერეკლე II. ამიტომ, იგი ერთ-ერთ საუკეთესო ქალაქად ითვლება საქართველოში.(17)

თელავის ქალაქად დაარსების თარიღად ანალოგიურ საუკუნეს მიაჩნებენს პროფესორი ალექსანდრე ხახანაშვილი, რომლის მოსაზრება შესულია მოსკოვში 1898 წელს გრაფ უვაროვის რედაქციით გამოქვეყნებულ VIII გამოცემაში, რომელშიც მოთავსებულია 1892, 1893 და 1895 წლებში კავკასიაში მონყობილი არქეოლოგიური ექსპედიციების მასალები.

ალექსანდრე ხახანაშვილი წერს, რომ „თელავი დაარსებულია კვირიკე მეფის მიერ ქრისტეს დაბადებიდან IX საუკუნეში. ძველი

ქალაქის ნაშთები აქამდე შემორჩენილია. ეს ითქმის ციხე-სიმაგრის კედლების ნანგრევების შესახებ. ქალაქის ახალ ნაწილში აშენებულია მეორე ციხე-სიმაგრე." აღ. ხახანაშვილი მის აშენებას მეფე არჩილის მეფობას უკავშირებს, რომელმაც XVII ს-ში დედაქალაქი გრემიდან თელავში გადმოიტანა.

აქვე გვინდა შევნიშნოთ, რომ ჩვენი აზრით, რასაც ისტორიული მასალები ამყარებენ, კვირიკე I მეფე არ ყოფილა, რადგან კახეთის სამეფოს X საუკუნის ბოლოს და XI ს.-ის დასაწყისში ჩაეყარა საფუძველი. მანამდე კახეთი სამთავროს, უფრო სწორედ საქორესპისკოპოსოს სახით იყო წარმოდგენილი, ხოლო თელავი ამ დროის არცერთ ნარატიულ წყაროში არ იხსენიება.(18)

ამდენად, IX ს-ის ბოლოს კახეთის სამეფოს დედაქალაქად თელავის გამოცხადება არასწორია. იგი ფაქტობრივად, კვირიკე III დიდის მიერ ჰერეთის სამეფოს შემოერთების შემდეგ, XI ს-ის დასაწყისში გახდა კახეთ-ჰერეთის სამეფოს დედაქალაქი. ამიტომ, ჩვენი აზრით, ვახუშტი ბაგრატიონის მოსაზრება უნდა იყოს სწორი. იგი, საქართველოს ახალი ქალაქების გაჩენასთან დაკავშირებით, თელავს X საუკუნით ათარიღებს.(19)

უდაოდ მნიშვნელოვანია, ქალაქ თელავის შესახებ გამოქვეყნებულ ნაშრომებს შორის პროფ. ლევან რჩეულიშვილის - „თელავი“.20)

ნაშრომში მოკლე გეოგრაფიულ აღწერილობასთან ერთად, ზოგადად არის განხილული ქალაქ თელავის ისტორიული ძეგლების აღწერილობა. აქვე გვინდა შევნიშნოთ, რომ ლევან რჩეულიშვილის ნაშრომი ერთგვარი გზამკვლევაა ჩვენს წინაშე დასმული პრობლემის შესწავლის საქმეში.

თელავის ისტორიის მეცნიერული კვლევის პირველ ცდას წარმოადგენს არქეოლოგ ცისანა ჩიკოიძის ნაშრომი „ქალაქი თელავი" (ისტორიულ-არქეოლოგიური გამოკვლევა)".(21) მასში წერილობითი წყაროების, არქეოლოგიური მასალებისა და ხუროთმოძღვრული ძეგლების ერთობლივი ანალიზის საფუძველზე განხილულია თელავის ისტორია უძველესი დროიდან XIX საუკუნამდე.

ჩვენი ქალაქის შესახებ არსებულ პუბლიკაციებს შორის, ისტორიული ხასიათის ნარკვევად შეიძლება ჩაითვალოს ი. აფხაზავასა და გ. ჩანგაშვილის მიერ 1978 წელს გამოცემული მცირე მოცულობის ნაშრომი,(22) რომელსაც ავტორთა განმარტებით მხოლოდ

გზამკვლევის ფუნქცია გააჩნია. იგი ძირითადად ქართულ ენაზე მოსაუბრე ტურისტებისათვის იყო განკუთვნილი. ამ მცირე ფორმატის წიგნაკში ავტორები თანამიმდევრობით იხილავენ თელავის გეოგრაფიულ მდებარეობას და მის ბუნებრივ პირობებს; ეხებიან რა მის ისტორიულ წარსულს და თანამედროვეობას, XX ს-ის 70-იანი წლებისათვის ქალაქის მოსახლეობის შემადგენლობას და რაოდენობას, ასევე ქალაქში არსებულ სამრეწველო საწარმოებს, კომუნალურ და საყოფაცხოვრებო კეთილმოწყობას; განათლების, კულტურის, მეცნიერების და ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებებს. ნაშრომში ცალკე საკითხად არის გამოყოფილი თელავის ტურისტული რესურსი. მასში ავტორები ზოგადად იხილავენ თვით ქალაქს და მის შემოგარენში მრავლად არსებულ მატერიალური კულტურის ძეგლებს. ჩვენი აზრით, აღნიშნული გზამკვლევი ძირითადად პასუხობს ავტორთა წინაშე დასმული პრობლემების გადაჭრას.

ასევე გარკვეულწილად საყურადღებოა ჯ. ხარიტონაშვილის - „თელავი“. (23) იგი ფაქტობრივად გზამკვლევს წარმოადგენს, რომელიც თელავსა და მის შემოგარენს ეხება. თვით ავტორისავე განმარტებით, ნაშრომი ძირითადად ტურისტებისა და მკითხველთა ფართო წრისათვის არის განკუთვნილი. რაც შეეხება მის მეცნიერულ ღირებულებას, ჩვენი აზრით, შეიძლება ითქვას, რომ იგი არაფრის მთქმელია, რადგან მასში მოტანილი მასალები თელავზე, აქამდე თელავის შესახებ არსებული ნაშრომების კომპილაციას წარმოადგენს.

2013 წელს თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის გრიფით, თელავის იმდროინდელი ხელისუფლების დახმარებით, გამოიცა პროფ. ვალერიან ელანიძის საკმაო სქელტანიანი, უმაღლეს პოლიგრაფიულ დონეზე შესრულებული მონოგრაფია - „ქალაქი თელავი და ერეკლე მეორე“. წიგნის ანოტაციაში ნათქვამია, რომ წიგნი ითვალისწინებს მკითხველს გააცნოს ქალაქ თელავის ისტორია წინაქრისტიანული ხანიდან 1802 წლამდე. წიგნში დიდი ნაწილი დათმობილი აქვს ერეკლე II-ის ცხოვრებისა და მოღვაწეობის განხილვას.

ავტორის მიმართ ჩვენი დიდი პატივისცემის მიუხედავად, ვიზიარებთ რა XIV საუკუნის ბრწყინვალე ისტორიკოსის - ჟამთააღმწერლის შვეგონებას, რომლის გაგებითაც „ისტორიკოსი მოვლენების უბრალო აღწერას კი არ უნდა იძლეოდეს, არამედ მან უნდა ახსნას ამ მოვლენის

გამომწვევი მიზეზები“, გვინდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენი აზრით, რომელსაც სხვა ჩვენი კოლეგა ისტორიკოსებიც ეთანხმებიან, ამ მონოგრაფიაში სიახლე არ შეინიშნება. იგი ფაქტობრივად ავტორის მიერ წლების მანძილზე მისი ნააზრევის და გამოქვეყნებული სტატიების კრებულს წარმოადგენს. არსებითად, მონოგრაფია დაწერილია თელავისა და ერეკლე II-ის შესახებ, საკმაოდ დიდი ხნის წინ გამოქვეყნებული ლიტერატურის ურთიერთშეჭერებისა და მისი ზედაპირული ანალიზის საფუძველზე. ამასთანავე, შეიძლება ითქვას, რომ თელავის ისტორია წიგნში იმდენად ფრამენტულად არის გადმოცემული, რომ მისი მკითხველი ახალს ვერაფერს შეიტყობს.

ფაქტობრივად, ვალერიან ელანიძის მონოგრაფია ერეკლე II-ის ცხოვრება-მოღვაწეობას, უკვე კარგად კარგად ცნობილი გამოცემების მიხედვით იხილავს. ჩვენი აზრით, წიგნი ზედმეტად გაჭერებულია ერეკლე II-ის ქება-დიდებათ და გარკვეულწილად, სუფრაზე წარმოთქმული სადღეგრძელოების ასოციაციას ინვესს მკითხველში.

ჩვენ მიერ მოხსენიებული ნაშრომების გარდა, რომლებშიც უშუალოდ ქალაქ თელავის ისტორიაა განხილული, აღსანიშნავია მთელი რიგი პუბლიკაციები, რომლებშიც არსებული მასალები მეტ-ნაკლებად ავსებენ და ამდიდრებენ თელავის ისტორიულ წარსულს.

1976 წელს გამოცემილია „მეცნიერება“-მ გამოსცა ჰამლეტ დათიშვილის მონოგრაფია - „საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარება და მშრომელთა განმათავისუფლებელი ბრძოლა XX საუკუნის პირველ ოცნწლეულში (თელავის მაზრის მასალების მიხედვით)“. (24) აღნიშნული წიგნი ავტორის საკვალიფიკაციო ნაშრომს წარმოადგენდა, რომელიც წარმატებით იქნა დაცული 1979 წლის 11 ივნისს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის, ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, ეთნოგრაფიისა და არქეოლოგიის ინსტიტუტის სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე. ნაშრომში ძირითადი ყურადღება გამახვილებულია აღნიშნული პერიოდის თელავის მაზრაში მიმდინარე მოვლენებზე. წიგნში ერთ-ერთი ქვეთავი დათმობილი აქვს ქალაქის მართველობის საკითხს, რომელშიც ავტორი მოგვითხრობს თვითმმართველობის მიერ თელავში განეულ საქმიანობაზე.

2010 წელს მარინე გოგბაიძემ და გიორგი ჯავახიშვილმა გამოსცეს წიგნი - „ქალთა განათლების კერები თელავში“, რომელიც მიეძღვნა

თელავის წმინდა ნინოს ქალთა სასწავლებლის დაარსების 145 წლისთავს. ნაშრომში შესწავლილია საქართველოს ერთ-ერთ ძირძველ და დიდი კულტურულ-საგანმანათლებლო ტრადიციების მქონე ქალაქ თელავში, სხვადასხვა დროს არსებული ქალთა განათლების კერებისა და მათ შორის წმინდა ნინოს სასწავლებლის (1865-1921 წ.წ.) ისტორია. დასაბუთებულია, რომ თელავში არსებულმა ქალთა განათლების კერებმა, საქართველოს არაერთი ღირსეული შვილი აღუზარდეს.

იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე ისტორიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, 2014 წელს დასაცავად თავისი ნაშრომი „განათლება და კულტურა ცარიზმის პერიოდში (1801-1917 წ.წ.)“, წარმოადგინა ამავე უნივერსიტეტის ახალი და უახლესი ისტორიის სპეციალობის დოქტურანტურის კურსდამთავრებულმა მზია მისურაძემ. საკვალიფიკაციო ნაშრომში საკმაოდ ფართოდ არის განხილული ცარიზმის მიერ საქართველოში დაფუძნებული ახალი საგანმანათლებლო სისტემა და ნაჩვენებია თელავისა და სიღნაღის მაზრებში არსებული სასულიერო და საერო სასწავლებლების საქმიანობა ცარიზმის ბატონობის პერიოდში.

დისერტაციაში ასევე მოცემულია კახეთის რეგიონის კულტურული ცხოვრება აღნიშნულ პერიოდში. საგანმანათლებლო საქმიანობა-სთან ერთად ნაჩვენებია თეატრალური, მუსიკალური და სხვა კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებანი. ნაშრომში ხაზი აქვს გასმული საქველმოქმედო და კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობას კახეთის რეგიონში. შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნული სადისერტაციო ნაშრომი, რომელიც პირველწყაროებსა და საკითხის ირგვლივ გამოქვეყნებულ ლიტერატურას ეფუძნება, ძვირფას მასალებს შეიცავს თელავის საგანმანათლებლო ისტორიის დასაწერად.

ჩვენ მიერ განხილულ ნაშრომთა გარდა, რომლებიც უშუალოდ მხოლოდ ქალაქ თელავისა და მისი შემოგარენის ისტორიული წარსულით შემოიფარგლებიან, არსებობს როგორც ცნობილი ქართველი მეცნიერ-მკვლევარების - ვახუშტი ბაგრატიონის, დავით ბაგრატიონის, იოანე ბაგრატიონის, თეიმურაზ ბაგრატიონის, პლატონ იოსელიანის, მოსე ჯანაშვილის, გიორგი ჩუბინაშვილის, ივანე

ჯავახიშვილის, ექვთიმე თაყაიშვილის, სიმონ ჯანაშიას, ნიკოლოზ ბერძენიშვილის, სიმონ ყაუხჩიშვილის, შოთა მესხიას, მარიამ ლორთქიფანიძის, ნოდარ ლომოურის, პარმენ ზაქარაიას, ლევან ჭილაშვილის, დავით მუსხელიშვილის, ასევე შედარებით ნაკლებად ცნობილი მკვლევარების: თენგიზ ალდამიძის, ნანა თორაძის, ლია თანდილაშვილის, დარეჯან გამტკიცულაშვილის, მადლენა გოგიაშვილის, ნინო კუხიანიძის, თეიმურაზ ვახტანგიშვილის, მირიან თვალაიაშვილის, თამარ თამარაშვილის, გიორგი ლალიაშვილის, დავით ჯავახიშვილის, თენგიზ სიმეშვილისა და სხვა ავტორთა ცალკეული მონოგრაფიები, სტატიები, პუბლიცისტური წერილები. მკითხველისათვის მოსაბეზრებელი, რომ არ ყოფილიყო თითოეული პუბლიკაციის შინაარსის და მათი ავტორების შეხედულებების გაცნობა. მხოლოდ ავტორთა გვარების ჩამოთვლით შემოვიფარგლეთ.

ზემოთ ჩვენ მიერ აღნიშნული იყო, რომ თელავს როგორც ქალაქური ტიპის დასახლებას ანტიკური ეპოქიდან მოყოლებული ადრეული ფეოდალიზმის სანყის ეტაპზე, V-VI საუკუნეებში ჩაყარა საფუძველი, რაც მტკიცდება არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოძიებული მასალებითა და შემორჩენილი ძველი კულტურული ძეგლებით, მაგრამ მისი სახელწოდების შესახებ იმ დროის ნარატიულ წყაროებში არაფერია ნათქვამი. სიტყვა „თელავს“ პირველად ახსენებს XVIII საუკუნის დიდი ქართველი განმანათლებელი, ისტორიკოს-გეოგრაფი ვახუშტი ბატონიშვილი, რომელიც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, თელავს საქართველოს სხვა ახალი ქალაქების მსგავსად X საუკუნით ათარიღებს.

ამავე ვერსიას ამყარებს X საუკუნის არაბი მოგზაურ-გეოგრაფი, მკვლევარი ალ-მუკადასიცი (მუკკადისი). იგი ჩამოთვლის რა თავისი დროის დიდ და მნიშვნელოვან ქალაქებს - თბილისს, შამქორს, განჯას, შემახას, შარვანსა და სხვა, თელავსაც (არაბული ტრანსკრიპციით „თებლა“), მათ რიგში აყენებს.(25)

როგორც ჩანს, თელავი იმ დროისათვის საკმაოდ მჭიდროდ დასახლებული ქალაქი ყოფილა და იგი „აბრეშუმის დიდი სავაჭრო გზის“ დამაკავშირებელი იყო. უნდა ვივარაუდოთ, რომ სანამ დიდი გეოგრაფიული აღმოჩენები დაიწყებოდა, თელავი ღირსეულად მასპინძლობდა ევროპიდან და აზიიდან მოსულ ვაჭარ-მექარავენებს და დიპლომატ მოგზაურებს.

ქალაქი თელავი ფეოდალიზმის პირველ ეტაპზე (XI საუკუნისა და XII ს-ის დასაწყისში) კახეთ-ჰერეთის მეფეთა რეზიდენციას წარმოადგენდა. XII ს-ის დასაწყისში, მას შემდეგ, რაც დავით აღმაშენებელმა კახეთ-ჰერეთი შემოიერთა, ფაქტობრივად ბოლო მოუღო დამოუკიდებელი კახეთ-ჰერეთის სამეფოს არსებობას და იგი ერთიანი ქართული ფეოდალური სახელმწიფოს შემადგენლობაში შევიდა. საქართველოში მონღოლთა ასწლოვანი ბატონობის დროს (XIII ს-ის 30-იანი - XIV ს-ის 30-იანი წლები), თელავის მნიშვნელობა საგრძნობლად დაეცა. იგი ერთხანს XIII ს-ის 70-80-იან წლებში მონღოლთა მოხელე-მედროვის წარმოშობით ქურთის, შემდგომ გასომხებულ-გაქართველებულის, სადუნ მანკაბერდელის პირადი საკუთრებაც კი გახდა.

XV-XVI ს.ს.-ში თელავი ხელახლა დაწინაურდა, მაგრამ მისი წინსვლა შეაფერხა 1614-1617 წლებში შაჰაბას I-ის ოთხგზის მონყობილმა ლაშქრობებმა საქართველოში, ძირითადად კი კახეთში. თელავის აღორძინება და წინსვლა იწყება მას შემდეგ, რაც XVII ს-ის მეორე ნახევარში კახეთის მეფე არჩილ II-მ (1664-1675 წწ.) კახეთის სამეფო რეზიდენცია დანგრეული გრემიდან თელავში გადმოიტანა.

არჩილ II-ის მიერ კახეთის სამეფოს თვითნებურად დატოვებისა და იმერეთში გამეფების მცდელობის შემდეგ, ირანის შაჰმა კახეთის მმართველად დანიშნა მუსლიმანი ბაჟან ხანი, რომელმაც კახეთის ადმინისტრაციულ ცენტრად ყარაღაჯი აირჩია. ამ უკანასკნელის კახეთის სამართავ პოლიტიკურ ცენტრად დარჩენა დიდხანს არ გაგრძელებულა. მას შემდეგ, რაც ირანის შაჰმა კახეთის მართვა-გამგეობა ერეკლე I-ის, ნაზარალი ხანის ვაჟს დავით იმამ ყული-ხანს უბოძა, 1703 წლიდან მოკიდებული XIX საუკუნის დასაწყისამდე(26) თელავი საბოლოოდ გახდა ქართლ-კახეთის მეფეთა სამყოფელი. იგი ამავე დროს იქცა საქართველოს პოლიტიკური ცხოვრებისა და სულიერი კულტურის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ცენტრად.

თელავის აღორძინებასა და მის შემდგომ განვითარებაში უდიდესი ღვაწლი მიუძღვის მეფე ერეკლე II-ს. მან მნიშვნელოვანი აღმშენებლობითი საქმიანობა გააჩაღა. მეფე ერეკლემ განაახლა ვალავანი თელავის (ბატონის ციხე), რომელსაც არჩილ II-მ ჩაუყარა საფუძველი, ააგო ახალი კარის ეკლესია „ღვთისმშობლის მიძინების“ სახელობის (შემდგომში „სობოროდ“ ცნობილი).

XVIII ს-ის შუა ხანებში ერეკლეს ინიციატივით იწყება თელავის ერთ-ერთი უძველესი ციხის ე.წ. „ძველი გალავნის“ გაუდაბურებელი ტერიტორიის ათვისება, დასახლება. ერეკლე II-მ ყარაბაღიდან და განჯიდან (ელიზავეტოპოლი) ჩამოასახლა თუ თვითონ გადმოსახლდა, (27) სომხების 60-მდე ოჯახი და მათ უსასყიდლოდ უბოძა „ძველი გალავნის“ ტერიტორია. ამ საკითხს უფრო დანვრილებით ქვემოთ შევეხებით.

ერეკლე II-ის ხანაშივე სამეფო რეზიდენციის ე.წ. „ბატონის ციხის“ მიმდებარე აღმოსავლეთისა და დასავლეთის ბორცვებზე (ე.წ. „ფიქრის გორასა“ და „ღვთაების გორაზე“) აშენდა თელავში მცხოვრებ დიდებულ თავადთა ვახვახიშვილებისა და ყორჩიბაშიშვილ-რუსიშვილების ციხე-დარბაზები, რომელთა ნანგრევები დღესაცაა შემორჩენილი.

### **„ფიქრის გორა“ (ვახვახიშვილების) თელავში (ივანე პაატაშვილის ნარკვევი )**

ქალაქ თელავის განაშენიანების დიდი წილი გორებზე მოდის. თუ დღეს თელავის განაშენიანება 7 გორაზე მოიაზრება - „ზუზუმბოს გორა“, „დაბახნების გორა“, „გორიჭვარ-ყადორის გორა“, „ღვთაების გორა“, „ბატონის ციხის გორა“, „ფიქრის (ვახვახიშვილების) გორა“ და ისტორიულ-რეკრიაციული(28) „გიგოს გორა“. თუ არ ჩავთვლით უხსოვარი დროიდან დასახლებულ ე.წ. „ზუზუმბოს გორას“, სადაც შემდგომ პერიოდში საქალაქო ცხოვრება აღარ ჩანს, თელავი XVIII-XIX საუკუნეებში ძირითადად განაშენიანებული იყო ოთხ გორაზე - „გორიჭვარ-ყადორის გორა“, „ღვთაების გორა“, „ბატონის ციხის გორა“, „ფიქრის გორა“.

ყველა მათგანს ამ ნაშრომში ჩვენ ვერ შევეხებით, მაგრამ მათ შორის ერთ-ერთ ყველაზე გამორჩეულის „ფიქრის გორის“, (ვახვახიშვილების) იქ არსებული ვახვახიშვილების ციხე-გალავნის შესახებ, თელავის ისტორიულ მუზეუმში დაცულ ფონდებში შემონახული თელავის მემკვიდრის ივანე პაატაშვილის ნარკვევი - „ფიქრის გორა“ (ისტორიული მიმოხილვა) გვინდა

წარმოვიდგინოთ.(29)

ნარკვევის გაცნობა არა მარტო რიგითი მკითხველისთვის, არამედ თელავის სტუმრისთვისაც ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს. ავტორი, რომელიც უშუალოდ „ფიქრის გორას“ შემოგარენში გაიზარდა, სიყვარულით და ამავე დროს ფანტაზიის მოშველიებით აღწერს მას. შესაძლოა ბატონი ივანე ამ ნარკვევში ხშირ შემთხვევაში არარეალურ ფაქტებს უსვამს ხაზს, მაგრამ, ჩვენი აზრით, მას როგორც პროფესიით ჟურნალისტს და არა ისტორიის მკვლევარს, ეპატიება კიდევ ასეთი ლიტერატურული ლაფუსუსების დაშვება. იმის გამო რომ, ნარკვევი მხატვრული ღირებულებისაა, არაა საჭირო ავტორს მოეთხოვოს ისტორიული დეფინიციები. მიუხედავად ამისა, ვფიქრობთ, რომ ამ ნარკვევიდან მკითხველი ბევრ საინტერესო ამბავს გაიგებს და მადლიერი დარჩება ავტორის შემოქმედებისა.

მკითხველის საყურადღებოდ უნდა ითქვას, რომ ქვემოთ მოტანილი ეს ნარკვევი მხოლოდ მემუარული სახით არის შემორჩენილი, იგი არსად დაბეჭდილია და, როგორც ზემოთ აღინიშნა, ინახება ისტორიული მუზეუმის ივანე შაატაშვილის ფონდში. აღნიშნული ნარკვევი ავტორს 1947 წელს აქვს დანერგილი და მისი შეფასება მკითხველისთვის მიგვიჩნია. მოგვაქვს ეს ტექსტი უცვლელად:

„თუმცა, ისტორიკოს-გეოგრაფის ვახუშტის და პროფესორ ალექსანდრე ხახანაშვილის თქმით, თელავი დაარსებულია IX საუკუნეში კახეთის მეფე კვირიკეს მიერ, მაგრამ უნდა ვიფიქროთ, რომ იგი არსებობდა უფრო ადრე. ჩვენს ერამდე აქ მოსახლეობა ცხოვრობდა, რასაც ამტკიცებს თელავის ტერიტორიაზე სამარხებში მრავლად აღმოჩენილი ბრინჯაოს ხანის იარაღები და ნივთები. რაც შეეხება ზემოაღნიშნული ორი პატივცემული პიროვნების მოსაზრებას, ალბათ, ისინი ქალაქის დაარსებას უკავშირებენ კვირიკეს მიერ თელავში პირველი ციხე-გალავნის აშენებას მე-9 საუკუნეში, ძველ გალავანში, თელავის დასავლეთის მხრივ მის დასაწყისს ერთ-ერთ გორაკზე, ეგრეთ წოდებულ „გორიჯვარს“, საიდანაც იწყება გაყოლებით სამი ბორცვი (გორაკი) ერთმანეთისგან ხევებით დაშორებით და რომლებზედაც კახეთის მეფე არჩილს XVII საუკუნის მეორე ნახევარში დაღესტნის ლეკების თავდასხმებისგან თავდასაცავად აუშენებია ციხე-გალავნები: ამჟამად წოდებული 1) ფეოდალ ყორჩიბაშვილების (ღვთაების გორაზე), რომელიც

დანგრეულია, დარჩენილია აღმოსავლეთის მხრივ მხოლოდ ერთი ბურჯი და ალაგ-ალაგ გალაგნის ნანგრევები; 2) ქალაქის ცენტრში ბატონის (მეფე ერეკლეს) ციხე-გალავნად წოდებული, რომელიც ირგვლივ მთლიანად შენახულია. ამ კრემლში აშენებულია, ამავე დროს მეფეთა სასახლე, სადაც შაჰ-აბასის მიერ კახეთის დედაქალაქ გრემის დანგრევის შედეგად, სამეფო ტახტი თელავში გადმოუტანიათ და ამ სასახლეში ცხოვრობდნენ კახეთის მეფენი. სადაც სხვათა შორის დაიბადა პატარა კახი და აქვე გარდაიცვალა 11 იანვარს 1798 წელს; სამი ბურჯი არის ბინებად გადაკეთებული და სამხრეთის გალაგნის ნაწილი.

აი, ამ ტერიტორიის დასავლეთის მხრივ გორაკს, რომელიც პირდაპირ გაჰყურებს ბატონის გალაგანს, წინედ ეწოდებოდა „ფიქრის გორა“, თუმცა იგი ახლა „საგრენაჟო სადგურად“ არის ცნობილი, აქ ქარხნის დაარსების შემდეგ.

გორაკის მალლა, გალაგნის წინ გაშლილია სწორე ადგილი სასეირნოდ და იგი როგორც ვთქვით, პირდაპირ უმზერს ერეკლეს სასახლეს, სადაც მეფის სახლეულობის გარდა, ცხოვრობდა მისი და ანნა, რომელსაც ემიჯნებოდა პოეტი ბესიკი (გაბაშვილი).

აი, ამ გორაზე, გადმოცემით, ყოველდღე ერთსა და იმავე დროს დასეირნობდა ახალგაზრდა ბესიკი, რომლის თვალი მიპყრობილი იყო სასახლისკენ და, შესაძლებელია ვიფიქროთ, რომ ამავე დროს სასახლის სარკმლიდან უცქერდა პოეტს მისი მიჯნური ანნა, რომელიც იმ დროის ადათ-ჩვეულების მიხედვით, საშუალება არ ჰქონდა ყოველდღე პაემნობისა (შეხვედრისა). ამ ციხე-გალავნის ზღუდეში იყო ალბათ XVII საუკუნის მეორე ნახევარში აგებული „ნათლისმცემლის“ კარის ეკლესია იშვიათი ღირსების საღებავებით ტყავზე მხატვრობით დამშვენებული (კანკელი). ამ მხატვრობის შესახებ მე მოვათავსე წერილი მაშინდელ გაზეთ „სახალხო ფურცელში“, 1914 წ. №21 „ნათლისმცემლის ეკლესია თელავში“ და ამას გარდა, კერძო წერილი მივწერე ექვთიმე თაყაიშვილს, როგორც სიძველეთა გულშემატკივარს, რომელიც ექსპონატებს აგროვებდა ქ.შ.წ.კ.გ. საზოგადოებაში. პატივცემული ექვთიმე მალევე ჩამოვიდა, მითხრა, ამ კორესპონდენციის შემდეგ უჭველად ჩამოვიდოდით, თუნდაც თქვენი წერილი არ მიმეღო. ერთად დავათვალიერეთ, აღტაცებაში მოვიდა „ეს ხომ იშვიათი“ ექსპონატი, ჩამოვხსენით, ვიყიდეთ ახალი ტილოს

ტომრები, ჩავანყეთ შიგ და თან წაიღო თბილისში ომნიბუსით (მაშინ ჯერ კახეთის რკინიგზა არ იყო დამთავრებული). ამჟამად დაცულია, საქართველოს სახელმწიფო ისტორიულ მუზეუმში. აღსანიშნავია, რომ ამ მხატვრობის ნალებში არავისთვის გვიკითხავს, არც სახლის პატრონის, არც მაშინდელი ხელისუფლებისათვის. ასე თვითნებურად მოვიქეცი და არც არავინ გამოგვიკიდებია. თუმცა ნებართვისთვის რომ მიგვემართნა, მაინც უარს არ გვეტყოდნენ. სახლი ეკუთვნოდა მაშინ ნოდარ ჯორჯაძეს, რომელმაც ბანქოში მოუგო ალექსანდრე ვახვახიშვილს (მეტსახელად „ობლად“ წოდებულს).

უნდა ვიფიქროთ, რომ აქ იყო მრავალთახებიანი შენობა, მეფეთა სასახლის პირდაპირ და ისტორიული ჭადრის გვერდით, რომელიც განკუთვნილი იქნებოდა თელავში მოსულ დესპანთა სადგომად. მის ირგვლივ აივნიდან მოჩანს მთელი კახეთი, თვით კავკასიის მთები კილით-კიდემდე. ამ შენობის ერთი ოთახი ყოფილა ციხე-გალავნის ბურჯი, რომელიც ოთახად გადაუკეთებიათ. იგი იქცევა ყურადღებას, როგორც შიგნით, ისე გარედან და რომელმაც ჩვენამდე მოაღწია. შიგნით თაღგადაქნილი (ბურჯია) ოთახი სწორედ ისეთივეა, როგორც მეფის სასახლეში ის ოთახი, სადაც პატარა კახი დაიბადა და გარდაიცვალა. კედლები კი მხატვრულად არის გაფორმებული, რომლის მსგავსი არც სასახლეშია. მხოლოდ გარედან უფრო თვალს იტაცებდა მისი ლამაზი სანახაობა. ჩვეულებრივი სახურავის მაგიერ ამ ოთახს მაღლა ედგა თეთრი თუნუქის გუმბათი, დედამიწის ნახევარ სფეროს მსგავსი, რომლის თავზეც აღმართული იყო ვეებერთელა შუბი, (აღბათ აღმისთვის).

ძველი მოქალაქე პავლე არლუთინსკი-მხარგრძელის გადმოცემით, მისი მამა ყოფილა სასახლის ქულაჯების მკერავი და მას ახსოვს მისი ნაამბობი, რომ ყველაზე მხატვრული შენობა თელავში, ეს იყო ფიქრის გორაზე. მაშასადამე, იმთავითვე ეწოდებოდა მას „ფიქრის გორა“. ამ ოთახის, ბურჯის სახურავი იყო გუმბათის მსგავსი და ლურჯ მინანქარიანი ფიქალი ეხურა. თავზე აღმართული იყო წითელი ქოცო (პატარა ქვევრი) ამოპირქვავებული, როგორც კახეთის ემბლემა რკინის შუბით, რომელზეც მიმაგრებული იყო წითელი ალაში (დროშა).

რადგანაც უამთა ვითარების გამო გუმბათის სახურავი - ლურჯი ფიქალის დამტვრეულა, ამისათვის იგი შეუცვლიათ თეთრი თუნუქით. უნდა აღინიშნოს მაშინდელ სახლის მფლობელ ვახვახიშვილის

კეთილმორჩილება, რომ სახურავის ფორმა - დედამიწის ნახევარსფერო და გუმბათი შუბით, ისევ დაუცავს და

გარშემორტყმული სურებიანი აივანი, მართლა რომ განსაკუთრებულ მხატვრულ სანახაობას აძლევდა „ფიქრის გორაზე“ აღმართულ ამ შესანიშნავ შენობას.(30) ამას მიუმატეთ ჩრდილო-აღმოსავლეთით ათასწლოვანი(31) ჭადრის ხე-გიგანტი, საიდანაც იწყებოდა ვაზიანი ზვარი, ხეხილის ბაღით და ვეებერთელა აუზები მოცურავე ყელმოღერებული გედებით, შადრევნებით და ყველა ეს თავისი მომხიბლავი სანახაობა განკუთვნილი იყო სასახლის დიდებულთა და მეფესთან მოსულ უცხო-დესპანთა დროის შესაქცევ საფანედ.

ბოლო წლებში, როცა ჭადრის მიდამომ დაჰკარგა ეს დიდებული სანახაობა, მაინც იგი, როგორც ბაღი თავისი ისტორიული ჭადრით დარჩა, როგორც სამხიარულო ადგილად. აქ თელავის ამქრები ზაფხულის დასაწყისში, უფრო მაისში იხდიდნენ ეგრეთ წოდებულ „საღვთოებს“, დროის ტარება და ლხინი სამ დღეს გრძელდებოდა და ამავე დროს ხდებოდა ხელობა-შესწავლილი ახლაგაზრდების გამოშვება, ამქრის უსტაბაშების მიერ მათი ეგრეთ წოდებული „დალოცვა“. ამავე ჭადრის ქვეშ იშლებოდა „ტრაპეზები“(32) თელავში ჩამოსულ გამოჩენილ მოღვაწეთათვის".(33)

ნარკვევს თან ახლავს მინაწერი „...მოკლედ ასეთია ამ „ფიქრის გორის“ ისტორია, რომელსაც მჭიდრო კავშირი ჰქონია ბესიკ გაბაშვილთან, თუმცა ლიტერატურაში ამის შესახებ არსად გვხვდება ცნობები, იგი ხალხში დარჩენილა და მამა-პაპათა გადმოცემა სიმართლეს უნდა შეესაბამებოდეს“.

დასასრულს ი. პაატაშვილი ე.წ. პოსტ-კრიპტუმის (P.S.) სახით წერს, რომ „ახლა ეს შენობა რეკონსტრუქცია ქმნილია, თუმცა სახურავი გუმბათოვანი აღარ არის, მაგრამ მოჩუქროთმებული აივანს და მხატვრულად გაფორმებულს არ დაუკარგავს თავისი პირვანდელი დიდება და ერთ-ერთ ულამაზეს თვალწარმტაც სანახაობას წარმოადგენს“.(34)

## თელავის საქალაქო თვითმმართველობა

თელავს, საქართველოს სხვა დიდი ქალაქების მსგავსად, თვითმმართველობა ჯერ კიდევ ფეოდალიზმის ხანაში ჰქონდა. შებლუდული უფლებებით საქართველოს ქალაქებში მართავ-გამგეობას მოურავის ინსტიტუტი ასრულებდა. ქ. თელავის მოურავის ინსტიტუტის შესახებ მასალები მწირია და თუ კი რაიმე მოიპოვება, ისიც გვიანდელი ფეოდალიზმის ხანისაა.

რუსეთის იმპერიის მიერ საქართველოს ძალდატანებითი შეერთების შემდეგ, საქართველოში საქალაქო ცხოვრება ფაქტობრივად ჩაკვდა. მისმა მთავრმა ქალაქებმა, თბილისის გამოკლებით, დაკარგეს თავისი ადრინდელი მნიშვნელობა და ე.წ. „პროვინციულ ქალაქებად“ გადაიქცნენ. ასეთივე ბედი ეწია თელავს - ერთ დროს ქართლ-კახეთის მეფეთა რეზიდენციას და მათ მყუდრო სავანეს.

ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ თელავი, კახთ მეფეთა სატახტო ქალაქი, რომელიც XVII საუკუნის შუახანიდან XVIII საუკუნის ჩათვლით, განსაკუთრებით კი ერეკლე II-ის მეფობის ხანაში, საქართველოს ერთ-ერთ მნიშვნელოვან პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრს წარმოადგენდა. XIX საუკუნის დასაწყისიდან, რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიის დროიდან, კარგავს თავის ფუნქციებს და მხოლოდ სამაზრო ცენტრის სტატუსის ამარაღა რჩება. ცარიზმის ბატონობის პირობებში, მისი კოლონიზატორული პოლიტიკის შედეგად თელავი ფაქტობრივად, მიუხედავად კაპიტალისტური ურთიერთობების ჩანასახების არსებობისა, ერთ-ერთ პროვინციულ ქალაქს წარმოადგენდა. წარსულს ჩაბარდა ყველა ის დიდება და ნათელი საქმეები, რაც ამ ქალაქს არცთუ შორეულ წარსულში ჰქონდა. მის შემდგომ ბედზე არავის უზრუნია. ცარიზმის ერთგულ მსახურ მოხელეებს სულაც არ ანაღვლებდათ მისი შემდგომი წინსვლა-განვითარება.

საქართველოს რუსეთთან შეერთების (1801-1810 წ.წ.) შემდეგ მთელი XIX საუკუნისა და XX საუკუნის თითქმის პირველი ოცწლეულის მანძილზე, 1918 წლამდე, თელავი რუსეთის იმპერიის, თბილისის გუბერნიის ერთ-ერთი სამაზრო ცენტრი იყო.

რუსეთის იმპერიის მიერ საქართველოს მიერთებამ არსებითად შეზღუდა თელავის ქალაქის ხელმძღვანელ-ადმინისტრაციული

ორგანოების მართვისა თუ საზოგადოებრივი საქმიანობის ფუნქციები, რომელებიც ეხებოდა ქალაქის ეკონომიკურ, საყოფაცხოვრებო თუ კულტურულ-საგანმანათლებლო პრობლემებს.

თელავი იმპერიისა და უშუალოდ საქართველოს სხვა ქალაქების მხარდამხარ, ნელ-ნელა და ნაბიჯ-ნაბიჯ მაინც მიჰყვებოდა რუსეთის იმპერიის ცენტრიდან ნაკარნახევ ცხოვრების დინებას. უკვე XIX საუკუნის მიწურულისათვის ყველასგან მითოვებული, ერთ დროს თავისი ადგილმდებარეობით, ბუნებრივი სასმელი წყაროებით, სუფთა ჰაერით განთქმული სააგარაკო ქალაქი თელავი, რომლის სილამაზის ნახვით და მასპინძლობით მოხიბლულნი იყვნენ ქართველი თუ უცხო ტომის წარმომადგენლები, უპატრონობის გამო სულს ღაფავდა და მივარდნილ სოფელს ემსგავსებოდა თავისი მოუკირწყლავი, წვიმების დროს ატალახებული, ასევე გაუნათებელი ქუჩებით.

ეს პერიოდი საქართველოს ისტორიაში აღინიშნება კავკასიის მეფისნაცვლის მიხეილ ვორონცოვის მმართველობით (1844-1854წწ). იგი ჩვეულებრივი რუსი კოლონიზატორი იყო, მაგრამ წინამორბედი, სასტიკი და დაუნდობელი მმართველებისაგან განსხვავებით, მშვიდობიანი გზით ცდილობდა შეენარჩუნებინა იმპერიის მიერ დაპყრობილი ქვეყანა. მან ერთგვარი ლიბერალური პოლიტიკის გატარებით ქართველო თავადაზნაურობის გულის მოგებას შეეცადა და შეძლო კიდევ მათი პატივისა და თაყვანისცემის მიღება. მ. ვორონცოვმა ამ პოლიტიკის გატარებით ქართული ინტელიგენციის წარმომადგენლებს საშუალება მისცა ქვეყნის კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობაში ჩართულიყვნენ და მისი აღმავლობისათვის ეზრუნათ.

XIX საუკუნის შუა ხანების, ვორონცოვის მმართველობის შემდგომი დროის ქ. თელავის საზოგადოების შესახებ ფრიალ საინტერესო ცნობებს გვანდის ჩვენს მიერ შემოხსენებული ალექსანდრე ჯამბაკურ-ორბელიანი, თავის ნარკვევში - „თელავი“. ის 1857 წლის ივნისის ბოლოს სტუმრად ეწვია თელავს და გაეცნო მის საზოგადოებას. აღ. ორბელიანი განსაკუთრებით მოხიბლულა თელავის მაღალი საზოგადოების წრის ქალბატონების სიმშვენიერით და თავდაჭერილობით. ამის დასტურად ანუ ნათელსაყოფად მოგვაქვს ამონარიდი მისი ნაშრომიდან - „აქაური საზოგადოც“ (საზოგადოება-ავტორები) მოქცეული ყოფილა ევროპულს შექცევაზე (ყაიდაზე-

ავტორები), და როგორც ჩვენი ე. ტფილისელებისა, თუმცა აქაურთა ქალთა ქართულად აცვიათ, მაგრამ უყვართ ახალი, კეკლუცი მორთვა და თავისთვის დაშვენება (დამშვენება-ავტორები). არიან უფროსი ერთნი მშვენიერი და ულამაზო მაინც არავინ. არიან მხიარულნი და მომღიმარი სახის მარადის, არიან წმინდის, უმანკო ხმით მოუბარნი და მონარნარენი ნაზნი, არიან ვითარცა ქალს შემვენის გულმობილები და კეთილი სულის მქონენი, თუმცა ევროპულს გვარზედ მხიარულნი არიან; ხოლო თავიანთსა ძველსა მიმოხვრისა და ნელსა ქცევას გონებიდგან არ ჰკარგავენ ...“

აღ. ორბელიანი განცვიფრებულია ვახშამზე ყოფნისას ქართული სიმღერებით და წერს, რომ „უკეთესი ქართული სიმღერები არ გამიგონია“-ო. იქვე ავტორი ხაზს უსვამს ცეკვებს, რომელიც მასპინძელ თელაველებს შეუსრულებიათ - „ამათ ლეკური დაუკრეს, ყმანვილ კაცთა და მშვენიერთა ყმანვილთა ქალთა დაინყეს თამაშობა თვითეულად; უკეთესი ლეკურის თამაშობა, წმინდა ბუნებითი ლეკურის თამაშობა; თვალისათვის მოსაწონი და სასიამოვნო. ამ თამაშობის შემდეგ, რას ვიფიქრებდი, იმ სალამურზედვე დაუკრეს პოლკა... ამაში გამოვიდნენ ყმანვილი კაცნი და ყმანვილ ქალებთან დაინყეს პოლკას თამაშობა, ისე კარგათ, როგორც ევროპის განათლებულთა ყმანვილ კაცთა და ქალთა... მასუკან პოლკა-მაზურკა დაუკრეს, ესეც საუცხოვოთ ითამაშეს, მერე გროსფატრი და ბოლოს სრული მაზურკა, ჭემმარიტად დიდად მეამებოდა იმათგან ევროპული თამაშობა... ამას რომ ვგრძნობთ, როგორი გულის გასამხიარულებელი და შესაქცევია ევროპული დროს გატარება? - დიახ, კარგი და კეთილი, მაგრამ ახლა ეს უნდა ვიცოდეთ. თუ ევროპიელებსავით გონებისათვის ვიფიქრებთ და შეუდგებით ამას, მაშინ ვიტყვით, - „თურმე ბედნიერება ეს ყოფილაო!“ (ბრჭყალებში მოქცეული ფრაზების სტილი ყველგან ავტორისაა - ავტორები).

ალექსანდრე ორბელიანი თელავისა და საერთოდ კახეთის სილამაზით მოჭადოებული ლეგენდარულ, ბიბლიურ ნოესაც იშველიებს - „პირველ ნოესაგან კურთხეულო კახეთო, მაშინ, როდესაც დიდს მაღალ მთაზედ დამყუდროებული იმ კილობანიდგან თავი რომ ამოყო სანიშნელის (საშინელი - ავტორები) ღელვით გვემულმა ნოემ პირველად კახეთის მხარე დაინახა, მოეწონა და თქვა - „იკურთხოს მხარე იგი“... (აღ. ორბელიანი. თელავი, გვ.10-18)

XIX საუკუნის მეორე ნახევარში ბატონყმობის გაუქმებამ რუსეთის იმპერიაში, სათავე დაუდო კაპიტალიზმის განვითარებას, მას მოჰყვა ბურჟუაზიული რეფორმების გატარება. მათ შორის იყო საქალაქო რეფორმაც, რომელიც თავდაპირველად მხოლოდ დიდ ქალაქებს შეეხო. რაც შეეხება თელავს, მან საქართველოს მცირე ქალაქების მსგავსად, მხოლოდ XIX საუკუნის მიწურულს, 1896 წელს შეზღუდული, გამარტივებული სტრუქტურის მქონე თვითმმართველი ქალაქის სტატუსი მიიღო. მიუხედავად ამისა, თითქმის გაჩნდა იმედი მისი შემდგომი აღორძინებისა, მაგრამ, სამწუხაროდ თელავის საქალაქო თვითმმართველობაში მოსული ადამიანები, ცარიზმის მოხელეთა ხელშეწყობით, ვიწრო კლასობრივი და მასთან ერთად ანტიქართული პოლიტიკის გამტარებლები აღმოჩნდნენ და მხოლოდ სომხური ბურჟუაზიის, უპირველეს ყოვლისა, თავისი ინტერესების დაცვაზე ზრუნავდნენ, რის გამოც ქალაქის მოსახლეობის დიდი ნაწილი. რომელიც ქართველებით იყო დასახლებული მმართველი ხელისუფლების პოლიტიკას იწუნებდა და საქალაქო არჩევნებს ბოიკოტს უცხადებდა და ამითაც თავის უკმაყოფილებას გამოხატავდა.

ქალაქის თვითმმართველობის რწმუნებულთა კრება, რომელიც ძირითადად ვაჭარ-მრეწველებით იყო დაკომპლექტებული, შეიძლება ითქვას, რომ ფაქტობრივად უპასუხისმგებლო და უმოქმედო ორგანოს წარმოადგენდა. რწმუნებულებს, რომელებიც თავისი სავაჭრო საქმიანობით იყვნენ დაინტერესებული, ქალაქის თვითმმართველობაში მარიონეტის ფუნქციას რჩებოდათ. ყველა მნიშვნელოვან საკითხს, ეს იქნებოდა: ქალაქის საყოფაცხოვრებო, სამედიცინო, სახალხო განათლების თუ სხვა საქმე, მოხსენებებსა და შესაბამის დადგენილებების პროექტებს მამასახლისი ადგენდა და რწმუნებულებს მათზე მხოლოდ უსიტყვო მორჩილება უნდა გამოეცხადებინათ და ხელი მოეწერათ.

მიუხედავად თელავის საქალაქო თვითმმართველობის ხელმძღვანელთა ვიწრო კლასობრივი ინტერესებისა და მასთან ერთად გარკვეულწილად მისი ანტიქართული პოლიტიკისა, იგი მაინც ერთგვარად ცდილობდა გაეუმჯობესებინა ქალაქის კომუნალური მეურნეობა (ქუჩების მოკირწყვლა, ნავთის ფარნებით, შემდგომ კი ელექტრონით განათება. ზრუნვა სამედიცინო ქსელის მომსახურებისა და სანიტარული წესრიგის მოსაყვანად). ამასთან ერთად უნდა

აღინიშნოს, რომ ქალაქის თვითმმართველობა წინარე ხანის საპოლიციო მმართველობასთან შედარებით უფრო ნაყოფიერად მუშაობდა, მაგრამ რეაქციული კანონმდებლობის მოქმედებისა და ფინანსური სახსრების სიმცირის პირობებში, მას არ შეეძლო დროის მოთხოვნების შესაბამისად გარდაეყმნა საქალაქო ცხოვრება.(35) მან თავისი საქმიანობა 1918 წლის მაისში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის გამოცხადებისთანავე შეწყვიტა.

მას შემდეგ რაც საბჭოთა რუსეთმა 1921 წლის თებერვალ-მარტში ბოლო მოუღო საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის არსებობას, მთელი საბჭოთა იმპერიის წლებში 1930 წლამდე, თელავი ერთხანს კვლავინდებურად ჯერ სამაზრო, ხოლო 1930 წლიდან იგი რაიონული დაქვემდებარების ქალაქის ფუნქციას ასრულებდა. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ, საქართველოს ხელახალი დამოუკიდებლობის მოპოვების დროიდან - 1991 წლიდან დღემდის, თელავი კახეთის სამხარეო ადმინისტრაციის ცენტრია. 2014 წელს თელავი თვითმმართველ ქალაქად იქნა გამოცხადებული.

### **თელავის საგანმანათლებლო და კულტურული მდგომარეობა (ზოგადი მიმოხილვა)**

გვიანფეოდალურ ხანაში თელავი, საგანმანათლებლო და კულტურის მხრივ საქართველოს მასშტაბით ერთ-ერთ მნიშვნელოვან ცენტრს წარმოადგენდა. განსაკუთრებით აღსანიშნავია 1758 წელს ერეკლე II-სა და ანტონ I-ის თაოსნობით გახსნილი თელავის სასულიერო სასწავლებელი, რომელიც 1782 წელს ფოლოსოფიურ სემინარიად გადაკეთდა. იგი მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ქართული კულტურისა და განათლების განვითარების საქმეში. თელავის სემინარიის პირველ რექტორად დანიშნულ იქნა გაიოზი, შემდეგ მას დავით მესხიშვილი ხელმძღვანელობდა. თელავის სემინარია სახელმწიფო ხარჯზე არსებობდა, თუმცა მას შემწეობას კერძო პირებიც აძლევდნენ და ეკლესიის შემოსავლიდანაც ერგებოდა წილი. ამ სემინარიის კურსდამთავრებულები იყვნენ ისეთი თვალსაჩინო მოღვაწენი, როგორცაა ბატონიშვილები: დავით, იოანე

და თეიმურაზ ბაგრატიონები და სხვა. მათ თავიანთი საქმიანობა XIX საუკუნის დასაწყისში იძულებით რუსეთში გადასახლებისას განაგრძეს. მათი შემოქმედება, რომელიც ძირითადად ჰუმანიტარულ სფეროს მოიცავს, მნიშვნელოვანი წყაროა იმ დროის საქართველოს ისტორიის კვლევისათვის.

ერეკლე II-ის მეფობის ხანაში მნიშვნელოვანი ძვრები მოხდა კულტურის სხვადასხვა სფეროში. განსაკუთრებით აღსანიშნავია ქართული ლიტერატურისა და თეატრალური ხელოვნების განვითარება. ამ დროს, თბილისის მსგავსად, ქალაქ თელავშიც მოღვაწეობას აგრძელებდნენ ისეთი ცნობილი პოეტები, როგორებიც იყვნენ: ბესიკ ვაბაშვილი, საიათნოვა და სხვ. ერეკლეს სამეფო კარზე იდგმებოდა თეატრალური სპექტაკლები ქართული და უცხოური რეპერტუარებიდან, მასში მონაწილეობას ღებულობდნენ იმ დროისათვის საყოველთაოდ ცნობილი რეჟისორები და მსახიობები, როგორებიც იყვნენ გაბრიელ მაიორი, მაჩაბელის დასის წევრები, რომლებიც ალა-მაჰმად-ხანის შემოსევისას კრწანისთან გმირულად დაეცნენ. სამწუხაროდ მათი ყველას სახელი ისტორიამ ვერ შემოგვინახა.

ჯერ კიდევ საქართველოს დამოუკიდებლობის წლებში, კერძოდ კი 1799 წელს, იოანე ბატონიშვილმა ქართლ-კახეთის სამეფო კართან შეთანხმებით უმაღლესი სასწავლებლის გახსნის წინადადება-პროექტი წამოაყენა. მისი აზრით, თბილისში, თელავსა და გორში უნდა გახსნილიყო ეს სასწავლებლები, მაგრამ მის განხორციელებას, რუსეთის მიერ საქართველოს ძალდატანებით შეერთების გამო, აღსრულება არ ეწერა.

რუსეთის მიერ საქართველოს იძულებით შეერთების შემდეგ, თელავის ამ განათლების კერას (ფილოსოფიური სემინარია) ბოლო მოეღო და მის ნაცვლად ცარიზმის ხელისუფალთა მიერ XIX ს 20-30 წლებში დაარსებულ იქნა ჯერ სამაზრო სამკლასიანი, შემდგომ სამოქალაქო და ოთხკლასიანი სასულიერო სასწავლებლები.

კაპიტალიზმის განვითარებამ საქართველოში, ცარიზმის კოლონიური პოლიტიკის მიუხედავად, ხელსაყრელი პირობები შექმნა განათლებისა და კულტურის განვითარების საქმეში. ამ პროცესს გარკვეულწილად ხელი შეუწყო ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის დაწყებამ. თერგდალეულთა პლეადის

წარმომადგენლებმა დიდი ილიას ხელმძღვანელობით ნათლად დაინახეს, რომ ცარიზმის წინააღმდეგ ბრძოლა იარაღის გარეშეც შეიძლება, რომ საჭირო იყო შექმნილიყო ისეთი საგანმანათლებლო და კულტურული საზოგადოებები, რომლებიც ხელს შეუწყობდნენ მოსახლეობაში განათლებისა და საერთოდ კულტურული დონის ამაღლებას. ასეთ ორგანიზაციებს, უპირველეს ყოვლისა, წარმომადგენდა დიმიტრი ყიფიანის თავკაცობით 1879 წელს დაარსებული „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“, თეატრალური, მუსიკალური და სხვა საქველმოქმედო დაწესებულებები. ამ იდეების განხორციელების შედეგებმაც თელავშიც იჩინა თავი.

XIX საუკუნის მეორე ნახევარსა და XX საუკუნის I მეოთხედში, სასწავლო ქსელის გაფართოებასთან ერთად ქ. თელავში გაიხსნა ბიბლიოთეკა-სამკითხველოები, მოეწყო წიგნის მაღაზია. აღმავლობას განიცდიდა თეატრალური, მუსიკალური და სახვითი ხელოვნება, წარმატებით მიმდინარეობდა შემოქმედებითი საქმიანობა, რომელიც საბჭოთა ხელისუფლების წლებშიც არ შეჩერებულა.

სწავლა-განათლების ძირითად კერებს შორის, როგორც ზემოთ აღინიშნა XVIII საუკუნის მეორე სახევარში ერეკლე II-ის მიერ გახსნილი საღვთისმეტყველო-საფილოსოფოსო სასწავლებელი გამოირჩეოდა, რომლის ნაფუძარზე შემდგომ გაიხსნა ჯერ სასულიერო სემინარია, შემდეგ კი მოგვიანებით ვაჟთა გიმნაზია, ასევე 1865 წელს ანა ბაგრატიონ-ჭავჭავაძის მიერ გახსნილი „წმინდა ნინოს სახელობის ქალთა სასწავლებელი“, სადაც მოღვაწეობდნენ ისეთი თვალსაჩინო პედაგოგები, როგორებიც იყვნენ ვასილ ბარნოვი და მისი ძმა ალექსანდრე, ილია და ქრისტეფორე ზარაფიშვილები, ივანე როსტომაშვილი, ზაქარია კლიმიაშვილი, ზაქარია ჩხიკვაძე, ვალერიან სიდამონ-ერისთავი, ნიკო (კიკუშა) სულხანიშვილი. პედაგოგი და პოეტი დავით ჩხეიძე (თურდოსპირელი). ამ უკანასკნელის დამსახურება იყო 1927 წელს თელავის ისტორიული მუზეუმის დაარსება.

თელავის სასულიერო სასწავლებლის კურსდამთავრებულთაგან, გარდა ზემოაღნიშნული ბატონიშვილებისა, რომლებმაც უმაღლესი განათლება საღვთისმეტყველო-საფილოსოფოსო სასწავლებელში მიიღეს, აღსანიშნავია: დიდი ქართველი პოეტი და საზოგადო მოღვაწე ვაჟა-ფშაველა, დიდი ქართველი რეჟისორი ალექსანდრე (სანდრო)

ახმეტელი, ცნობილი ქართველი ფიზიოლოგი ივანე ბერიტაშვილი და მრავალი სხვა, რომლებმაც თავიანთი შემოქმედებით მნიშვნელოვანი კვალი დაამჩნიეს ქართული ლიტერატურის, მეცნიერების და საერთოდ კულტურის განვითარებას.

დიდა ასევე თელავის „წმინდა ნინოს სახელობის ქალთა სასწავლებლის“ ღვაწლი არამარტო თელაველი, არამედ კახეთის რეგიონის მოქალაქე ქალთათვის განათლების მიცემის საქმეში. ამ სასწავლებლის წარჩინებით კურსდამთავრებულები თავიანთ მოღვაწეობას აგრძელებდნენ როგორც კახეთის რეგიონის, ისე საქართველოს სხვადასხვა სასწავლებლებშიც. ამ სკოლის აღსაზრდელები არამარტო თეორიულ განათლებას იღებდნენ, არამედ პრაქტიკულ უნარ-ჩვევებსაც.

განათლების კერებს გარდა დიდი შემოქმედებითი საქმიანობა იგრძნობოდა თეატრალური ხელოვნების განვითარების საქმეში.(36) თელავი ერთხანს თბილისის შემდეგ თეატრალურ მექას წარმოადგენდა, განსაკუთრებით კი ეს ხდებოდა ზატყულ-შემოდგომობით.

თელავის თეატრის სცენაზე იდგმებოდა საყოველთაოდ ცნობილი სპექტაკლები როგორც ქართველი, ისე უცხოელ ავტორთა დრამატურგიული ნაწარმოებებიდან. აქ თავიანთ სპექტაკლებს დგამდნენ და თვითონვე ღებულობდნენ მონაწილეობას წარმოდგენებში ისეთი ცნობილი რეჟისორები და მსახიობები - კოტე მარჯანიშვილი, ლადო მესხიშვილი, დავით და ვიქტორ (ანყურელები) გამყრელიძეები, ვასო გოძიაშვილი, სერგო ზაქარიაძე, ასევე ყოფილი ძირძველი თელაველები, სილამაზით განთქმული და თეატრალური ნიჭით დაჯილდოებული მაიკო (მარიამ) საფაროვა-აბაშიძისა, მარინე თბილელი და სხვ. თელავში ჩამოდიოდნენ გასტროლებზე და სპექტაკლებს დგამდნენ საქართველოს სხვადასხვა ქალაქების, მათ შორის თბილისის შოთა რუსთაველის და კოტე მარჯანიშვილის თეატრალური დასები.

თეატრალური წარმოდგენების გარდა ეწყობოდა მუსიკალური საღამოები, რომლებშიც მონაწილეობას ღებულობდნენ საყოველთაოდ ცნობილი ხალხური სიმღერების შემსრულებელი ლადო აღნიშვილის გუნდი, ასევე ზაქარია ჩხიკვაძის საგალობელი და დიდი ქართველი კომპოზიტორის ნიკო (კიკუა) სულხანიშვილის

ფოლკლორული გუნდები. თელავს სტუმრობდა და მუსიკალურ საღამოებს მართავდა ცნობილი ქართველი კომპოზიტორი დიმიტრი არაყიშვილი. „თელავურ საღამოებს“ ხელმძღვანელობას უწევდა დიდი ქართველი მწერალი და დრამატურგი შალვა დადიანი, რომელიც ლადო მესხიშვილის მსგავსად უზომოდ იყო შეყვარებული თელავზე.

მუსიკალური ხელოვნების გარდა თელავი წარმოადგენდა ნიჭიერ მხატვართა შემოქმედების გაფურჩქვნის ადგილსაც. ძირძველი თელავის მკვიდრ მხატვრებს შორის ყურადღებას იპყრობს რომანოზ გველესიანის, ვალერიან სიღამონ-ერისთავის, სახელოვანი ქართველი მხატვრის ქალბატონ ელენე ახვლედიანის შემოქმედება, რომელთა დაწყებული საქმიანობა შემდგომში წარმატებით განაგრძეს ქალბატონმა მარი შამანაურმა, სერგო ასლანიშვილმა, ჯემალ ხუციშვილმა, გიორგი ბერძენიშვილმა და სხვ.

ქალაქი თელავი საქართველოს სხვა ქალაქების მსგავსად იყო მრავალი პოეტისა და პროზაიკოსის ადგილსამყოფელი, სადაც იქმნებოდა ლიტერატურის ისეთი შედეგები, რომლებიც ამდიდრებდნენ მრავალსაუკუნოვანი ქართული ლიტერატურის ისტორიას. ჯერ კიდევ ერეკლე II-ის მეფობის დროს აქ მოღვაწეობდნენ ისეთი თვალსაჩინო პიროვნებანი როგორებიც იყვნენ: ბესიკი (ბესარიონ) გაბაშვილი, (37) აშული პოეტი საიათნოვა. ასევე ფასდაუდებელია ერეკლე II-ის დიდი მრჩეველი, სახელმწიფო მდივანი სოლომონ ლიონიძე, რომლის საცხოვრებელს ქალაქი თელავი წარმოადგენდა. მის მიერ დაწერილი ერეკლე II-სთან გამოთხოვება, დღესაც ქართული ლიტერატურის ბრწყინვალე ძეგლად ითვლება, რაც შეეხება შემდგომი ხანის მწერლებასა და პოეტების შესახებ, შედარებით ძუნწი ცნობები მოგვეპოვება,

თელავის ისტორიის მემკვიდრის ივანე პაატაშვილის მოგონებების მიხედვით, ქალაქ თელავში მოღვაწეობდნენ სხვადასხვა დონის პროზაიკოსები და პოეტები, მათ შორის აღსანიშნავია დიდი ქართველი პედაგოგისა და ბელეტრისტის ვასილ ბარნოვის ლიტერატურული შემოქმედება. მან თელავში თითქმის მეოთხედი საუკუნე იცხოვრა და პედაგოგიურ მოღვაწეობასთან ერთად აქ ქმნიდა თავის შედეგებს.

ასევე აღსანიშნავია ძმები დავით და გიორგი ჩხეიძეების ლიტერატურული შემოქმედება. დავითი თურდოსპირელის ფსევდონიმით წერდა ლექსებს, მოთხრობებსა და ნოველებს. გიორგი

კი, ქუჩიშვილის ფსევდონიმით მგზნებარე რევოლუციონერი პოეტი იყო.

XIX ს-ის მეორე ნახევარსა და XX საუკუნის I ნახევარში თელავში მოღვაწეობდნენ შედარებით ნაკლებად ცნობილი ლიტერატორები, როგორებიც იყვნენ პოეტი გიორგი ნემსაძე, გიორგი აფშინაშვილი, მუშა-პოეტი იოსებ დავითაშვილი, მათე წითელი (მნაცავან ისაკოვი) და სხვ.

ქ. თელავი ორიოდე საუკუნის მანძილზე, წითელი არმიის მიერ საქართველოს ოკუპაციამდე, შემდეგ კი საბჭოთა ხელისუფლების წლებშიც წარმოადგენდა და დღესაც წარმოადგენს არა მარტო ქართული კულტურის, არამედ ცნობილ საგანმანათლებლო კერას როგორც კახეთის, ისე მთელი საქართველოს მასშტაბითაც. იგი წარმატებით აგრძელებდა და აგრძელებდა და აგრძელებს ჯერ კიდევ XVIII საუკუნის შუა ხანებში ერეკლე მეორის მიერ დაფუძნებულ საღვთისმეტყველო-ფილოსოფიური სემინარიის ტრადიციებს. ამ სასწავლებლის ბაზაზე შემდგომ საუკუნეზე მეტხანს მოქმედებდა სასულიერო სემინარია, რომელიც მოგვიანებით თავდაპირველად გიმნაზიად, ხოლო შემდეგ საშუალო სკოლად გადაკეთდა. ამ ტრადიციის გაგრძელება იყო კახეთის მეფეთა სასახლეში უმაღლესი სასწავლებლის - იაკობ გოგებაშვილი სახელობის თელავის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის დაარსება, რომელშიც მანამდე, XIX ს-ის შუა ხანებიდან წმინდა ნინოს სახელობის ქალთა სასწავლებელი მოქმედებდა.

ვისაც ახსოვს თელავის საგანმანათლებლო კერები, განსაკუთრებით კი XX ს-ის 40-იანი წლებიდან, რომლის მხილველიც ამ სტრიქონების ავტორიც არის, ალბათ თვალწინ დაუდგება თელაველ ღვანღმოსილ პედაგოგთა მთელი რიგი თაობები. ისინი გამოირჩეოდნენ არა მარტო მაღალი პროფესიონალიზმით, რომელსაც გადასცემდნენ ახალგაზრდობას, არამედ ასევე თავიანთი ეთიკური ქცევა-აღზრდილობით, ჩაცმულობითაც კი, როგორც ეს პედაგოგს შეეფერებოდა ალამაზებდნენ ქალაქს. ამიტომ ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას რომ ისინი ფაქტობრივად წერდნენ თელავის ისტორიას.

რომ არაფერი ვთქვათ XIX-XX ს.ს. მიჯნაზე თელავში მცხოვრებ ცნობილ პედაგოგებზე: ვასილ და ალექსანდრე ბარნოვები, ილია და

ქრისტეფორე ზარაფიშვილები, ივანე როსტომაშვილი და სხვა., რომელთაც ზემოთ ჩვენ ნაწილობრივ შევეხეთ, აღსანიშნავია შემდგომი თაობის ცნობილი თელეველი პედაგოგები, მათი უმრავლესობა ძველი გიმნაზიაგამოვლილი და 1918 წ. გახსნილი დედა უნივერსიტეტის (ივ. ჯავახიშვილის სახელობის) კურსდამთავრებულები იყვნენ.

გაგვიძნელდება ალბათ ყველას გახსენება, რის გამოც გვინდა წინასწარ ბოდიშის მოხდით, ქედის მოხრით ვთხოვთ შენდობა მათ სულეს, რომელთა გვარებიც ჩვენი გულმაფინყობის გამო გამოგვრჩა.

ქალბატონებიდან ღვანლმოსილი პედაგოგები იყვნენ: ნინო ყაზახაშვილი, თამარ თურქესტანიშვილი, თამარ გეგელიძე, მარიამ გაჩელიჩაძე, ანა ზურაბიშვილი, სოფიო საგინაშვილი, ნინო მაჭავარიანი, ეკატერინე ჩიჩუა და სხვ. მათ მხარს უმშვენივლად მომდევნო თაობის წარმომადგენლები: ვერა მღვინიშვილი, დარია ბოჭორიძე, ნინო კუხიანიძე, ნატა საყვარელიძე, მართა კველიშვილი, ემილია და თამარ გოგიაშვილები და სხვა.

მამაკაც პედაგოგთა მხრიდან გამოირჩეოდნენ: დავით კირვალიძე, ნოე გურგენიძე, დავით გეგელიძე, ივანე მაისურაძე, გიორგი მელითაური, ვლადიმერ კორძაძე, კალე ობოლაძე, კოტე მესხი და სხვ.

ამ პედაგოგთა დამსახურებაა ის, რომ მათ მიერ გამოზრდილი ახალგაზრდობა, რომელიც შემდგომ უმაღლეს განათლებას დაეწაფა, ცნობილი მეცნიერები და საზოგადო მოღვაწენი გახდნენ. მეცნიერთა მხრიდან მხოლოდ რამოდენიმე პიროვნებას დავასახელებთ. ესენი იყვნენ და ზოგიერთი დრესაც არის აკადემიკოსის რანგში: ნიკოლოზ ხომიზურაშვილი, მიხეილ რჩეულიშვილი, ლევან ბუიშვილი, თემურ ლეუკუა და პროფესორთა მთელი თაობები.

თელავი ასევე ცნობილი იყო თავისი კოლორიტი პიროვნებებით, რომელთა ჩამოთვლა ფიქრობთ სასურველი არ არის, რადგან შეიძლება ვინმე გაგვინანწყნდეს, იმის გამო, რომ მათი ახლობელი არ მოხვდა ასეთი ადამიანების გვერდით.

კოლორიტთა შორის, ჩვენი აზრით, თავისი მჭერმეტყველებით თელავს გარკვეულწილად ალამაზებდნენ XX საუკუნის 20-30-იანი წლების მიჯნაზე დაბადებული ორი შესანიშნავი ადამიანი, ჩვენ მათ თელავის „დენდებსად“ ვიხსენიებთ. ისინი გამოირჩეოდნენ არა მარტო ჩაცმულობით, არამედ მაღალი ინტელექტით და რაც მთავარია,

სიტყვა-პასუხით, ენამოსწრებულობით. მათი ნათქვამები თელავის ახალგაზრდობას ნაკვესების სახით შემორჩა.

ერთ-ერთი მათგანი იყო ახლახანს გარდაცვლილი ვახტანგ დათიშვილი. მან უზადოდ იცოდა ქართული პოეზიის შედევრები, განსაკუთრებით კი გალაქტიონ ტაბიძის შემოქმედება, რითაც იგი მსმენელს აჯადოებდა.

მისი თანამესიტყვე, მეგობარი იყო საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის წევრი ჯიმშერ რჩეულიშვილი. მან ცოტა ადრე დაასრულა ამქვეყნიური ცხოვრება. ამ ორი ადამიანის ერთად ყოფნისას, თუ მათ საუბარს, უფრო სწორად ერთგვარ შაირობას მოისმენდა ნებისმიერი ადამიანი სიცილს ვერ შეიკავებდა, ისინი ისეთი სიტყვებით ამკობდნენ ერთმანეთს, რომელიც მსმენელისათვის არ იყო გაგონილი.

ამ ორივე ადამიანს იცნობდა არა მარტო თელავის რიგითი ადამიანი, არამედ იმდროინდელი საქართველოს ბრწყინვალე ელიტის წარმომადგენლებიც და მეგობრობდნენ მათთან.

ღმერთმა გააცისკროვნოს მათი სულები. მსუბუქი იყო მათთვის მშობლიური თელავის მიწა.

თელავის შემოგარენი მდიდარია თავისი ხუროთმოძღვრული ძეგლებით. მათგან აღსანიშნავია იყალთოს სამონასტრო კომპლექსი, რომელიც დაარსებულია ერთ-ერთი ასურელი მამის ზენონ იყალთოელის მიერ VI საუკუნეში.

ერთ-ერთ უძველეს ძეგლს განეკუთვნება V-VI ს.ს. - ძველი შუამთის მონასტრის ანსამბლი, რომელშიც შედის ბაზილიკა, გუმბათოვანი და მცირე გუმბათოვანი ეკლესია. მის მახლობლად XVI საუკუნეში კახეთის მეფე ლევან I-ის მეუღლის თინათინ გურიელის საპატივსაცემოდ დაარსდა ახალი შუამთის მონასტერი. სოფელ კისისხევსა და კონდოლში დგას რამოდენიმე უძველესი ძეგლი, რომლებიც VI-VIII სს. თარიღდება. მათ შორისაა კისისხევის ღვთისმშობლის ეკლესია. სოფ. ვანთის ზემოთ სამხრეთის ვრცელ ტაფობზე დგას კახეთის საქორეპისკოპოსოს დამფუძნებელთა დონაურების ციხე-სასახლე (VIII-IX ს.ს.) VIII ს-ით თარიღდება სოფ. აკურის მამადავითის მონასტერი. ისტორიული მნიშვნელობის ძეგლებს განეკუთვნება თავად მაყაშილეების ციხე-სიმაგრეები, სოფლებში არტოზანსა და რუისპირში.

ქალაქ თელავის ღირშესანიშნაობებს წარმოადგენს „ღვთაების" ბაზილიკა (V-VII სს), „ღვთისმშობლის" ეკლესია (XVII-XVIII სს), ციხე-

სიმაგრე „ძველი გალავანი“ (X-XII), „ბატონის ციხე“ (XVII-XVIII სს), ყორჩიბაშვილებისა და ვახვახიშვილების ციხე-სიმაგრეების ნანგრევები (XVIII ს). თელავში, ღვთაების ეკლესიაში განთავსებულია ალავერდის ეპარქიის მიპტროპოლიტის რეზიდენცია.

თელავი მნიშვნელოვან სატრანსპორტო კვანძია, რომელიც უკავშირდება ძირითადად საავტომობილო გზებით კახეთის მუნიციპალიტეტის ცენტრებს და საქართველოს დედაქალაქ თბილისს. თელავი ამავე დროს კახეთის სასოფლო-სამეურნეო (მელვინეობის) ცენტრს წარმოადგენს. 1939 წლიდან თელავში მოქმედებს ამჟამად სახელმწიფო უნივერსიტეტი (ყოფილი პედაგოგიური ინსტიტუტი), რომელსაც გასულ 2019 წელს, დაარსებიდან 80 წელი შეუსრულდა, ვაჟა-ფშაველას სახელობის სახელმწიფო თეატრი, ისტორიული მუზეუმი, რომელშიც მოთავსებულია ერეკლე II-ის სასახლე-რეზიდენცია.

### **ქალაქის მოსახლეობის დინამიკა და განაშენიანება**

ჩვენს ხელთ არსებული მასალების მიხედვით თელავი ისევე როგორც აღმოსავლეთ საქართველოს სხვა ქალაქების მოსახლეობა საკმაოდ ჭრელი იყო. მართალია, ძირითად ბირთვის ქართველობა შეადგენდა, მაგრამ იყვნენ სხვა ეროვნების წარმომადგენლებიც.

1770 წელს ქალაქ თელავში 740 კომლს, დაახლოებით 3700 სულს უცხოვრია;

1801 წელს მისი რიცხვი საგრძნობლად შემცირდა და 923 სულამდე დავიდა;

1821 წელს მოსახლეობის რიცხვმა იმატა და 1677 ადამიანს მიაღწია;

1835 წელს თელავში აღირიცხა 2680 მოსახლე, 1847 წელს - 4000, 1865 წელს კი - 7300 კაცი;

1897 წლის რუსეთის იმპერიის საყოველთაო აღწერის მასალებით თელავში 13 929 ადამიანს, თითქმის 14 ათას სულს უცხოვრია.

1954 წელს თელავში უკვე 65 ქუჩა იყო და ცხოვრობდა 2230 გვარის 13 284 ადამიანი.(37)

2002 წელს თელავის მოსახლეობის რიცხვმა 21 800 მიაღწია,

ხოლო 2014 წელს მისი მოსახლეობა 19 629 სულამდე შემცირებულა.

ასეთია ზოგადად ქალაქ თელავი მცხოვრებთა განსახლების დინამიკა ზემოაღნიშნული წლების მონაცემების მიხედვით.

თელავის ისტორიულ-გეოგრაფიული მდებარეობის შესახებ, რომელსაც ნაწილობრივ ზემოთაც შევეხეთ, საინტერესო მასალაა დაბეჭდილი გაზეთ „ივერიის“ ფურცლებზე, რომლის ავტორია ცნობილი ქართველი პედაგოგი და ჟურნალისტი ილია ზარაფიშვილი (ნადიკვრელი). მოგვაქვს ამ სტატიიდან მოკლე ამონარიდი:

„თელავი გაშენებულია ცივ-გომბორის კალთაზე, რომელიც გადაშლილი იყო ჩრდილოეთისაკენ და ქვეშ სვეტებივით ოთხი გორაკი შესდგომია. ამ გორაკებს ცივ-გომბორის კალთა გაშლილი შეუკავებია და ამიტომ თელავის მდებარეობა წარმოადგენს ამაღლებულ ვაკეს. ეს ოთხი გორა ასეა ჩამწკრივებული აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ: ვახვახიანთ გორა (ფიქრის გორა), სასახლის გორა (ბატონის ციხის გორა), ყორჩიბაშიანთ გორა (ღვთაების გორა) და ძველი გალაგანის გორა (გორიჭვარ-ყადორის გორა). ოთხივე გორა ძველისძველად გამაგრებული ყოფილა ციხე-კოშკებითა და უკანასკნელ დრომდის ეს სიმაგრეები უახლებიათ. უფრო კი დაურღვევლად დარჩენილა სამი: ვახვახიანთ, სასახლის და ყორჩიბაშიანთი; უკანასკნელ ციხეს–გალავანს სასახლისა და ძველი გალაგანის შუა ადგილი უჭირავს. ამ ციხე-გალავანში არის ის ღვთაების ტაძარი (ახ.წ. V-VI ს–ის ძველი), რომელშიაც 40 დღე ესვენა ერეკლე მეფე. სასახლის ციხე-გალავანში არის „კარის ღვთისმშობლის“ (რუსული მმართველობის დროიდან „სობოროდ“ წოდებული) ტაძარი და მის მრევლს შეადგენდნენ სხვათა შორის, ვახვახიანთ გორასა და მის კალთებზედ მცხოვრებელნი; როგორც სახელებით გაიგებდა მკითხველი, აღმოსავლეთის განაპირა გორა თავისი ციხე-გალავნით ეკუთვნის თავად ყორჩიბაშიელ-რუსიშვილებს“. (39)

ივანე პაატაშვილი წერს, რომ „ქალაქ თელავის ტერიტორიის დიდი ნაწილი, შეიძლება ითქვას, ნახევარზე მეტი ამ ორი გვარის თავადიშვილთა საკუთრებას წარმოადგენდა. დროთა განმავლობაში მათი ნაწილი გაიყო და მოქალაქეებით დასახლდა. ქ. თელავის მიწების გარდა ამ ორი საგვარეულოს კუთვნილებას შეადგენდა სოფ. კურდღელაური თავისი სახნავ-სათესი მიწებით და ჭალით თვით ალაზნამდე მდებარე ვარდისუბნის და შალაურის საზღვრებს შორის.

მათი მამული ალაზნის გაღმა შილდის და ფშაველის მიდამოებშიც ვრცელდებოდა, ხოლო თელავის სამხრეთით ცივ-გომბორის მდელოები სულ მათ საკუთრებას შეადგენდა".(40)

XIX ს-ის მეორე ნახევარში კაპიტალიზმის განვითარებამ, ქვეყნის ეკონომიკურ წინსვლასთან და სოციალურ ცვლილებებთან ერთად, მეტნაკლებად ხელი შეუწყო საქალაქო ცხოვრების თითქმის ყველა სფეროში დადებითი ცვლილებების შეტანას. XIX ს-ის 80-90-იანი წლები და XX ს-ის დასაწყისი ქ. თელავი საბინაო მშენებლობის ე.წ. „ბუმი“ აღინიშნა. ამ შენობათა უმრავლესობა თელავის ახალ უბანში, რუსეთის იმპერიის პერიოდში ყოფილი „მესამე აღმართის“ (საბჭოთა ხანაში კარლ-მარქსის, დღევანდელიობაში კი ელენე ახვლედიანის) ქუჩასა და ნადიკვრის ქუჩის დასაწყისში აიგო. მათი მეპატრონეები ძირითადად სომხური ბურჟუაზიის წარმომადგენლები (არუთინოვები, ვაბელოვები, ხეჩოვეები, კირაკოზოვები, ოვანეზოვები, მირიმაზოვები, მარქაროვები, როსტომოვები, გეურქოვები და სხვ.) იყვნენ.

XX საუკუნის დამდეგს თელავში აშენდა მთელი რიგი სახლები, სხვადასხვა ნაგებობები, რომელთა მფლობელები სომეხი ბურჟუაზიის წარმომადგენლებს გარდა ქართველი ბურჟუაზიისა და ინტელიგენციის წარმომადგენლებიც იყვნენ. კერძოდ: იაგორ დათულიშვილი, გიორგი ხიზანიშვილი, გარსევან კურდღელაშვილი, ანტონ ყაზახაშვილი, გიგო ბოგველაძე, ივანე კოლელიშვილი, ივანე როსტომაშვილი, ვასილ როინაშვილი, დიმიტრი პაატაშვილი, ვახვახიშვილები, შიუკაშვილები, მეღვინეთუხუცესები და სხვა.(41)

ბინათმშენებლობა თელავში კვლავ გრძელდებოდა, იმის მიუხედავად, რომ სახლების მეპატრონეებს გარკვეული წინაღობები უნდა გადაეღებინათ. სახელდობრ: უპირველეს ყოვლისა, საჭირო იყო ქალაქის მამასახლისის თანხმობა, შემდგომ ქალაქის პოლიციის ბოქაულისა და მაზრის უფროსის ნებართვები, ასევე არქიტექტორის მიერ ამა თუ იმ სახლის ნახაზის დამტკიცება და ბოლოს, თბილისის გუბერნატორის დასტური.(42)

პირველმა მსოფლიო ომმა (1914-1918 წ.წ.) დაარღვია რა ქვეყნის მყუდროება და მშვიდობიანობა, დამანგრეველად იმოქმედა მასში მებრძოლ სახელმწიფოთა უმრავლესობაზე. მათ შორის რუსეთის იმპერიაზე და მასში შემავალ კოლონია-საქართველოზე, რომელზედაც გადიოდა საბრძოლო ფრონტის ხაზი. ომმა გამოფიტა

ქვეყნის როგორც მატერიალური, ისე ადამიანური რესურსებიც. დაიწყო ეკონომიკური კრიზისი. ეკონომიკურმა სიდუხჭირემ, მატერიალური სახსრების არ ქონამ შეაჩერა ქალაქების, მათ შორის თელავის განაშენიანებაც.

პირველ მსოფლიო ომს შედეგად რუსეთის იმპერიაში მოჰყვა რევოლუციური მოძრაობის დაწყება, რომელიც თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის სახელით არის ცნობილი. 1917 წლის თებერვალ-მარტის რევოლუციურმა გამოსვლებმა ბოლო მოუღო ცარიზმის ბატონობას რუსეთის იმპერიაში და დაამხო რომანოვთა სამეფო დინასტიის სამასწლიანი მმართველობა. ამით პოლიტიკური კრიზისი არ დასრულებულა. 1917 წლის ოქტომბერში, პეტროგრადში მომხდარი სასახლის გადატრიალების შედეგად, რომელიც საბჭოთა ისტორიოგრაფიაში „დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის“ სახელით არის ცნობილი, ძალაუფლება ხელთ იგდეს რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის რადიკალური მიმართულების - ბოლშევიკების წარმომადგენლებმა.

რუსეთის იმპერიის დედაქალაქსა და სხვა დიდ ქალაქებში მომხდარმა რევოლუციურმა ძვრებმა ხელსაყრელი პირობები შექმნეს რუსეთის იმპერიის დაშლისა და მასში ძალდატანებით შეყვანილი ხალხების მიერ დამოუკიდებელი სახელმწიფოების წარმოქმნისა. 1918 წლის მაისში ამიერკავკასიის სეიმის დაშლის შემდეგ, გერმანიის მთავრობის ხელშეწყობით, საქართველო დემოკრატიულ რესპუბლიკად გამოცხადდა. თითქოსდა შეიქმნა პირობები დემოკრატიის მიმართულებით საქართველოს შემდგომი წინსვლისა, მაგრამ სამწუხაროდ, ეს იმედები არ გამართლდა. საბჭოთა რუსეთი, რომელიც რუსეთის იმპერიის სამართლმემკვიდრე იყო, ყველა საშუალებას იყენებდა, რათა არ დაეშვა დიდი ხნით ყოფილი კოლონიების, მათ შორის ამიერკავკასიის ქვეყნების და საქართველოს დაკარგვა.

1921 წლის თებერვალ-მარტში საბჭოთა რუსეთის ჯარებმა, რომელთაც მხარს უჭერდნენ რენეგატი ქართველი ბოლშევიკებიც, დაამხეს საქართველოს პირველი რესპუბლიკის დემოკრატიული მთავრობა, აიძულეს იგი ემიგრაციაში, საფრანგეთში წასულიყო, მოახდინეს ქვეყნის ინტერვენცია, ანექსია და მისი ძალით გასაბჭოება.

ხელისუფლების სათავეში მოსული ახალი საბჭოთა ძალა ქართველი ბოლშევიკებისა, რომელიც თითქოსდა მოსული იყო მშრომელთა - მუშათა კლასისა და გლეხობის დასაცავად, სინამდვილეში კი საკუთარი ძალაუფლების შენარჩუნებაზე ფიქრობდა. ბოლშევიკები შეეცადნენ რამდენამდე ისეთი ღონისძიებები გაეტარებინათ, რომ ხალხის ნდობა და პატივისცემა მოეპოვებინათ. მათ სოფლად და ქალაქად ხელი მოჰკიდეს ერთგვარ კოსმეტიკურ გამშვენიერებას. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ხელისუფლებაში ძალით მოსულ ადამიანებს შორის იყვნენ ისეთებიც, რომელთაც წრფელი გულით სურდათ კეთილი საქმეები განხორციელებინათ.

## თავი II

### „ძველი თელავი“-ს უბანი - ქაქუცა ჩოლოყაშვილის ქუჩა

ცნობილია, რომ თელავს უძველესი დროიდან ცივის მთიდან ჩამომავალი რიყე (ხევი) ორ ნაწილად ჰყოფს. რიყის მარცხენა სანაპიროდან იწყება ქალაქ თელავის ერთ-ერთი ყველაზე კოლორიტული უბანი ე.წ. „ძველი გალაფანი“, იგივე „ძველი თელავი“. ეს სახელწოდება მან მიიღო კვირიკე დიდის მიერ აშენებული ქალაქის გალაფნის გამო. ამ გალაფნის ნანგრევები დღესაც არის შემორჩენილი. „ძველი“ კი იმიტომ შეერქვა, რადგან XVIII საუკუნეში ახალი უბანიც გაჩნდა ერეკლე II-ის მიერ აგებული ციხე-გალაფნის გარეთ, დროთა განმავლობაში სიტყვა „გალაფანი“ შეიცვალა და მასთან სიახლოვეს გამავალ ქუჩას „ძველი თელავის“ სახელი ეწოდა.

ახლა, მას შემდეგ, რაც საბჭოთა კავშირი დაიშალა და ტაბუდადებული ეროვნული გმირების სახელების რეაბილიტაცია მოხდა, ქალაქის ახალმა ხელმძღვანელობამ, ქუჩას, რომელიც საბჭოთა ხელისუფლების წლებში „პირველი მაისის“ სახელწოდებას ატარებდა, მას საქართველოს ეროვნული გმირის, 1921-1924 წლების ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ხელმძღვანელის ქაქუცა (ქაიხოსრო) ჩოლოყაშვილის სახელი უწოდა.

ისიც ცნობილია, რომ თელავის ქუჩებს 1920 წლამდე სახელები არ ჰქონდათ და ისინი საითკენაც მიემართებოდნენ, ან კიდევ როგორი ფორმა ჰქონდათ, თელაველები ამ სახელით მოიხსენიებდნენ. ასე მაგალითად: „ზემო“ და „ქვემო ბაზრის“ „პირველი“, „მეორე“, „მესამე“, „მეოთხე“ აღმართის, „ძველი გალაფნის“, „ყვარლის“, და სხვა. საბჭოთა ხელისუფლების დროს, ამ ქუჩებს ბოლშევიკი რევოლუციონერების და ხელისუფლების წარმომადგენლების სახელები შეარქვეს. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ქალაქის ხელმძღვანელობაში მოსულმა ახალმა თანამდებობის პირებმა ქუჩების სახელების კომუნისტური აბრევიატურა შეცვალა, რომელთა შორისაც, როგორც აღვნიშნეთ, პირველი მაისის ქუჩა თავის განშტოება ქუჩაბანდებით მოხვდა.

ქაქუცა ჩოლოყაშვილის ქუჩა იწყება სასტუმრო „ძველი თელავიდან“, რომლის კორპუსები ქუჩის ორივე მხარეს ერთი მეორის

მოპირდაპირედ დგას. იგი გრძელდება საკმაო მანძილზე და დაბახნების დაღმართით მანანწარამდე გადის, სადაც უერთდება ილია ჭავჭავაძის (ყოფილ 1905 წლის, ფ. მახარაძის, უფრო ადრე კი მანანწრის, ასევე ეძახდნენ ახპატელოვების) ქუჩას. ჯერ კიდევ XX საუკუნის 50-60-იან წლებში, თელავის ხევის („რიყე“) ყურში, სანამ სანაპირო ქუჩას გაიყვანდნენ, რომლის ერთ-ერთი ნაწილი დღეს ბახტრიონის ქუჩის სახელითაა ცნობილი და ყოფილ ტურბაზამდე გრძელდება, მეორე ნაწილი კი, რომელიც ჩრდილოეთის მიმართულებით მიედინება და უერთდება ბაზრის ხიდთან ახლოს ი. ჭავჭავაძის ქუჩას, ქეთევან წამებულის სახელით არის ცნობილი. ხიდის სიახლოვეს სარკეების დამამზადებელი საამქრო იყო, რომელსაც თბილისიდან ჩამოსული პიროვნება(43) ამუშავებდა. ამ საამქროს სიახლოვეს ქართული პურის საცხობს, თონეს ეკავა ადგილი სადაც რაჭველები მუშაობდნენ, ჩვენს ხსოვნას შემორჩა ერთ-ერთი მცხობელის - „ხაბაზ“ ბართლომეს სახელი.

ამ საცხობის კუთხიდან სამხრეთის მიმართულებით ქუჩის შესახვევში ვერმიშვების სახლამდე, რომელზედაც ქვემოთ გვექნება საუბარი, სხვადასხვა სახელოსნოებს ეკავათ, მათ შორის იყო თუნუქის ღუმელების დამამზადებელი საამქროც, რომელიც ადრე, ჯერ კიდევ XX საუკუნის 30-იან წლებამდე, კარაპეტა იშხანოვს ეკუთვნოდა. სახელოსნოებს შორის სამხრეთისაკენ მიემართებოდა რიყის ქვით მოკირწყლული ვიწრო ქუჩა, რომელიც ორსართულიან „იტალიური ეზოს ტიპის“ სახლთან წყდებოდა. აქ სხვადასხვა ეროვნების და მათ შორის, ქართველი, ებრაელი და სომეხი წარმოშობის ოჯახები ცხოვრობდნენ, რომელთა პროფესია სხვადასხვა იყო. მაგალითად იყო ებრაელი სტილისტი (პარიკმახერი) ბენო ბინიაშვილი; ქართველები: თელავის თეატრის მსახიობი, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი მარიამ ლალაშვილი; თელავის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის, ისტორია - ფილოლოგიის ფაკულტეტის დეკანი, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი გრიგოლ შაპავა და სხვა. აქვე იყო ღვინის სარდაფი, რომელიც სოფელ იყალთოს კოლმეურნეობას ეკუთვნოდა. აღნიშნული ნაგებობანი, თითქმის ყველა ე.წ. „ვერმიშვის“ სახლამდე ნგრევაში მოჰყვა, ისინი ხევის სანაპირო ქუჩის (ბახტრიონის) გაყვანას შეეწირა.

როგორც აღინიშნა, ქაქუცა (ქაიხოსრო) ჩოლოყაშვილის

სახელობის (უნინ „ძველი გალაგნის, შემდგომ „პირველი მაისის“) ქუჩა იწყება დღევანდელი სასტუმრო „ძველი თელავი“-დან. მისი მეორე კორპუსი ამავე ქუჩის მოპირდაპირე მხარეს, მისი აღმოსავლეთი მხარე კი ქეთევან წამებულის ქუჩასთან კუთხით არის მიმართული.

გვინდა ნაწილობრივ შევვხით სასტუმროს „ძველი თელავი“ ადგილას მდგარი სახლის მოკლე ისტორიას. საქართველოს ეროვნულ არქივში(44) დაცულია ამ შენობის ნახაზები, მათ შორის მისი წინა ხედის, რომელიც XIX საუკუნის 60-70-იანი წლების მიჯნაზეა აგებული. ეს შენობა უნინ ვერმიშეგების გვარის საკუთრებას წარმოადგენდა. შენობა თავისი არქიტექტურული სტილით ევროპული ყაიდისაა და თავისი სიდიადით და გარეგნობით აშკარად გამოირჩეოდა აქამდე არსებული სახლებისაგან.

შევეცადეთ მოგვეცია მასალები ამ ბინის მეპატრონეების - ვერმიშეგების შესახებ. საქართველოს ცენტრალური ისტორიული არქივის და თელავის სახელმწიფო ისტორიულ მუზეუმში დაცული ფონდების მასალებიდან ვგებულობთ, რომ ვერმიშეგები საკმაოდ საპატივსაცემო თელავის მოალაქეები ყოფილან. მათ შორის იყო აკრონომი მიხეილ ავაკუმის ძე ვერმიშევი, რომელიც თელავში მცხოვრები სომეხი ბურჟუაზიის წარმომადგენლებისგან განსხვავებით, მჭიდრო ურთიერთობაში იყო თელავის ქართველ ინტელიგენციასთან. ამაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ მას შემდეგ, რაც წარუმატებლად დასრულდა ქ. თელავის ინტელიგენციის ცდა, ქალაქის მამასახლისის თანამდებობაზე ცნობილი პედაგოგი ივანე როსტომაშვილის გაეყვანა, იმავე ინტელიგენციამ, ვინც მის გასაყვანად იბრძოდა, მოხსნა მისი კანდიდატურა და მხარი დაუჭირა მიხეილ ვერმიშევის არჩევას. ი. პაატაშვილი თავის მოგონებებში აღნიშნავს, რომ მ. ვერმიშევთან „შესაძლებელი იყო საჭირო ენის გამონახვა, ვიმელოვნებდით, რომ მისი არჩევით მოხერხდებოდა ქალაქის იმ ჭაობიდან ამოყვანა, რომელშიც იგი ათეული წლების განმავლობაში იმყოფებოდა და ბოლო მოეღებოდა ქართველთა და სომეხთა არსებულ შულს და ანტაგონიზმს, რომელიც ყველა საქმიანობას სარჩულად ედებოდა და ქალაქის კეთილდღეობას აბრკოლებდა“. (45)

თელავის ქალაქის რწმუნებულთა კრებამ 1907 წლის 11 მაისს ჩატარებულ სხდომაზე მამასახლისის თანამდებობაზე აირჩია მიხეილ ვერმიშევი, მაგრამ გუბერნიის ხელმძღვანელობამ, ჩვენთვის

გაურკვეველი მიზეზით, არ დაამტკიცა აღნიშნულ თანამდებობაზე მ. ვერმიშვივი და თელავის თვითმმართველობა. 1906 წლის ნოემბრიდან 1910 წლის ოქტომბრამდე მამასახლისის გარეშე საქმიანობდა, სანამ არ მოხდა მიხეილ იაგორას ძე თათუზოვის ხელახალი არჩევა, რომლის მმართველობა 1917 წლამდე გაგრძელდა. (46)

ვერმიშვივების სახლი ძირითადად ორი სართულისგან შედგებოდა. მეორე სართული ვერმიშვივების საცხოვრებელ სახლს ეკავა, პირველი სართული კი - სავაჭრო ობიექტებს. ამ სახლს ჰქონდა სარდაფი - მარანი, სადაც ამჟამად სასტუმროს საკონფერენციო და საბანკეტო დარბაზებია მოთავსებული. უნინ, თითქმის XX საუკუნის 60-ან წლებამდე, პირველ სართულზე № 2 აფთიაქი იყო განთავსებული. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ამ სახლის მეორე სართული ერთხანს თელავის რაიონულ პროკურატურას და „მერაბ კოსტავას საზოგადოება“-ს ეკავათ.

რაც შეეხება სასტუმრო „ძველი თელავი“-ს მეორე კორპუსს, მაღალი ვერანდით და გარე ლიფტით დამშვენებული უნინ, XX საუკუნის 50-იანი წლებიდან დაწყებული საბჭოთა კავშირის დაშლამდე თელავის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს შენობად ითვლებოდა. ეს შენობაც ვერმიშვივის სახლის მსგავსად ორ-სართულ-ნახევრიანი იყო. ქვედა სართული საღებავების სახელოსნოს ეკავა. პირველი სართული კი დაკავებული ჰქონდა სამკერვალო სახელოსნოს, სამხატვრო ოთახს და დარბაზული ტიპის ჭურჭლის გასაქირავებელ ოთახს. მეორე სართული მთლიანად საყოფაცხოვრებო სამმართველოს ადმინისტრაციას ეკავა. ახლა ისევ როგორც ვერმიშვივის სახლს, ამ ბინის დიდი ფართი სასტუმროს უკავია.

ამ შენობის გაყოლებაზე დასავლეთით ერთსართულიანი სახლები იყო. სადაც ბინიაშვილები და ამრუზოვეები ცხოვრობდნენ. ბინიაშვილებს ამ სახლის ეზოში „სამღებრო“ ჰქონდათ მონყობილი. ამ ბინების ნაწილი ნვრევაში მოჰყვა საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს შენობის აშენებისას. აღნიშნული სამმართველოს შენობის გაყოლებაზე, უნინ გრძელი ერთსართულიანი დარბაზების ტიპის შენობა იყო, რომელიც 1908 წელს სომეხთა საქველმოქმედო საზოგადოების თაოსნობით იქნა აგებული. მასში მოთავსებული იყო სომხური, ქართული და რუსული წიგნების ბიბლიოთეკა, ასევე ე.წ. „სახარაზოები“ (ფეხსაცმლის კერვის და შეკეთების სახელოსნები) და

მეწვრილმანეთა ღუქნები.

1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდგომ ეს დარაბები გაუქმდა, გააერთიანეს, მონაწყეს სცენა და მაყურებელთა დარაბაზი, ფაქტობრივად ეს შენობა თეატრად გადაკეთდა სადაც ქართულ, რუსულ და სომხურ ენებზე იდგმებოდა სპექტაკლები. ქართული სცენის მოყვარულთა დასს კოტე ჭელიძე ედგა სათავეში, რუსულს - გიორგი არუთინოვი, ხოლო სომხურს კი - არამ ხოსროვეი. ამავე შენობაში იმართებოდა კინოსეანსებიც ბენზინზე მომუშავე, ე.წ „ღვიჟოკის“ საშუალებით. უჩვენებდნენ მუნჯურ კინო-ფილმებს. ამ შენობამ თავისი თეატრალური და კინო-ფილმების საჩვენებელი ფუნქცია სულ მალე, ორი-სამი წლის შემდეგ დაკარგა და იგი ე.წ „საქვაჭრობის“ თელავის განყოფილებამ საქონლის (სავაჭრო) საწყობად გადააქცია და ამ ფუნქციას 1967 წლამდე ასრულებდა. ქალაქის საბჭომ ქუჩის რეკონსტრუქციის გამო ეს შენობა 1967-1968 წლებში მთლიანად დაანგრია და გაანთავისუფლა ადგილი შემდგომში ახალი ორსართულიანი, საკმაოდ ღრმა სარდაფით „ქალაქვაჭრობის“ ახალი ადმინისტრაციული სახლის ასაშენებლად. მისი მეორე სართული ამ ორგანიზაციის თანამშრომელთა ოფისს წარმოადგენდა, პირველი სართული კი დათმობილი ჰქონდა სავაჭრო სასურსათო და სამრეწველო მაღაზიებს. რაც შეეხება სარდაფს, იგი ერთ ხანს საწყობის მოვალეობას ასრულებდა, მაგრამ მას შემდეგ რაც ეს შენობაც ე.წ. „პრივატიზირებაში“ მოხვდა, პირველი სართული მაღაზიას და კაფე-სასადილოებს უკავია.

აღნიშნული შენობა, რამოდენიმე მეტრიტაა დაშორებული თელავის ერთ-ერთი ღირსშესანიშნავი ქართული არქიტექტურის იშვიათი ძეგლისაგან - „ღვთისმშობლის ტაძრისაგან“. რუსეთის იმპერიის პერიოდში, იგი ერთხანს სომხებს ჰქონდათ ნაქირავები. საბჭოთა ხელისუფლების წლებში კი უმოქმედო იყო, აკრძალული იყო ტაძარში ლოცვისა და საეკლესიო რიტუალების ჩატარება. თუმცა, ადგილობრივი მცხოვრებნი, რომელთაც ემინოდათ ჰასუხისგებაში მიცემისა, ჩუმად, ღამღამობით მის აღმოსავლეთის კედელთან ანთებდნენ სანთლებს და ლოცულობდნენ. საბჭოთა კავშირის დაშლისა და საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ „ღვთისმშობლის“ ტაძარი გასუფთავდა, შეკეთდა, მოქმედ ეკლესიად, კვლავ მართმადიდებელი მრევლის სალოცავად იქცა.

„ღვთისმშობლის“ სახელობის ტაძარს მარჯვნივ ფეხით მოსიარულეთათვის ჩაუდის ბილიკები, ერთ-ერთი მათგანი ბეგლარ ახოსპირელის ქუჩას უერთდება, ხოლო მეორე „ღვთისმშობლის“ სამლულიან წყარომდე მიდის, რომელსაც თავზე ყადორის გორა დაჰყურებს და სწორედ ამ გორის ძირას გამოედინება ეს წყარო, რომელიც სანამ თელავში წყალსადენს გაიყვანდნენ, თითქმის ნახევარი ქალაქის მცხოვრებთ ამარაგებდა სასმელი წყლით. XX საუკუნის 40-50-იან წლებამდე ამ წყალს ეროვნებით ქურთების და იეზიდების ქალები ათასგვარი ფერებისაგან შეკერილ კაბებში ჩაცმულნი, თავზე, კისერზე ლეჩაქდაფარებულნი, ხის ჭოკებით ე.წ. ხარისხაგადაკიდებულნი, რომლის ორივე მხარეს წყლით სავსე ჭურჭელი იყო ჩამოკიდებული ეზიდებოდნენ წყალს მოსახლეობაში, გარკვეული გასამრჯელოს საზღაურად. ამავე ქუჩის კუთხეში, ყოფილი ვერმომევის სახლთან, ხიდის ყურში თავს იყრიდნენ ზემო აღნიშნული ეროვნების მამაკაცები, რომელთაც ჰქონდათ თან სპეციალური თოკებით დანული ტომრის მსგავსი საგნები ე.წ. „კურტანი“, რომელსაც ზურგზე იმაგრებდნენ, იკიდებდნენ ტვირთს და მიჰქონდათ შემკვეთის მიერ მითითებულ მისამართზე.

„საქვაჭრობის“ ყოფილი საწყობის მოპირდაპირე მხარეს სომხური დანყებითი სკოლის შენობა იყო. გიორგი მელითაურის ცნობით, 1925 წელს ფილიპე მახარაძის თელავში ჩამოსვლის შემდეგ, როცა მისი ინიციატივით თელავში თხუთმეტი სახლის ნაციონალიზაცია მოხდა, ეს შენობაც მოსწავლეთაგან განთავისუფლდა და მასში კომუნალურმა განყოფილებამ მობინადრეები ჩაასახლა.(47) მათ შორის იყვნენ შინგაზრდილოვები და ნონიკაშვილები, რომელთაც შემდგომ ბინები თავიანთი სურვილებისამებრ გადააკეთეს. რაც შეეხება სკოლას ის იმავე ქუჩაზე ორსართულიან ვაჭარ ივანე მოსესოვის ჩამორთმეულ სახლში (ერთხანს მასწავლებელთა სახლი იყო მოთავსებული) გადაიტანეს. ახლა ქუჩის რეკონსტრუქციის გამო შინგაზრდილოვებისა და ნონიკაშვილების სახლები აღარ არსებობენ ისინი ნგრევაში მოჰყვნენ, ნგრევაში მოჰყვა ასევე „ყველ-მრენვის“ საამქროც, რომელსაც ფილო ულენტი მართავდა.

ამ დანგრეული სახლების ადგილას გაშენებულ იქნა სკვერი და მასში 1989 წლის 9 აპრილის დაღუპულთა, ასევე აფხაზეთისა და სამაჩაბლოს შენარჩუნებისათვის წარმოებულ ომში გმირულად

დაცემულთა ხსოვნის საპატივსაცემოდ აგებულია ორი მემორიალი. ყველ-მრენვის შენობის ადგილას კი აგებულ იქნა ახალი კინო-თეატრის შენობა. მასში ამჟამად საქართველოს ეროვნული ბანკის ფილიალი ფუნქციონირებს. საინტერესოა, რომ შენობის ფასადი - დასავლეთის და სამხრეთის მხარეს ახალგაზრდა, ე.წ. „ქუჩის მხატვრების მიერ ძალიან ლამაზი კომპოზიციებით არის მოხატული.

ამ ე.წ. „ახალი კინოთეატრის“ წინ ქაქუცა ჩოლოყაშვილის ქუჩის პარალელურად მიემართება ნიკოლოზ ბარათაშვილის ქუჩა, რომელიც თელავის ერთ-ერთ ძველ უბანს წარმოადგენს, ე.წ. „იტალიური ეზოს“ მსგავსად. აქ სახლობენ, როგორც სომეხი, ისე ქართველი ეროვნების მქონე ოჯახები, ასე მაგალითად: ბეჟანოვები, ელუფოვები, პაპალაშვილები, შაშიაშვილები, ჭანტურია-ქერქაძეები, ესიტაშვილები, დეკანოზიშვილები და სხვა. ეს ქუჩა მთავრდება იქ, სადაც დღესაც დგას ე.წ. „ნათათრალის“ ვასილ ახვერდოვის მემკვიდრის დავით ახვლედიანის ორსართულიანი ბინა, რომლის დასავლეთი კედელი „ღვთისმშობლის ქუჩაზეა“ მიბჯენილი. (48)

ამ ქუჩის მცხოვრებთაგან თავისი ზრდილობით, სიღარბაისლით და კეთილშობილებით გამოირჩეოდა ივანე (ვანიჩკა) ტარასის ძე ჭანტურია, დაბადებული სამეგრელოში, აბაშის რაიონის სოფ. ონტოფოში.

ბატონი ვანო ფრიად განათლებული პიროვნება იყო, თავისი საქმის მაღალი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტი - ზოოტექნიკოსი. მას უმაღლესი განათლება მიღებული ჰქონდა ნოვოროსიის (ოდესის) უნივერსიტეტში. იგი თელავში XX საუკუნის 30-იანი წლების დასაწყისში დასახლდა მეუღლე მარგალიტასთან და ერთადერთ ქალიშვილ ცირასთან ერთად.

სიჭაბუკეში ის ერთგული მეგობარი იყო იმ დროისათვის ცნობილი ქართველი პოეტებისა, განსაკუთრებით ახლოს იყო ტერენტი გრანელსა და გიორგი ქუჩიშვილთან, რომელთაც სულიერ მეგობრობასთან ერთად მატერიალურ დახმარებას უწევდა. ბატონმა ივანემ ცხოვრების მეტად ეკლიანი გზა განვლო. თანაუგრძნობდა 1924 წლის აჯანყებას საქართველოში, თუმცა მისი აქტიური მონაწილე არ ყოფილა. მისი ერთადერთი ძმა შეენირა ამ აჯანყებას. ეს უკანასკნელი ჭიათურის ამბოხის სხვა მონაწილეებთან ერთად შორაპნის სადგურში საბჭოთა ჯალათებმა ვაკონში ჩაცხრილეს. ვერ ეგუებოდა რა საბჭოთა

წყობილებას, ბ-მა ივანემ ორჯერ სცადა საზღვარგარეთ გაქცევა, მაგრამ ორივეჯერ მოუყარა ხელი. ვერც იგი ასცდა 30-იანი წლების საბჭოთა რეპრესიების სუსხს. მან რამოდენიმე წელიწადი ციმბირში კატორღაში, გულაგის საპატიმროებში გაატარა.

გადასახლებიდან მშობლიურ ოჯახურ კერას დაბრუნებულმა კვლავ განაგრძო აქტიური ცხოვრება, მუშაობდა თავისი პროფესიით თელავის რაიონის სხვადასხვა სოფლის კოლმეურნეობებში. იგი თავის კოლეგებში სარგებლობდა დიდი ავტორიტეტით. ის იყო დახვეწილი, რაფინირებული ინტელიგენტი. მასზე შეიძლება ითქვას, რომ ის სიკეთის მთესველი ადამიანის განსახიერება იყო.

მრავალ ჭირ-ვარამგადახდილს ბოლოს გულმა უმტყუნა და 70 წლის ასაკში გარდაიცვალა.

„ღვთისმშობლის ქუჩამ“, რომელიც ადრე ამ სახელით იხსენიებოდა, რამდენჯერმე შეიცვალა თავისი სახელი, უწინ მას „წყალსაზიდ“ ანუ „ვადავოზნაიას“ ეძახდნენ, რადგანაც ამ ქუჩით მიჰქონდათ წყალი „ღვთისმშობლის წყარო“-დან, როგორც ამ ქუჩის, ისე ზედა უბნის მცხოვრებლებსაც. საბჭოთა ხელისუფლების წლებში, ბაქოს 26 კომისრის კრასნოვოდსკში დახვრეტის შემდეგ, ამ ქუჩას 1922 წელს ერთ-ერთი დახვრეტილი კომისრის - სტეფანე შაუმიანის სახელი ეწოდა.(49) დღეს მას თავისი ძველისძველი „ღვთისმშობლის“ სახელი დაუბრუნდა.

ამ ქუჩის დასაწყისში ხელმარცხნივ დგას დიმიტრი სახივეის ორსართულიანი სახლი, რომელშიც დღესაც ცხოვრობს, ყოფილი სპორტსმენი ალბერტ სახივეი თავის ოჯახთან ერთად. აი ამ სახლიდან თითქმის დაბახნებამდე, ამ ქუჩის მარცხენა მხარე წარმოადგენს ერთ-ერთ ულამაზეს მხარეს, რომელიც ფაქტობრივად აივნიანი სახლებით არის დამშვენებული და XIX საუკუნის ქალაქს გვაგონებს. მსოფლიო ბანკის დაფინანსებით 2012 წელს ჩატარებულმა თელავის რეაბილიტაციამ კიდევ უფრო ნათელი მოჰფინა ამ ქუჩას და დღეს ქალაქში სტუმრად ჩამომსვლელთათვის ლამაზ სანახაობას წარმოადგენს. ქუჩა ადრე, რომელიც ოღრო-ჩოღროს წარმოადგენდა და ძნელად გასავლელი იყო, დღეს სრულიად კეთილმოწყობილი და განახლებულია.

არანაკლებ ლამაზად გამოიყურება ქაქუცა ჩოლოყაშვილის ქუჩის მარჯვენა მხარეც, თუ არ ჩავთვლით რეაბილიტაციის მიერ ზოგიერთ

სახლში დაშვებულ შეცდომებს. აქ, რამოდენიმე კარგი შენობა იყო აშენებული, რომელთა შორის გამოირჩეოდა ი. დათულიშვილის აგურით ნაშენი ერთ-სართულ-ნახევრიანი სახლი.

როგორც აღინიშნა, ქაქუცა ჩოლოყაშვილის ქუჩა საკმაოდ გრძელია და მას რამოდენიმე ქუჩა უერთდება. ერთ-ერთი მათგანია, რაფიელ ერისთავის ქუჩა, რომელსაც ფეხით მოსიარულენი ყადორის გორასა და გორიჯვარზე, ანუ ძველ გალაგანში მიჰყავს. ამ ქუჩას მარცხნივ უერთდება ორაგუბის და ი. ჯავახიშვილის ქუჩები, ასევე დავით რექტორის (ყოფილი ნარიმანოვის) ქუჩაც.

ქაქუცა ჩოლოყაშვილის ქუჩას, ზემოდან, ჩრდილოეთის მხრიდან დაჰყურებს დიდი კვირიკეს ქალაქი, თავისი ძველი გალაგნით, ანუ იგივე „გორიჯვარად“ წოდებული. ახლა მხოლოდ ამ ადგილას ათი საუკუნის წინათ აშენებული გალაგნის ცალკეული დეტალების ნანგრევებია, „გორიჯვარის“ ადგილას კი, XVIII საუკუნეში აღმართული სომხური გრიგორიანული ეკლესიის ნიშილაა შემონახული, რომელიც მართლმადიდებლური ტაძრის ადგილზე აუშენებიათ. იოანე ბატონიშვილის „კალმასობის“ მიხედვით სწორედ აქ იყო დასვენებული სვეტიცხოვლის წმინდა ძელისგან დარჩენილი მასალისგან დამზადებული ჯვარი, რაც ამ ადგილს საკმაოდ დიდ საკრალურ მნიშვნელობას სძენს. გვინდა აღვნიშნოთ, რომ იგივე მასალისგან დამზადებული სხვა ჯვარი ყოფილა დასვენებული თელავის „ჯვარპატიოსნის“ ეკლესიაში.(50)

როგორც აღინიშნა, „ძველი გალაგნის“, იგივე „ძველი თელავის“ მთავარ მაგისტრალს ერთხანს ყოფილი „პირველი მაისის“ (ახლანდელი ქაქუცა (ქაიხოსრო) ჩოლოყაშვილის სახელობის) ქუჩა წარმოადგენს, რომელიც აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ მიემართება, ჩრდილო-დასავლეთით დაუყვება დაბახნების დაღმართს და ზუზუმბოს გორიდან მონადენ ხევზე გადებულ ხიდთან უერთდება ილია ჭავჭავაძის ქუჩას (ყოფილი 1905 წლის ქუჩა), რომელიც თელავის ქუჩებს შორის ყველაზე გრძელია. იგი იწყება რუსთაველის გამზირის გადამკვეთ თამარის ქუჩიდან, უფრო სწორად „თიბისი“ ბანკის შენობიდან გრძელდება და ბაზრის გავლით, მთელი მანანწრის გაყოლებით და მთავრდება ვარდისუბნის ხევთან.

„ძველი გალაგანი“, იგივე „ძველი თელავი“, რომლის გარეგნული სილამაზე დღესაც კი შემორჩენილია და XIX საუკუნის ქალაქის ქუჩის

შთაბეჭდილებას სტოვებს, ძირითადად სომხური ბურჟუაზიის და გასომხებული ქართველებით იყო დასახლებული. მათ მთავარ საქმიანობას ვაჭრობა და ხელოსნობა წარმოადგენდა. საცხოვრებელ ბინებთან ერთად, ამავე ქუჩაზე განლაგებული იყო მათი სავაჭრო ღუქნები და სახელოსნოებიც. აქ ცხოვრობდნენ „დერციკები“ (თერძები - ტანსაცმლის მკერავები, უპირატესად ჩოხა - ახალუხის კერვის სპეციალისტები), ხარაზები (ფეხსაცმლის მკერავები და შემკეთებლები), მენალები (მეჩექმეები), ღურგლები (ხის მასალაზე მომუშავენი), კალატოზები (ქვით ხუროები, სახლის მშენებლები), მჭედლები (რკინის იარაღის მკეთებელნი), ოქრომჭედლები (ოქროსა და ვერცხლის ლითონისაგან ბეჭდებისა და სამკაულების დამამზადებელნი), მეთოფეები (თოფ-იარაღის მკეთებელნი), მესაათეები (საათის შემკეთებლები), მეჭურჭლეები (ძირითადად მეთუნეები. თიხისაგან საოჯახო ჭურჭლის დამზადების ოსტატები), დაბალები (ტყავის გამომყვანი ოსტატები), მეთონენი-მექვევრენი (თიხის თონებისა და ქვევრების მკეთებელნი), ბაზაზები (ფართოლელის მყიდველ-გამყიდველნი), მენვრილმანეები (სხვადასხვა წვრილმანი ნივთების შემგროვებელი), მიკიტნები (სამიკიტნოში, სასადილოში მომუშავენი), ყასბები (საქონლის ხორცის დამხარისხებელ-დამჭრელნი და გამყიდველები), მექვაბეები (სპილენძის ლითონისაგან საოჯახო და არცის სახდელი ქვაბების დამამზადებელნი), მესაკირეები (რიყეებში საკირე ქვის შემგროვებელნი, საკირეების მშენებელნი და ამ ქვებისაგან კირად ქცევის - გამოწვის ოსტატები), დალაქები (ჰარიკმახერები, ახალი ტერმინით სტილისტები, თმის და წვერის გაკრეჭვისა და გაპარსვის ოსტატები), ჭონები (საქონლის ტყავისგან თასმების მკეთებელნი) ნალბანდები (შინაურ პირუტყვზე ცხენისა და ხარის ფეხებზე ნალების დამკვრელნი), მეზურნე - მეარღნეები (ზურნაზე, დუღუკსა და არღანზე დამკვრელნი), მეკუპრეები(ღვინის ტიკების (რუმბების) დამამზადებელნი ) და სხვ.(51)

ყოველი ეს მიანიშნებს იმაზე, რომ ხელოსნობა საკმაოდ მაღალ დონეზე მდგარა თელავში. ამის დასტურია ისიც, რომ როგორც მკვლევარი ნ. აბესაძე აღნიშნავს: „ამაზე(52) მოწმობს შესაბამისი ხელოსნური ორგანიზაციის - „ამქრის“ არსებობა მთელი თავისი იერარქიით“.(53)

უნდა აღინიშნოს, რომ შუა საუკუნეების ევროპის ქვეყნებისათვის

დამახასიათებელი ამქრული ორგანიზაციების არსებობა საქართველოს ქალაქებშიც, მიუხედავად კაპიტალისტური მრეწველობის განვითარებისა, გვიანობამდე, თითქმის საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე შემორჩა.

ისტორიკოსი იოსებ ნანობაშვილი, რომელიც ერთხანს თელავის პედაგოგიური ინსტიტუტის რექტორიც იყო, თავის ნაშრომში „ხელოსნური წარმოება და ხელოსანთა ყოფა საქართველოს ქალაქებში“ წერს, რომ „საქართველოს ქალაქებიდან მხოლოდ თელავში არსებობდა ე.წ. „ამქრის ბაღები“ - სოციალური ნაგებობა ქალაქ გარეთ ბაღში, სადაც ხელოსნები იხდიდნენ საღვთოს“. (54)

მკვლევარ მირიან თვალთაშვილის მონოგრაფიაში თელავზე, ავტორი თელავის განაშენიანებასთან ერთად საყურადღებო ცნობებს იძლევა თელავის ქუჩების, ბაზრებისა და ამქრების შესახებ. უთუოდ საინტერესოა მის მიერ მოძიებული ცნობები ამქრის ბაღების შესახებ. „თელავში უამრავი ამქრის ბაღი ყოფილა, ისინი თელავის სხვადასხვა კუთხეში მდებარეობდა. თელავის მკვიდრის 80 წლის დავით ლუარსაბიშვილის გადმოცემით, დერციკების ამქრის ბაღი „ძველ კომისარიატთან“, წითელი არმიის მიერ საქართველოს ოკუპაციამდე „დიდი მიხვეულ-მოხვეულის“, ოკუპაციის შემდეგ კი „მიასნიკოვის“, ახლა „კვირიკე დიდი“-ს სახელობის ქუჩაზე იყო, იქ, სადაც მეხუთე საშუალო სკოლაა ამჟამად, დურგლების ამქრის ბაღი - გივი ჩოხელის ქუჩაზე, დაცვის პოლიციის მიმდებარე ტერიტორიაზე. თელავის უნივერსიტეტის მიმდებარე ტერიტორიაზე მდებარეობდა ამქრის ბაღი, რომელსაც „ტრინკას ბაღს“ ეძახდნენ. ამქრის ბაღებში თავს იყრიდნენ თელაველი ხელოსნები: დერციკები, დურგლები, მენალეები, ხარაზები და სხვ.“ (55)

აი, სწორედ ამ ბაღებში სპეციალურად აგებულ შენობებში გაზაფხულზე იმართებოდა ცალკეული დარგების მიხედვით ამქარში გაერთიანებულ ხელოსანთა (ოსტატები, ქარგლები და შევირდები) შეკრებები, მათ მიერ აქ ნადიმების გამართვა, ე.წ. „საღმართოს“ ანუ შესანიშნავი გადახდა, ამქრის თავკაცთა, ე.წ. „უსტაბაშთა“ მიერ სახელოსნოებში შევირდებლად მომუშავე ახალგაზრდობის ოსტატებლად „დალოცვა“ და სხვ.

ამქრის დღესასწაულის ცერემონიალი ასე იმართებოდა. პირველი მაისის დღეს, ამქართა უფროსი, ე.წ. „უსტაბაში“ გამოვიდოდა დროშით,

დაუკრავდა ზურნა, რაც უკვე იმის ნიშანი იყო, რომ უკვე ყველას უნდა დაეკეტა დარაბა, დუქანი, სახელოსნო და შეერთებოდა ამქარს. ისინი შეგროვდებოდნენ ამქარის ბაღში და რიტუალიც დაიწყებოდა. ამ დღეს უნდა მომხდარიყო ოსტატების ნათლობა, ანუ შევირდების გაოსტატება, „სალმრთო“, შესაწირის დაკვლით იმართებოდა ნადიმი.

როგორც ზემოთ ითქვა, ქაქუცა ჩოლოყაშვილის ქუჩას ჩრდილო-დასავლეთით ერწყმის თელავის ერთ-ერთი უძველესი „დაბახნების“ უბანი, თავდაღმართი ქუჩა, რომელიც ზუზუმბოს გორის განშტოებაა და ემიჯნება „გორიჯვარს“. სახელი „დაბახანა“ მომდინარეობს სიტყვა „დაბალი“-დან, რაც ტყავის გამომყვანს ნიშნავს. სწორედ აქ, ამ უბანში ცხოვრობდნენ ტყავის გამომყვანი ოსტატები (დაბაღები). აქვეა დაბახნების ხევთან ცივ-ცივი ბუნებრივი წყარო, რომელიც ზუზუმბოს გორიდან მოედინება, მას ადგილობრივი მოსახლეობა „დაბახნების“ და „განჯელების წყაროს“ სახელებით იხსენიებენ. „დაბახნებისა“ გასაგებია იმიტომ, რომ აქ დაბაღები ცხოვრობდნენ და მუშაობდნენ, „განჯელებისა“ კი, ალბათ, იმის გამო რომ „ძველ გალავანში“, რომელიც XVIII საუკუნის ბოლოს გაუდაბურებულ ადგილს წარმოადგენდა, ერეკლე II-მ ყარაბაღიდან და განჯიდან (ელიზავეტოპოლიდან) საცხოვრებლად მიიღო 60-მდე სომხური ოჯახი. თელავში დასახლების შემდეგ მათ ხელი მიჰყვეს ხელოსნობასა და ვაჭრობას. სწორედ განჯიდან გადმოსახლებულთა სახელის მიხედვით, „დაბახნების“ წყარომ მეორე სახელად „განჯელების“ მიიღო.

თავადი ანდრონიკოვის წერილში „Кавказский Календарь“-ში ვკითხულობთ „გასული საუკუნის ბოლოს (იგულისხმება მე-18 საუკუნე) მეფე ერეკლემ გამოიძახა ყარაბაღიდან და ელიზავეტოპოლიდან 60 ოჯახამდე ადგილობრივი სომხები, რომლებიც ეძებდნენ მასთან დაცვას მუსულმანებისგან და აჩუქა მათ ძველი ქალაქის ყველა ადგილი“. (56)

გიორგი მეღვინეთაური, როგორც ჩანს იმეორებს თავადი ანდრონიკოვის წერილში გამოთქმულ მოსაზრებას, რადგანაც წერს(57) - „მეთვრამეტე საუკუნის ბოლოს ერეკლე მეორემ ყარაბაღიდან და განჯიდან გადმოსახლა სომხების 60 ოჯახი, რომლებიც შევლას სთხოვდნენ ერეკლეს, რადგან მუსულმანი ბეგებისგან ძალიან შეწუხებულნი იყვნენ. ამ სომხებს 60 კომლი ერეკლემ აჩუქა ძველი გალავნის მიწა-წყალი. სომხებმა გაჩხეს ტყე და

დაბინავდნენ".

გიორგი ჯაშიაშვილის სიტყვებით კი(58) - „თელავში ორი სამარხია, ქართველების და სომხების. სომხები 1760 წელს რუსეთის დავალებით ერეკლე მეორემ ჩაასახლა თელავში და რადგან ქრისტიანები იყვნენ და ლოცვა სჭირდებოდათ, ერეკლემ მისცა ძველი ქალაქის მხარე, დაკეტილი ეკლესია ძველ გალავანში დროებით სასარგებლოდ. თელავში სომეხი 15% ცხოვრობს, მათი ჩვევები იგივეა, რაც ქართველების, რადგან მათ დროთა განმავლობაში ქართველთა ჩვევები აითვისეს, გარდა სინუნჯისა. სომეხი ნუნჯია და მუქთად ქართველივით არ გადაყრის. ქართველებს და სომხებს კარგი ურთიერთდამოკიდებულება და ნათესაობა აქვთ".(59)

რადგან ამ თემას შეეხებოდა გვინდა აღვნიშნოთ, რომ რუსეთის იმპერიის პერიოდში ადგილი ჰქონდა ქალაქ თელავის მოსახლე ქართველებსა და სომხებს შორის შუღლის ჩამოგდების მცდელობებს. მაგალითად, 1915 წლის თებერვალში, თელავის, თიანეთის და სიღნაღის მაზრებში თბილისის უანდარმთა საგუბერნიო სამმართველოს უფროსის მოადგილე ხელმძღვანელობას წერდა, რომ „უნტერ-ოფიცერმა სტეჰკინმა თელავის მაზრაში თავისი მორიგი ჩამოვლისას თელავის მაზრის მაცხოვრებლები გამოკითხა და დაასკვნა, რომ თელავის მაზრის მაცხოვრებელი ქართველი მოსახლეობა მტრულადაა განწყობილი სომხების მიმართ და დადის ხმები, რომ დროთა განმავლობაში, შესაძლებელია აქ ამ ორ ერს შორის შეტაკება დაიწყოს იმ სახით, როგორც კავკასიაში(60) 1905 წელს მოხდა".(61)

აღნიშნულ პერიოდში მიმდინარეობდა პირველი მსოფლიო ომი და ასეთი ანტაგონიზმის ერთ-ერთი სავარაუდო მიზეზი თელაველი შეძლებული სომეხი ვაჭრების მიერ პროლუქტებზე და პირველადი მოხმარების საგნებზე ფასების ხელოვნური ზრდა იყო. ფაქტობრივად, იმ დროს, როგორც ქალაქის მართვა-გამგეობა, ასევე ვაჭრობაც ეთნიკური სომხების ხელში იყო მოქცეული და ფასების ხელოვნური აწევა შეძლებული სომეხი ვაჭრებისათვის პრობლემას არ წარმოადგენდა. ხოლო თუ ამას დავამატებთ იმ გარემოებასაც, რომ ამ უკანასკნელებს კავკასიის მთელ ტერიტორიებზე, ასევე ქალაქ თელავშიც მეფის რუსეთის ადგილობრივი ადმინისტრაცია ყველანაირად მხარს უჭერდა და ეხმარებოდა, გასაგებია შეძლებული

სომხების მიმართ ქართველი მოსახლეობის ასეთ უარყოფით დამოკიდებულებას რა განაპირობებდა.

ამ ვარაუდს ადასტურებს, 1916 წლის იანვრით დათარიღებული თელავის მაზრის უფროსის წერილი, რომ „გასული 1915 წლიდან მოყოლებული მიმდინარეობს ენერგიული ბრძოლა ქალაქ თელავში ადგილობრივი ვაჭრების სიხარბის წინააღმდეგ, რადგან ისინი ცდილობენ ხელოვნურად მაღლა ასწიონ პროდუქტებზე დაწესებული ფასები“. (62) უნდა ითქვას, ისიც რომ აღნიშნული ტენდენცია - სომეხი ვაჭრების მიერ საქონელზე და პროდუქტებზე ფასების ხელოვნური ზრდა როგორც თბილისში, ასევე გორსა და საქართველოს ტერიტორიაზე მდებარე სხვა ქალაქებშიც შეინიშნებოდა. (63)

გვინდა აღვნიშნოთ, რომ თავის მხრივ, თელავის მაცხოვრებელი დაბალი სოციალური ფენის წარმომადგენელი სომეხი მოსახლეობა, იმ დროს შეძლებულ ზედაფენას და მდიდარ სომეხ ვაჭრებს გარკვეულწილად უპირისპირდებოდა. თელაველი ღარიბი სომეხი ოჯახების წარმომადგენელი ახალგაზრდები არა სომხური სოციალისტური შეფერილობის, რეალურად კი ნაციონალისტური იდეოლოგიის მქონე „დაშნაკუტუნის“ პარტიის თელავის ორგანიზაციაში შედიოდნენ, რომელიც მართალია აქცენტს სოციალურ სამართლიანობაზეც აკეთებდა, მაგრამ ფაქტობრივად შეძლებული ზედაფენის ინტერესებს იცავდა, არამედ რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიაში წევრიანდებოდნენ. (64)

ქალაქ თელავის და თელავის მაზრის ქართველი მოსახლეობის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ ეს კარგად ესმოდათ და შემფოთებული იყვნენ შექმნილი ვითარებით. აღნიშნულ პერიოდში ისინი ქართველებსა და სომხებს შორის დაძაბულობის ზრდას, უფრო სწორედ შეძლებული სომხების მიზეზით, თუ რუსული ადმინისტრაციის მიერ ფარული ნაქმებით გამოწვეული დაპირისპირების მოგვარებას თავისი ძალებით, სხვადასხვა საშუალებებით ცდილობდნენ. მაგალითად, უკვე 1915 წლის 6 ნოემბერს თბილისის უანდარმთა საგუბერნიო სამმართველოს უფროსის მოადგილე თელავში მყოფ უნტერ-ოფიცერ სტეპკინს წერდა: „თელავიდან შენს მიერ გამოგზავნილი ბროშურა, რომელიც ქართულ ენაზეა დაბეჭდილი არანაირ დანაშაულებრივს არ შეიცავს. პირიქით მასში გატარებულია აზრი, რომ ქართველებს და სომხებს შორის დაპირისპირება დღეს-

დღეისობით დაუშვებელია".(65) ამრიგად, უნტერ-ოფიცრის მიერ საჯარაუდოდ ფარული გზებით თელავში „მოძიებული“ ასეთი შინაარსის ბროშურა, აღნიშნულ პერიოდში თელავის ქართველი და სომეხი ეროვნების მოსახლეობის შეგნების და საზოგადოებრივ-პოლიტიკური სიმწიფის მაღალ დონეს, ვფიქრობთ ფაქტობრივად ადასტურებს.

იმ დროს თელავის მაცხოვრებელ დაბალი და საშუალო სოციალური ფენის სხვადასხვა ეთნოსის წარმომადგენლებს, ერთმანეთთან გასაყოფი და დასაპირისპირებელი მიზეზები არ ჰქონდათ. თუმცა, შეძლებულ სომხებს კავკასიის იმდროინდელი რუსული ადმინისტრაცია კავკასიაში და მათ შორის თელავშიც, ეკონომიკური და პოლიტიკური გავლენის გაძლიერებაში ყველანაირად ხელს უწყობდა. ეს კი, ბუნებრივია, თელავის მაცხოვრებელ შეძლებულ სომხებს გარკვეულ ვალდებულებებს უჩენდა რუსეთის იმპერიის ხელისუფლების წარმომადგენლების წინაშე. ამიტომ, ისინი ფაქტობრივად ადგილობრივი რუსული ადმინისტრაციის მოკავშირედ და დამხმარედ იყვნენ ქცეულნი.

შეიძლება ითქვას, რომ გარკვეულწილად, მსგავსი დამოკიდებულება სსრკ-ს ცენტრალური ხელისუფლების მიერ იქნა შენარჩუნებული საბჭოთა პერიოდში. ამის მაგალითია, თელავის მაცხოვრებელი შეძლებული და გავლენიანი სომხების ინიციატივით თელავში რუსული სკოლის დაარსება 1931 წელს. ფაქტობრივად იმ დროს, როდესაც ქალაქ თელავში რუსულენოვანი მოსახლეობის ხვედრითი წილი იყო ძალიან დაბალი, რუსულენოვანი, რუსული სკოლის დაარსება მოსახლეობაში ცენტრალური ხელისუფლების პოლიტიკის გატარების ერთ-ერთი ნაბიჯი იყო. თელავში ქართული ეროვნული ცნობიერების, ქართველი და სომეხი ახალგაზრდობის დაახლოებას, ქართული კულტურის გაზიარებას და გავებას რუსულენოვანმა სკოლამ საკმაოდ შეუშალა ხელი.(66)

დავუბრუნდეთ კვლავ „დაბახნების“ წყაროს მიმდებარე ტერიტორიას. თელავის მემატეანის გ. მელითაურის განმარტებით, მის დროს დაბახნების სარეწები, სადაც ტყავი მზადდებოდა, ძირითადად ოთხ პიროვნებას; ვასილ ჩიკვაიძეს, აბრამ ჭაჭალაშვილს, მარტია ნერსეშაშვილს და გეორგი ჭაჭალაშვილს ეკუთვნოდა.(67)

დაბახნების აღმართი საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში

მოუწესრიგებელ, ოღრო-ჩოღრო ქუჩას წარმოადგენდა. ქუჩის მხოლოდ მარჯვენა მხარეს იყო აშენებული საცხოვრებელი ბინები. დღეისათვის ეს ქუჩაც კეთილმოწყობილია, რიყის ქვითაა მოკირწყლული, რაც ფეხით მოსიარულეებსა და ტრანსპორტს თავისუფალი მოძრაობის საშუალებას აძლევს. არ იქნებოდა ურიგო, მომავალში ქალაქის ახალ ხელმძღვანელობას ეფიქრა ამ ძველი უბნის განვითარების შესახებ, სადაც შესაძლებელია სარეკრეაციო ზონის მოწყობა. მით უმეტეს, რომ ეს უბანი უშუალოდ ზუზუმბოს გორას ემიჯნება, რომელიც თელავის ერთ-ერთი უძველეს დასახლებას წარმოადგენდა. ზუზუმბოს გორიდან ალაზნის ველის და ბუმბერაზი კავკასიონის მთების შესანიშნავი ხედი იშლება.

## ერეკლე II-ის გამზირი

თელავის ცენტრალური მოედნიდან დასავლეთისკენ მიემართება ერთ-ერთი მთავარი ქუჩა, რომელიც ქართველი ხალხის, განსაკუთრებით კი თელაველების საყვარელი გმირი მეფის ერეკლე II-ის სახელს ატარებს. იგი გრძელდება ცივის მთიდან თელავზე ჩამონადენ ხევამდე, რომელსაც თელაველები დღესაც „რიყეს“ უწოდებენ და მასზე გადებულ ე.წ. „ფიქრის ხიდზე“ მთავრდება.

თელავის ხევი, იგივე „რიყე“ ცივის მთიდან იღებს სათავეს. იგი ქალაქს ძირითადად ორ - ძველ და ახალ ნაწილებად ჰყოფს. მათ ხიდი აკავშირებდა, რომელიც ადრიდანვე თითქმის XX საუკუნის 40-იან წლებამდე ხისგან იყო გაკეთებული. იგი ხშირად გამოდიოდა მწყობრიდან. სწორედ ამ ხიდის გაუმართაობის, მოუწესრიგებლობის შესახებ გაზეთ „ივერიაში“ რამდენიმე სტატია იქნა დაბეჭდილი. ერთ-ერთ სტატიაში, რომელის 1888 წლით თარიღდება, ავტორი წერს: „ძლივს ეღირსა თელავს რიყეზედ ხიდის გაკეთება. გააკეთეს, მაგრამ ეხლა ისევ ჩამტვრეულია, ადგილ-ადგილას კანკალით ატარებენ ურმებსა და ეტლებს. ღამით ბევრს უვარდება ხოლმე ფეხი შიგ და საქონელიც ბევრი სახიჩრდება. კარგი იქნებოდა, რომ ამ ხიდისათვის მიექციათ ყურადღება თელავის მეუფროსეებს და რახან აკეთებენ, რიგიანად გაეკეთებინათ.“(68)

აღნიშნული ხიდის შესახებ წერს გიორგი ჯაშიაშვილი, რომ „ფიქრის ხიდი“ და ხევზე მდებარე სხვა ხიდები 1950-1960-იან წლებში აშენდა. მისი სიტყვებით, კაპიტალური ხიდის აშენებამდე ამ ადგილას, საუბარია „ფიქრის ხიდზე“, გადებული ყოფილა ვიწრო ხიდი, რომელიც წყალდიდობას რამოდენიმეჯერ დაუნგრევია. ჯაშიაშვილის სიტყვებით - თელავში დიდი წყალდიდობები რამდენიმე ათეულ წელში ერთხელ მეორდებოდა.(69) ამავე დროს მომხდარა თელავის ხევის ნაპირების გამაგრების ჩატარება, რომელსაც გიორგი მელითაურის თანხმად ხელძღვანელობდა ინჟინერი მიქელაძე.(70)

XXI საუკუნის დასაწყისში ეს ხიდი გარემონტდა, შეიცვალა მისი მოაჯირები, ორთავე მხარეს მოეწყო ტროტუარები, მთლიანად ხიდი რკინა-ბეტონის ფილებით გადაიხურა და მოასფალტდა. მათზე მიმოსვლა უხიფათო და ხელსაყრელი გახდა არამარტო ტრანსპორტისთვის, არამედ ფეხით მოსიარულეთათვისაც. ხიდი ერთგვარად დაამშვენა, იმავე ხევზე, ხიდის მეზობლად, სამხრეთის მიმართულებით აგებულმა დარბაზმა, რომელიც ერთხანს ნავარაუდევო იყო ხელოვნების ნიმუშების საგამოფენო დარბაზისათვის, მაგრამ უკანასკნელ ხანს მასში ადგილი დაიკავა „ბიბლუსის“ წიგნების მალაზიამ და კაფემ.

წინაპართა გადმოცემის მიხედვით, რიყეზე გადებული ხიდი წყალგამყოფი იყო არამარტო ძველი და ახალი თელავისა, არამედ იქ მცხოვრები ახალგაზრდობისთვისაც. სწორედ ხიდის სიახლოვეს, თვით რიყეშიც კი ხშირად იმართებოდა ახალგაზრდებს შორის მუშტი-კრივი. ისინი ერთიმეორის ძალებს ცდიდნენ. ეს განსაკუთრებით ხდებოდა თეატრალური სანახაობის „ბერიკაობის“ დროს, მუშტით ჩხუბი ზოგჯერ ქვების სროლითაც გრძელდებოდა, რომელიც საკმაო რაოდენობით იყო რიყეში. გარდა რიყეზე გადებული ხიდისა, მუშტი-კრივის არენას ნადიკვრის ტერიტორიაც წარმოადგენდა. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ჩხუბში მონაწილე ახალგაზრდობის ურთიერთ-მტრობით კი არა, არამედ მათი ერთმანეთთან დაძმობილებით და დამეგობრებით მთავრდებოდა.

ერეკლე II-ის ქუჩამ რამდენჯერმე შეიცვალა სახელი. უწინ მას „ზემო ბაზრის“ ქუჩას ეძახდნენ. ეს სახელი იმიტომ შეარქვეს თელაველებმა, რომ მას დასავლეთისკენ მიმავალი ადამიანი ბაზართან მიჰყავდა, ბაზარი კი თავდაპირველად გამართული იყო იქ, სადაც ახლა თელავის

მუნიციპალიტეტის (ყოფილი ადმინისტრაციული სახლი) შენობაა. ბაზარზე, სადაც ძირითადად სასოფლო-სამეურნეო და ხელოსნური ნაწარმი იყიდებოდა, ადრე სავაჭრო დახლები არ არსებობდა. საქონელი ძირითადად მიწაზე იყო გაშლილი, თუმცა აქ ფარდულიც იყო, სადაც ინახავდნენ და ჰყიდდნენ ფქვილს და მარცვლეულს, ამ ადგილს სასწორსაც ეძახდნენ. ამ ქუჩას „ზემო ბაზრის“ იმიტომ ერქვა, რომ მის პარალელურად არსებობდა „ქვემო ბაზრის“ ქუჩაც. ეს უკანასკნელი იწყებოდა, იქ სადაც ახლა სტომატოლოგიური პოლიკლინიკაა, ჯინუას ხევის სიახლოვეს.(71) აქედან მოდიოდა ვინრო ქუჩა, რომლის მარჯვენა მხარეზე დარაბები, წვრილ-წვრილი სახელოსნოები იყო მიშენებული. სახელოსნოებში იყვნენ მექვაბეები, ასევე სხვადასხვა საქმის ხელოსნები, რომელთა ნაწარმი როგორც ადგილზე, ისე ბაზრებზე იყიდებოდა. ამ ქუჩის მეორე, მარცხენა მხარეს კი აშენებული იყო სამსართულიანი სასტუმრო, თავისი სავაჭრო სათავსოებით, რომელიც ვაჭარ ძმებს ხეჩოეებს ეკუთვნოდათ. დღეს აქ თელავის ელ. ახვლედიანის სახელობის სამხატვრო სკოლაა მოთავსებული. აქედან ეს ქუჩა უერთდებოდა „ზემო ბაზრის“ ქუჩას იქ, სადაც ერთხანს წყალთა სასისტემო სამმართველო იყო, შემდგომ რაიონის პროკურატურა და ა.შ. ფაქტობრივად „ქვემო ბაზრის“ ქუჩაც მყიდველ-გამყიდველს ბაზარში მიიყვანდა, დღეისათვის ეს ქუჩა გაუქმებულია, საცალფეხო ბილიკილა იყო დარჩენილი, და ახლა ისიც აღარ არსებობს.(72)

მას შემდეგ, რაც საბჭოთა რუსეთმა მოახდინა საქართველოს ოკუპაცია და ბოლო მოუღო საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის არსებობას, ზემოთაც უკვე აღვნიშნეთ, თელავის ქუჩებმაც ჩვენი ქვეყნის სხვა ქალაქების მსგავსად დაკარგეს ძველი ტოპონიმური სახელები. ისინი კომუნისტური იდეოლოგიის შემქმნელების და ლიდერების სახელებით შეიცვალა. ასე მოხდა „ზემო ბაზრის“ ქუჩასთან დაკავშირებით, მას „მსოფლიო პროლეტარიატის ბელადის“ - ვლადიმერ ლენინის სახელი დაერქვა. თუმცა, ერთხანს თელავის მკვი-დრნი მას კვლავ „ზემო ბაზრის“ ქუჩის სახელით იხსენიებდნენ. მხოლოდ საბჭოთა იმპერიის (საბჭოთა კავშირის) დაშლის შემდეგ თელავის ცენტრალურ მოედანს (ყოფილი თავისუფლების მოედანი) და ლენინის ქუჩასაც, ჯერ მერაბ კოსტავას, შემდეგ კი ერეკლე II-ის სახელი მიეკუთვნა. დღეს იგი ერეკლე II-ის გამზირის სახელით არის ცნობილი.

ერეკლე II-ის გამზირი წარმოადგენს გავრძელებას არამართო ცენტრალური მოედნის, არამედ მისი მომიჯნავე, ჯერ კიდევ XVIII ს-ში ერეკლეს მიერ აგებული ციხე-გალაფის, დასავლეთის კარიბჭეს ე.წ. „საზიმო“ შესასვლელის წინ არსებული საკმაოდ ფართო მოედნისაც, სადაც წინა ეპოქებში, მათ შორის XIX საუკუნეშიც კი ბაზრობები იმართებოდა.

გადმოცემით, ამ მოედანზე, საბჭოთა ხელისუფლების დროს, XX საუკუნის 20-50-იან წლებში მუშათა საცხოვრებელი სადგომები, ე.წ. „ბარაკები“ იყო განთავსებული, რომელთა გვერდით ამუწებელი იყო მოგრძო ტიპის შენობა. მასში მოთავსებული იყო კინოთეატრი, სადაც ხდებოდა კინოფილმების ჩვენება. აქვე, ამ შენობის უკანა ეზოში საზაფხულო კინოთეატრის არენაც იყო მოწყობილი.

ამ კინოთეატრის შესახებ გიორგი ჯაშიაშვილი წერს, რომ „კრემლის(73) საზიმო გამოსასვლელის წინ იდგა ქობაძეები – ერთი დიდი ცხენის თავლა, გასაბჭოებამდე ეკუთვნოდა სომეხ ვაჭარს. ცხენების სადგომი გასაბჭოების შემდეგ ჩამოერთვა მეპატრონეს, გადაკეთდა ჯერ მაღაზიად, შემდეგ კინოდ.“(74)

ეს კინოთეატრი თავისი საზაფხულო არენით, XX ს-ის 50-იან წლებში ნგრევაში მოჰყვა და აღნიშნული მოედანი განთავისუფლდა სხვა უსახური შენობებისგან. მოედანი გაასუფთავეს, ციხე-გალაფის სიახლოვეს, მოსკოვის კრემლის მსგავსად, წინვოვან მცენარეთა (კედარის) გაზონი გააკეთეს. აქვე, ცოტა მოშორებით დაიწყო ახალი კინო-თეატრის მშენებლობა, რომელიც ძირითადად XX ს-ის 50-60-იანი წლების მიჯნაზე დასრულდა. ეს იყო ორსართულიანი, საბჭოთა პერიოდის სტანდარტული შენობა, ფართო დარბაზით, რომელიც დაახლოებით 350-400 მაყურებელზე იყო გათვლილი. დარბაზის წინ საკმაოდ დიდი ადგილი ე.წ. „ჰოლს“ ეკავა, საიდანაც ხდებოდა კინო-სენსის წინ მაყურებელთა დარბაზში შესვლა, მეორე სართულზე ერთხანს კაფე ფუნქციონირებდა.

ამ კინო-თეატრის მშენებლობამ შეინიშნა ამ უბნის მოსახლეთა კარ-მიდამოები და დაახლოებით XIX საუკუნის შუა ხანებში აგებული, სომხური გრიგორიანული ეკლესიის ნანგრევებიც, რომელიც წმინდა სარქისის (სუფსარქისის) სახელს ატარებდა. მისი ნაშთი დღესაც მდებარეობს „ქართუ ბანკის“ შენობის უკან. გადმოცემით, ამ ეკლესიის დანგრევა ქალაქის „ათვისტური საბჭოს“ გადაწყვეტილებით

მომხდარა, ჯერ კიდევ XX ს-ის 20-იან წლებში.

მასობრივი კომუნიკაციების საშუალებების, ინტერნეტის გავრცელებამ ფაქტობრივად „მოახრჩო“ კინო-თეატრების საქმიანობა, დაუკარგა ფუნქცია. ამ უკანასკნელ ხანს, XXI-ის დასაწყისში კინო-თეატრის შენობა შეიძინა „ქართუ ბანკმა“ და ამ ბანკის ფილიალი ფუნქციონირებს.

დღევანდელი „ქართუ ბანკის“ შენობის მარჯვნივ ქვითმოკირ-წყლული დაღმართი ჩადის, რომელიც აბანოს ქუჩის სახელით არის ცნობილი. ეს სახელი იმიტომ შეერქვა, რომ ქუჩის ბოლოს მდებარეობდა აბანოს შენობა, რომელმაც თავისი ფუნქციონირება ჯერ კიდევ XVIII-ის შუა ხანებში, ერეკლე II-ის ეპოქაში დაიწყო. ეს აბანო XX საუკუნეშიც საკმაოდ დიდხანს მოქმედებდა.

ამ თავდაღმართი ქუჩის დასაწყისში, ხელმარცხნივ მდებარე ორ-სამ სართულიან „ბელეტაჟის“ ტიპის სახლში XX ს-ის 20-30-იან წლებში განთავსებული იყო საქართველოს შინაგან სამინისტროს თელავის მილიციის განყოფილება, აქვე იყო მოთავსებული საქართველოს საგანგებო კომისიის თელავის განყოფილებაც, „საქ.ჩეკა“-ს ფილიალი, ე.წ. „პოლიტიკური ბიურო“. სწორედ ეს შენობა იქცა საბჭოთა ხელისუფლების მიერ ეჭვმიტანილთა წამების ადგილად, XX ს-ის 20-30-იან წლებში აქ მოთავსებულ სარდაფის დილეგებში იმყოფებოდნენ პატიმრები, აქ ხდებოდა იძულებითი აღიარების მიზნით მათი წამება-გამოტეხვა. აქვე ხდებოდა რეპრესირებულთა ნაწილის დახვრეტაც, შემდგომ კი მათი გვამების „სამხედრო დროგებით“ გადატანა ე.წ. „თელავის გოლგოთაზე“ - „გიგოს გორაზე“, სადაც მათ სახელდახელოდ გათხრილ ორმოებში უპატრონოდ ყრიდნენ და მიწას აყრიდნენ.(75) ამჟამად ამ სახლში, რომელიც საცხოვრებელ ბინას წარმოადგენს, ცხოვრობს არცთუ შორეულ წარსულში ძველი, ძალოვანი სტრუქტურების ვეტერანი შამილ ქუჭაიძე.

ამ სახლის მოპირდაპირედ, ქუჩის მარცხენა მხარეს, „ქართუ ბანკის“ მომიჯნავედ დგას ცნობილი პედაგოგის იოსებ (სოსო) მთვარელი-შვილის სახლი, რომელიც აქ მეუღლესთან, ცნობილ ქ-ნ ნინოსთან (ქალაქ თელავის სახალხო სასამართლოს მოსამართლე) და შვილებთან - ნოდარისთან და ლამზირასთან ერთად ცხოვრობდა. მშობლების გარდაცვალების შემდეგ შვილები თბილისში გადასახლდნენ.

ამავე მოედანზე, მილიციის ყოფილი შენობის გვერდზე, მარჯვენა

მხარეს დგას ერთსართულნახევრიანი ე.წ. „ბელეტაჟის“ ტიპის სახლი, რომელიც თელავის ჯანმრთელობის განყოფილების გამგის შალვა ღვინიაშვილის კუთვნილება იყო. მას ჰყავდა შესანიშნავი ვაჟიშვილი თენგიზი, პიროვნება, რომელზედაც შეიძლება ითქვას, რომ იგი იყო თელავის „ღენდი“. სპეციალობით ექიმი-ქირურგი ბ-ნი თენგიზი დიდი სიყვარულითა და პატივისცემით სარგებლობდა არამარტო მის ყოფილ პაციენტებში, არამედ საერთოდ თელავის საზოგადოებაშიც.

შალვა ღვინიაშვილის სახლის მეზობლად მდებარეობდა ბარძიმოვების სახლი, ხოლო მის გაყოლებზე ერთსართულიანი მოგრძო ტიპის ბინა, რომელიც საერთო საცხოვრებელს წარმოადგენდა აქ ძირითადად არაქართული ეროვნების ოჯახები სახლობდნენ, სახელდობრ: სომხები - აბულოვები, ჰაირაპეტოვები და ებრაელი - კრიხელები, რომელნიც ურთიერთსიყვარულით იყვნენ გამსჭვალულნი არამარტო ერთმანეთის, არამედ მათი მეზობელი ქართველების მიმართაც. აღნიშნული ბინები ე.წ. „ჯინუას ხევს“ გადაჰყურებდა და მათ მისგან ციცაბო ფერდობი ამორებდა.

გიორგი ბარძიმოვმა, თელავზე უზომოდ შეყვარებულმა ადამიანმა, რომელიც იმხანად საქართველოს „გაზიფიკაციის ტრესტს“ ხელმძღვანელობდა და თავისი ბავშვობის წლები თელავში გაატარა, გადანწყობა სამაგიერო საჩუქარი გაეკეთებინა მშობლიური ქალაქისთვის. ბუნებრივი აირის (გაზის) გამოყენების ხარჯზე, მიღებული მონაგებით მან გადანწყობა აეგო რამდენიმე შენობა და ამით გაელამაზებინა თელავი. ბ-ნი გ. ბარძიმოვის ინიციატივას აღფრთოვანებით შეხვდნენ და მხარი დაუჭირეს თელავის მაშინდელმა ხელმძღვანელობამ.(76)

გადაწყდა, რომ უპირველეს ყოვლისა, ყურადღება მიექცოდა ქალაქის ცენტრს. გ. ბარძიმოვის წინადადებით, დაინგრა აღნიშნულ მოედანზე მდგარი არამარტო მისი კუთვნილი ბინა, არამედ უსახური საერთო საცხოვრებელიც.(77) მათ ნაფუძარზე წამოიმართა თელავის მუსიკალური სასწავლებლის აგურით, ლამაზ ქართულ სტილში მოპირკეთებული თითქმის სამსართულიანი შენობა, რომელიც დღესაც ამშვენებს ქალაქის ცენტრს.

ბ-ნ გიორგი ბარძიმოვის ინიციატივით, გადაწყდა ერეკლე II-ის გამზირის დასაწყისშივე აშენებულიყო ერთ-ერთი ულამაზესი შენობა, რომელიც გამოყენებული იქნებოდა არამარტო სახელმწიფო

დანესებულებებისათვის, არამედ თელაველი მოქალაქეებისთვის საცხოვრებლად. ამ მიზნით, ყოფილი ხუციშვილების და პაპუნაშვილების სახლის გვერდზე არსებული, ორსართულიანი სახლში მცხოვრებთა: არევაძეების, ლევიშვილის, ჯავარაშვილის, ა. გორგოძის, ნაცარაშვილის და სხვათა ბინები დანგრეულ იქნა. მის ადგილზე XX საუკუნის 70-80-იან წლებში აშენდა 5-6 სართულნახევრიანი კორპუსი, რომელიც თავისი მხატვრული და არქიტექტურული გადანწყვეტით ერთ-ერთი ულამაზესი შენობა ამშვენებს ერეკლეს ქალაქს. ქუჩის მარცხენა მხარეს ამ სახლის პირველი სართული კაფეს, სავაჭრო ჯიხურებს, მათ შორის საუველირო, ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის ე.წ. ბრენდულ მაღაზიებს, საკონდიტრო საცხობს და სხვ. უკავიათ. ამ შენობის მეორე სართულზე თელავის საქალაქო ცენტრალური ბიბლიოთეკაა განთავსებული, ხოლო ზედა სართულები საცხოვრებელ ბინებს უკავია.

ბ-ნ გიორგი ბარძიმოვის სახელს უკავშირდება ასევე, თელავში სამი საცხოვრებელი კორპუსის მშენებლობა. ორი მათგანი რუსთაველის გამზირზეა აგებული, ხოლო ერთი ალაზნის გამზირზე. აი, ასეთი პიროვნება იყო ბ-ნი გიორგი ბარძიმოვი, რომელმაც დიდი და ღრმა შინაარსიან ცხოვრებასთან ერთად, დაამშვენა თელავი. გადის წლები, ადამიანები ივიწყებენ წარსულის ამბებს. დღეს თელავის საზოგადოებამ ნაკლებად იცის გ. ბარძიმოვის მიერ გაკეთებული კეთილი საქმეების შესახებ. იქნებ ქალაქის მომავალმა ხელმძღვანელობამ მაინც გაიხსენოს მისი ღვაწლი და ერთ-ერთ ქუჩას ჩვენი აზრით, უმჯობესი იქნებოდა ბანკი „ქართუ“-ს სიახლოვეს, მის ხელმარცხნივ მიმავალი ქუჩის პატარა მონაკვეთს, მინიჭებოდა მისი სახელი, იქ, სადაც ბ-მა გიორგიმ ბავშვობისა და სიყმაწვილის წლები გაატარა და არა ის ქუჩა ატარებდეს დღეს მის სახელს, რომელიც იწყება ყოფილი პროფსასწავლებლის შენობიდან და მიემართება სამხრეთის მიმართულებით ძველი ავტოსადგურის მიმართულებით. მისი არსებობის შესახებ მრავალმა თელაველმა არც კი იცის. მისი არსებობის შესახებ.

ერეკლეს გამზირზე აგებული ეს შენობა ყოფილ მეოთხე აღმართის, საქართველოს ოკუპაციის შემდეგ 25 თებერვლის, შემდეგ კამოს ქუჩამდე დღევანდელი 26 მაისის სახელობის გრძელდებოდა. სწორედ იქ იდგა ერთი პატარა სახლი, რომელიც მეჩქემე ნაცარაშვილის

საკუთრება იყო, რომელსაც დაბლა სახელოსნო ჰქონდა, მაღლა კი თვითონ ცხოვრობდა. მის სახლში ტრაგედია დატრიალდა, იმუამად მოურჩენელმა ავადმყოფობამ - ჭლექმა ოჯახი ამოწყვიტა, მისი ნაქონი სახლი ექიმმა ალექსანდრე (საშა) გორგოძემ შეიძინა და სახლს საფუძვლიანი კაპიტალური შეკეთებაც ჩაუტარა. ალექსანდრე გორგოძე ღირსეული პიროვნება და თავისი საქმის კარგი სპეციალისტი იყო. წლების მანძილზე ის ხელმძღვანელობდა თელავის სამედიცინო (ყოფილ საფერშლო) სასწავლებლს. მას ჰყავდა მეუღლე, ქალბატონი ნინო, რომელიც ბებიასაა ჰგავდა თელავის სამშობიარო სახლში. მის ხელებს, საქმისადმი ერთგულებას და უანგარობას უნდა უმაღლოდეს მრავალი ადამიანი, რადგან მისი წყალობით მოევლინენ ამ ქვეყანას. გორგოძეებს ჰყავდათ ერთადერთი ვაჟიშვილი ჯუმბერი (ჯუბო), პროფესიით ისიც ექიმი-უროლოგი.

ბ-ნი ჯუბო მართლაც აღამაზებდა თელავს, მის საზოგადოებას, ეს იყო დაუზარელი პიროვნება, უაღრესად პატიოსანი, უანგარო და, რაც მთავარია, ზრდილობით გამორჩეული. მართლაც მისნაირ ვაჟკაცზე ითქმის „ღენდი“ თელავ-ქალაქისა. მან გამწარებულმა დატოვა თავისი წილი ცხოვრება. მას, ჯერ კიდევ ახალგაზრდობაშივე დაეღუპა თავისი სათნოებით აღსავსე მეუღლე ლამზირა ჩეკურიშვილი. მისი მწუხარება ამით არ დამთავრებულა. სიკვდილმა გამოსტაცა ვაჟიშვილი მამუკა, რომელზედაც იგი ღიდ იმედებს ამყარებდა. არსთა გამრიგემ ესეც არ იკმარა და თავად ბ-ნი ჯუბოც წაიყვანა ზეციურ სასუფეველში.

ნაცარაშვილის ყოფილი ბინის, პირველ სართულზე არსებული მისი სახელოსნო დაიკავა ერთმა უცნაურმა „დალაქმა“ (სტილისტი), მეტსახელად „ჟორჟმა“. ალბათ მას გიორგი ანდა ჟორა უნდა რქმეოდა. მან თავისი სახელი გააფრანგულა და „ჟორჟი“ დაირქვა. საერთოდ, იმ ხანად „დალაქები“ თავიანთი სამუშაო ადგილების ფირნიშებს უცხოური ტერმინებით აფორმებდნენ. მაგალითად, თელავში იყო მეორე სტილისტ-პარიკმახერი, რომლის სადალაქოს ფირნიშზე „ჟოზეფი“ ეწერა.

„ჟორჟს“ გადმოცემით შავი, კუნაპეტივით ხუჭუჭი თმა ჰქონია, გაფუეებული, რომელსაც არც არასდროს ისწორებდა (იკრეჭდა) და ვერც ივარცხნიდა, მისი სიხშირის გამო. როგორც ეტყობა (თანამედროვეთა მონათხრობით) იგი არც სხარტი გონებით გამოირჩეოდა. მას ეგონა, რომ ყველა მისი კოლეგა საქმიანობაში

ეცილებოდა. ამიტომ არც არავის უამხანაგდებოდა და არც რომელიმე გაერთიანებაში („არტელში“) შესულა. „უორჟი“ ისე გარდაიცვალა და დაუკრძალავთ, რომ არავის გაუგია მისი ამ ქვეყნიდან წასვლა. უცოლშვილო ამოწყვეტილა. ერთი ვერსიით, როგორც იუნცებიან, იგი „ნათათრალის“ ვასილ ახვერდოვის ნახევარძმა იყო, მეორე ვერსიით კი იგი გიორგი ხუციშვილი უნდა ყოფილიყო.(78)

ერეკლე II-ის გამზირს (მის მარჯვენა და მარცხენა მხარეს) რამდენჯერმე ჩაუტარდა რეკონსტრუქცია. იგი ჯერ კიდევ XX საუკუნის 40-იანი წლებიდან დაიწყო და XXI ს-ის დასაწყისამდე გრძელდებოდა. XX ს-ის 40-იან წლებში ქუჩის ერთი ნაწილი, მარჯვენა მხარე გაზონს ეკავა, რომელიც მთავრდებოდა ორი ყავისფერი მაღალი სვეტი-კაპიტელით, რომელთაგან დამტვრეული მარმარილოს კენჭებისგან იყო ჩამოსხმული. ეს გაზონი აღმოსავლეთით გრძელდებოდა ცენტრალური მოედნის დასაწყისამდე, კერძოდ კი ერეკლეს ციხე-გალავნის სამხრეთ-აღმოსავლეთის ბურჯამდე, სადაც უნინ სომხური „წმინდა გიორგის“ გრიგორიანული ეკლესია იყო განთავსებული, რომელიც ზოგი ცნობით 1923 წელს, ზოგით კი 1924-1925 წლებში იქნა დანგრეული(78)

გიორგი მელითაურის სიტყვებით „1923 წელს...თავისუფლების მოედანზე, კრემლის დასავლეთ კუთხეში მდგარი იყო ეკლესია, რომელსაც არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა და მიტმასნილი იყო კრემლის კედელზე უშნოდ. ეს ეკლესია გ. ელისაბედაშვილის თაოსნობით დაინგრა. დანგრევა დაევალა ტექნიკ უარსკის. მისი დანგრევა ორმა ვალმოხდილმა ჯარისკაცმა იკისრა.“(79) გ. მელითაურის სიტყვებით, როდესაც გუმბათი მოუნგრევიათ ის გადაქცეულა და ქვეშ ჯარიკაცები მოუყოლებია, რომლებიც ადგილზე გარდაცვლილან.

იმავ ეკლესიის დანგრევაზე წერს გიორგი ჯაშიაშვილიც - „1923 წელს თელავში სომხებისგან ერეკლეს სასახლის, კრემლის კედლის სამხრეთ-დასავლეთ კუთხეში მდგარი ეკლესიის გუმბათს ანგრევდნენ. გოგი ქურციკაშვილის განკარგულებით, ეკლესიის დანგრევა მინდობილი ჰქონდა ვილაც სომეხ ტექსნიკოსს. ეკლესიის გუმბათს ანგრევდნენ თელავის სამხედრო გარნიზონში მდგომი ჯარისკაცები. როგორც შემდეგ გავიგეთ ამ ტექნიკოსმა მისი დანგრევა არა ტექნიკური პირობების დაცვით დაიწყო, რის გამოც ეკლესიის გუმბათი

გადმოინგრა, მოიყოლა სამი ჯარისკაცი.... სანწყლები რა თქმა უნდა დაიხოცნენ.”(80)

XX საუკუნის 40-50 იან წლებში ამ ქუჩამ (ერეკლე მეორის გამზირი), მისმა მარჯვენა და მარცხენა მხარეებმაც მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადეს. ცნობილია, რომ XX საუკუნის შუა ხანებამდე ამ ქუჩის (ახლანდ. ერეკლე მეორის გამზირი) ორივე მხარე, თითქმის ცენტრალური მოედნიდან თელავის ხევამდე ე.წ. „რიყმდე“ განლაგებული იყო ე.წ. დარაბებით, სათავსოებით, რომლებიც ხარაზებს, მეჩეჩმეებს, პარიკმახერებს, მეხინკლეებს, ღურგლებს და სხვ. ეკავათ თავიანთ სადგომებად, სახელოსნოებად. მეორე მსოფლიო ომის დამთავრებამ შესაძლებელი გახადა ჩვენი ქვეყნის ქალაქების, მათ შორის თელავის მოვლა-პატრონობაზეც გაემახვილებინათ ყურადღება და მიეხედათ რათა ქალაქის უსახური ქუჩები კეთილმოეწყოთ და მნახველისათვის მიმზიდველი გაეხადათ.

საფუძვლიანი რეკონსტრუქცია ერეკლე მეორის გამზირმა (ყოფილმა ლენინის ქუჩამ) 1946-1950 წლებში განიცადა. ყოფილი „ზემო ბაზრისა“ და „ქვემო ბაზრის“ შუაში სოლოვიოვისა და ბაღდოელების ორსართულიანი სახლები იდგა. ერთ დროს აქ მოქმედებდა თელავის II უბნის სახალხო სასამართლო, ამას გარდა იქ ცხოვრობდნენ ვახტანგ ჩელთისპირელი და შურა (აღექსანდრა) მოღებაძის ოჯახები, იქვე ბინადრობდნენ სერებრიაკოვების, ახალქალაქელოვების და სხვ. ოჯახები. ეს სახლები დაანგრიეს, საერთოდ გააუქმეს „ქვემო ბაზრის“ ქუჩა და ამ ადგილს საქართველოს მინისტრთა საბჭოს თავჯდომარის ზაქარია ჩხუბიანიშვილის ხელშეწყობით თელავის აბრეშუმის ძაფსაღები ფაბრიკის მუშა-მოსახურეებისათვის აშენდა საკმაოდ გრანდიოზული ოთხსართულიანი შენობა. მის პირველ სართულზე განთავსებული იყო „საქვაჭრობის“ უნივერსალი, რომელშიც ძირითადად სამრეწველო საქონელი იყიდებოდა. ეს უკანასკნელი შემდეგ „ბავშვთა სამყაროს“ უნივერსალმა შეცვალა. ამავე სართულზე ცოტა ხნით გახსნილი იყო სამხატვრო გალერეა, აქვე განლაგდა კერძო პატარა მზა ტანსაცმლის, საკანცელარიო ნივთების და სხვა სახის სავაჭრო ობიექტები. აქვე მოთავსებულია „ჯეოსელის“ საკომუნიკაციო ქსელის თელავის განყოფილების ოფისი.

ამ სახლის გვერდით ქალაქსაც და ქუჩასაც შემორჩა ჩვენ მიერ

„ქვემო ბაზრის“ ქუჩის განხილვისას მოხსენიებული ხეჩოვეების ყოფილი სამსართულიანი „სასტუმროს“ შენობის მხოლოდ ნაწილი, რომელშიც ახლა ელენე ახვლედიანის სახელობის სამხატვრო სკოლა ფუნქციონირებს. მიუხედავად იმისა, რომ თავისი განზომილებით, სიმეტრიულად თითქოსდა იგი არ შეესაბამება მის გვერდით არსებული შენობის ხედს, იგი იმდენად ლამაზად გამოიყურება თავისი ქართული სტილის აივნით, რომ ჩვენი აზრით, მარგალიტივითაა ჩამჭდარი მათ შორის.

სამხატვრო სკოლის გვერდზე XX საუკუნის 40-50-იან წლებში აშენდა სამსართულიანი იმ დროის შესაბამისი (ჩუქურთმებით ე.წ. „როზეტკებით“ და კაპიტელებით დამშვენებული) სახლი. მისი პირველი სართული თავდაპირველად დაკავებული ჰქონდა სამკერვალო ატელიეს, კულტ-საქონლის მაღაზიას და სხვა. ახლა იქ აფთიაქი, ფოტო ატელიე, ერთხანს კაფე, ახლა კი გერმანული ბრენდული საქონლის და ოპტიკის (სათვალეების) მაღაზიებია განთავსებული.

ამ სახლის მეორე და მესამე სართულის ნახევარში, აღმოსავლეთის მხარეს თელაველი მოქალაქეები ცხოვრობენ. უნინ აქ ცხოვრობდნენ თელავის რაიკომის პირველი მდივანი ასათაშვილი, „აღმასკომი“-ს თავჯდომარე მედეა მეზვრიშვილი, „რაივაცრობის“ თელავის განყოფილების უფროსი ვახტანგ მკალავიშვილი, შემდეგ აქ გადმოვიდა საცხოვრებლად პროფესორი აკაკი მეტრეველი და სხვა. ამავე სახლის დასავლეთის მხარეს მეორე და მესამე სართულები სახელმწიფო ორგანიზაციებს ეკავათ. თითქმის XX საუკუნის ბოლომდე აქ განთავსებული იყო ქალაქის საბჭოს აღმასკომი (შემდგომში მერიად გადაკეთებული), ტექნიკური ბიურო და სხვ. ახლა ამ აღნიშნულ მონაკვეთში „გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის თელავის განყოფილების“ ოფისია, აქვეა კახეთის სალიტერატურო ურნალის „ოლე“-ს რედაქცია და სხვ.

ერეკლე II-ის გამზირის მარცხენა მხარეს, დასავლეთის მიმართულებით გაგრძელებაზე, იქ, სადაც ამ ქუჩას უერთდება 26 მაისის ქუჩა, განლაგებული იყო ერთსართულიანი დარაბის ტიპის და ორსართულიანი საცხოვრებელი სახლები.

პირველი შენობა, რომელიც ამ ქუჩების შეერთების კუთხიდან იწყება ადრე მამაცოვების საკუთრება ყოფილა. მის პირველ სართულზე საათების შემკეთებელი სახელოსნო იყო მოთავსებული, მას

მოწყვებოდა ერთგვარი ღია ღუქანი, სადაც ბინის მეპატრონე არტუშ მამაცოვი მოხალულ მზესუმზირას ჰყიდდა. შემდგომ ამ ადგილზე სპორტული მაღაზია „დინამო“ იყო გახსნილი, და აქვე იყო ერთხანს ფოსტის განყოფილება. უკანასკნელ ხანს მესაათების ადგილას ტანსაცმლის მკერავ-შემკვეთებელი და ქსერო ასლების გადამღები ქალბატონები მუშაობენ.

ამ სახლის მეორე სართული შიდა კიბით ორ მობინადრე ოჯახს ეკავა. მათ შორის იყვნენ თელავის სახელმწიფო თეატრის ცნობილი მსახიობები: რესპუბლიკის სახალხო არტისტი თინათინ ბურბუთაშვილი, მისი მეუღლე რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი და სპორტსმენი, თელავის „დინამოს“ ფეხბურთელთა გუნდის მეკარე დოდიკ (დიომიდე) სხირტლაძე თავის შვილებთან ერთად. ამავე სართულზე ცხოვრობდა საქართველოს დამსახურებული არტისტი ედუარდ მოსეშვილი მეუღლე მარინე კიკნაძესთან და ქალიშვილ დიანასთან ერთად. აღნიშნული შენობა ერთგვარი შესასვლელი ჩიხითაა გამოყოფილი მეორე ორსართულიანი სახლისაგან, რომელიც ადრე ინჟინერ სუმბათ სარქისოვის საკუთრება იყო. ამ სახლის პირველ სართულზე მოთავსებული იყო საიუველირო და საკომისიო მაღაზიები. ამ ადგილას ახლა სხვადასხვა საქონლის მაღაზიებია გახსნილი.

ზემოაღნიშნული შენობის გაყოლებამ, თითქმის ფიფინოვის აგურით ნაშენ სახლამდე და მის გვერდით აგებულ ორსართულიან მაღაზიამდე და პირველი მუსიკალური სკოლის ყოფილი შენობის ადგილზე აღმართულ ორსართულიან შენობამდე, რომელიც თელავის რეაბილიტაციის შემდეგ აღიმართა, ერთსართულიანი დარაბები იყო. კერძოდ, აქ იყო სადურგლო სახელოსნო, საპარიკმახერო, ფეხსაცმლის, საკონდიტრო, პურის მაღაზიები, ნორჩ ტექნიკოსთა სადგური და სხვ. ერთ-ერთ დარაბის ადგილზე „საქნიგმა“ ააშენა ორსართულიანი შენობა, ჩვენი ვარაუდით, ის ოცდაათიან წლებში უნდა აშენებულიყო. პირველ სართულზე გახსნილი იყო წიგნებისა და საკანცელარიო ნივთების მაღაზია „სახელგამი“ (სახელმწიფო გამომცემლობა), რომელიც წიგნის მოყვარულთა და მოსწავლეთა საყვარელ ადგილს წარმოადგენდა. ახლა ეს ადგილი „საქართველოს ბანკის“ თელავის განყოფილების ფილიალს უკავია. მეორე სართული, რომლის მშენებლობა „საქნიგმა“ ვერ დაასრულა, შეისყიდა მაშინდელი პარტიის თელავის რაიკომის აგიტაცი-

პროპაგანდის განყოფილების გამგემ, შემდგომში თბილისის მასწავლებელთა სახლის დირექტორმა რუბენ გობეჯიშვილმა. მისი თბილისში წასვლის შემდეგ მეორე სართულზე ცხოვრობდნენ კოლია იარალოვის, შალვა გიგაურის და გიგია გოგოჭურის ოჯახები.

ამ სახლის მეზობლად, რომელსაც „სახელგამისაგან“ დიდი ღია თაღი გამოჰყოფს, მეორე სართულზე, დარაბებს მალლა სახლი ააშენა პარტიის თელავის რაიკომის მეორე მდივანმა სიმონ სილაგაძემ. სილაგაძის ოჯახის თბილისში გადასახლების შემდეგ, ამ ბინაში ცხოვრობდნენ მისურაძეები და ბუჯიაშვილები. ქვედა სართული, რომელიც ადრე ყაზახაშვილების და თხლამიძეების საკუთრება იყო, განლაგებული იყო პურის, სასურსათო, საჩუქრების მაღაზიები და სხვ. ამ ყოფილ დარაბებს მოსდევდა ფიფინოვების ორსართულიანი შენობა, რომელიც ძირითადად საცხოვრებელ ბინებად იყო გამოყენებული, სარდაფის ტიპის დაბალ სართულზე კი ერთხანს ფეხსაცმლის შეკეთების სახელოსნო, ხოლო ახლა საკონდიტრო საცხობი არის მოთავსებული. აქვე სიახლოვეს იყო რკინიგზის საბილეთო სალაროც.

ერეკლე მეორის გამზირის დასავლეთის გაგრძელებაზე თელავის პირველი მუსიკალური სკოლის შენობა იდგა, რომელიც საკმაოდ არასტანდარტულ უსახურ ორსართულიან შენობას წარმოადგენდა. მისგან მოშორებით გზა მიემართებოდა ქალთა პირველი საშუალო სკოლისაკენ, ე.წ. „პეტრიაშვილის სკოლისაკენ“, რომელიც ასევე ვერ აკმაყოფილებდა მოსწავლეთა მოთხოვნებს, ამიტომ, განათლების სამინისტრომ, ქალაქის ხელმძღვანელობის ინიციატივით, მუსიკალური სკოლის გვერდით საფუძველი ჩაუყარა ახალი სკოლის მშენებლობას, რომელიც ძირითადად 1954 წელს შევიდა ექსპლოატაციაში. დღეს მასში თელავის IV საშუალო სკოლაა მოთავსებული.

სკოლასთან ახლოს კერძო მესაკუთრეთათვის ნაკვეთებისა და დარაბების ჩამორთმევა-შესყიდვის შედეგად XX ს-ის 70-80-იან წლებში „ქალაქვაჭრობის“ მიერ აშენებულ იქნა სამსართულიანი უნივერსალური „ნადიკვარი“, რომელმაც სახეცვლილება XXI საუკუნის 10-იანი წლების დასაწყისში, თელავის რეაბილიტაციის შედეგად განიცადა. (81)

ერეკლე მეორის გამზირის მარცხენა მხარის გაყოლებაზე, ყოფილი ფოსტის ასაუალთან, დაინგრა ხანგულოვის მაღაზია, რომელშიც დანგრევამდე საკონდიტრო ნაწარმი იყიდებოდა. აქ არსებული ძველი

შენობის ადგილას, ქალაქის ხელისუფალთა ნებართვით, „საქართველოს ვაჭრობის“ თელავის განყოფილებამ ააშენა სამსართულიანი შენობა. ამ სახლის ქვედა, პირველი სართული დაკავებული ჰქონდა სასურსათო მაღაზიას, რომელიც ამ სავაჭრო ობიექტის გამგის კარაპეტა რევაზოვის სახელის მიხედვით თელაველები „კარაპეტას მაღაზიას“ ეძახდნენ, ახლაც მასში განლაგებულ მაღაზიებს „ნაკარაპეტალს“ უწოდებენ. დღეს ამ ფართზე სასურსათო მაღაზიებსა და ხილ-ბოსტნეულის მაღაზიებია განთავსებული. ამ შენობის მეორე და მესამე სართულებზე არსებულ საცხოვრებელ ბინებში თელაველი მოქალაქეები სახლობდნენ, სახელდობრ აქ ცხოვრობდნენ ჭელიძეები, აშიროვები, გავაშელები, და სხვა. ამჟამად ამ ბინაში თუშაბრამიშვილები და ბაგმანიანები განაგრძობენ ცხოვრებას.(82)

ამ სახლის გავრძელებაზე აქ არსებული საავტომობილო შესასვლელი გზის შემდგომ, მოპირდაპირე მხარეს, კუთხეში ვაჭარ ბეჟანოვების სახლი იდგა. იგი დაანგრის და მის ადგილას ფიქალ-მარმარილოს კომბინატის მონაგები თანხებით, მათი მუშა-მომსახურებისთვის ოთხსართულიანი საერთო საცხოვრებელი აშენდა. იგი მსგავსი იყო ერეკლე მეორის გამზირის დასაწყისში თელავის აბრეშუმის ძაფსაღები ფაბრიკის თანამშრომელთათვის აშენებული სახლის; ორივე მათგანი რუსული ასო „Г“-ს ტიპისა იყო, რადგან ორივე ქუჩათა შემაერთებელ კუთხეებში იყო აშენებული. ქვედა, პირველი სართული დაკავებული ჰქონდათ რკინა-კავეულის მაღაზიას, აეროპორტის სალაროს, ნახევარფაბრიკატების მაღაზიას, რკინიგზის სალაროს, მამაკაცთა საპარიკმახეროს. შემდგომ აქ ერთხანს იყო თელავის რაიონული მილიციის ბავშვთა ოთახი, სამრეწველო და საყოფაცხოვრებო ნივთების მაღაზია, რომელიც დღესაც ფუნქციონირებს. აქვეა საკომუნიკაციო ქსელის „მაგთის“ ოფისი, ქალთა სალონი, სადაზღვევო ოფისი და აეროპორტის სალარო.

ფაქტობრივად, ამ სახლით მთავრდება ერეკლე მეორეს გამზირის მარცხენა მხარე. მას თელავის ხევისაგან („რიყისაგან“) გამოჰყოფს გიორგი სააკაძის ქუჩა, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში ოღრო-ჩოღროს და მოუნესრიგებელს წარმოადგენდა. თელავის ხევი, გაზაფხულობით, თოვლის დნობისას, ან კიდევ დიდი წვიმების დროს

ადიდდებოდა და დიდ ზიანს აყენებდა ქალაქს, მისი ქუჩები ქვალორლით იფარებოდა. ქალაქის ხელისუფალნი ცდილობდნენ გამოსავალი მოენახათ, ჯერ კიდევ XX საუკუნის დასაწყისში, თელავის საქალაქო თვითმმართველობამ თელაველ ვაჭრებს ნება მისცა იჯარით აეღოთ რიყის სანაპიროზე განლაგებული დარბაზთარდულები და ეწარმოებინათ იქ საქონლის, მათ შორის თივის ყიდვა-გაყიდვა. მაგრამ ქალაქის ხელმძღვანელობა ვაჭრებს ავალდებულებდა იჯარით აღებული დუქნების წინ მოეწყოთ წყარო და თავისი ხარჯით რიყის სანაპიროს გასამაგრებლად, აღემართათ კედელი.(83) მაგრამ საიჯარო ქირის სიძვირის გამო ამ პრობლემის მოგვარება იმხანად ვაჭიანურდა, ამას მოჰყვა პირველი მსოფლიო ომი, რევოლუციები, საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება, მისი საბჭოთა რუსეთის მიერ დაპყრობა, მეორე მსოფლიო ომი და ა.შ., რის გამოც ისეთ პატარა ქალაქს, როგორც თელავი იყო, არ გააჩნდა სახსრები მიეხედა ამ საქმისათვის. ხოლო მას შემდეგ, რაც 1977 წლის ივნისში თელავს თავს დაატყდა ღვარცოფი, დიდი წყალდიდობა, რომელმაც აურაცხელი ზარალი მიაყენა ქალაქს, საკავშირო მთავრობამ ყურად იღო თელაველთა გასაჭირი. მან თელავის ხევის და მისი მიმდებარე ქუჩების რეაბილიტაციისათვის გამოჰყო საკმაოდ სოლიდური თანხა (თუ არ ვცდებით - 20 მილიონი მანეთი). ამ თანხით, უპირველეს ყოვლისა, თელავის თავში, ხევის განიერ ადგილას, „ჯვარპატიოსნის“ ეკლესიის ახლოს გაკეთდა ორმხრივი დამბები, რომელსაც უნდა შეეკავებინა ადიდებული წყლისგან მოტანილი ქვალორლი. გარდა ამისა ქ. თელავის თავიდან თითქმის ქალაქის ბოლომდე ე.წ. „აჩინებულამდე“ ხევი („რიყე“) ჩასმული იქნა ბეტონის მარწეხებში და ქალაქის ხელმძღვანელობას საშუალება მისცა, რამდენადმე კეთილმოეწყო ამ ხევის ორივე სანაპიროზე არსებული სააკაძისა და ბახტრიონის ქუჩები. ამ ქუჩების (უფრო სწორად) სანაპიროების გამშვენეირებაზე იზრუნა იმხანად თელავის ი. გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის (ამჟამად უნივერსიტეტის) რექტორმა, პროფესორმა ნიკოლოზ ქორთუამ. მისი ინიციატივით და თავდადებული საქმიანობის შედეგად თელავის ხევის ორივე მხარეს და თვით ინსტიტუტის შემოგარენში გაკეთდა ტყე-პარკი, რომელიც დღესაც ამშვენებს ქალაქს.(84)

ამ უკანასკნელ ხანს ქალაქის მერიამ ეს სანაპირო ზოლი კიდევ

უფრო კეთილმოაწყობ. ხევის ბეტონის კედლები ზემოდან მოპირკეთდა. მასზე რამოდენიმე ადგილას გაკეთდა ლამაზი ფორმის საცალოფეხო ხიდები, ტყე-პარკში კი დაიდგა დასაჯდომი სკამები, რათა ამ უბნის მოსახლეობას საშუალება ჰქონდეს ზაფხულში, საღამოობით მიანიც გამოვიდნენ თავიანთ სახლებიდან, დასხდნენ და გაგრილდნენ ცივის მთიდან მონაბერი ნიაჲით.

აქვე გვინდა შენიშვნის სახით ერთგვარი სამდურავი გამოვთქვათ იმის შესახებ, რომ თელაველებმა, განსაკუთრებით კი ქალაქის თავკაცებმა ღვანღმოსილ ადამიანთა ნაკლები დაფასება ვიცით. თელავის ზოგიერთ ქუცას ისეთი სახელები აქვთ შერქმეული, რომელთა შესახებაც თვით ქალაქის მესვეურებმაც კი არ იციან. ბატონი ნიკო ქორთუას სახელი კი მისი გარდაცვალების დღიდან შემდგომში არავის გახსენებია. ის იყო პიროვნება, რომელიც თითქმის 30 წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა თელავის უმაღლეს სასწავლებელს. მის შენარჩუნებასა და ფეხზე დადგომაში. მისი დიდი დამსახურებაა ერეკლე მეორის სასახლიდან თელავის თავში ე.წ. „ტრინკანთ ბაღში“ გადმოტანაში და აქ სასწავლო კორპუსებისა და საერთო საცხოვრებლის აშენებაში. ამაში ბევრი თელაველი დაგვეთანხმება. იქნებ ქალაქის ხელისუფალთ გამოეჩინათ ყურადღება, პატივი მიეგოთ ამ ამაგდარი პიროვნების მიმართ და მისი სახელი მიეკუთვნებინათ თელავის ერთ-ერთი ქუჩისათვის.

ერეკლე II-ის გამზირის მარჯვენა მხარის აღწერისას, ზემოთ ჩვენი თხრობა XX ს-ის 40-50-იან წლებში აგებულ სამსართულიან შენობაზე შეჩერდა, საიდანაც ფეხით მოსიარულეთათვის რკინა-ბეტონის კიბით ყოფილი „რემედასის“ (ყოფილი „მღებავების“, ახლა კი ზაირა კიკვიძის)(85) ქუჩაზეა ჩასასვლელი. ერეკლეს გამზირის გაგრძელებაზე ქალაქის ხელმძღვანელობის ხელშეწყობით, თუ არ ვცდებით, წყალთა სასისტემო სამმართველომ ააშენა სამსართულიანი სახლი, რომელშიც მეორე და მესამე სართულები მობინადრეებს ეკავათ და დღესაც აგრძელებენ იქ ცხოვრებას, პირველ სართულზე კი წინათ „საზკვების“ ობიექტი, სასადილო იყო მოთავსებული. ახლა მის ნაცვლად რამდენიმე მაღაზია ფუნქციონირებს, რომელთა უმეტესობა მეორადი ტანსაცმლით ვაჭრობს.

ამ სახლის გვერდით შემორჩა XIX საუკუნის ბოლოსა თუ XX საუკუნის დასაწყისში აგებული ორსართულიანი შენობა, რომელიც

მსოფლიო ბანკის საშუალებით განხორციელებული თელავის რეაბილიტაციის დროს ერთგვარად შელამაზდა, კოსმეტიკური შეკეთება ჩაუტარდა, თუმცა საკმაოდ უხარისხოდ. დღეისათვის ის ფაქტობრივად დაუმთავრებელია. ეს ითქმის განსაკუთრებით პირველი სართულის შესახებ, რომლის ოთახების შეკეთება დასრულებული არ არის და მათზე გამოკრული განცხადებები იუნყებიან საჯარო თუ კერძო პირთათვის მათი დაქირავების თუ შესყიდვის თაობაზე. უნინ აქ ერთხანს „რაივაჭრობის უნივერმალი“, „სოიუზპეჩატის“ ოფისი იყო მოთავსებული.

XX საუკუნის 40-50-იან წლების მიჯნაზე ერეკლე II-ის გამზირის აღმოსავლეთის გავრძელებაზე, ღვთაების აღმართსა და თეიმურაზ ბაგრატიონის (ყოფილი კიროვის) ქუჩის გადაკვეთაზე, კუთხეში ქართული ღვინის მწარმოებელმა „სამტრესტმა“ ააშენა სამსართულიანი სახლი. მისი ქვედა სართული ღვინის ჩამომსხმელ საამქროს ეკავა. მეორე და მესამე სართულებზე, ამ საამქროში მომუშავე მუშა-მოსამსახურეები ცხოვრობდნენ.

საამქრომ მალევე შეწყვიტა თავისი წარმოება და შენობა „ფოსტას“ გადაეცა. ამჟამად მის პირველ სართულზე „საქართველოს ფოსტის“ წერილებისა და ამანათების გასაგზავნი და მისაღები დარბაზია განთავსებული, ამ დარბაზს მოპირდაპირე მხარისაგან დერეფანი ჰყოფს, სადაც ერთხანს სალაპარაკო ჯიხურები იდგა და წარმოებდა ტელეგრამების მიღება და გაგზავნა. რეაბილიტაციის დროს ამ ოთახების შეკეთებაც დაუსრულებელი დარჩა და ისინი დღესაც ეძებენ დამქირავებელსა თუ მყიდველს. დღეისათვის ამ შენობის მეორე და მესამე სართულებზე განლაგებულია საკომუნიკაციო ქსელის „სილქნეტის“ ოფისი და მასთან დაკავშირებული საჭირო მონყობილობების ოთახი.

მის მოპირდაპირედ, ღვთაების გორის გავრძელებაზე, რომელიც თეიმურაზ ბაგრატიონის (ყოფილი კიროვის) ქუჩას გადაჰყურებს დგას თელავში არსებულ ნაგებობებს შორის თავისი ფორმით და ასაკითაც გამორჩეული, ორსართულიანი აგურის სვეტებზე - კაპიტელებზე მდგარი, ქართული აივნით დამშვენებული ყაზახაშვილების სახლი, სადაც ბოლო დროს საეკლესიო ნივთების მაღაზია ფუნქციონირებდა.

დასავლეთის მიმართულებით ამ სახლის შენობის (ფოსტის) გაყოლებაზე კარგა ხანს, თითქმის XX საუკუნის 60-იანი წლების შუა

ხანებამდე იდგა სახანძრო რაზმის შენობა, სადაც მოთავსებული იყო არამართო იქ მომუშავეთა ოფისი და სპეციალური ტექნიკის შესანახი სათავსო, არამედ იქვე პირველ სართულზე მონყობილი იყო ავტოფარეხი სახანძრო ავტომანქანებისთვის. მის გვერდით უფრო ადრე ერთსართულიანი საშუალო ზომის შენობა იდგა, სადაც განთავსებული იყო ლუდის დარბაზი.

მას შემდეგ, რაც სახანძრო რაზმისათვის ახლანდელი ჭავჭავაძის გამზირზე (ყოფილი 1905 წლის ქუჩა), რომელიც ერთხანს რუსთაველის სახელსაც ატარებდა, აიგო სპეციალური დიდი შენობა, სახანძროს ყოფილი შენობა თელავის ქალაქის საბჭოს კომუნალურ განყოფილებას გადაეცა. მისი პირველი სართული თელავის სახლმმართველობას დაეთმო.

XX საუკუნის დასასრულს ეს შენობაც, ისევე როგორც ბევრი სხვა უსახური ნაგებობა, ნგრევის არეალში მოჰყვა. მისი დანგრევა, განაპირობა იმან, რომ იგი ამხინჯებდა მის გვერდზე ახლად აგებულ ადმინისტრაციულ სახლს.

იქ, სადაც ადრე „გლეხთა სახლი“ (ღამის გასათევი სასტუმრო) მდებარეობდა და ძველად მას „ღვერს“ ეძახდნენ, იქვე მიწის სიღრმეში ღვინის სარდაფი იყო, რომლის პატრონს ზედმეტ სახელად „სალვინეს“ ეძახდნენ. ამავე სახლს ესაზღვრებოდა რაიკოოპკავშირის ერთსართულიანი უნივერსიტეტის შენობა. ეს სახლები XX საუკუნის 50-იანი წლების შუა ხანებში ნგრევაში მოჰყვა და მათ ადგილზე აშენებულ იქნა სამსართულიანი ადმინისტრაციული სახლი. მასში განთავსდა თელავის რაიონის საბჭოს აღმასკომი, საქართველოს კომუნისტური პარტიის თელავის რაიონული კომიტეტი, რაიონული გაზეთის („ალაზნის განთიადის“) რედაქცია, კომკავშირის თელავის რაიონული კომიტეტი, ე.წ. პარტიული კაბინეტი და სხვა.

საბჭოთა კავშირის დაშლისა (1991 წელი) და საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, არსებითად მთლიანად შეიცვალა როგორც ქალაქის, ისე რაიონული მმართველობის საბჭოური სისტემა. იგი დასავლურ ყაიდაზე გარდაიქმნა, თუმცა, ყოფილ ადმინისტრაციულ შენობას არ დაუკარგავს თავისი დანიშნულება და მნიშვნელობა. დღეს აქ ფუნქციონირებს ქალაქ თელავისა და მისი რაიონის მუნიციპალიტეტი თავისი მერიით, საკრებულოთი და მათში შემავალი სხვადასხვა დარგისათვის

განკუთვნილი ოფისებით. ამავე შენობაშია მოთავსებული კახეთის სამხარეო მმართველობის ორგანოებიც, სახელდობრ, გუბერნატორის რეზიდენცია.(86)

თელავის მუნიციპალიტეტის შენობის დასავლეთით, ოდნავ ქვემოთ, მოქმედებდა ყოფილი საკოლმეურნეო ბაზარი. ბაზარმა საბჭოთა ხელისუფლების წლებში ორჯერ შეიცვალა ადგილი. აქედან იგი გადავიდა იქ, სადაც ხევის მარჯვენა სანაპირო და ი. ჭავჭავაძის გამზირი ერთმანეთს კვეთენ. სწორედ აქ, კუთხეში მოქმედებდა ბაზარი. ამას გარდა, აქ ერთხანს ავტოსატრანსპორტო კანტორის თელავის ოფისი და ავტომანქანების ფარეხი იყო. შემდგომში, ამ უკანასკნელის დანგრევის შემდეგ, ამ ადგილას თელავის „ქალაქვაჭრობამ“ თითქმის სამსართულიანი უნივერსალის შენობა ააგო, რომელსაც ახლა კერძო პირები ფლობენ. მეორედ ბაზარი XX საუკუნის 50-იანი წლების ბოლოს გადაიტანეს იქ, სადაც დღესაა, თავდაპირველად ყოფილი ბაზრის ტერიტორიაზე „ცეკავშირის“ თელავის „რაიკოოპკავშირის“ გამგეობამ თავისი მოძიებული სახსრებით ააშენა სამსართულიანი, განსხვავებული სტილის შენობა, რომელსაც თელაველები დღესაც უნივერსალ „განთიადს“ უწოდებენ. მისი პირველი და მეორე სართული უნივერსალის სექციებს ეკავათ (დღეს მათ კერძო პირები ფლობენ), მესამე სართულზე კი განთავსებული იყო „რაიკოოპკავშირის ადმინისტრაცია“.(87)

თელავის რიყის პირას არსებული უსახური და ე.წ „ბუდრუგანა“ დარაბები სანაპიროს რეკონსტრუქციამ შეინირა. ცნობილია, რომ „ღვთაების“, იგივე „ბაზრის“ გორის დასავლეთი მხარე საკმაოდ ციყაბო ფერდობს წარმოადგენდა და მის ახლოს გავლა ერთობ საშიში იყო. XX საუკუნის 50-იან წლებში ეს ფერდობი თითქმის მთელ სიგრძეზე ბეტონის სქელი და მაღალი კედლით შემოიზღუდა, რამაც, უპირველეს ყოვლისა, უსაფრთხო გახადა ფეხით მოსიარულე ადამიანთა სიციცხლე, რომ მას ზევიდან ქვა ან მიწა არ დაჰყროდა. ამის გარდა, შესაძლებელი გახადა მისი ტერიტორიის ნაწილი შენობების ასაგებად ხელსაყრელი გამხდარიყო. ახლა აქ თანამედროვე ტიპის ნაგებობებია აღმართული, სახელდობრ: აფთიაქები, ფოტო ატელიე, რამდენიმე სავაჭრო ობიექტი, საკონდიტრო საცხობი და სხვა.

წინათ, საკოლმეურნეო ბაზრის ქვემოთ, რიყეზე არსებულ ხიდისყურთან ახლოს, განთავსებული იყო ე.წ. „სასწორი“ თავის

ფარდულთან ერთად, სადაც იწონებოდა, ინახებოდა და იყიდებოდა საკოლმეურნეო ბაზარზე გლეხთა მიერ მოტანილი ფქვილი და მარცვლეული.

ერეკლე II-ის გამზირი, როგორც აღინიშნა, თითქმის თელავის ხევამდე („რიყემდე“) გრძელდებოდა და მთავრდებოდა გიორგი სააკაძის სახელობის მოედნამდე.

## თელავის ცენტრალური მოედანი

საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში გარკვეული ძვრები მოხვდა ქალაქ თელავის აღმშენებლობის საქმეში. უპირველეს ყოვლისა, ახალმა ხელისუფლებამ ყურადღება მიაქცია ქალაქის ცენტრის განაშენიანებას, ე.წ. „თავისუფლების მოედნის“ (ახლანდელი ერეკლე II-ის მოედანი) მოწყობას.

თელავის მემკვიდრეობითაა გადმოცემით, ადრე აქ მოედანი არ ყოფილა, ვინრო ქუჩა იყო მხოლოდ. 1923 წელს, როდესაც თელავის მაზრის პარტიული კომიტეტის მდივანი გიორგი ელისაბედაშვილი გახდა, მისი მითითებით ე.წ. „ძველ ბაღს“ დიდი ნაწილი ჩამოაჭრეს და ქუჩა გააგანიერეს. (88)

„ძველი ბაღის“ შესახებ შესანიშნავი სტატია აქვს დანერგილი თელავის ისტორიული მუზეუმის თანამშრომელს, ან გარდაცვალებულ მდედა (მედიკო) ლომიძეს, რომელიც ხელნაწერის სახით თელავის მუზეუმის ბიბლიოთეკაში ინახება. მოგვაქვს ამონარიდი მდედა (მედიკო) ლომიძის ამ ნაშრომიდან:

„ეს ბაღი, რომელსაც თელაველები „ძველ ბაღს“ ეძახიან, მდებარეობს ერეკლეს სასახლის გალავნის სამხრეთ-დასავლეთით... ძველი ბაღის ტერიტორია გამოყენებული ყოფილა ბაზრობისთვის. აქ იყიდებოდა ახლო-მახლო სოფლებიდან შემოტანილი სურსათ-სანოვაგე, შეშა-ფიჩხი, ჭიგო. აქვე ხდებოდა ცხენების დაქირავება თბილისში წასასვლელად. ერეკლეს სასახლის გალავნის სამხრეთ-დასავლეთით გამართული იყო სასწორი. ცენტრში აღმართული იყო 7-8 მეტრის სიმაღლის უთხოვრის ხის ანძა ბაირალით, 12 საათამდე, სანამ ბაირალი ჩამოეშვებოდა, პროდუქციის გაყიდვა ხდებოდა მხოლოდ ქალაქელებზე, შემდეგ იწყებოდა თავისუფალი ვაჭრობა, ამ ანძას

რამდენიმეჯერ უცვლიდნენ ადგილს. ერთ ხანს რიყეში იყო გადატანილი. ეს კია, რომ 1864 წელს ანძა მოედანზე იყო, რადგან აქ გადაუხდიათ პარაკლისი ბატონყმობის გაუქმების აღსანიშნავად".(89)

ასევე საინტერესო ისტორია აქვს თელავის ცენტრში მდებარე ბაღს, რომელიც „ახალი ბაღის“ სახელითაა ცნობილი. ეს ბაღი „ძველი ბაღის“ სამხრეთითაა გაშენებული. მთელი მისი ტერიტორია უნინ ვინმე ტერ-სარქისოვს ეკუთვნოდა (ამიტომ ტერტერაანთ ბაღს ეძახდნენ). მისი ორსართულიანი სახლი ნაკვეთის ცენტრში იდგა და გარშემო ვენახი ჰქონდა გაშენებული, ხოლო ნაპირას გზის მხარეზე, გამწრევებული იყო სამიკიტნოები, სოფლიდან მოსული ტრანსპორტისა და საქონლის დასაყენებლად „დვორები“.(90)

1920-იანი წლების დასაწყისში დღევანდელი ე.წ. „ახალი ბაღის“ უკვე ადგილას შამბნარით, ძეძვითა და მაყვლის ბარდებით დაფარული დიდი მიწაღარი ყოფილა. გ. ელისაბედაშვილმა, რომელიც გ. მელითაურის სიტყვებით, შეყვარებული იყო თელავზე, ამ ისტორიულ ქალაქზე, შაბათობების მონყოფით, მისი აქტიური მონაწილეობით ბაღის ეს ადგილი გაასუფთავებინა, აქ მდგარი დალაქიშვილის სამიკიტნო გააუქმებინა, დაანგრევეინა და აგრონომ ანდრონიკაშვილის ხელმძღვანელობით დასასვენებელი პარკი გააშენა.(91)

მას შემდეგ, რაც ქალაქის ცენტრში ე.წ. „თავისუფლების მოედნის“ მოწყობა დასრულდა, საჭირო გახდა მისი მიმდებარე ტერიტორიის განაშენიანებაც. კვლავ გ. ელისაბედაშვილის ინიციატივით, არჩევანი შეჩერდა ყოფილი საკრებულოს ბანკის თეატრის შენობად გადაკეთებაზე. თელავში მოქმედ ქართული თეატრის დასს, რომელიც სცენისმოყვარულებით იყო დაკომპლექტებული, თეატრის საკუთარი შენობა არ გააჩნდა. ამ დროს სცენის მოყვარენი იყვნენ: ძმები შაქრო და კოტე ჭელიძეები, ვახტანგ ბაკურაძე, ძმები დავით და ვიქტორ ანყურელები (გამყრელიძეები), და-ძმა ქეთევან და ვახტანგ ბოჭორიშვილები, ალექსი კუპატაძე, ვახტანგ მატარაძე (ჩელთისპირელი), პლატონ ახვლედიანი და სხვ. დასს ხელმძღვანელობდა ადვოკატი მიხეილ ხერხეულიძე. წარმოდგენა-სპექტაკლები იდგმებოდა ე.წ. „კლუბში“ (ყოფილი მუსიკალური სკოლა) შენობაში, შემდეგ კი თეატრში, როცა საკრებულოს ბანკი თეატრის შენობად გადაკეთდა. თელაველები მას დღესაც „ძველ თეატრად“ მოიხსენიებენ.

1924 წელს ეს საქმე ინჟინერ პატკავანოვისთვის დაუვალებიათ, მას იგი პირნათლად შეუსრულებია. (92) თელავის თეატრის ქართულ დასს, რომელიც ძირითადად სცენის მოყვარულთაგან შედგებოდა და მისი მოღვაწეობა თითქმის ორ საუკუნეს ითვლიდა, საკუთარი შენობა გაუჩნდა, რის შემდგომ თელავში თეატრალური ცხოვრება შესამჩნევად გააქტიურდა. თეატრი გაიხსნა დიდი ქართველი რეჟისორის, თელავზე უზომოდ შეყვარებული პიროვნების, კოტე მარჯანიშვილის მიერ დადგმული სპექტაკლით, ლოპე დე ვეგას „ცხვრის წყარო“-თი. ამ სპექტაკლის პირველი დეკორაციები შეასრულა დიდმა მხატვარმა ელენე ახვლედიანმა; პირველი „რამპა“ და ფარდა მოუხატა თელავის პედაგოგიური ტექნიკუმის სახვითი ხელოვნების მასწავლებელ ნიკოლოზ ვინოკუროვს.

ამ შენობაში თელავის სახელმწიფო თეატრის დასი 1960-ანი წლებამდე მოქმედებდა, სანამ ახალი ბალის, ყოფილი გორკის ქუჩის და თავისუფლების მოედნის მიმდებარე შენობების დანგრევის ადგილზე არ აშენდა თეატრის ახალი შენობა. ყოფილი „ძველი თეატრის“ შენობა, კი კულტურის ცენტრს გადაეცა და იქ ფუნქციონირებდა 2011 წლამდე. 2011 წლის დეკემბერში თეატრის ეს ისტორიული შენობა ქალაქის რეაბილიტაციას შესწირეს და მის ნაცვალად აიგო იუსტიციის სახლი, რომელიც ფაქტობრივად არ ჯდება ქალაქის ამ ისტორიული ნაწილის ანსამბლში.

თავისუფლების (ამჟამად ერეკლე II-ის სახელობის) მოედანზე არსებული „ძველი თეატრის“ გაგრძელებას ჩრდილოეთის მიმართულებით, თითქმის ვიზუალურად ყველასგან განსხვავებული, ჩვენი აზრით, „ევროპული სტილის“ ორიგინალური შენობა წარმოადგენდა. იგი დღესაც დგას და დანგრევას გადაურჩა. მისი პირველი სართული და სარდაფი თითქმის XXI საუკუნის დასაწყისამდე №1 აფთიაქს ეკავა, მეორე სართულზე კი საცხოვრებელი ოთახები იყო განლაგებული. ამ ოთახების ნაწილში აფთიაქის გამგეთა ოჯახები იმყოფებოდნენ. ჩვენი აზრით, ზოგიერთი თელაველის ხსოვნაში შემორჩენილი უნდა იყოს პაჭო ცხაკაიას, აბრამ ლაფაურის სახელები. ეს პიროვნებანი გამორჩეულნი იყვნენ არამარტო თავიანთი პროფესიული საქმიანობით, არამედ იმიტაც, რომ მათ აღზარდეს სახელოვანი შვილები. შენობის მეორე სართულზე სხვადასხვა დროს ცხოვრობდნენ: არჩილ თვალიაშვილის, ჯანო გიორგელაშვილის,

მარკოზ ლეკიშვილის, ბაკურ ლუაშვილის ოჯახები. ეს შენობა კიდევ უფრო დამშვენდა მსოფლიო ბანკის მეშვეობით ქ. თელავის რეაბილიტაციის შედეგად. იგი სრულიად განსხვავებულია ყოფილი „ძველი თეატრის“ შესანიშნავი ისტორიული ძეგლის ნაცვლად, უსახუროდ აგებული იუსტიციის სახლისგან, რომელსაც თანამედროვე ქართველმა პოეტმა დავით მალრაძემ მას მართლაც შესატყვისი სახელი ე.წ. „რაფაელოს ყუთი“ უწოდა. ამჟამად ყოფილი აფთიაქის შენობა მთლიანად შეისყიდა თელაველმა ბიზნესმენმა ნოდარ ალაღინმა. რომელმაც ახლა იგი სარემონტო სამუშაოებს აწარმოებს.

„ძველი თეატრისა“ და აფთიაქის სიახლოვეს გამვლელ თელაველს, რომელიც ჯერ კიდევ ცოცხლობს, XX ს-ის 40-50-იანი წლების მიჯნაზე უეჭველად ემახსოვრება აქ კედელთან მიყუდებული კაცი, მეტსახელად „ციმბირელი ვანია“, მას გარდა იმისა, რომ არცერთი კბილი არ გააჩნდა, ფეხის კიდურები ჰქონდა დაავადებული, სიარული უჭირდა და ფეხების თრევით გარბოდა ხოლმე. კეთილი თელაველები მას ეხმარებოდნენ და საზრდოს აძლევდნენ. ჩვენი აზრით, ციმბირში ე.წ. „გულავის“ ყოფილი პატიმარი უნდა ყოფილიყო. არავინ იცოდა მაშინ მისი ისტორია.

აქვე, აფთიაქთან თითქმის ყოველდღიურად შეხვდებოდნენ აქ მყოფ ე.წ. „ძველ ნარკომანებს“ - იოსკას, გეშპანას, ბულბულას, მათი ყოფნა განპირობებული იყო იმ მიზნით, რომ აფთიაქიდან გამოეტანათ „მორფიუმი“, მისი საშუალებით მოეხსნათ ის ტკივილები, ე.წ. „ლომკები“, რომლებიც მათ წამლის მიღებამდე ემართებოდათ. ეს ადამიანები აღრიცხვაზე იყვნენ აყვანილნი და მათ სახელმწიფო - სამედიცინო კანონმდებლობა ნებას რთავდა გამოეტანათ აფთიაქიდან ეს მომაკვდინებელი ფსიქოტროპული წამალი.

თავისუფლების მოედანი ერთხანს ერთ-ერთი თავშესაკრები ადგილი იყო თელაველი მოქალაქეებისათვის მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში. იგი ნადიკვრის პარკთან ერთად სასაიერნო ადგილს წარმოადგენდა. ამ ადგილას გამვლელი აქაც შეხვდებოდა, ავადმყოფობისაგან თუ ცხოვრების ბედუკუღმართობისაგან გასაცოდავებულ ადამიანებს.

ერთ-ერთი ასეთი იყო პიროვნება, ეროვნებით რუსი, ყოფილი ოფიცერი, რომელიც თელავში „ცალხელა ვიქტორის“ სახელით იყო ცნობილი. მიუხედავად იმისა, რომ მას ერთ ხელი ომში ჰქონდა

დაკარგული, საკუთარი ფიზიკური ძალის მეშვეობით მაინც ახერხებდა, ლუკმა-პურის შოვნას და არ მათხოვრობდა. იგი ცალი ხელით აპობდა შემას და თავისი შრომის საზღაურად ახერხებდა თავის რჩენას და აღებული ფულით ალკოპოლით იქარვებდა დარდსა და ნაღველს.

აქვე, თავისუფლების მოედანზე, ახალი ბაღის წინ გამგლეღი დაინახავდა კიდევ ერთ ხელმოცარულ ადამიანს, რომელსაც თელაველები „ბარო გიგოლას“ ეძახდნენ. ბარო, ბარეცქეს ნიშნავს გამარჯობას სომხურად. რა მდგომარეობაშიც არ უნდა ყოფილიყო ის თუ მისეალმებოდი და ეტყოდი: „ბარო გიგოლ“, იგი მაშინათვე გიპასუხებდა წვრილი, სუსტი ხმით - „ბარო, ბარო“, გიგოლა ერთ დროს მუშაკაცი, ხელობით ბონდერი, ხის კასრების მკეთებელი ყოფილა. როგორც ჩანს, იგი უპატრონოდ, უსახლკაროდ დარჩენილა და ღამეს ყოფილი სტადიონის (ახლა კორტების) მიმდებარე ადგილას გამართულ ღია „საჭიდაობე“ ათევდა. მას საკუთარი ნუგეშისმცემელი ნათესავი არავინ გამოუჩნდა, გარდა თელაველი კეთილი ადამიანებისა. უპატრონოდ მიტოვებულს აღმოხდა სული.

მისი გაპატიოსნება და დაკრძალვა თელავის თეატრის მსახიობებმა და ქალაქვაჭრობის მომსახურებმა ითავეს, რომელთაც ალექსი კუპატაძე და შაქრო ბერიაშვილი ხელმძღვანელობდნენ. სასახლე თეატრის სადურგლოში დაამზადეს. მიცვალებული ჩვეულებრივი ქრისტიანული წესით, დიდი პატივით დაკრძალეს, ჭირის სუფრა კი ნადიკვარზე არსებულ სასადილო პავილიონში გაშალეს.

გასული საუკუნის შუა ხანებში მცხოვრებთ, რომლებიც დღესაც ცოცხლობენ, ალბათ ემახსოვრებათ კიდევ ერთი თელაველი, ყადორის უბნელი დავით სერგეიჩი, გვარად აბრამოვი. იგი ერთგვარად თელავის კოლორიტს წარმოადგენდა თავისი ქცევით, სიტყვა-პასუხით. მან საკუთარი სიცოცხლის დიდი ნაწილი ციხე-საპატიმროებში გაატარა. იყო ლოთი, წვრილმანი ქურდი, გამოუსწორებელი რეციდივისტი, თავისუფლებაში ყოფნისას ის თავის განუყრელ ძალღთან, რომელსაც „ბობიკას“ ეძახდა, ჩამოვიღიდა ქალაქის ცენტრალურ ქუჩაზე, მოედანზე, დაინახავდა თუ არა იქ ახლო მყოფ მილიციის ფორმიანს, თავის ძალღს ამ სიტყვებით მიმართავდა: „ბობიკ! ბობიკ! ფაშისტების სისხლი ავიღოთ!“

XX საუკუნის 40-იანი წლების მეორე ნახევარსა და 50-იანი წლების შუა ხანებში ქალაქს და საერთოდ თელავის რაიონს მცირერიცხოვანი

მილიციის თანამშრომელთა შემადგენლობა ჰყავდა. მისი უფროსი იყო გამოცდილი ჩეკისტი, უპატიოსნესი პიროვნება, მაიორი რუბენ ალხაზოვი, ლეიტენანტის ჩინს ატარებდა უორა აბულოვი, რიგითი მილიციონერები იყვნენ: კოლა ბაჩიაშვილი, გულო ჯანდიერი, ვართანა სულხანიშვილი, რამანა, კუდიანი (ამ ორი ადამიანის გვარები არ გვახსოვს), ქიშოშვილი, უსუფ უსუფოვი, კონუხი (ცხენების მომვლელი) ავეტო. აი, ეს მცირე შემადგენლობა ამყარებდა წესრიგს მთელ რაიონში.

თავისუფლების მოედანზე მუდმივად იმყოფებოდა კოლა (ნიკოლოზ) ბაჩიაშვილი, მას ბუდიონივით გაშვებული უღვაშები ჰქონდა, მილიციის ფორმაში ჩაცმული ფელდმარშალივით აივლიდა და ჩაივლიდა მოედანზე. მისი შიშითა თუ მოკრძალების გამო არავინ არღვევდა ახლო-მახლო მცხოვრებ თუ გამგლეულ ადამიანთა მყუდროებას.

იმ დროის ახალგაზრდობა შიშსა თუ საკუთარი გონივრული შეხედულებების გამო ერთგვარად ნორმალურ ცხოვრების წესს მისდევდა. იშვიათი იყო ქალაქის ცენტრალურ ადგილებში ვინმეს აეტეხა დებოში, ჩაედინა ხულიგნობა, ქურდობა, ელანძლა და ეგინებინა.

კიდევ ერთი დეტალს გვინდა შევხებით, რის მომსწრეც ნაწილობრივ ამ წიგნის ერთ-ერთი თანაავტორი არის. მილიციის თანამშრომელთა ერთგვარი „სისასტიკე“ გამოიხატებოდა იმაში, როდესაც სტადიონზე ფეხბურთის მატჩი იმართებოდა. მილიციონერები ცხენებზე ახმედრებულები ჭენებით დარბოდნენ სტადიონის დასავლეთის კედლის სიახლოვეს და გალაგნიებიდან ყრიდნენ მასზე აცოცებული უბილეთო ბავშვებს, თუმცა ამ ბავშვების ნაწილი მაინც ახერხებდა გალაგანზე ასვლას და ტრიბუნებზე მოკალათებას.

თელაველ მამაკაცთა უფროსი თაობის თავშესაკრებ ადგილს, თელავის ერთ-ერთი მართლაც კოლორიტი ადამიანის, გეგეს იგივე გეგეჭკორის (მიხეილ სულხანიშვილის) სასადილო წარმოადგენდა - სადაც მოდიოდნენ ძია მიშას (გეგეს) თანამეინახენი: კუნა (მიხეილ) და გოგლა დაღუნდარიძეები, ძმები ერისთავები, ზაალ მახიტაშვილი (ზალა), გიქორა, ქოჩორა და „ძმანი მისნი“. აქედან ისინი მიემართებოდნენ მონიშნულ ადგილებში „ზარისა“ თუ „აჩკოს“ სათამაშოდ. ამ აზარტულ თამაშებში კლაგდნენ გარკვეულ დროს. მათ

კვალს დაადგინენ მომდევნო თაობის წარმომადგენლები: არკაშკა, გიჟუა (ორივე მათგანი ამ თამაშობას შეენიღნენ), ლუხუტა, შირე, მალენკი, კალიჩა და სხვა. დღეს მათგან აღარც ერთი არ არის ცოცხალი. ყველაფერი ეს ისტორიას ჩაბარდა, ბოლო მოეღო ამ სახის აზარტულ თამაშობას. სამაგიეროდ დღეს დასავლეთის მიბაძვით გაჩნდა კაზინოები. ტოტალიზატორები, რომლებიც ღუპავენ ახალგაზრდობას. დროა ამასაც მოეღოს ბოლო.

„თავისუფლების მოედნის“ (ერეკლე II-ის მოედანი) სამხრეთ-აღმოსავლეთით, ელენე ახვლედიანის ქუჩის დასაწყისში დგას ისტორიული შენობა, იგი არაუგვიანეს XIX საუკუნის შუა ხანებში უნდა იყოს აშენებული. მას „ზაუტაშვილების სახლს“ უწოდებენ. ამ სახლის პირველადი პატრონი სოფიო გიშერის ასული ვახვახიშვილი იყო, რომელიც გათხოვილი იყო ცნობილი ქართველი ისტორიკოსის, ივანე ჭავჭავაძის ძმაზე, რომელთანაც მას შვილი არ შესძენია. ქალბატონი სოფიო დიდი სიყვარულით იყო განწყობილი თავისი მამლის, მომავალი დიდი ქართველი ისტორიკოსის, ივანეს მიმართ და მას პეტერბურგში სწავლისას, სტუდენტობის პერიოდში მატერიალურ დახმარებას უწევდა. სოფიო იყო დიდი ღვთისწიერი პიროვნება, რომელიც ასევე მატერიალურად ეხმარებოდა თელავის წმინდა ნინოს ქალთა სასწავლებლის ღარიბ გოგონებს. გადმოცემით მას რამდენიმე გოგონა კიდევ გაუზრდია.

სოფიო საკმაოდ განათლებული ქალბატონი ყოფილა. მის ბინაში თელავში ხშირი სტუმრები ყოფილან ილია ჭავჭავაძე, ვაჟა-ფშაველა, რაფიელ ერისთავი და სხვა. ფაქტობრივად, სოფიო ვახვახიშვილის სახლი დიდებულ ქართველ მწერალთა თავშესაფრის ადგილს და ლიტერატურულ სალონს წარმოადგენდა.(93)

თელავის ცენტრს, განსაკუთრებით კი „ბატონის ციხე-გალავანს“ თავისი ხიბლი მისცა და საერთო ანსამბლში ჩართო ციხე-გალავანის წინ, საზარბაზნე ბურჯის ახლოს აღმართულმა ცხენზე ამხედრებული ერეკლე II-ის ბრინჯაოს ქანდაკებამ, რომელიც 1971 წელს დაიდგა. მისი ავტორია ცნობილი მოქანდაკე მერაბ მერაბიშვილი. აღნიშნული ქანდაკება ფაქტობრივად თელავის სავიზიტო ბარათად იქცა და ქალაქის ლოგოს მნიშვნელობაც შეიძინა.

## რუსთაველის გამზირი და მისი სახეცვლილებები

XX საუკუნის 60-იან წლებში დაიწყო ახლანდელი რუსთაველის (ყოფილი „ყვარლის“, შემდგომ „ვაგზლის“, „ფ. მახარაძის“) გამზირის რეკონსტრუქცია, რომელიც XXI საუკუნის 10-იან წლებამდე გაგრძელდა. აღნიშნული გამზირის გარკვეული მონაკვეთი თითქმის ისტორიულ, მრავალსაუკუნოვან ჭადრამდე ხელახლა მოპირკეთდა და მოსაწონი გახდა, როგორც ადგილობრივი მოსახლეობისათვის, ისე სტუმართათვისაც. რაც შეეხება მის მარჯვენა მხარეს, სადაც 1930 წელს ადმინისტრაციული სახლი და სასტუმრო „თელავი“ იყო აგებული, ახალი სასტუმრო აშენდა „ჰოლიდი-ინი“-ს სახელწოდებით. მის გვერდით, ახლანდელი „ბაზის ბანკის“ ადგილას, ჯერ კიდევ 1924 წელს „ნერსესას ღუქანი“ ყოფილა დიდი ეზოთი, ყოჩით, არღნით. ნერსესა ყარაჩოხულ ტანსაცმელში იყო გამოწყობილი, განიერი შარვლით, ახალუხით, ვერცხლის დიდი ბალთიანი ქაშრით, ჩაგარმონებული ჩექმებით, ჩანკნიკებული ჩოხით და კარტუზიანი ქუდით. მის გვერდზე იყო ასეთსავე ტანსაცმელში გამოწყობილი, ლოყაზე დაგრეხილი ხალით მეარღნე. აი, აქ ქეიფობდნენ და დროს ატარებდნენ უქმად მოსიარულე თავადები და ხანდახან ხელოსნებიც. 1928 წელს ბანკის შენობის გახსნამ, 1930 წელს კი მის გვერდით სასტუმროს აგებამ, ნერსესას ღუქნის გაუქმება განაპირობა.(94)

ბატონის ციხე-გალავნის სამხრეთით, ძველი ბაღის ტერიტორიაზე 1927-1928 წლებში აიგო საქალაქო ბიბლიოთეკის შენობა, რომლის აგების ინიციატორი იყო ბოლშევიკური პარტიის თელავის რაიონული კომიტეტის მდივანი არტამ გეურქოვი. მართალია, ბიბლიოთეკის გახსნა კეთილშობილური საქმე იყო და იგი ხელს უწყობდა ხალხის განათლებას, მაგრამ ეს შენობა ისეთ უხერხულ ადგლზე იქნა აგებული, რომ ფაქტობრივად ეფარებოდა და არღვევდა ბატონის ციხის ანსამბლს. ამიტომ იყო, რომ ქალაქის მესვეურებმა XX ს-ის დასასრულს მოახერხეს მისი აღება. იგი ფაქტობრივად თელავის რეაბილიტაციას შეენირა.(95)

ზემოთ ნაწილობრივ შევეხეთ რუსთაველის გამზირს, მის მცირე მონაკვეთზე განხორცილებულ აღმშენებლობას, რომლის მარცხენა მხარეზე, ჩრდილოეთით განლაგებული ძველი ისტორიული შენობები ასლანოვების, ბურჭულაძეების, ლაზარიაშვილების და სხვ. ერეკლე II-

ის ქანდაკების დადგმას შეეწირა.

რუსთაველის გამზირის ამ მონაკვეთის მარჯვენა მხარეს, სადაც 1930 წელს სასტუმრო „თელავის“ და ქალაქ თელავის კომუნისტური პარტიის კომიტეტის შენობა იდგა (სასტუმროს დათმობილი ჰქონდა მესამე-მეოთხე სართულები), გვერდით ბილიკი მიემართებოდა.

დიდი ქართველი ბელეტრისტის ვასილ ბარნოვის დაბადების 100 წლისთავთან დაკავშირებით, რომელიც აქ მდგარ დიდი ერეკლეს მსაჯულის, ცნობილი ქართველი პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწის, სოლომონ ლიონიძისეულ სახლში ცხოვრობდა, ვასილ ბარნოვის მემორიალური დაფით დაამშვენეს. იგი თითქმის მეოთხედი საუკუნის მანძილზე ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობას თელავში არსებულ სასწავლებლებში. მადლიერმა თელაველებმა ეს ბილიკი გაჭრეს, გაათაროვეს, ქუჩად აქციეს და მას ვასილ ბარნოვის სახელი მიანიჭეს.

ფაქტობრივად, „რუსთაველის გამზირის“ ეს მცირე მონაკვეთი თელაველი ინტელიგენციის ნავთსაყუდელი იყო. აქვე მარჯვენა მხარეს იდგა მაჭავარიანების ორსართულიანი სახლი. ამ სახლის უფროსი იყო მეფის მთავრობის ოფიცერი, პოლკოვნიკი სოლომონ (სოსიკო) მაჭავარიანი, არაერთი კეთილი საქმის განმხორციელებელი. იგი მონაწილე, უფრო სწორად თანამგრძობი იყო 1924 წლის აჯანყებისა, რომელიც საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ბოლო აკორდს წარმოადგენდა. აჯანყების ჩახშობის-თანავე ს. მაჭავარიანი სხვა ქართველი პატრიოტებთან ერთად 1924 წლის 1 სექტემბერს ჩეკას ჯალათებმა თელავის „ჯვარცმულ“ ადგილას, „ვიგოს გორაზე“ დახვრიტეს.(96) სოლომონ მაჭავარიანს ჰყავდა მეუღლე ნინო არჩილის ასული მაჭავარიანი, დამსახურებული პედაგოგი, იგი წლების მანძილზე რუსულ ენასა და ლიტერატურაში ლექციებს კითხულობდა თელავის პედაგოგიურ ინსტიტუტში. სოლომონს დარჩა ორი შვილი: ქალი ეკონომისტი, ვაჟი ინჟინერი.

მაჭავარიანების მეზობლად იდგა ციციქიშვილების საკმაოდ მოზრდილი შენობა.(97) ციციქიშვილებიდან თანამედროვენი ასახელებენ ვასოს, გიორგის, ვანოს და კიდევ ერთ ძმას, რომელმაც დაამთავრა რა გიმნაზია, უმაღლვე რეპერსირებულ იქნა. გარდა ვაჟებისა, ჰყავდათ ქალიშვილებიც, რომლებიც თბილისში იყვნენ გათხოვილები.

ძმებს შორის აღსანიშნავია ვასილი (ვასო). იგი გიმნაზიის დამთავრების შემდეგ სწავლის გასაგრძელებლად საფრანგეთში, მონპელიეში იქნა გაგზავნილი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის განათლების სამინისტროს მიერ ქართველ სტუდენტებთან – შალვა ქიქოძე, ლადო გუდიაშვილი, ალექსანდრე ქართველიშვილი და სხვებთან ერთად. იგი მონპელიეს უნივერსიტეტში აგრონომიას სწავლობდა.(98) თანამედროვენი მას დადებითად ახასიათებენ, რომ იგი იყო იშვიათი ნიჭისა და, რაც მთავარია, კარგი ადამიანი. იგი საქართველოში არ დაბრუნდა და საზღვარგარეთ დარჩა. სხვადასხვა ცნობით ვასილ ციციქიშვილი ევროპაში მოქმედი ქართული ემიგრაციის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაციის „თეთრი გიორგის“ მონპელიეს განყოფილების ხელმძღვანელი იყო.

ძმებს შორის ასევე გამოირჩეოდა გიორგი. იგი ქართულ ენას ასწავლიდა გიმნაზიაში, იყო ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წევრი. სკოლის დირექტორ ზაქარია კლიშიაშვილთან ერთად იგი თელავში ეროვნული მოძრაობის ლიდერი იყო. გიორგი ციციქიშვილის გავლენით თელავში მოსწავლეები ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის რიგებში იყვნენ გაერთიანებულნი. ეროვნული სულისკვეთებით გამსჭვალული უფროსკლასელები ხშირად ტოვებდნენ სწავლას და მიდიოდნენ ქართული არმიის რიგებში მტრის წინააღმდეგ საბრძოლველად. მათ შორის, 1921 წლის თებერვალში თელავიდან წასულ მოხალისეებში, სწორედ გიორგი ციციქიშვილის მოსწავლეები შეებრძოლნენ წითელი არმიის ნაწილებს, ჯერ ლაგოდეხთან, შემდეგ კი გურჯაანში.

1924 წელს გიორგი ციციქიშვილი საბჭოთა ხელისუფლების მიერ რეპრესირებული იქნა. იგი 1924 წლის სექტემბრის დასაწყისში სხვა თელაველებთან ერთად დახვრიტეს „გიგოს გორაზე“. (99) გიორგი ციციქიშვილის ახლო ნათესავი იყო ქაქუცა ჩოლოყაშვილი, ვისთანაც მას ძალიან კარგი ურთიერთობა აკავშირებდა. გიორგის დარჩა მეუღლე და ორი შვილი. მისი ვაჟი, რომელიც გიორგის გარდაცვალების შემდეგ დაიბადა, ჯერ კიდევ ახალგაზრდა იმის გამო, რომ სურდა მამის მკვლელებზე შური ეძია, დააპატიმრეს და პატიმრობაში გარდაიცვალა. მეორე შვილი კი იყო ცნობილი მომღერალი ციცინო ციციქიშვილი, რომელიც, როგორც გიორგი მელითაური წერს „თავისი ხავერდოვანი ხმით დიდი ხნის განმავლობაში ამშვენებდა ქართულ საესტრადო

სცენას". (100)

გიორგი ციციშვილის ძმა ვანო დიდი ხნის განმავლობაში ცხოვრობდა თავის მამაპაპულ სახლში. თუმცა, ციციშვილების ეს სახლი ისტორიული ჭადრის ეზოს და რუსთაველის ქუჩის კეთილმონყობამ შეინირა XX საუკუნის 70-იან წლებში.

რუსთაველის გამზირის ამ მონაკვეთზე თავისი ისტორია აქვს ე.წ. „ბატონის წყალს“. ეს წყარო საკმაოდ დიდი ასაკის უნდა იყოს, რადგან დღესაც მას „ბატონისას“ ეძახიან. დიდი ხნის განმავლობაში თელავის კარგად მოზრდილი უბანი „ბატონის წყლით“ სარგებლობდა. როგორც თანამედროვენი გადმოგვცემენ: „აღბათ, ბევრს ეხსომება არაქელას ვირის ორთვლიან საზიდარზე დადგმული კასრი, რომლითაც ეზიდებოდნენ სასმელ წყალს ერეკლეს ციხე-გალავნში არსებულ ციხეში პატიმრებისთვის და როცა მოიცილიდა, ეს საზიდარი მოსახლეობასაც ემსახურებოდა. ასე იყო, ვიდრე წყალსადენს გაიყვანდნენ ქალაქში, მათ შორის საპატიმროსა და სკოლებში.“

პირველი წყალსადენი თელავში 1920-იან წლებში იქნა გაყვანილი. XX საუკუნის 40-50-იან წლებში, როცა ქუჩები მოიკირწყლა და ასფალტი დაიგო, „ბატონის წყარო“ ფაქტობრივად დაიმარხა. წყალი დაბინძურდა და უკანალიზაციობის გამო სასმელად გამოუსადეგარი გახდა. ადგილობრივმა ხელისუფლებამ ყურადღება გაამახვილა მის აღდგენაზე და არქიტექტორ რევაზ სარალიძის შრომით „ბატონის წყარო“ აღსდგა მკვდრეთით და დღესაც თავისი სილამაზით მნახველს სიამოვნებას გვრის.

„ბატონის წყლის“ გვერდით, „ფიქრის გორის“ დასავლეთის კალთაზე, ყოფილი „საჭაშნიკე“-ს ადგილას, თელავის რეაბილიტაციის დროს, რომელიც მსოფლიო ბანკის სახსრებით იყო დაფინანსებული, აგებულ იქნა ღვინის ქარხნა „თელავის მარანი“-ის საგამოფენო დარბაზი, რომელიც თავისი არქიტექტორული გადაწყვეტით მნახველის ყურადღებას იპყრობს.

ახლანდელი „რუსთაველის გამზირი“ უნინ ერთ დიდ მრუდე, გრძელ ქუჩას წარმოადგენდა, რომელიც რკინიგზის სადგურამდე გრძელდებოდა. ამჯერად, ჩვენ არ შევეცადეთ სრულად აღგვეწერა ამ ქუჩის განაშენიანების ისტორია და შევეცადეთ რამდენიმე ისტორიულ ადგილზე გაგვემახვილებინა მკითხველის ყურადღება.

## ისტორიული ჭადარი

გვინდა შევეხოთ ისტორიული ჭადრისკენ მიმავალ ქუჩას, რომელსაც ფაქტობრივად ნაწილობრივ შეეხო რეაბილიტაცია, კერძოდ, მის შემოგარენში აშენდა კაფე-რესტორანი. ამ ქუჩაზე ღვას მრავალსაუკუნოვანი, XIX საუკუნეში 800 წელს, XX საუკუნეში 900 წელს და XXI ს-ში უკვე შესაძლებელია, 1000 წელს მიღწეული ბუნების სასწაული, ბუმბერაზი ჭადრის ხე. ამ ჭადრის ქვეშ გამოჩენილ ადამიანთა საპატივსაცემოდ თელავის საზოგადოების მიერ იმართებოდა ნადიმები. 1893 წელს დიდმა ილიამ თელავში ჩაატარა კახელ მევენახეთა ყრილობა და ჭადარსაც ეწვია, სადაც ნადიმი გაიმართა; 1911 წელს, „ილიაობაზე“ საგანგებოდ თელავში ჩამოსულ აკაკი წერეთელს, ჭადრის ხის ქვეშ გაუმართეს ნადიმი, რომელზედაც აკაკიმ მგზნებარე სიტყვა წარმოსთქვა; აქვე, 1914 წლის 16 ივნისს, თელავის ინტელიგენციამ ნადიმი გაუმართა მსოფლიო მნიშვნელობის მეცნიერს, პეტერბურგის მეცნიერთა აკადემიის აკადემიკოსს, დიდ ქართველოლოგს ნიკო მარს, რომელიც ზემო ალვანში უნდა წასულიყო წავათუშური (ბაცბური) ენის შესასწავლად, რომელიც თურმე მან ძირითადად ორ კვირაში აითვისა.(101)

ჭადრის ქუჩა იმითაცაა აღსანიშნავი, რომ აქ საკუთარი სახსრებით აგებულ სახლებში, ერთი მეორის მეზობლად ცხოვრობდნენ საქართველოში პირველი კომუნის (გულგულის) დამაარსებელი, თავისი შემოქმედებით ყველასგან განსხვავებული პიროვნება ივანე კოლეღიშვილი და ასევე ცნობილი პედაგოგი ივანე როსტომაშვილი.(102)

თელავის ისტორიის მემატიაწეთა გადმოცემით, ივანე კოლეღიშვილი (1862-1930) დიდი რუსი მწერლის ლევ ტოლსტოის მიმდევარი ყოფილა და ხშირად ყოფილა მასთან სტუმრად სასაუბროდ.(103) 1906 წელს, სოფელ გულგულაში მან დაარსა კომუნა (სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობა), სადაც გააერთიანა სოფლის უღარიბესი მოსახლეობა და უზრუნველყო კოლექტიური შრომის, სწავლის, ყოფა-ცხოვრების ღირსეული პირობები. კომუნის წევრებს მან ასეთი სიტყვებით მიმართა: „სიღარიბიდან თავის დაღწევის საუკეთესო საშუალება კოლექტიური შრომაა. მომავალი ჩვენი ამ გზას არ გასცდება... უნდა გავაერთიანოთ ყველა საწარმო საშუალება... ჩემი და

შენი არ უნდა იყოს, ყველაფერი ჩვენი იქნება".(104)

კომუნამ მცირე ხანს (რამდენიმე თვე) იარსება და მას ხელისუფლების დავალებით მეფის ოხრანკამ მოულო ბოლო, თვით ივანე სიკვდილს ძლივს გადაურჩა, მისთვის ნასროლი ტყვია კომუნის ერთ-ერთ წევრს, ვინმე გიგაურიშვილს მოხვდა და მოკლა. ივანემ თავისი სახლ-კარი და მამული სოფ. გულგულის მცხოვრებ გლეხებს გადასცა, თვითონ კი საზღვარგარეთ(105) წავიდა საცხოვრებლად. 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ კი იგი დაბრუნდა საქართველოში, მიაკითხა მშობლიურ გულგულას, სათავეში ჩაუდგა სოფლის თავკაცებს, გაიყვანა წყალსადენი, გამართა სკოლა. იგი თელავში ცხოვრობდა და აქედან ყოველდღიურად ფეხით დადიოდა სოფ. გულგულაში. ივანეს ყველასგან გამორჩეული, უცნაური ტანსაცმელი სცმია. ტოლსტოის მსგავსად შავი მანტო თუ ლაბადა ჰქონდა წამოსხმული და თავზე მრგვალი ფარფლებიანი ქვაბურა შავი ქუდი ეხურა. ატარებდა მოშვებულ წვერს და თმას. ლ. ტოლსტოის ფილოსოფიური შეხედულების კვალდაკვალ, ი. კოლელიშვილის სიმპათიები ახლად დაარსებული სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის მხარეს იყო; იგი დიდ პატივს სცემდა ამ პარტიის ფუძემდებელს არჩილ ჯორჯაძეს და მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა ამ პარტიის სხვა ლიდერებთან.(106)

ივანე კოლელიშვილი 1930 წელს გარდაიცვალა. მის სახლს სახელმწიფო დაეპატრონა და იგი გადასცა გიორგი მახარაძეს, რომელსაც სასტუმროს შენობის (შემდგომში კულტურის სახლი) ჩამორთმევის საკომპენსაციოდ მისცეს. აღსანიშნავია, რომ ამის შემდეგ ივანე კოლელიშვილისეული სახლი რამდენჯერმე გაიყიდა და დღეს, ახალმა მფლობელმა გარკვეულწილად შეინარჩუნა რა გარე ფასადი, მთაშორა მიშენებული და გაბზარული კედლები, შეუდგა ოთახების და სათავსოების მშენებლობას. სავარაუდოდ, სურს სასტუმროს გაკეთება.

ვფიქრობთ, რომ თუნდაც ეს და სხვა მაგალითები, როდესაც ხდება თელავში სხვადასხვა ისტორიული შენობების სახეცვლილება თუ სრული ნგრევა, ცხადყოფს, რომ აუცილებელია მოხდეს ისტორიული შენობების ხელახალი აღრიცხვა და შესაბამისი საინფორმაციო დაფების გაკეთება. 1950-იანი წლების შემდეგ ასეთი რამ არ მომხდარა. აუცილებელია, რომ შესაბამისი სამსახურების მიერ შესწავლილ და გადაფასებული იქნას თელავში არსებული შენობა-ნაგებობები ამ

თვალსაზრისით. წინააღმდეგ შემთხვევაში თელავი დაკარგავს თავის ისტორიულ იერ-სახეს და იქცევა თანამედროვე შენობების, სასტუმრო-რესტორნების ქალაქად, რომელიც, სხვას რომ თავი დავანებოთ, ტურისტებისთვის ასეთი მიმზიდველი აღარ იქნება. სამწუხაროდ, დღევანდელი ადგილობრივი ხელისუფლება ამ კუთხით არავითარ დაინტერესებას არ იჩენს და იმედი გვაქვს, რომ ამ საკითხს ჯეროვან ყურადღებას მიაქცევენ ქალაქის მომავალი მესვეურები, თუნდაც ივანე კოლელიშვილისეულ სახლზე შესაბამისი მემორიალური დაფის გაკეთებით.

ჭადრის ქუჩაზე, ივანე კოლელიშვილის ყოფილი სახლის გვერდით, დგას ორსართულიანი სახლი, რომელიც ივანე როსტომაშვილის მიერ იყო აშენებული. გიორგი მელითაურის გადმოცემით, როსტომაშვილები ორნი ძმანი იყვნენ: ივანე და შაქრო. შაქრო მათემატიკოსი იყო და ამ დისციპლინას პეტერბურგის გიმნაზიაში ასწავლიდა. თელავში იგი, 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ ჩამოსულა და მასწავლებლობდა თელავის ვაჟთა გიმნაზიაში. შაქროს ჰყოლია ვაჟიშვილი, სახელად პავლე. ეს უკანასკნელი სამხედრო პირი, ცხენოსანი ნაწილის ოფიცერი ყოფილა. საბჭოთა ხელისუფლების წლებში პავლეს უმუშავია თელავის სამაზრო მილიციის უფროსად, ეს იმ დროს, როდესაც მაზრა ჯერ კიდევ სავესე ყოფილა სხვადასხვა სახის დამნაშავეებით, მათ შორის ყაჩაღებით. მიუხედავად ასეთი რთული ვითარებისა, პავლე როსტომაშვილს კარგად გაურთმევია თავი საქმისათვის.(107)

რაც შეეხება ივანეს, იგი ფართო გაქანების ადამიანი იყო, რასაც ხელს მოჰკიდებდა, წარმატებით უძღვებოდა. იგი იყო არამარტო დიდი პედაგოგი, არაერთი სასწავლებლის ხელმძღვანელი, ინგილო ქართველთა განმანათლებელი, ასევე ჟურნალისტი, გაზეთის რედაქტორი და სხვ. გ. მელითაურის ცნობით, მას ჰქონდა საკუთარი კაპიკიანი გაზეთი „სინათლე“. ივანე ორიგინალური წესით ხელმძღვანელობდა ამ გაზეთს, ჰონორარს არავის აძლევდა, პირიქით ამა თუ იმ წერილის, კორესპონდენციის ავტორი გაზეთის რედაქტორს თითოეულ დაბეჭდილ სტრიქონში თითო კაპიკს უხდიდა. ამ გაზეთში დაიბეჭდა კასრაძის რომანი „როსკოპი“. ივანე როსტომაშვილი მნივნობარი და ფართო მასშტაბის მოღვაწეც იყო.

როგორც ზემოთ აღინიშნა, 1883-1884 წლებში, ე. თელავში, მის

სახლში ჭადრის ქუჩაზე ღარიბ ქალთათვის გაიხსნა სკოლა, რომელიც ფაქტობრივად თელავის ინტელიგენციის მიერ გაღებული საკუთარი სახსრებით მოქმედებდა. ამ სკოლის დამფუძნებელი ხელმძღვანელი, თავის მეუღლე ელისაბედ ჩოლოყაშვილთან ერთად, იყო ივანე როსტომაშვილი. ამ სკოლის საქმიანობაში აქტიურად მონაწილეობას ღებულობდნენ იმ დროის თელავის ინტელიგენციის წარმომადგენლები: ცნობილი პოეტის რაფიელ ერისთავის და ბარბარე ჯორჯაძე, ასევე ცნობილი პედაგოგი და ჟურნალისტი ილია მარათიშვილი, ლოტბარი ზაქარია ჩხიკვაძე და სხვა.

1884 წლის შემოდგომაზე თელავში ყოფნისას ილია ჭავჭავაძემ მოინახულა და გაეცნო ახლადგახსნილ გლეხ ქალთა სკოლას და, როგორც ჩანს, მოსწონებია.(108)

ამ სკოლის წარმატებულ საქმიანობაზე მეტყველებს გაზ. „დროების“ 1885 წლის 13 ივლისის №119-ი, ვინმე „მალაროელის“ ფსევდონიმით დაბეჭდილი წერილი „თბილისიდან თელავამდე მგზავრის შთაბეჭდილებანი“. მოგვაქვს მოკლე ამონარიდი ამ წერილიდან:

„...საზოგადოებასაც ვერ დაიწუნებთ თელავისასა, უკეთუ მას შეადარებთ სხვა პროვინციალური ქალაქების საზოგადოებათა. აქ არის პატარა წრე ახალი თაობისაც, რომელიც გულმოდგინეთ მისწრაფის ყოველი კეთილისადმი. ამათ ღვანჯლის ნაყოფია დეპო, შემნახველ-გამსესხებელი ამხანაგობა, პატარა, მაგრამ ჩინებული საზოგადო ბიბლიოთეკა და ვინ იცის კიდევ ახლო მომავალში რა იქნება. ამის მეოხებით თელავი მესვეური ქალაქი შეიქმნა ყველა მაზრის ქალაქებისათვის. აქაური ხალხი გვაკვირვებს თავისი ზრდილობით, ადამიანობით...

მაგრამ რაც, რომ მე ყველაზე ძალიან მომეწონა, რაც რომ თავის დღეში არ დამავინწყდება, ეს არის პატივცემული ივ. როსტომაშვილის საქალაქო სკოლის, პატარა მონათვეთა გალობა სობოროში, მშვენიერი დღეა, სობორო ხალხით გაჭედილა, ხოროზედ შემდგარან რვა-ცხრა პატარა ქალი, ზოგი ღურგლისა, ზოგო ხარაზისა და ზოგი სხვა ხელოსნისა, ზოგი სოფლელი მუშაკისა. შუაში უდგათ ახალგაზრდა გალობის მასწავლებელი კამერტონით და გალობენ სრული წირვის საგალობლებს. იქნებ გამოჩნდეს აქაც იუდა და წამოროშოს რამე ცუდი ამ გალობაზედაც, მაგრამ მე კი მოგახსენებთ, რომ როდესაც არც ნოტები გვაქვს, თბილისშიაც არა გვყავს ხეირიანი ქართული ხორო, ამ

დროს ეს ბავშვები ესე ჰარმონიულად, ესე ანგელოზის ხმით გალობენ. ყოვლად ნიჭიერი უნდა იყოს ბ-ნი ზ. ჩხიკვაძე, ამათი გალობის მასწავლებელი. მის უტყუარ ნიჭში უფრო მტკიცედ დავრწმუნდი, როდესაც შემდეგ იმან თავისი მონათევების საერო სიმღერებიც გაგვაგონა. ძალიან შემაყვარა თავი ამ პანია სკოლამ და მისი ვითარება დანვრილებით გამოვიკვლიე. მზრუნველმა, პატიოსანმა დარბაისელმა ამ სკოლისამ კეთილმა როსტომაშვილმა გვიჩვენა. სალფეტკები, მოქარგულნი, სხვადასხვაგვარი გვირგვინებით და ქართული ასომთავრულებით და აგრეთვე პირსახოცები.

ხელსაქმის მასწავლებელმა ელისაბედ ჩოლოყაშვილი-როსტომაშვილისამ აგვისნა, რომ სკოლას რომ ცოტა მეტი შეძლება ჰქონდეს და სხვადასხვა მასალის ყიდვა შეეძლოს, უფრო მეტს და სხვადასხვანაირ ხელსაქმეს ვასწავლიდიო...“(109) სკოლის დამფუძნებელთა შორის არსებული უთანხმოების გამო, 2-3 წლის შემდეგ სკოლამ არსებობა შეწყვიტა. არც ამ შენობას აქვს მემორიალური დაფა, ამასთან ერთად საჭიროებს ფასადური მხარის რესტავრაციას.

ჭადრის ქვევით, რუსთაველის გამზირის გაგრძელებაზე, იქ სადაც, XX საუკუნის შუა ხანებამდე სპორტული სკოლის დარბაზი და გამგეობა ფუნქციონირებდა, ვინმე ანანიევმა აბრეშუმის ძაფსაღები ფაბრიკა მოაწყო, რომელიც ორთქლის მანქანაზე მუშაობდა ფაბრიკაში 30-მდე მუშა ყოფილა დასაქმებული. ანანიევს მალე გამოუჩნდა მეტოქე ანდრეასიანის სახით, რომელმაც ააშენა უფრო დიდი ფაბრიკა ყოფილი „1905 წლის“, ახლანდელი ჭავჭავაძის გამზირზე. ყოფილი ფაბრიკის შენობა XX საუკუნის დასასრულსა და XXI საუკუნის დასაწყისში პრივატიზირებული იქნა და მისმა ახალმა მესაკუთრემ მთლიანად მოანგრია. ბოლო პერიოდში ეს ადგილი ე.წ. „პატარა ბაზრის“ მოვალეობას ასრულებდა

ანანიევმა, რომელმაც კონკურენციას ვეღარ გაუძლო, თელავი დატოვა და მისი ყოფილი საწარმო ვინმე ავაქიანს მიჰყიდა. ამ უკანაკნელს კი ყოფილ აბრეშუმის ფაბრიკის ადგილზე წისქვილი გაუმართავს. 1916 წელს პატარა ელექტროსადგურიც აუმუშავებია, რომელსაც შემდეგ ვინმე შადური გასძლოლია. მას ელექტროსადგური ჯერ იქვე მდგარ, ერისთავიანთ სახლში ჰქონია, შემდეგ კი სადაც წისქვილი იყო, იქ გადაუტანია. ელექტროსადგური ენერჯიას აძლევდა

წისქვილსაც და ანათებდა ელექტრო დენით ე.წ. „ბრიგაიას“ საკონდიტროს. ფაქტობრივად იმ დროს ქალაქის ქუჩებს ნავთის ლამფებით ანათებდნენ. ელექტროსადგურის თანამშრომ-ლები მოსახლეობას ურჩევდნენ და სთავაზობდნენ ელექტროდენით ბინების განათებას, მაგრამ მოსახლეობა ამ შეთავაზებაზე ჯერ-ჯერობით უარს ამბობდა და ასე პასუხობდა: „რათ გვინდა თქვენი ელექტრო, ჩვენ ლამფებითაც იოლად გავდივართო“, მაგრამ მას შემდეგ, როდესაც „ვილაცამ ნავსი გატეხა“ და თავის ბინაში ელექტროდენი გაიყვანა, მას მერე სხვა მიჰყვა და ერთმანეთის მიხედულობით მოახდინეს ელექტროდენით სარგებლობა. 1920 წლიდან თელავის ქუჩების ნაწილიც ელექტრო ნათურებით გაშუქდა.(110)

### ნადიკვრის და ელენე ახვლედიანის ქუჩები

ქალაქის ცენტრალური მოედნიდან სამხრეთ-აღმოსავლეთის და დასავლეთის მიმართულებით ქუჩები იყო გაყვანილი, რომლებიც „ნადიკვრის“ (ერთხანს ჯულაშვილის) და „ზემო ბაზრის“ (ყოფილი ლენინის, ახლა ერეკლე II-ის გამზირის) სახელით იყო ცნობილი.

ნადიკვრის ქუჩა (ნადიკვრის ქუჩა, ალაზნის განთიადი, 1968, 28, 11) იმით გამოირჩეოდა თელავის სხვა ქუჩებისგან, რომ ზაფხულობით „სიციხისაგან გაღეჭებული“ ხალხი ნადიკვრის გორას, შემდგომში პარკს მიაშურებდა, სადაც მუდმივად სალამობით სასიამოვნო ნიავი ჰქროდა, ნადიკვრის ქუჩის დასაწყისში, მარცხენა მხარეს, საკრებულოს ბანკის შენობის გვერდით იდგა არუთინოვების, გიორგი ხიზანიშვილის,(111) ვასილ როინაშვილის და გეურქოვის სახლები, რომლებიც XIX ს. მეორე ნახევარსა და XX ს. დასაწყისში აიგო. მის მოპირდაპირე მარჯვენა მხარეს, მესამე და მეორე აღმართს შუა აშენებული იყო არუთინოვების, გაგუნაშვილების და მეღვინეთუხუცესების სახლები.

თელავის ცენტრალური (ერეკლე II-ის ქუჩა) მოედნიდან ნადიკვრისკენ მიმავალ ადამიანს, უპირველეს ყოვლისა, ე.წ. „მესამე აღმართის ქუჩა“ შეხვდება, რომელიც დღეს დიდი ქართველი მხატვრის ქალბატონ ელენე ახვლედიანის სახელს ატარებს. საბჭოთა ეპოქაში იგი კარლ-მარქსის სახელით იყო ცნობილი. ეს ქუჩა-აღმართი

სამხრეთის მიმართულებითაა გადაჭიმული და მის ორივე მხარეს უპირატესად, XIX-XX ს-ის მიჯნაზე, სომეხი ვაჭრები დასახლდნენ. აქ ერთ-ერთ აგურით მოპირკეთებულ ერთსართულ-ნახევრიან ლამაზ შენობაში, რომელიც გრიგორი (გრიშა) გაბელოვს ეკუთვნოდა, თავისი ბავშვობის წლები (1900-1909 წ.წ.) გაატარა, მომავალმა დიდმა მხატვარმა, ჯერ კიდევ პატარა ელენე ახვლედიანმა. მასში, როგორც ჩანს, ბავშვობაშივე ჩაისახა ქ. თელავისადმი სიყვარული და მას არაერთი მხატვრული ტილო მიუძღვნა. ისინი დღესაც ამშვენებენ თბილისში მის სახლ-მუზეუმს და სხვა სამხატვრო გალერეებს.

ამავე ქუჩაზე, გიგო ბოგველაძის სახლის მეზობლად, ერთხანს ცხოვრობდა დიდი უკრაინელი პოეტი ქალი ლესია უკრაინკა. ფილტვების ავადმყოფობით დასნეულებულ ლესიას როგორც ჩანს, ექიმებმა ურჩიეს საქართველოში, მათ შორის თელავში, მშრალი ჰავის მქონე ქალაქში ეცხოვრა რამდენიმე ხანს.(112) ამიტომ იყო, რომ ლესია უკრაინკა, გარდა ამ ქუჩისა, ცხოვრობდა „კამოს“ (ტერ პეტროსიანი, ბოლშევიკი ტერორისტი) სახელობის, დღეს კი „26 მაისის“ სახელობის ქუჩაზე, ამჟამინდელი მუსიკალური სკოლის შენობაში, რომელიც იმხანად მარტია იარალოვის სახლი იყო. ორივე სახლს, სადაც ლესია უკრაინკა ცხოვრობდა, მემორიალური დაფები ამშვენებს, თუმცა ისინი საჭიროებენ განახლებას.

თელაველთა დასასვენებელ ადგილს, ნადიკვრის გორას კი ამშვენებს ამ დიდებული პოეტის მონუმენტი, რომელიც უკრაინელი ხალხის სახელით საჩუქრად გადმოიყვანა თელავს. ეს ძეგლი გადააწყურებს თელავის სამხრეთ-აღმოსავლეთს, განსაკუთრებით კი იმ აგბედით „გიგოს გორას“, სადაც განსვენებულ წამებულთა მოსაგონრად, ასევე ადრე აქ აგებული ბაზილიკის ტიპის „სამების“ ეკლესიის ნაცვლად, რომელიც 1964 წლის ივლისში ფეხბურთის სტადიონის მშენებლობამ შეინირა, აღმართულია ქართველთა სათაყვანებელი პიროვნების, საქართველოში ქრისტიანული სარწმუნოების მქადაგებლის „წმინდა ნინოს“ სახელობის ეკლესია.(113)

ამავე ქუჩაზე დგას „ბელეტაჟის“ ტიპის ერთი მომცრო შენობა, სადაც ერთხანს ცხოვრობდა დიდი ქართველი მხატვარი ვალერიან სიღამონ-ერისთავი. 1917-1921 წლებში იგი ცოტა ხნით ქალთა გიმნაზიის შენობაში ცხოვრობდა და სამხატვრო გალერიისათვის გამოყოფილი

ჰქონდა ერთი დიდი ოთახი. მისი მეუღლე იყო ქალთა გიმნაზიის რუსული ენის და ლიტერატურის მასწავლებელი ნატალია ჩოლოყაშვილი. ბ-ნი ვალერიანი ხატვას ასწავლიდა როგორც ქალთა, ისე ვაჟთა გიმნაზიის მოსწავლეებს. თან ამავე დროს ხატავდა და ამდიდრებდა თავის შემოქმედებას. მას დახატული ჰყავდა ცნობილი კომპოზიტორი ნიკო (კიკუშა) სულხანიშვილი მთელი სიმაღლით ვიოლინოზე დაკვრის მომენტში. ვალერიანმა აღზარდა ისეთი ცნობილი მხატვრები, როგორებიც იყვნენ ვახტანგ ჯაფარიძე, ნინო როინაშვილი და სხვ.(114)

გასაკვირია, მაგრამ არც ადრინდელი და არც დღევანდელი თელავის მესვეურები არ ინტერესდებოდნენ ისეთი პიროვნებებით, რომლებმაც სახელი გაუთქვეს თელავს. იქნებ დროა, რომ ვალერიან სიდამონ-ერისთავის ყოფილ ბინას გაუკეთდეს მემორიალური დაფა.

ნადიკვრის ქუჩის დასაწყისში, ძველი თეატრის გავრძელებაზე, ნადიკვრის ქ. № 1-ში დგას XIX საუკუნეში ქართულ სტილში აგებული, ფართო აივანიანი (რომელიც თელავის რეაბილიტაციის შედეგად ამჟამად შუშაბანდითაა შეცვლილი) ორსართულიანი სახლი თავისი ღრმა სარდაფით, რომელიც უნინ არუთინოვების გვარის ოჯახის საკუთრებას წარმოადგენდა. აქ, ჯერ კიდევ XX ს-ის 40-70-იან წლებში ცხოვრობდნენ დედა ქალბატონი მანუშაკა და მისი შვილები: ივანე, მარგო და სირიკა. მანუშაკამ სიცოცხლეშივე სახლი თავის შვილებს გაუნაწილა. ჯერ კიდევ დედის სიცოცხლეში, სახლის ერთი ნაწილი, მეორე სართულის ჩრდილოეთის მხარის ოთახი, ერთ-ერთმა შვილმა თელაველ ქალბატონს მარგო ხუციყვს მიჰყიდა, ხოლო მის დაბლა პირველ სართულზე არსებული ოთახი კი დედა-შვილ ქსენია და ემზარ ომანაშვილებს. ამ უკანასკნელმა კი შემდგომში ნოშრევან (ოკა) კუზანოვის ოჯახზე გაასხვისა, სადაც ახლა ოკას შვილები ვია და ეკა გამტკიცულაშვილები ცხოვრობენ. ამ სახლის დანარჩენი ოთახები სამხრეთის მხარის, როგორც პირველ, ისე მეორე სართულზე სირიკა და ივანე არუთინოვებმა კბილაშვილებს მიჰყიდეს, სადაც ახლაც ცხოვრობენ ლირა კბილაშვილი თავის მეუღლე ბესო ფარსადანიშვილთან და შვილებთან ერთად.

რაც შეეხება მარგო ხუციყვის ბინას, ამჟამად მასში მისი შვილი მიხეილ მარგალიტაშვილი ცხოვრობს, რომელიც თელავის ერთ-ერთი შესანიშნავი მოქალაქეა, გამოირჩევა თავისი გონიერებით,

პროფესიონალური განათლებით, არის ინჟინერ-კონტრუქტორი, და თელავში ე.წ. „რკინის მიხოს“ სახელითაა ცნობილი.

ეს სახლი, გარდა თავისი სიძველისა, იმითაც არის საინტერესო, რომ ცნობილი ქართველი მწერალი კონსტანტინე გამსახურდია ხშირი სტუმარი იყო ამ სახლის ერთ-ერთი მეპატრონის ივანე (ვანო) არუთინოვის. ალბათ, ასაკოვან თელაველებს ეხსომებათ ბატონი კონსტანტინეს სტუმრობა, რომელიც მასპინძლის სახლის აივანზე ისვენებდა და იქიდან გასცქეროდა ალაზნის ველისა და ბუმბერაზი კავკასიის მთების მომაჯადოებელ სილამაზეს. ეს ხდებოდა XX ს-ის 50-იან წლებში. შესაძლოა, ალაზნის ველის მშვენიერებამ შთააგონა დიდ მწერალს საკმაოდ გახმაურებული რომანის „ვაზის ყვავილობის“ დაწერა, რომლის პირველი პრეზენტაცია სწორედ თელავში, ამ სახლის გვერდით მდებარე ე.წ. „ძველ თეატრში“ გაიმართა.

ნადიკვრისა და მესამე აღმართის (ელენე ახვლედიანის) ქუჩების კუთხეში იდგა ერთსართულიანი შენობა, რომელიც ეკუთვნოდა თელავის მაზრის პარტიული კომიტეტის მდივანს გრიშა არუთინოვს, როგორც გ. მელითაური ახასიათებს „თავმდაბალ, საკმაო განათლების მქონე და გულისხმიერ მუშაკს“. მან აღნიშნული შენობა ქალაქს უსასყიდლოდ გადასცა, სადაც ჯერ პურის საცხობი, ხოლო შემდეგ საკონდიტრო ფუნქციონირებდა. შემდეგ მის ადგილზე XX ს. 50-იან წლების დასაწყისში შემნახველი სალაროს შენობა ააგეს, რომელშიც მოგვიანებით საიუველირო მაღაზია „გიშერი“ იყო განთავსებული. XXI ს-ის ათიან წლების დასაწყისში ეს შენობა მთლიანად აიღეს და მის ადგილას ორსართულიანი სახლი ააგეს.

გრიშა არუთინოვი 1928 წლიდან თბილისში გადადის სამუშაოდ, ერთხანს იგი ქალაქის პარტიული კომიტეტის მდივნად იქნა არჩეული, ხოლო მალევე სომხეთის საბჭოთა რესპუბლიკის პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნად გადაიყვანეს. გ. არუთინოვმა, რომელსაც რუსული და ქართული განათლება ჰქონდა მიღებული, სომხური ენა არ იცოდა და ყრილობებზე იგი რუსულ ენაზე მეტყველებდა. ეს არ მოსწონდა სომხურ საზოგადოებას, მაგრამ ამას ჯერ ვერ ამულავნებდნენ. სტალინის გარდაცვალების (1953 წ.) შემდეგ მათ ენა ამოიდგეს და მოახერხეს, რომ მას სომხეთი დაეტოვებინა. გრიშას დიდი ამაგი მიუძღოდა იმდროინდელი სომხეთის აყვავებისა და მშენებლობის საქმეში. მან ჩამორჩენილი და მივარდნილი ერევანი

მოწინავე და ლამაზ ქალაქად აქცია. გ. არუთინოვი შაქრის ავადმყოფობით იყო დაავადებული და ოჯახთან ერთად თბილისში გადმოსახლდა და იქ გარდაიცვალა. მისი მეუღლეც თელაველი არტაშ და გრიშა გეურქოვების და იყო.(115)

გრიშა არუთინოვის სახლის გავრძელებას წარმოადგენდა ნადიკვრის ქ. № 2-ში არსებული ორსართულიანი, ქუჩის მხარეს ქართული აივნით დამშვენებული ბინა. ისიც გადმოცემით არუთინოვების გვარის წარმომადგენლების საკუთრება ყოფილა. მას შემდეგ, რაც თელავში საბჭოთა ხელისუფლებამ მოახდინა ბინებისა და კერძო საწარმოების ნაციონალიზაცია, ეს სახლიც მის ყოფილ მესაკუთრეებს ჩამოართვეს. ერთხანს აქ მოთავსებული იყო რაიონული სამხედრო კომისარიატი. შემდგომ კი შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატისა და მილიციის თანამშრომელთა საერთო საცხოვრებლად გადააკეთეს. ისინი ძირითადად ამ სახლის მეორე სართულზე განთავსდნენ. აქ სხვადასხვა დროს ცხოვრობდნენ: ალავიძეები, გუჩმაზაშვილები, დავითულიანები, მანჯგალაძეები, ნობლაძეები, ალხაზიშვილები, აბულოვები, უსუფოვები, ტილაშვილები და სხვ.

პირველი სართული კი, გამონაკლისის სახით რიგით მოქალაქეთა საცხოვრებელი გახდა. ნადიკვრის ქუჩის მხარეს პირველ სართულზე, XX საუკუნის 40-70-იან წლებში მიხეილ სესიაშვილი ცხოვრობდა თავის ოჯახთან ერთად. ოჯახის უფროსი და მისი ორი შვილი ქ-ნი თამილა და კარლო მეცნიერების გზას დაადგნენ. ბ-ნი მიხეილი ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი იყო, თამილა გერმანისტი, და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტი, საკმაოდ ცნობილი პედაგოგი. კარლომ კი სამეცნიერო ხარისხი ქიმიამი დაიცვა და წარმატებით მოღვაწეობდა თბილისის ზოოვეტერინალურ და სასოფლო-სამეურნეო სახელმწიფო ინსტიტუტებში. რაც შეეხება მესამე ქალიშვილ ბელას, ისიც უფროსი დის, თამილას მსგავსად გერმანისტია და წლების მანძილზე ასწავლიდა ამ ენას თელავის პედაგოგიური ინსტიტუტის (ამჟამად უნივერსიტეტი) სტუდენტებს.

მას შემდეგ, რაც სესიაშვილები ფალიაშვილის ქუჩაზე ახლად აშენებულ სახლში გადავიდნენ, მათ ყოფილ ბინაში ერთხანს არაბაშვილები ცხოვრობდნენ. ამ უკანასკნელ ხანს მათი ბინა კარგმა თელაველმა გელა მექვევრიშვილმა იყიდა და მასში მალაზია გახსნა.

მაღაზიას შეუერთდა სესიაშვილების მეზობლად, კედლის მიღმა არსებული, საკმაოდ მოზრდილი ოთახი, რომელშიც ადრე ვახტანგიშვილები, მათ შორის ამ წიგნის ერთ-ერთი ავტორი, თითქმის მეოთხედი საუკუნე (1945-1969 წ.წ.) ცხოვრობდა.

ფაქტობრივად, ნადიკვრის ქ. №2-ში აგებული არუთინოვების ყოფილი შენობა თავისი დიდი კარ-მიდამოთი ე.წ. „იტალიური ეზოს“ მსგავსი იყო. მიუხედავად მასში მცხოვრებ მოსახლეთა სხვადასხვა ქონებრივი და თანამდებობრივი განსხვავებისა, ერთ მთლიან, შეკრულ ოჯახს წარმოადგენდა, რომელთა შორის მხოლოდ და მხოლოდ სიყვარული და პატივისცემა სუფევდა.

ამ „ეზოს“, რომ იტყვიან „სული და გული“ ქალბატონი შურა მოდებდაც იყო. იგი პროფესიით ექთანი იყო და, შეიძლება ითქვას, რომ მას არანაკლები საექიმო გამოცდილება ჰქონდა. ასეთ ადამიანზე ითქმის ხოლმე: „გაჭირვების ტალკვესიაო“. იგი ყოველგვარი ანგარების გარეშე მხარში ედგა მეზობლებს და რითაც შეეძლო დახმარებას უწევდა. მას ჰყავდა სამი შესანიშნავი შვილი: ვაჟი ოთარი (მეტსახელად „ბლაჭია“), ქალიშვილები - ნონა და რუსუდანი, რომლებიც დედამ ფაქტობრივად მამის გარეშე გაზარდა და გზაზე დააყენა. მათ შორის გვინდა გამოვყოთ ვაჟიშვილი ოთარ მოდებაც, რომელმაც უკრაინაში, ოდესაში მიიღო უმაღლესი განათლება ჰიდროინჟინრისა და იქვე გააგრძელა თავისი პრაქტიკული საქმიანობა. მისი ხელმძღვანელობით აგებულ იქნა კახოვკის, კანევის, დნეპროპეტროვსკის ჰიდროელექტრო-სადგურები. მონაწილე იყო ვიეტნამსა და ეგვიპტეში (ასუანში) ჰესების მშენებლობისა. ბ-მა ოთარმა ფაქტობრივად უკრაინაში გალია თავისი ნუთისოფელი, იქვე გარდაიცვალა. აი, ასეთი სახელოვანი ინჟინერი დაიბადა და გაიზარდა თელავში. ასევე გვინდა ორიოდე სიტყვით შევეხოთ დეიდა შურას ქალიშვილებს - ნონას და რუსუდანს. ნონა პროფესიით ექიმი და დღესაც ეწევა საექიმო პრაქტიკას ქ. ჭიათურაში, რუსუდანი კი ეკონომისტია, ახლა პენსიაზეა და თავისი ერთადერთი ვაჟის ტარიელ (ტატო) ჯანელიძის ოჯახში ცხოვრობს.

ნადიკვრის ქუჩაზე, ჯერ ვასილ (ვასო) როინიშვილის სახლში, მეორე სართულზე, შემდეგ კი არტაშა გეურქოვის ბინაში XX ს-ის 30-იანი წლების მიწურულს და 40-იან წლებში (შუა ხანებამდე) სანამ არ დაასრულებდა მთავრობის დავალებებს, ანუ თავის „ისტორიულ

მისიას“ და თბილისში არ გადაიყვანდნენ, ცხოვრობდა შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის თელავის რაიონული განყოფილების უფროსი ალიოშა კვაშალი თავის ოჯახთან ერთად, რომლის სინდისზეა მრავალი უდანაშაულო ადამიანის სიცოცხლის მოსპობა. სწორედ მისი უშუალო ხელმძღვანელობით ტარდებოდა ის სასტიკი სპეცოპერაციები თელავის, ახმეტის და თიანეთის რაიონებში იმ ადამიანთა წინააღმდეგ, რომლებიც გამოცხადებული იყვნენ „ხალხის მტრებად“, ბანდიტებად, ყაჩაღებად. კვაშალი თავისი დამსჯელი რაზმებით ნადირობდა მათზე.

შეიძლება ითქვას, რომ სწორედ კვაშალის წინამორბედი შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის თანამშრომლების „დამსახურებაა“ ქალაქ თელავის „გიგოს გორის“ ჯვარცმულ ადგილად, ე.წ. „გოლგოთად“ გადაქცევა. ალიოშა კვაშალის და მისი წინამორბედების ნამდვილი სახე შესანიშნავად გამოძერწა გამოჩენილმა ქართველმა მწერალმა, ძირძველმა თელაველმა, ამ საბედისწერო მოვლენების „მემატიანემ“ ზაირა არსენიშვილმა თავის შესანიშნავ რომანში „ვა, სოფელო“ (კახური ქრონიკები). მკითხველს, ვისაც ჯერ კიდევ არ წაუკითხავს ეს ნაწარმოები, ვურჩევთ წაიკითხოს, რათა გაიაზროს და გაანალიზოს ის საბედისწერო მოვლენები, რასაც ადგილი ჰქონდა საქართველოში, კახეთის რეგიონში, უშუალოდ კი თელავში, XX საუკუნის 20-30-იან წლებში.

რაც შეეხება ნადიკვრის №4-ში არსებულ სახლს, მასში თავდაპირველად გაგუნაშვილები ცხოვრობდნენ, XIX საუკუნის 60-70-იან წლებში აქ ნოდარ (მთვარე) აჩუაშვილის ოჯახი სახლობდა. უკანასკნელ ხანს ეს ბინა, იმერლიშვილების საკუთრება გახდა. აქ ცხოვრობს თემო (ჭაჭე) იმერლიშვილის ოჯახი. ამ უკანასკნელმა, მეზობლად ნადიკვრის ქ. № 6-ში არსებული ყოფილი მღვდინეთუხუცესების სახლის ნაწილი შეისყიდა და კერძო საოჯახო სასტუმროდ აქცია. როგორც აღინიშნა, ნადიკვრის ქ. № 4-ში განთავსებული სახლის თავდაპირველი მფლობელები - გაგუნაშვილები იყვნენ. ისინი ახლო ურთიერთობაში იმყოფებოდნენ ცნობილ იურისტ ნიკოლოზ რაზმაძესთან. იგი თელავში 1924 წლის სექტემბრის დასაწყისში მილიციელებმა დახვრიტეს პირდაპირ ქუჩაში და დამარხეს „გიგოს გორაზე“. (116)

ნადიკვრის ქ. №3-ში მდებარე ორსართულიანი საკმაოდ მოზრდილი შენობა, რომელიც აგებულ უნდა იყოს XIX საუკუნის

ბოლოს, ეკუთვნოდა ქართველ ვაჭარს გიორგი ხიზანიშვილს, რომელიც საბჭოთა ხელისუფლების მიერ რეპრესირებულ იქნა. კერძოდ, გიორგი ხიზანიშვილი 1924 წლის სექტემბერში დახვრიტეს, მის ოჯახს შენობა ჩამოართვეს და გადასცეს კომუნალურ მეურნეობას.

ამ სახლში პირველ სართულზე ერთხანს ცხოვრობდა მეორე მსოფლიო ომის ვეტერანი პოლკოვნიკი ილია (ილიკო) ლაითაძე თავის ცოლშვილთან ქ-ნ თამართან და ორ ულამაზეს ქალიშვილთან - შუშუნა და გულიკოსთან ერთად, მათი თბილისში გადასვლის შემდეგ ამ სართულზე ცხოვრობდნენ ცნობილი პედაგოგი, რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი ნანო (ნინო) რჩეულიშვილი-დიღმელიშვილისა, თავის შვილთან, ასევე ცნობილი ჟურნალისტის - ჯიმერ რჩეულიშვილის ოჯახთან ერთად, იმ დრომდე, სანამ ჯ. რჩეულიშვილი დოდაშვილის ქუჩაზე საკუთარ ბინას აიშენებდა. რაც შეეხება მეორე სართულს, იგი ორად იყო გაყოფილი, მარჯვენა მხარის განაყოფ ოთახებში ცხოვრობდნენ გამოჩენილი პიროვნებანი, მათ შორის აღსანიშნავია აკადემიკოსი სერგო ღურმიშიძე თავის ოჯახთან, მეუღლე ნანასთან და ვაჟიშვილ ნუგზართან ერთად. იგი ერთხანს ხელმძღვანელობდა თელავში გახსნილი მევენახეობის საცდელ სადგურს, რომელიც შემდგომ მეცნიერებათა აკადემიის კვლევით ინსტიტუტად გადაკეთდა და თბილისში იქნა გადატანილი. ს. ღურმიშიძის თბილისში გადასვლის შემდეგ, მისი ყოფილი ბინა, ისევე როგორც მევენახეობის საცდელი სადგურის ხელმძღვანელობა, მისმა შემცვლელმა ნიკოლოზ სულხანიშვილმა დაიკავა თავის ოჯახთან, ქალბატონ ანასტასიასთან (ტოსია) და შვილებთან: გურამთან და ლიასთან ერთად. რაც შეეხება მეორე სართულის მარცხენა ნაწილს, აქ განლაგებული ორი საკმაოდ მოზრდილი ოთახი ეკავა სოფლის მეურნეობის სპეციალისტს, პავლე სეფაშვილს მეუღლე ნადეჟდასა და სამ ქალიშვილთან (ლამარა, ნათელა და ჯულიეტა) ერთად.

გიორგი ხიზანიშვილის ყოფილი საცხოვრებლის გვერდით, ნადიკვრის ქ. №5-ში მდებარეობდა და დღესაც დგას სახლი, რომელიც კიდევ უფრო გალამაზდა რეაბილიტაციის შედეგად. დღეს მისი ყოფილი მესაკუთრის მემკვიდრეების მიერ შენობის ცალ-ცალკე გაყიდვის შემდეგ, მასში რამდენიმე ოჯახი ცხოვრობს ე.წ. „იტალიური ეზოს“ მსგავსად. იგი თავდაპირველად ეკუთვნოდა ცნობილ ფოტოგრაფს ვასილ (ვასო) როინაშვილს, რომელსაც გადაღებული

ჰქონდა ფოტოფირებზე თელავის მაზრის ცხოვრების ამსახველი სურათები. სამწუხაროა, რომ ბ-ნი ვასოს გარდაცვალების შემდეგ, მისი წლების მანძილზე შეგროვებული ფოტო-არქივი განიავდა, რის გამოც მრავალი უნიკალური ფოტოს-ნეგატივი უკვალოდ დაიკარგა.

ცნობილი ფოტოხელოვანი ვასო (ვასილი) როინაშვილი თითქმის 50-იანი წლების ბოლომდე, მეუღლე ქ-ნ ნინოსთან ერთად ცხოვრობდა ამ თავისი პროექტით აგებულ ულამაზეს სახლში, რომელსაც დეკორატიული, კეთილმონწყობილი ბაღი ამშვენებდა. ეს შენობა ვიზუალურად თავისი სიმშვენიერით აშკარად განსხვავდებოდა და დღესაც კი განსხვავდება თელავში არსებული სახლებისაგან. იგი ორსართულიანია, აქვს დიდი სარდაფი მთელი შენობის სიგრძეზე სახლის სხვენს კი მაღლა ადგას მანსარდის ტიპის პატარა კომპურა-გადასახედი, რომლიდანაც შესაძლებელია დაინახოს ადამიანმა მთელი თელავი და, რაც მთავარია, შესანიშნავი ბუნების პანორამა, საქართველოს ჩრდილოეთის ზღუდე ბუმბერაზი კავკასიონის მთები და ხალიჩასავით მოქარგული ალაზნის ველი - ჩვენი ქვეყნის მშვენიება.

ბ-ნი ვასოს გარდაცვალების შემდეგ მისი კუთვნილი სახლი რამოდენიმე მოსახლეზე გაიყიდა. მათ შორის იყვნენ: ქ-ნი თინა ბუქურაული თავის ორ ვაჟთან: უშანგი (შემდგომში საეკლესიო პირი - მამაო რომანოზი) და ჯემალი. დღეს მათგან არცერთი აღარ არის ცოცხალი. მათ ბინაში, მეორე სართულზე ახლა ცხორობს უშანგის ქვრივი მეუღლე ქ-ნი თამარ ყარაულაშვილი, ერთადერთ შვილ დათოსთან და ამ უკანასკნელის მეუღლე სოფოსთან და შვილიშვილებთან ერთად.

პირველი სართული ორ თუ სამ მობინადრეს ჰქონდა შესყიდული. ერთ-ერთი ბინის, რომელიც ფლიგელის მსგავსი იყო და საერთო კედლით დაკავშირებული იყო ნადიკერის ქ.№7-ში მდებარე სახლს და რომელიც ბ-ნი ვასოს ფოტო სახელოსნოს წარმოადგენდა, მეპატრონე იყო თელაველთათვის და არამართო მათთვის, კარგად ცნობილი, თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი-ლიტერატორი, ჟურნალისტი და პოეტი, ანგანსვენებული არჩილ სპარსიაშვილი მეუღლე ლიასთან და ორ შვილთან - ზაზა და ნანასთან ერთად. სწორედ ქ-ნ ნანას ვემაღლიერებით ამ წიგნის ავტორები იმ ქველმოქმედებისა გამო, რომლის წყალობითაც შესაძლებელი გახდა ამ ნაშრომის პუბლიკაცია. ბატონმა არჩილმა ჯერ კიდევ სიცოცხლეშივე

შეიცვალა საცხოვრებელი, მეზობლად ელენე ახვლედიანის ქუჩის პირველ ჩიხში არსებულ ბინაში გადასახლდა ოჯახთან ერთად, ხოლო მისი ყოფილი სახლი უორჟეტ უონჟოლაძემ შეისყიდა. სადაც დღეს მისი ვაჟი ავთანდილ უონჟოლაძე ცხოვრობს თავის ოჯახთან ერთად.

ნადიკვრის ქ. №7-ში მდებარეობს ერთსართულიანი, შუა დერეფნით გაყოფილი, საკმაოდ მოზრდილი სახლი, რომელიც ერთხანს გეურქოვების საკუთრება ყოფილა. ამ სახლის ნახევარი, მისი მარჯვენა მხარე, შესყიდული ჰქონდა ცნობილ მეან-გინეკოლოგს, წლების მანძილზე თელავის სამშობიარო სახლის ხელმძღვანელს, ქეთევან ქავთარაძეს. მის ბინაში მუდმივად თავს იყრიდნენ როგორც ქ. თელავის, ისე თბილისიდან და საქართველოს სხვა რეგიონებიდან თელავში ჩამოსული ქართული ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლები. ფაქტობრივად იგი კულტურისა და განათლების ერთგვარ „სალონს“ წარმოადგენდა.

ამ შენობის ერთ-ერთი მესაკუთრე, თავის ძმა - გრიშასთან ერთად, არტაშა გეურქოვი იყო. იგი მოწინავე პარტიულ მუშაკად ითვლებოდა. 1927 წელს ა. გეურქოვი არჩეული იყო თელავის მაზრის პარტიული კომიტეტის მდივნად. სწორედ მისი დამსახურებაა ნადიკვრის გორაზე ე.წ. „დასასვენებელი პარკის“ მოწყობა, რომელმაც შემდგომი წლების მანძილზე, განსაკუთრებით კი 2012 წლის რეკონსტრუქციის შემდეგ, დიდი ცვლილებები განიცადა. ქ. თელავიდან წასვლის შემდეგ ა. გეურქოვი მუშაობდა თბილისის ერთ-ერთი რაიონის კომპარტიის პირველ მდივნად, ასევე უმუშავია ბათუმის საოლქო კომიტეტის მდივნადაც. 1937 წელს საბჭოთა ხელისუფლების რეპრესიებმა მასაც მოუსწრაფეს სიცოცხლე, მას თავი მოუკლავს. (117)

გეურქოვების სახლის გვერდით, ნადიკვრის ქ. №9-ში, თელავის კომუნალური მეურნეობის განყოფილებამ XX ს-ის 30-იანი წლების ბოლოს დაიწყო საცხოვრებელი სახლის მშენებლობა, რომლის დასრულებას მეორე მსოფლო ომის მსვლელობამ შეუშალა ხელი. ომის დამთავრების შემდეგაც გართულდა ამ სახლის ბოლომდე ექსპლუატაციაში შეყვანა, რადგან ისეთ პატარა ქალაქს როგორიც თელავი იყო, არ გააჩნდა საკმარისი ფულადი შემოსავლები. ამიტომ, თელავის კომუნალური განყოფილება იძულებული გახდა წინადადებით მიემართა იმ თელაველი მოქალაქეებისთვის, რომლებსაც წინასწარ მიცემული ჰქონდათ მშენებარე კორპუსში ბინის

ორდერები, რათა მათ საკუთარი სახსრებით დაესრულებინათ მისი აგება. ესენი იყვნენ სხვადასხვა პროფესიის ადამიანები: ტიტე ტაბიძე, იოსებ ყარაულაშვილი, მიხეილ მელითაური, პლატონ ახვლედიანი, გრიგოლ კველიშვილი, საშა (ალექსანდრე) ფეიქრიშვილი, იგორ ოჭარენკო, ევგენი ცინცაძე და სხვ. XX ს-ის 50-იანი წლების დასაწყისში ეს სახლი ექსპლუატაციაში შევიდა და დღესაც განაგრძობს ფუნქციონირებას.(118)

ამ სახლის მოპირდაპირე მხარეს, მეორე აღმართისა (ახლა 9 აპრილის ქუჩა) და ნადიკვრის ქუჩის კუთხეში, ნადიკვრის ქ.№8-ში, სადაც ახლა „მონადირეთა კავშირის“ მალაზიაა მოთავსებული, ერთხანს ცნობილი კოსმეტოლოგისა და მეცენატის ქეთევან იაშვილის მიერ თელავისადმი ნაჩუქარი არაჩვეულებრივი მხატვრული ტილოების გამოსაფენად, სამხატვრო გალერიის მოსაწყობად ერთი ოთახი იქნა მიშენებული და იქ იქნა ისინი განთავსებული. შემდგომ ქეთევან იაშვილის სამხატვრო გალერეა თელავის ისტორიულ მუზეუმში იქნა გადატანილი და დღესაც იქ არის გამოფენილი.

უნინ ამ ადგილას, 1923 წლამდე, ღვთისმშობლის მიძინების სახელობის ეკლესია იდგა.(119) თელაველი გიორგი გვაზავას მოგონებით, ამ ეკლესიას „პატარა ეკლესიად“ მოიხსენიებდნენ. სხვა თანამედროვე კი, ეკლესიას „თეთრ ეკლესიის“ სახელით იხსენიებს. გიორგი გვაზავას სიტყვებით 1920-იანი წლების დასაწყისში, ამ ეკლესიის მღვდელი ყოფილა გვარად გაგუნაშვილი.(120) ეკლესიის გარშემო მდებარეობდა პატარა სასაფლაო, სადაც ეკლესიის მსახურები და კივნაძეების გვარის წარმომადგენლები ყოფილან დაკრძალული.

გიორგი მელითაური ერთ დოკუმენტში გარკვეულწილად განსხვავებულ ინფორმაციას იძლევა. იგი წერს, რომ „საბჭოთა ხელისუფლებამ, ანტირელიგიური, ათეისტური მოსაზრებებით, აღნიშნულ წელს ეს ეკლესია და მისი მიმდებარე სასაფლაო-ნეკროპოლიც მიწასთან გაასწორა. ამ ეკლესიის მოძღვარს სარდიონ ალადაშვილს და მის დამხმარე დიაკვანს ვინმე მოდებამქს აუკრძალეს ღვთისმსახურება. ესეც არ აკმარეს ს. ალადაშვილს, მას ძალდატანებით თმა-წვერი შეაკრეჭინეს (გაკრიჭეს), რის გამოც ეს უკანასკნელი იძულებული გამხდარა ოჯახის სარჩენად, მასწავლებლად წასულიყო ზემო ხოდაშენში".(121)

სხვა მასალაში კი ამ ეკლესიის შესახებ გიორგი მელითაური წერს - „ერთი ეკლესია უადგილო ადგილას იდგა იქ სადაც სურათების გალერეიაა. ამ ეკლესიას პატარა ეკლესიას უწოდებდნენ. ესეც დაინგრა 1923 წელს“.(122)

ლეთისმშობლის მიძინების ეკლესიის ნაფუძარზე „მონადირეთა კავშირის“ მაშინდელმა თავჯდომარემ აკაკი მაჭავარიანმა შემოწინულობებით და საკუთარი სახსრებით, რომელიც უმეტესად თელავის თეატრში თავისივე პიესების დადგმით ჰქონდა შეგროვებული, შეძლო ზემოდასახელებული „მონადირეთა კავშირის“ შენობის აგება. იგი ოდნავ გადაკეთებული სახით კვლავ ემსახურება „მონადირეთა კავშირს“.(123)

აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ ამ ადგილთან ახლოს, დღევანდელი 9 აპრილის ქუჩის დასაწყისში, მარცხენა მხარეს მდებარე პირველივე სახლი 1924 წლის სექტემბრის დასაწყისში თელავში დატრიალებული საშინელი ტრაგედიის მომსწრეა. სწორედ ამ სახლში გაიმართა ე.წ. „სისხლიანი ქორწილი“, რომელმაც მძიმე კვალი დატოვა თელავის მაცხოვრებლების მეხსიერებაში.

უნდა აღინიშნოს, რომ თელავის მაზრაში 1924 წლის აგვისტოს აჯანყების შედეგები საკმაოდ ტრაგიკული აღმოჩნდა. აჯანყებაში მონაწილეობის ბრალდებით საბჭოთა ხელისუფლების ადგილობრივმა ორგანოებმა აჯანყებაში უშუალო მონაწილეების გარდა, მათთვის მიუღებელი სხვადასხვა სოციალური ფენის წარმომადგენელი, საზოგადოებისათვის ცნობილი ადამიანები სიცოცხლეს გამოსალმეს..

სწორედ ამ პერიოდს დაემთხვა, ქალაქ თელავში ზემოთ დასახელებულ სახლში გამართული ქორწილი, სადაც საქართველოს „ჩეკას“-ს ადგილობრივი ორგანოს, თელავის „პოლიტიკური ბიუროს“ წარმომადგენლები შეიჭრნენ და ქორწილის მონაწილე მამაკაცები დააპატიმრეს და შემდეგ მათი უმეტესობა „გიგოს გორაზე“ დახვრიტეს.(124)

მეორე აღმართის (ახლა 9 აპრილის) და ნადიკვრის ქუჩის კუთხეში, №6-ე სახლი მეღვინეთუხუცესებს ეკუთვნოდათ, მათი ქალიშვილი მაკრანე გათხოვილი ყოფილა მსახიობ ჟივავოზე, შემდეგ იგი თბილისში გადასულა და ქართულ თეატრში მსახიობობდა.(125) იგი საკმაოდ ლამაზი შენობაა, რომელიც ქართული აგურითაა ნაშენი.

როგორც ჩანს მისი მეპატრონეები საბჭოთა რეპრესიებს შეეწირნენ. ახლა ამ ბინის ნაწილი, თ. იმერლიშვილმა შეისყიდა და „საოჯახო სასტუმროდ“ აქცია, ნაწილი კი მეღვინეთუხუცესების ნათესავის ანა სოზაშვილის საკუთრებაა.

ამ სახლში XX ს-ის 40-იანი წლების ბოლოსა და 50-იანი წლების დასაწყისში, სანამ მის მეზობლად 20-30 მეტრის დაშორებით დღევანდელი 9 აპრილის ქუჩაზე, ორსართულიან კეთილმონწყობილ სახლს ააშენებდნენ, ცხოვრობდნენ თელავის ღირსული მოქალაქეები: ამგდარი პედაგოგი ქ-ნ ვერა მდივნიშვილი, რომელიც წლების მანძილზე ხელმძღვანელობდა ჯერ ქალთა I საშუალო, ხოლო შემდგომ IV საშუალო სკოლებს; მისი მეუღლე იყო თელაველთათვის ასევე ცნობილი პიროვნება კომუნალურ საწარმოთა კომბინატისა და ერთხანს ქალაქის საბჭოს თავმჯდომარე, დიდი მეურნე, მტკიცე ხასიათის, ამასთან საქმიანი პიროვნება ბატონი იოსებ ყარაულაშვილი. მათ აღზარდეს ორი შესანიშნავი ვაჟკაცი დემნა და ავთანდილი. დემნა პროფესიით ქიმიკოსი, ფრიად განათლებული ადამიანია. იგი წლების მანძილზე ხელმძღვანელობდა რუსთავის აზოტის ქარხანას. ავთანდილი კი მშენებელი ინჟინერი იყო. ეს უკანასკნელი უდროოდ წავიდა ამ ქვეყნიდან. მას დარჩა მეუღლე პროფესიით ექიმი-პედიატრი ქ-ნი ელზა (ცარო), შვილები ირმა და იოსებ (სოსო), ირმა, არმენოლოგი, მეცნიერებათა დოქტორია, კითხულობს ლექციებს ილიაუნში, ხოლო სოსო მართლაც შესანიშნავი ვაჟკაცი, კარგი ექიმა, რომლის მეუღლეცაა არსენიშვილების დიდებული გვარის წარმომადგენელი, პროფესიით ლიტერატორი ფილოლოგიის დოქტორი სოფიო არსენიშვილი. ამ ოჯახის ორი შვილიშვილიდან პაპის მოსახელე ავთანდილი იაპონიაში სწავლობს უმაღლეს სასწავლებელში, ნინო კი ჯერ კიდევ სკოლის მოსწავლეა.

ბარნოვისა და ნადივკრის ქუჩის კუთხეში, სადაც ახლა კაფე-რესტორანი „ბრავაო“, სანამ იგი აშენდებოდა და ჯერ სასურსათო მაღაზიად, შემდგომ კი კაფე-რესტორნად იქცეოდა, მის ადგილზე არსებულ მიწის ნაკვეთზე, ჩრდილოეთის მიმართულებით იდგა და დღესაც დგას პატარა სახლი, რომელსაც ალექსი (ზედმეტსახელად „სტუდენტ ალექსა“) ახალმოსულიშვილი ფლობდა. მას ჰყავდა მეუღლე მარიამი და ქალიშვილი თინათინი. ეს უკანასკნელი პროფესიით ექიმი იყო, მუშაობდა აბასთუმანში, სადაც როგორც ჩანს,

ტუბერკულოზით დასნეულდა და გარდაიცვალა. შვილის სიკვდილამდე მას მეუღლე გარდაეცვალა. როგორც მისი ყოფილი კარის მეზობელი, თელავის მემატეიანე, შესანიშნავი ქალბატონი კლარა ალხაზიშვილი-მანველიშვილისა მოგვითხრობს: ალექსი უკიდურეს გაჭირვებას განიცდიდა, შვილის გადასარჩენად იგი იძულებული გამხდარა საცხოვრებელი ბინის სახურავიდან კრამიტები მოეხადა, გაეყიდა და მათში არსებული ფული შვილის მკურნალობისათვის გაეგზავნა. მას დახმარებას უწევდნენ და საზრდოს აძლევდნენ მისი ახლო ნათესავი სოსო („მესარკე სოსო“) ახალმოსულიშვილი და მეზობლები: გოლოვანოვები, ალხაზიშვილები.

ასეთ რთულ მდგომარეობაში მყოფი, იგი ყოველთვის კოპნიად გამოიყურებოდა, ვიზუალურად იგი ტანდაბალი იყო, ყოველთვის სუფთა ტანსაცმლით შემოსილი, გვერდზე ლამაზად, მერცხლის ფრთასავით გადავარცხნილი თმით და თავზე განუშორებელი კახური (თუშური) ქელით. გადმოცემით იგი ბინების ყიდვა-გაყიდვაში ე.წ. „მაკლერის“ (შუამავალ-მომრიგებლის) როლს ასრულებდაო, რა უნდა ეშონა ამ გაჭირვებულ ადამიანს ომისა და ომის შემდგომ პერიოდში? - საკითხავი აი, ეს არის.

მისი ყოფილი ბინა, შემდგომ შეიძინა ნიკოლოზ (ნიკუშა) ყურაშიძემ და აქ ცხოვრობდა საკმაო ხანს მეუღლე ეკატერინე (კანია) და ვაჟიშვილ დავითთან ერთად. ახლა ამ ბინაში მხოლოდ კანია ცხოვრობს, შვილი კი რუსეთში მოღვაწეობს.

ნადიკვრის ქუჩას, რომლის სიგრძე 300 მეტრს აღემატება, ფაქტობრივად ერთი ჩიხი და ორი შესახვევი აქვს ხელმარცხნივ. ჩიხი საკმაოდ ვიწროა, იგი ჩრდილოეთისაკენ მიემართება, სადაც რამდენიმე ბინაა განლაგებული, ერთ-ერთი მათგანი ცნობილი სტომატოლოგის გოგა გოლოვანოვის უფროსი შვილის, ან განსვენებული დიმასი (დიმიტრი) იყო, სადაც ახლა მისი ოჯახი ცხოვრობს. მეორე, მისი მომდევნო ბინა კი, მეორე შვილის ალექსანდრე გოლოვანოვის კუთვნილებაა, მის ქვემოთ სახლებში ყარაულაშვილები და მალრაძეები ცხოვრობდნენ. ჩიხი უშუალოდ მთავრდება მაჭავარიანების ეზოსთან, რომელსაც მთავარი შემოსასვლელი რუსთაველის გამზირიდან აქვს.

რაც შეეხება პირველ შესახვევს, იგი იწყება კუთხიდან, სადაც დგას ორსართულიანი სახლი, რომლის აბრა ნადიკვრის ქ. №15-ით

იკითხება. აღნიშნული სახლი, რომელსაც შესასვლელი აქვს როგორც ჩიხიდან, ისე პირველი შესახვევიდან, ქართული აგურით არის ნაშენი, ჩიხის მხარეს საკმაოდ მოზრდილი ეზოც აქვს. იგი ეკუთვნოდა დიმიტრი პაატაშვილს. მას ჰყავდა ორი ვაჟიშვილი და ორიც ქალიშვილი, ვაჟებიდან აღსანიშნავია ივანე (ვანო), ცნობილი ჟურნალისტი, მწერალი, მრავალი მოგონებების ავტორი და, რაც მთავარია, თელავის ისტორიის მემკვიდრე. მისი მოგონებანი მემუარების სახით, საკმაოდ სქელტანიანია, რომლებიც თელავის ისტორიული მუზეუმისა და კახეთის რეგიონალური არქივის ფონდებშია განთავსებული. ივანე პაატაშვილი იყო ჩინებული კორესპოდენტი ქართული პრესისა, მათ შორის, გაზეთ „ცნობის ფურცელი“-სა, შემდგომში „სახალხო გაზეთისა“ და სხვა, რომელიც სახალხო საქმეს ემსახურებოდა. ი. პაატაშვილი წლების მანძილზე, სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის თელავის რაიონული და სამაზრო ორგანიზაციის ლიდერიც იყო ამ პარტიის ლიკვიდაციამდე. ამასთან ერთად, იყო ცნობილი საზოგადო მოღვაწე, უანგარო პიროვნება.

ბატონი ვანო წლების მანძილზე ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე ემსახურებოდა თელავსა და მის მაზრას, თუ რაიონში არსებული საზოგადოებრივ დაწესებულებებს. მისი მოგონებები ილია ზარაფიშვილზე, ივანე როსტომაშვილზე, ალექსანდრე ახმეტელზე და სხვა იმ დროის გამოჩენილ მოღვაწეებზე, მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს ამ პიროვნებათა ცხოვრების ისტორიის შესასწავლად. ივანე პაატაშვილის ნამოღვაწარის ჩამოთვლა საკმაოდ შორს წაგვიყვანს, შევხებით მხოლოდ რამდენიმეს, მათ შორის უფრო ფასდადებულს. იგი ერთ-ერთი ინიციატორია ქ. თელავში, 1909 წელს ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების თელავის განყოფილების ჩამოყალიბების, ასევე 1911 წელს თელავში „ილიაობის“ საყოველთაო დღესასწაულის დაფუძნების და სხვ. ივანე პაატაშვილი 1964 წელს გარდაიცვალა და მისი საფლავი ე.წ „ქართველების სასაფლაოზე“ მდებარეობს.

ივანე პაატაშვილის ძმა შაქრო თელავში საკმაოდ ცნობილი პიროვნება იყო. გიორგი მელითაური მას ახასიათებს, როგორც „იბაკეცემ მომუშავე კომუნისტს“, „მაზრა-ალმასკომის“ თავმჯდომარის მოადგილეს, რამდენიმე წლის განმავლობაში ის ხელმძღვანელობდა განათლების განყოფილებას. 1937 წლის რეპრესიების დროს იგი,

როგორც „ხალხის მტერი“ დახვრიტეს.(126) შაქროს დარჩა ერთადერთი ვაჟიშვილი, დემეტრე (დემნა), რომელმაც თავისი მშობლისა და ბიძის (ივანეს) კუთვნილი სახლის ნაწილი ვანო თუშიშვილს მიჰყიდა.

დიმიტრი შაატაშვილის ქალიშვილებიდან აღსანიშნავია ბრმა ტყვიას შეწირული თამარი. თამარი, ცნობილი ქართველი მწერლის ვასილ ბარნოვის ძმის - ალექსანდრეს მეუღლე იყო, რომელიც იმ ხანად თელავის სასულიერო სასწავლებელში მასწავლებლობდა და შაატაშვილების სახლში ცხოვრობდა. დღესაც, თელავის სასაფლაოზე (ქართველების), ჩამონგრეული ეკლესიის (რომელსაც ახლაც კი პატრონი არა, თუ ვერ გამოუჩნდა, რომ აღადგინონ) ახლოს მდებარეობს მისი საფლავი, რომელსაც მარმარილოში გამოკვეთილი უნატიფესი ძეგლი ადგია წარწერით - „თამარა (თაფლო) ბარნოვისა, ასული დიმიტრი შაატაშვილისა, უდანაშაულო მსხვერპლი განმათავისუფლებელი მოძრაობისა“.(127)

შაატაშვილების სახლის ერთ ნაწილში რამდენიმე წლის განმავლობაში ცხოვრობდა ცნობილი ქირურგი, თელავის ინტელიგენციის თვალსაჩინო წარმომადგენელი აკაკი (კაკო) ჭაფარიძე თავის ოჯახთან ერთად. გარდა იმ დიდი სიკეთისა, რასაც ბ-ნი კაკო თავისი დასტაქრობით თესავდა თელავისა და საერთოდ რეგიონის საზოგადოებაში, მის დამსახურებას წარმოადგენს ისიც, რომ მან სამშობლოს აღუზარდა შესანიშნავი ვაჟკაცები, ამ სიტყვის სრული გაგებით - ქართლოსი და სორთმანი, ისინიც მამის პროფესიას გაჰყვნენ, დაამთავრეს რა თელავის I საშუალო ვაჟთა სკოლა, ჩაირიცხნენ თბილისის სამედიცინო ინსტიტუტში და მისი დასრულების შემდეგ მუშაობდნენ ექიმებად თბილისის სხვადასხვა საავადმყოფოებში. ორივე ვაჟს ჰქონდა კარგი სპორტული მონაცემები, განსაკუთრებით ეს ითქმის უფროსზე - ქართლოსზე, რომელიც შესანიშნავად თამაშობდა კალათბურთს და ერთხანს თბილისის „დინამოს“ კალათბურთელთა გუნდშიც ირიცხებოდა.

ბატონ კაკოს თავი ოჯახთან ერთად ნადიკვრის I შესახვევში დიდხანს არ უცხოვრია, იგი გადასახლდა გურამიშვილის ქუჩაზე მდებარე სახლში, რომელსაც დღეს ლუარსაბიშვილები ფლობენ. მალევე კ. ჭაფარიძემ დატოვა თელავი და თბილისში გადავიდა საცხოვრებლად.

დიმიტრი შაატაშვილის სახლის მეორე სართულზე, ჩრდილო-

აღმოსავლეთით განლაგებულ ოთახებში ერთხანს ცხოვრობდა ქრისტეფორე (ხრისტო) ალხაზიშვილის ოჯახი, მისი მეუღლე ქ-ნი მარიამ დავითაშვილი და შვილები კლარა და დიმა (დიმიკა).

ნადიკვრის პირველ შესახვევში, პაატაშვილების სახლის მოპირდაპირედ, ვახვახიშვილების ციხე-გალავნის შემოგარენში სამი სახლი იყო, ერთ-ერთი მათგანი ახლა ჯაფარიძეებისა, რომელიც სახლად გადაქცეული ვახვახიშვილების სამხრეთ-დასავლეთის კოშკს, შეცვლილი სახით წარმოადგენს. აქ მცხოვრები ივანე საჩინოს ძე ჯაფარიძე, თავისი დროის თელავის მშვენება, ძველი ქართული დიდი უღვაშებით და სიღარბისლით ცნობილი პიროვნება, 1924 წლის სექტემბერში „გიგოს გორაზე“ დახვრიტეს. შვილმა გიორგიმ ნაუცბათევად მინანაყრილი მამის ცხედარი, სწორედ მისი მიწიდან ამოშვერილი უღვაშებით ამოიციწო. ივანეს შვილიშვილები ოთარი და გივი ამ ტერიტორიაზე სახლობდნენ, თუმცა ოთარი, ეს ნიჭიერი და პერსპექტიული ფეხბურთელი, თბილისის „დინამოს“ გუნდის თამაშიდან მომავალი ავარიას შეენირა. ასევე, ნაადრევად წავიდნენ ამ ქვეყნიდან გივი ჯაფარიძე და მისი ვაჟი გიორგი (გოგი) ჯაფარიძეც. დღეს ვახვახიშვილებისეულ კოშკში ივანე ჯაფარიძის შვილთაშვილი დავით ჯაფარიძე ცხოვრობს თავის ოჯახთან და შვილებთან - თიკასთან (თინიკო) და ოთოსთან (ოთარი) ერთად.

კოშკის გვერდით იდგა გოგნიაშვილების სახლი, რომელშიც თვით გოგნიაშვილს გახსნილი ჰქონდა კერძო დანყებით სკოლა, შემდგომში ეს სახლი პირველ საბავშვო ბაღს ეკავა. დღეს იგი აღარ არის. მესამე-ორსართულიანი სახლი უშუალოდ ვახვახიშვილების ციხე-გალავნის აღმოსავლეთის კედელზე იყო მიშენებული. იგი საგრენაჟო ქარხანას ჰქონდა ნაყიდი. მის მეორე სართულზე ამ საწარმოს ხელმძღვანელები ნინო ხომიზურაშვილი-ბერაიასი და ლევან ბაგმანიანების ოჯახები ცხოვრობდნენ. ადრე ეს შენობა, სანამ მას საგრენაჟო ქარხანა შეისყიდდა, გამოყენებული იყო ჯერ სასამართლოსათვის, შემდეგ საავადმყოფოსათვის.(128) აღნიშნული სახლები, ივანე ჯაფარიძის ბინის გამოკლებით, ვახვახიშვილების ციხე-გალავანში XX ს-ის 70-80-იან წლებში სასტუმრო „ინტურისტის“ მშენებლობამ შეინირა და აღიგავა პირისაგან მიწისა.

ნადიკვრის მიმართულებით, „მონადირეთა კავშირის“ შენობის გაგრძელებაზე რამოდენიმე შენობა დგას. მის უშუალო მომიჯნავედ

ორსართულიანი სახლებია, ქართული აივნებით დამშვენებული, რომლებიც ე.წ. „იტალიური ეზოს“ ტიპისანი არიან. აქ ერთხანს ჭუაძეები, პაპოშვილები, გოგუაძეები ცხოვრობდნენ და დღესაც არიან მათი გვარების გამგრძელებლები. ერთ-ერთ ბინაში გიგაური ცხოვრობს. ამ სახლიდან ცოტა მოშორებით ნადიკვრის და რევამ ლალიძის (ყოფილი პირველი აღმართის, შემდეგ ცხაკაიას სახელობის) ქუჩების კუთხეში დგას ძველებური ქართული სტილის აგურით მოპირკეთებულ საყრდენებზე მდგარი ორსართულიანი სახლი, რომელშიც ზუროშვილები ცხოვრობენ. მისი გაგრძელებაა პატარა, მაგრამ ერთი შეხედვით საკმაოდ ლამაზი ბელეტაჟის ფორმის ბინა, სადაც ერთი მშრომელი ხელოსანი, საკერავი მანქანების შემკეთებელი ივანე აფრიაშოვი ცხოვრობდა. მან აღზარდა შესანიშნავი ქალიშვილები: ზიზი - მებან-გინეკოლოგი, კლარა - ინგლისური ენის სპეციალისტი, ლამარა - მეღვინე და ციციწო. დღეს ეს ბინა ციციწოს ქალიშვილის ოჯახისაა.

ამ სახლის უშუალო მეზობლად, ნადიკვრის №22 სახლი, რომელიც მდებარეობს ნადიკვრისა და გია (გიორგი) არსენიშვილის (უწინ ჯორჯიაშვილის ქუჩა) ქუჩების გადაკვეთის კუთხეში არსენიშვილებისაა. მისი ამშენებელი, სოფლის მეურნეობის დამსახურებული მუშაკი, სოფელ იყალთოს თავკაცი ლონგო არსენიშვილი იყო. ჩვენი ვარაუდით, იგი XX ს-ის 40-50-იანი წლების მიჯნაზე უნდა აგებულიყო. აქ ცხოვრობდა ბ-ნი ლონგო (ლონგინოზი) თავის მეუღლე, ექიმ-ნევროლოგ ნინო ბეგიაშვილთან ერთად. მათ შესანიშნავი შვილები აღზარდეს. უფროსი გია (გიორგი) არსენიშვილი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ წლების მანძილზე მუშაობდა პროფესორად მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე. შემდგომ სახელმწიფო სამსახურს მოეკიდა, იყო კახეთის მხარის რწმუნებული (გუბერნატორი), სახელმწიფო მინისტრი, ავსტრიასა და შენგენის რამოდენიმე ქვეყანაში ელჩად, უკანასკნელ ხანს თელავიდან არჩეული იყო მაჟორიტარ დეპუტატად საქართველოს პარლამენტში. ნაადრევად შეწყდა მისი სიცოცხლე, მსუბუქი იყოს მისთვის მშობლიური ქართული მიწა. მეორე ვაჟი, ზურაბი კი პროფესიით ისტორიკოსია, თუმცა იგი უურნალისტიკამ გაიტაცა და დღესაც აგრძელებს ამ საქმეს თავის ძვირფას მეუღლე, ასევე უურნალისტიკირა აფციურთან ერთად. ბატონი ზურაბი რამდენიმე წიგნის ავტორია. თელავმა, ამ პატარა

ქალაქმა უნდა იამაყოს ამნაირი ადამიანებით, რომლებიც მის წიაღში დაიბადნენ, აღიზარდნენ და დღესაც აგრძელებენ საამქვეყნო საქმის კეთებას.

ნადიკვრის ქუჩა N20 და N22-ში არსებული აფრიამოვისა და არსენიშვილების სახლების შუაში, ოდნავ წინ, ქუჩის პირას, დიდი ცაყხვის სიახლოვეს, რომელიც დღესაც ამაყად დგას, იდგა ხით ნაგები, იმერული „ოდის“ ტიპის სახლი, იგი საკმაოდ მოძველებული იყო. მასში ბინადრობდნენ გასომხებული სახივეების (სახიაშვილი) ოჯახი. ქალბატონი სათო, თავის შვილ სერგოსთან, რძალ ქალინკასთან, შვილიშვილ ნუგზართან ერთად. ოჯახის მარჩენალი იყო სერგო, რომელსაც ცხენის ურმით გადაჰქონდა ტვირთი. სერგოსა და ქალინკას შეუღლებასთან დაკავშირებით დღესაც თელავში შემორჩენილია თქმულება კურიოზული სახისა, რომლის მსმენელიც ხალისიანი ხდება. თურმე ბატონ სერგოს (ზედმეტსახელად - „ჰოპა“ რქმევია, ეს სახელი შემდგომ მის შვილზეც გადავიდა), როდესაც ქალი უთხოვია ველისციხეში და თელავში მოჰყავდა, ველისციხელ ე.წ. „ბირჟაეიკებს“ დაცინვა დაუნყიათ სერგოსთვის „ვა რა ქალი ვავატანეთო“ (როგორც ჩანს, ქალინკას ოჯახი, ან თვითონ ქალინკაც, ერთგვარად ნაძრახ სახელს ატარებდა), სერგოს მათთვის ასეთი პასუხი გაუცია - „ახლა თელავში იკითხეთ „ჰოპა“ ვინ არისო“. და ასე გაუჩუმებია მისი დამცინავი ე.წ. „მოყვარე“ ველისციხელები. სერგოს ოჯახი 60-იანი წლებისათვის თითქმის ამოწყდა ნუგზარს დარჩა ერთი ვაჟი, სახელად გოჩა, რომელიც ფაქტობრივად უპატრონოდ გაიზარდა და ბოლოს ქალაქის დასუფთავებაში მენაგვედ მუშაობდა. 70-იანი წლების დამდეგს ნადიკვრის ქუჩას რამდენადმე ჩაუტარდა რეაბილიტაცია, რომელმაც ეს ერთადერთი ხის სახლიც ქალაქის ცენტრში შეინწირა. გოჩას სანაცვლოდ ლესელიძის ქუჩაზე აბრეშუმის ძაფ-სახვევი ფაბრიკის მუშა-მოსამსახურეთათვის აგებულ სახლში არგუნეს საცხოვრებელი.

სანამ უშუალოდ ნადიკვრის ქუჩის მეორე შესახვევში განლაგებული სახლებისა და მათ მობინადრეებზე ვისაუბრებდეთ, გაუყვეთ ნადიკვრის ქუჩის მარცხენა და მარჯვენა მხარეებს.

ვახვახიშვილების ციხე-გალავნის სამხრეთის კედლის სიახლოვეს, აგებულ სახლში დიდი ხნის მანძილზე, მას შემდეგ, რაც ბატონის ციხე-გალავნისა და საზარბაზნე ბურჯის წინ აგებულ სახლს, რომელშიც

განთავსებული იყო თელავის მაზრის გამგეობა, ხანძარი გაუჩნდა, მოთავსებული იყო „სამაზრო სამმართველო“, სადაც საქართველოს დამოუკიდებლობის წლებში (1918-1921 წ.წ.) და ასევე ბოლშევიკური ხელისუფლების დროსაც, თითქმის XX საუკუნის დასასრულამდე, „მილიციის“ განყოფილება იყო განთავსებული. მას შემდეგ, რაც XXI საუკუნის დასაწყისში, მსოფლიო ბანკის დაფინანსებით, ქალაქ თელავის რეაბილიტაცია დაიწყო, ეს შენობა მთლიანად დაანგრიეს. ხელისუფალნი ირწმუნებოდნენ, რომ მის შემსყიდველ კერძო პირს, თუ რომელიღაც კომპანიას ამ ადგილას სავარაუდოდ სავაჭრო ცენტრი-მოედანი უნდა განეთავსებინა, მაგრამ ეს დაპირება მხოლოდ დაპირებად დარჩა. მის კეთილმოწყობაზე არც არაფერი ისმის. დღესაც იგი ხელუხლებელია და არც თელავის ხელისუფალნი რეაგირებენ ამის შესახებ. ამ უპატრონოდ მიგდებულ ადგილს, თითქოსდა „სილამაზისათვის“, თუნუქის მესერი შემოავლეს და კიდევ უფრო დაფარეს ვახვახიშვილების ციხე-გალავნის გადარჩენილი სამხრეთი კედლის სიდიადე.

ამ ადგილზე არსებული ყოფილი მილიციის შენობის მოპირდაპირედ, ქუჩის მარჯვენა მხარეს, უშველებელი ცაცხვის ხის გვერდზე ერთსართულიანი სახლი იდგა, მას რეაბილიტაციის შედეგად ზედა, მეორე სართულზე ერთი პატარა ოთახი დააშენეს, რომელმაც გარკვეულწილად გაალამაზა და ორიგინალური გახადა ეს შენობა. ახლა იგი კერძო პირის კუთვნილებაა და იგი სტუმრების მისაღებად არის გადაკეთებული. შენობის ჩრდილოეთის კედელზე გაკრული აბრა იუნყება, რომ ის არის საოჯახო სასტუმრო „სოფია“. შეიძლება ითქვას, რომ ეს პატარა შენობა ვიზუალურად კარგად გამოიყურება და ალამაზებს იქაურობას.

უნინ, XIX საუკუნის 80-90-იან წლებში, ამ სახლში ცხოვრობდნენ იმხანად საკმაოდ ცნობილი პედაგოგები: ილია და ქრისტეფორე ზარაფიშვილები, რომლებიც თელავის სხვადასხვა სასწავლებელში საქმიანობდნენ და თავიანთ გამოცდილებასა და ცოდნას უზიარებდნენ მოსწავლეებს, ისინი მარტო ამით არ კმაყოფილდებოდნენ და ფართო საზოგადოებრივ საქმიანობასაც ეწეოდნენ, გარდა საკვირაო სკოლების ხელმძღვანელობისა, აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების თელავის ფილიალის მიერ განხორციელებულ მრავალ ღონისძიებაში,

ეს იქნებოდა სკოლების, თუ ბიბლიოთეკების, ან წიგნების მაღაზიების გახსნა და სხვ. ამასთან ერთად თანამშრომლობდნენ ცენტრალურ გაზეთებში და ქართველ მკითხველს აცნობდნენ თელავსა და მის მაზრაში მომხდარი მნიშვნელოვანი ამბების შესახებ. უურნალისტური ნიჭით ძმებს შორის განსაკუთრებით გამოირჩეოდა ილია, იგი წლების მანძილზე იყო გაზეთ „ივერიის“ საკუთარი კორესპოდენტი. წერდა სტატიებს და აქვეყნებდა მას „ნადიკვერელის“ ფსევდონიმით. მისი წერილები ყოველთვის გამოირჩეოდა მაღალი ქართული სალიტერატურო ენის სტილით.

ილია ზარაფიშვილის საზოგადოებრივი მოღვაწეობა ამით არ მთავრდება. იგი აქტიურად იბრძოდა ცარიზმის წინააღმდეგ და მთელი სულით ჩაბმული იყო რევოლუციურ მოძრაობაში, რის გამოც იგი დააპატიმრეს და გადასახლებაში გააგზავნეს. გადასახლებაში ყოფნის შემდეგ ი. ზარაფიშვილი სამშობლოში ბრუნდება და კვლავ აგრძელებს საზოგადოებრივ საქმიანობას, მაგრამ ჯანგატეხილმა ველარ შეძლო დიდხანს მისი გაგრძელება და 1909 წელს გარდაიცვალა. მისი შემოქმედება, ნამოღვაწარი იმდენად საინტერესო და მრავალფეროვანია, რომ საჭიროა იგი მკვლევარის მიერ ჯეროვნად იყოს შესწავლილი და გამოქვეყნებული, რათა მკითხველმა გაიგოს თუ რა გაქანების პიროვნება ცხოვრობდა ოდესღაც თელავში. საბჭოთა ხელისუფლების წლებში ქ. თელავის ხელმძღვანელობამ ილია ზარაფიშვილს ღვანლი იმით „დაუფასა“, რომ ერთ-ერთ მიყრუებულ ორლობეს მსგავს ქუჩას, რომელიც აკავშირებს ილია ჭავჭავაძის გამზირს გვირაბის ქუჩასთან, მისი სახელი უწოდეს. სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს.

ზემოაღნიშნულ ადგილზე, ნადიკვერის ქუჩის კუთხეში ილია ზარაფიშვილს დიდხანს არ უცხოვრია, მან დღევანდელი არსენიშვილისა და გურამიშვილის ქუჩების გადაკვეთის კუთხეში დაიდო ბინა, ხოლო მის ყოფილ ბინას ნადიკვერის ქუჩაზე რამდენიმე პატრონი გამოუჩნდა. მათ შორის, ერთხანს აქ ცხოვრობდა ცნობილი პედაგოგი კოტე მესხი. რომელიც მათემატიკურ მეცნიერებას ასწავლიდა ვაჟთა საშუალო სკოლებში.(129)

ამ სახლის აღმოსავლეთის მიმართულებით მდებარეობს XIX ს-ის შუახანებში აგებული, ერთსართულიანი, საკმაოდ გრძელი შენობა, რომელიც შიუკაშვილების საკუთრებას წარმოადგენდა. შიუკაშვილების

ნამდვილი გვარი ლალიაშვილი ყოფილა.(130) როგორც მკვლევარი გიორგი ჯავახიშვილი წერს, ამ გვარის ერთ-ერთი ფუძემდებელი სოფ. ქვემო ხოდაშნის მცხოვრები შიუკა ლალიაშვილი, იმ დროის XVIII ს-ის განთქმული ბერიკა-მესალამურე იყო, რომელმაც მეფე ერეკლეს ყურადღებაც კი დაიმსახურა და ამ უკანასკნელს ის სასახლეში წაუყვანია, ეკლესიის მგალობლად და სასულიერო სასწავლებელში მიუბარებია მისი სახელის მიხედვით. ასე გამხდარან ქვემო ხოდაშნელი ლალიაშვილები შიუკაშვილებად.

ამ გვარის ერთ-ერთი შთამომავალი იყო ცნობილი პედაგოგი და მწიგნობარი ივანე, რომლის შთამომავლები ქართული ეროვნული კულტურის სხვადასხვა სფეროში მოღვაწეობდნენ. მათ შორის იყვნენ: ცნობილი ქართველი პედაგოგი და დრამატურგი ნიკო შიუკაშვილი, მისის დები თამარ და ეკატერინე, ბ-ნ ნიკოს შვილები - ვანო სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის პროფესორები: ვანდა და ლეო შიუკაშვილები. ერთი ვიოლინოს კლასის, მეორე კი ფორტეპიანოსი. მათ აღზარდეს არაერთი სახელოვანი მუსიკოსი, რომლებმაც მსოფლიოში გაითქვეს სახელი. მათგან ერთის, ლიანა ისაკაძის სახელიც კი სრულიად საკმარისია დასასახელებლად.

ნადიკვრის ქ. № 24-ში მდგარ შიუკაშვილების სახლში დაიბადა და გაიზარდა ნიკოლოზ ივანეს ძე შიუკაშვილი, ავტორი თავის დროის განხურებული პიესებისა: „ამერიკელი ძია“, „სულელი“ და სხვ. ნ. შიუკაშვილი თეატრალური ინსტიტუტის პედაგოგიც იყო. კითხულობდა ლექციებს ესთეტიკაში. ბ-ნ ნიკოს მოღვაწეობა მეტწილად ქ. გორში უხდებოდა, სადაც მან კარგი, განათლებული პედაგოგის სახელი დაიმკვიდრა. რაც შეეხება ქ-ნ თამარს, იგი 50 წლის მანძილზე ასწავლიდა თელავის სკოლების დაწყებით კლასებში დედა ენას და სხვა საგნებს. მას თელავში ერთ-ერთ პირველს, 1939 წელს მიენიჭა საქართველოს დამსახურებული მასწავლებლის წოდება.

მრავალმხრივ ლიტერატურულ მოღვაწეობას ეწეოდა ეკატერინე შიუკაშვილი. ის წერდა პიესებს, მოთხრობებს, ნოველებს, ლიბრეტოებს, ნაკვესებს. მას გამოქვეყნებული აქვს რამდენიმე პუბლიცისტური წერილი. განსაკუთრებული სიყვარულით წერდა თეატრზე. მის სახელთან არის დაკავშირებული თელავში საბავშვო თეატრალური დასის ჩამოყალიბება. მას ეკუთვნის რამდენიმე წერილი

თეატრის საკითხებზე და პიესები, რომელთა გარკვეული ნაწილი იდგმებოდა თელავის თეატრში.(131)

ამ სახლში ცხოვრობდა შიუკაშვილების სიძე სერგო მამალაძე, რომელიც ხანგრძლივი და ნაყოფიერი პედაგოგიური მოღვაწეობისთვის იყო დაჯილდოებული.(132)

ამ სახლს სხვადასხვა დროს რამოდენიმე მესაკუთრე ჰყავდა. მათ შორის იყო ცნობილი ქართველი მწერალი და კინოსცენარისტი ქალბატონი ზაირა არსენიშვილი, რომელიც არც თუ ისე დიდი ხნის წინათ გარდაიცვალა და მისმა სიკვდილმა დაამწუხრა არამხოლოდ მშობლიური თელავის, არამედ თითქმის მთელი საქართველოს ინტელექტუალურად მოაზროვნე ადამიანები.

შიუკაშვილების ყოფილი ბინის ნახევარი, აღმოსავლეთის ნაწილი ერთხანს ექიმ დოდო თუშიშვილს ჰქონდა ნაყიდი, რომლის ქალიშვილმა უკანასკნელ ხანს გაასხვისა და შოთა როსტომაშვილს მიჰყიდა. ამ უკანასკნელმა შენობას ნაწილობრივ, ხოლო მის კარმიდამოს ფუნდამენტური კაპიტალური რემონტი ჩაუტარა, ააგო სპეციალური შენობა, რომელზედაც საბანაო აუზია მოთავსებული, მწვანე ნარგავების გაზონით დამშვენებული. ერთი სიტყვით, შეიძლება ითქვას, რომ ბინა კიდევ უფრო გამშვენიერდა. კარგი იქნება თუ ახალი მეპატრონე გააახლებს მემორიალურს დაფას, რათა უფრო თვალსაჩინო გახდეს მნახველისათვის, თუ რა პიროვნების ოჯახი ცხოვრობდა ამ ბინაში.

ნადიკვრის ქუჩის მარცხენა მხარეს, ვახვახიშვილის ციხე-გალავანია, მომიჯნავედ, ყოფილი „მილიციის“ შენობის გაგრძელებაზე, აღმოსავლეთის მიმართულებით დგას სანდრო ვახვახიშვილის მიერ 1910 წელს აშენებული ერთსართულიანი, ე.წ. „ბელეტაუსი“ ფორმის საკმაოდ ლამაზი შენობა, რომელშიც დღესაც ვახვახიშვილის გვარის წარმომადგენლები ცხოვრობენ, სახელდობრ, ბიძინა ვახვახიშვილი მეუღლესთან, შვილებთან და დასთან - ნანასთან ერთად.

ამ სახლის კარ-მიდამოს მოსდევს, ჩვენი აზრით, XX საუკუნის 30-40-იან წლებში აშენებული სახლი, რომელიც ილია სამადაშვილის კუთვნილებას წარმოადგენდა. ამ უკანასკნელის გარდაცვალების შემდეგ ბინის მესაკუთრედ ითვლებოდა ბ-ნ ილიას მეუღლე თელავის მუსიკალური სკოლის ცნობილი პედაგოგი ქეთევან მაღალაშვილი. დღეს ამ ბინაში ცხოვრობას განაგრძობს ბ-ნ ილიას და ქ-ნ ქეთევანის

ერთადერთი ქალიშვილი მანანა სამადაშვილი-კვეციტაძის ოჯახი.

ნადიკვრის ქუჩაზე, თუ არ ჩავთვლით მის I შესახვევში არსებულ გოგნიაშვილის დაწყებით სასწავლებელს, იყო კიდევ ორი სასწავლებელი. ერთი ვაჟთა, რომელიც ჯერ პროგიმნაზია იყო, ხოლო შემდეგ გიმნაზიად გადაკეთდა. იგი 1910 წელს გაიხსნა და 1918 წელს სრული გიმნაზიის სტატუსი მიიღო; მეორე კი - სამოქალაქო სასწავლებელი, რომელსაც საფუძველი 1843 წელს ჩაეყარა. გიმნაზიის პირველი დირექტორი იყო ცნობილი საზოგადო მოღვაწის, საქართველოს სახალხო არტისტის ნინო ჩხეიძის მეუღლე მიხეილ ქორელი, ცნობილი მომღერლის ფილიმონ ქორიძის შვილი. ამ შენობის მეპატრონე კი იყო ილიკო ვახვახიშვილი, ხოლო შენობა ქირით ჰქონდა აღებული გიმნაზიას და მას ფლობდა 1919 წლის 1 იანვრამდე. მას შემდეგ რაც თელავში პირველ იანვარს მოხდა სასულიერო სასწავლებლისა და გიმნაზიის გაერთიანება, გიმნაზია სასულიერო სასწავლებლის შენობაში გადავიდა. გიმნაზიის ყოფილი შენობა ი. ვახვახიშვილს ჩამოერთვა და მასში ჯერ „ერობის“ ორგანიზაცია, ხოლო შემდეგში სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტი მოთავსდა.

თელავში 1925 წელს, საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე, დიდი ილიას დაუძინებელი მტერი და შეიძლება ითქვას, მესაფლავეც კი - ფილიპე მახარაძე ჩამოვიდა. მან დაათვალიერა თელავის სახელმწიფო დაწესებულებანი და მათ შორის საავადმყოფოც. როგორც ჩანს, იგი უკმაყოფილო დარჩა ნანახით, განსაკუთრებით კი საავადმყოფოს სავალალო მდგომარეობით და ბრძანება გასცა მოეხდინათ საბჭოთა ხელისუფლების არა მოსურნე, მდიდარ ადამიანთა სახლების ჩამორთმევა და მათი ნაციონალიზაცია.(133) ჩამორთმეულ იქნა 15-მდე სახლი. საავადმყოფო გადატანილ იქნა ყოფილი გიმნაზიის, შემდგომ კი მაზრის აღმასკომის შენობაში, ხოლო სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტი გადავიდა მესამე აღმართის (ახლ. ე. ახვლედიანის) ქუჩაზე ჩამორთმეულ ტერ-არუთინოვის სახლში. რაც შეეხება საავადმყოფოს, მისთვის „გიგოს გორის“ სამხრეთით ახალი შენობა აშენდა, ყოფილი გიმნაზიის შენობა კი ბავშვთა საავადმყოფოს დაეთმო. ერთხანს მასში სანიტარულ-ეპიდემიოლოგიური დისპანსერი იყო მოთავსებული, მაგრამ ეს უკანასკნელიც დიდხანს არ დარჩენილა.

ეკონომიკის სამინისტრომ ყოფილი საავადმყოფოს კარმიდამო XXI საუკუნის დამდეგს კერძო პირებს მიყიდა, რომლებმაც მიწასთან გაასწორეს ყველაფერი და მის ნაფუძარზე 5-6 სართულიანი სახლი ააშენეს, რომელიც დღემდის უფუნქციოა. იგი არც თავისი გარეგნობით გამოირჩევა და არც ჯდება ნადიკვრის უბნის პანორამაში.

საავადმყოფოს გვერდით ბაბუნიძის სახლი იყო, რომელიც ნაციონალიზაციაში მოჰყვა და საავადმყოფოს გადაეცა. აქ ერთხანს ვენერიულ სნეულებათა საავადმყოფო და იზოლაციური იყო განთავსებული, რომელსაც ახალი შენობა რუსთაველის გამზირზე გამოეყო, მის ადგილზე ერთხანს ტუბდისპანსერი მოქმედებდა, მაგრამ ეს შენობაც საავადმყოფოს მსგავსად, ნგრევაში მოჰყვა.

რაც შეეხება სამოქალაქო სასწავლებელს, იგი დღევანდელი მესამე საჯარო სკოლის შენობაში იყო განთავსებული და მოქმედებდა 1843 წლიდან 1924 წლამდე. სამოქალაქო სასწავლებელს ისეთი ცნობილი ადამიანები ხელმძღვანელობდნენ, როგორებიც იყვნენ ვასილ კიკნაძე - გეოგრაფიისა და ბუნებისმეტყველების სახელმძღვანელოების ავტორი, ასევე ვინმე მაჟნიკოვი და ბოლოს დიმიტრი ცისკარიშვილი, რომელმაც აღზარდა და სამშობლოს მისცა სამი მეცნიერი შვილი, მათ შორის ერთი უროლოგი, ორი კი - ქიმიკოსი.

1924 წლიდან ყოფილი სამოქალაქო სასწავლებლის შენობა ორ წელიწადს ჰუმანიტარულ ტექნიკუმს ეკავა, სამ წელიწადს - პედაგოგიურ ტექნიკუმს, შემდეგ მეორე საქარხნო-საფაბრიკო სკოლას. ეს უკანასკნელი მეორე საშუალო სკოლამ შეცვალა, ხოლო 1940 წლიდან 1956 წლამდე მასში განთავსებული იყო რუსული საშუალო სკოლა. 1956 წლიდან დღემდე მასში თელავის III საჯარო სკოლა ფუნქციონირებს.

თელავის III საჯარო სკოლის მეზობლად, ზედ ნადიკვრის გორაზედ დგას ერთსართულიანი, საკმაოდ მოზრდილი შენობა, რომელსაც რამდენიმე წლის უკან მეორე სართული დააშენეს. იგი ოდესღაც ვახვახიშვილებს ეკუთნოდათ, ხოლო შემდეგში, მათგან 1921 წელს დიმიტრი რჩეულიშვილმა შეისყიდა. ამ შენობასაც ისტორიული მნიშვნელობა აქვს იმ მხრივაც, რომ გარდა მისი სიძველისა, ამ შენობაში გაიხსნა პირველად ალექსანდრე ჭავჭავაძის რძლის ანას თაოსნობით და გრიგოლ ორბელიანის ხელშეწყობით „მინდა ნინოს“ სახელობის ქალთა სასწავლებელი. 1865 წელს ამ შენობაში იძულებით

მიიყვანეს რვა გოგონა, რომლებიც პირველი მერცხლები იყვნენ წმინდა ნინოს სასწავლებლისა. ამ შენობაშივე იყო პანსიონიც. მომდევნო წელს ამ სასწავლებელში უკვე 25 მოსწავლე გოგონა ჩაირიცხა. მას შემდეგ, რაც ვორონცოვ-დაშკოვის მეუღლემ გრაფინია დაშკოვამ ანა ჭავჭავაძეს 500 (ხუთასი) მანეთი მისცა შენობის შესაკეთებლად, სასწავლებელი ერეკლე II-ის სასახლეში გადავიდა, სადაც სკოლისათვის შესანიშნავი ახალი შენობა ააგეს.

ვახუხიშვილების ყოფილი შენობა, რომელიც 1921 წლიდან რჩეულიშვილების საკუთრება გახდა იმითაცაა ცნობილი, რომ დიმიტრი რჩეულიშვილმა და მისმა მეუღლემ, ივანე ჭავხიშვილის დამ, დედასამშობლო საქართველოს მართლაც და სასიქადულო შვილები და შვილიშვილები აღუზარდეს. მათ შორის სამი მეცნიერი და ერთი ცნობილი მწერალი, შვილებიდან მიხეილი - საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, ლევანი - ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, პროფესორი, ვახტანგი - მეცნიერებათა კანდიდატი, შვილიშვილი გურამი - საყოველთაოდ ცნობილი მწერალი, საკმაოდ გახმაურებული მოთხრობების, მათ შორის „ალავერდობის“ და სხვათა ავტორი. ახლა ამ შენობის დიდი ნაწილი გურამ რჩეულიშვილის დის, მარინესა და გვიდარ ფალავანდიშვილის შვილის გურამ ფალავანდიშვილის საკუთრებაა. სწორედ გვიდარ ფალავანდიშვილის სახელს მიენერება ამ ისტორიული ვახუხიშვილების სახლის რეკონსტრუქცია, მასზე მეორე სართულის დაშენება. ამ საქმეში ბ-ნ გვიდარს მხარში ედგა და დიდი დახმარება გაუწია მისმა ე.წ. „მოყვარემ“ მეუღლის მარინეს მამიდაშვილმა დემნა (მიხეილ) რჩეულიშვილმა, ვაგლახ, რომ დღეს ამ ქვეყნად აღარ არიან ისეთი სახელოვანი ვაჟკაცები, როგორებიც იყვნენ გვიდარი და დემნა.

რჩეულიშვილების გარდა ამ სახლში, სამხრეთით მიშენებულ ოთახებში ერთხანს ცხოვრობდნენ აზნიაშვილები და კველიშვილები. მას შემდეგ, რაც აზნიაშვილების ოჯახში დიდი ტრაგედია დატრიალდა, ავტოკატასტროფაში დაიღუპა მათი უფროსი ვაჟი, ამის შემდგომ აზნიაშვილებს აქ დიდხანს აღარ უცხოვრიათ. უმცროსმა ვაჟმა საკუთარი ბინა შეიძინა დოდაშვილის ქუჩაზე, რაც შეეცება მეორე მობინადრეს, ვახტანგ კველიშვილს, იგი თითქმის XXI საუკუნის 10-იან წლებამდე ცხოვრობდა აქ მარტოხელა. ის საკმაოდ მშრომელი ადამიანი იყო. გარდა იმისა, რომ მას შეთვისებული ჰქონდა ნადიკურის

პარკისა და III საშუალო-საჯარო სკოლის ზედამხედველობა (მისი დაცვა), უვლიდა ნადიკვრის დასასვენებელი პარკის გაზონებს, მისი დეკორატიული იყო. ვახტანგის გარდაცვალების შემდეგ მისი ყოფილი საკუთრება, ისევე როგორც აზნიაშვილებისა, გურამ ფალავანდიშვილმა შეისყიდა, მონაგრია ისინი და თავისი დედუღეთის - რჩეულიშვილების სახლს პირვანდელი სახე დაუბრუნა. ახლა ამ შენობის დიდი ნაწილი გურამ რჩეულიშვილის დისშვილის – გურამ ფალავანდიშვილის საკუთრებაა, რომელიც ცდილობს მის კეთილმონყოფას.

ნადიკვრის შესასვლელში იდგა ერთსართულიანი სახლი თავისი სარდაფით, რომელშიც ცხოვრობდა იატაკქვეშეთში მომუშავე ბოლშევიკი ილიკო ჭურულაშვილი. მისი გარდაცვალების შემდეგ ამ შენობაში განთავსებული იყო „ნადიკვრის პარკის“ დირექცია, ხოლო სარდაფში საბილიარდო ფუნქციონირებდა. ამჟამად ეს შენობაც აღარ არსებობს, იგი ნადიკვრის რეკონსტრუქციამ შეინარა.

### **გურამ რჩეულიშვილის ქუჩა**

ნადიკვრის მეორე შესახვევში (ახლანდელი გურამ რჩეულიშვილის ქუჩა) XIX ს-ის ბოლოს და XX საუკუნის დასაწყისში ორიოდ სახლი თუ იდგა. ერთ-ერთი მათგანი მერი ვახვახიშვილს და მეორე ექიმ ივანე ჯაფარიძეს(134) ეკუთვნოდათ, მერის სახლი მიხეილ შამანაურმა და ნიკო როსტომიშვილმა იყიდეს, ჯაფარიძისა კი - ნიკო მაჭავარიანმა და ნაცვლიშვილმა. ამ უკანასკნელმა ვახვახიშვილის ციხე-გალავნის ჩრდილო-აღმოსავლეთით მდგარი კოშკი საცხოვრებელ ბინად გადააკეთა. ივანე ჯაფარიძეს დიდხანს არ უცოცხლია, იგი ტიფით გარდაიცვალა. მას დარჩა ორი შვილი: ვაჟიშვილი ლევანი - ბოტანიკოსი, მეცნიერებათა დოქტორი, აკადემიკოსი და ქალიშვილი ნადეჟდა, ისიც მეცნიერებათა კანდიდატი.

რაც შეეხება ბინას რომელიც შამანაურებს ეკავათ, ისიც რამდენიმეჯერ იქნა გადაკეთებული. ოჯახის თავკაცი მიხეილ შამანაური, იმ დროისათვის საკმაოდ ცნობილი პიროვნება იყო - წერდა ლექსებს, მოთხრობებს, მოგონებებს. იგი დიდი ქართველი პოეტის

ვაჟა-ფშაველას ახლო მეგობარი იყო. თელავში სტუმრობისას ვაჟა-ფშაველა ხშირად მიხეილის სახლში ჩერდებოდა. მიუხედავად სამწერლობო ნიჭისა, მიხეილ შამანაური პროფესიით იურისტი იყო და ადვოკატურ საქმიანობას ეწეოდა. მიხეილ შამანაური, ისევე როგორც XXს-ის 20-30-იანი წლების მრავალი ცნობილი ქართველი ინტელიგენტი, საბჭოთა ხელისუფლების რეპრესიებს ემსხვერპლა, იგი 1937 წელს დახვრიტეს. ბატონ მიხეილს სიკვდილის შემდეგ დარჩა ორი შესანიშნავი ქალიშვილი: უფროსი: ქ-ნი მარი, ცნობილი მხატვარი და პედაგოგი, უმცროსი ია (იათამზე). ასევე ცნობილი მეან-გინეკოლოგი. დღეს შამანაურების ნასახლარზე ქ-ნ იას ქალიშვილი ცხოვრობს თავის ოჯახთან ერთად.

სახლი, რომელიც ექიმმა ივანე ჯაფარიძემ იყიდა უწინ ჯორჯაძეების საკუთრება იყო. აქ ერთხანს ავადმყოფობის დროს ცხოვრობდა დიდი ქართველი მწიგნობარი და ლიტერატორი, საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტური პარტიის დამფუძნებელი არჩილ ჯორჯაძე. ბ-ნმა არჩილმა უმაღლესი განათლება საზღვარგარეთ, ევროპაში მიიღო. იქ შეძენილი ცოდნის საფუძველზე არჩილმა განაუთარა ილია ჭავჭავაძის მიერ შემუშავებული „საერთო ნიადაგის თეორია“, იდეა, რომელიც ცარიზმის ბორკილებიდან საქართველოს გამოხსნის გზების ძიებას ვარაუდობდა. ფილოსოფიური საკითხების შესწავლისა და გააზრების გარდა, ა. ჯორჯაძე დაინტერესებული იყო ფიზიკის მეცნიერებით.(135)

ჯორჯაძეების შემდგომ, ჯაფარიძეების ყოფილი სახლი, ამ უკანასკნელმა გაყიდა, მისი ერთი ნაწილი ნიკო მაჭავარიანმა შეიძინა, ხოლო მისი მეორე ნაწილი მასწავლებელმა, ქისტური ცეკვის ჯადოქარმა, პედაგოგმა იოსებ ცათიაშვილმა. დღეს ეს სახლი აღარ არსებობს, მის ნაფუძარზე ორი დიდი სახლი დგას, ერთია ლიანა თანდილაშვილისა, ხოლო მეორე, ახლახანს აგებული, მერაბ მეტრეველისა.

შამანაურების სახლის წინ, ეზოში, ხელმარჯვნივ, დგას ერთსართულიანი ბინა (ჩვენი ვარაუდით XX ს-ის 50-60-იან წლებში აშენებული). იგი თელაველთა ერთ-ერთი საყვარელი ექიმის, აქაური მკვიდრის ავთანდილ ხიზანიშვილის საკუთრება იყო. ბატონი ავთანდილისა და მისი მეუღლის გარდაცვალების შემდეგ მშობლების ბინა მემკვიდრეობით მათი ქალიშვილის საკუთრება გახდა. ეს

უკანასკნელი პროფესიით ბიოლოგია, ჰყავს ოჯახი. მისი მეუღლეა ბიოლოგიის მეცნიერებთა დოქტორი ბესიკ ნანაბაშვილი.

ა. ხიზანიშვილის სახლის წინ, მომიჯნავედ დგას ორსართულიანი სახლი, რომელმაც ორიოდ ბინადარი გამოიყვალა. ეს სახლი XX ს-ის 20-30-იან წლებში უნდა იყოს აგებული, რომელსაც რამდენჯერმე ჩაუტარდა შეკეთება.

ამ სახლში ერთხანს 40-50-იანი წლებში ცხოვრობდა ვასილ ყიფიანის ოჯახი. ბ-ნმა ვასილმა პირველი მეუღლის ტრაგიკულად დაღუპვის შემდეგ, რომელთანაც ორი შვილი ზურაბი და ნანა დარჩა, მეორედ იქორწინა პროფესიით ექიმზე - ვენერა გრიგოლაშვილზე, რომელსაც თავის მხრივ პირველი ქმრისაგან, ჰისტოლოგიის პროფესორ ალექსანდრე ლეჟავასგან ჰყავდა ორი ვაჟიშვილი: გურამი და თემური. ბ-ნმა ვასილმა და ქ-ნმა ვენერამ ამ სახლში აღზარდეს თავიანთი შვილები, რომლებმაც თავიანთი შემოქმედებითი საქმიანობით დიდი წვლილი შეიტანეს ქართული განათლებისა და მეცნიერების განვითარებაში. ოთხივე მათგანი მეცნიერული კვლევის გზას დაადგა სხვადასხვა სფეროში. უფროსი გურამი სოფლის მეურნეობის ხაზით, სახელდობრ მეცხოველეობაში იკვლევდა პრობლემებს, მან დოქტორის ხარისხი მიიღო და ეკავა პროფესორის თანამდებობა. მისი ღვიძლი ძმა, თეიმურაზ (თემურ) ლეჟავა ბიოლოგიური მეცნიერების კვლევით დაინტერესდა, გახდა ბიოლოგიის მეცნიერებთა დოქტორი, პროფესორი, არჩეულია აკადემიკოსის თანამდებობაზე. იგი ასევე იყო საკმაოდ კარგი სპორტსმენი, ერთხანს თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელთა გუნდშიც კი ირიცხებოდა. შესანიშნავი ახალგაზრდები იყვნენ ასევე ზურაბ და ნანა ყიფიანებიც. ზურაბი იყო უნიჭიერესი პიროვნება, გარეგნობით ახლავანი, მუდამ პირმოციხნარე, კომუნიკაბელური ადამიანი, რომელსაც დიდი და რჩეული სამეგობრო ჰყავდა. პროფესიად მან ინფორმატიკა ირჩია, დაიცვა კიდევ მეცნიერების ამ დარგში საკანდიდატო დისერტაცია. ამავე დროს ზურაბი და კავებული იყო სპორტითაც, სადაც მას გარკვეული წარმატებები ჰქონდა მოპოვებული, უყვარდა სიმღერაც და იგი თავის დროის ახალგაზრდებში კარგ მომღერლად ითვლებოდა. რაც მთავარია, მას უყვარდა თავისი სამშობლო და თავდადებული იყო მისთვის, ნაწილობრივ ჩაბმულიც კი იყო დისიდენტურ მოძრაობაში და თანაუგრძობდა ზვიად გამსახურდიას

იდევს. მას ასევე უყვარდა მეგობრებში მოღვინა. ერთ-ერთი ნადიმის შემდეგ მას მოულოდნელად გულმა უმტყუნა და გარდაიცვალა. მისმა უდროო სიკვდილმა დაამწუხრა არა მარტო თელავის, არამედ თბილისისა და სხვა რეგიონების დიდი სამეგობროც, ზურას მოსიყვარულე ადამიანები.

თავისი სილამაზით, გონიერებითა და ნიჭიერებით გამოირჩეოდა ზურაბის (ზურას) ღვიძლი და ნანა ყიფიანიც. იგი იყო პროფესიით ფსიქოლოგი. დაცული ჰქონდა ფსიქოლოგიურ მეცნიერებაში საკანდიდატო დისერტაცია, რომელიც დღეს დოქტორის ხარისხს უტოლდება. არჩეული იყო დოცენტის თანამდებობაზე. კითხულობდა ლექციების კურსს ფსიქოლოგიაში თბილისის ი. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ი. გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტშიც. ამასთან ერთად ეწეოდა საქველმოქმედო საქმიანობას უნარშეზღუდული ბავშვებისათვის.

ხანმოკლე აღმოჩნდა ნანას სიცოცხლეც. იგი ნაადრევად განემორა ამქვეყნიურ წუთისოფელს.

იმ თელაველთათვის, რომლებიც ახლოს იყვნენ და მეგობრობდნენ ამ შესანიშნავი ოჯახის შვილებს, ყოველთვის ზემო იყო მათი დედაქალაქიდან თელავში ჩამოსვლა. ვაკლახია... მართლაც წუთისოფელი, თუნდაც იმიტომ, რომ ამ ღირსეული ოჯახის ოთხი შვილიდან სამი მათგანი: გურამი, ზურაბი (ზურა) და ნანა ამ ქვეყანაზე აღარ არიან და იქ ზეციურ სასუფეველში აგრძელებენ ცხოვრებას მათი სულელები.

რაც შეეხება თემო (თეიმურაზ) ლეუავას, მას და მის მეუღლეს, ცნობილ სპორტსმენსა და მწვრთნელს მხატვრულ ტანვარჯიშში, ნელი სალაძეს იმდენად უყვართ თელავი, რომ მათ გვირაბის ქუჩაზე ბინაც კი შეიძინეს და დროის გარკვეულ მონაკვეთში შვებულებას თელავში ატარებენ.

ზემოხსენებული სახლი, სადაც ერთხანს ყიფიანების ოჯახი ცხოვრობდა. ახლა ძირძველი თელაველის - გელა მაჩაბლიშვილის საკუთრებაა. იგი თავის ოჯახთან ერთად აგრძელებს აქ ცხოვრებას.

მაჩაბლიშვილის სახლის გვერდით, იქ, სადაც უწინ გიგო ვახვახიშვილის გომურები იყო, დღეს სამი სახლი დგას, მათგან ორი შედარებით დიდი ზომის, ხოლო ერთი კი პატარა. ეს უკანასკნელი

თავდაპირველი საცხოვრისი უნდა ყოფილიყო როსტომაშვილებისა და იგი ჩვენი ვარაუდით XX საუკუნის პირველ მეოთხედში უნდა იყოს აშენებული. რაც შეეხება შედარებით დიდი ზომის ორ სახლს, ისინი XX საუკუნის 40-50-იან წლებში უნდა აშენებულიყო.

ამ სახლებს შორის სიდიდით გამოირჩევა მარჯვენა მხარეს მდგარი ბინა. იგი შოთა როსტომაშვილის საკუთრება იყო და მის მიერვეა საკუთარი სახსრებით აშენებული. ბ-ნი შოთა იყო რესპუბლიკის მასშტაბით ცნობილი უურნალისტი. წლების მანძილზე რედაქტორობდა თელავის რაიონულ გაზეთ - „ალაზნის განთიადს.“ იგი გამოირჩეოდა პატიოსნებით, უანგარობით, საქმისადმი ერთგულებით - რაც მთავარია, ბატონი შოთა თელავის და მისი შემოგარენის მოსახლეობაში დიდი ავტორიტეტით და პატივისცემით სარგებლობდა.

ბატონ შოთას ჰქონდა შესანიშნავი ოჯახი, მისი მეუღლე იყო გამრჯე და ენერგიული ქალბატონი. ბატონ შოთას დარჩა ორი ვაჟიშვილი: ბაქარი და თამაზი. ორივე საკმაოდ ნიჭიერი და გონიერი ადამიანები არიან. ისინი წარმატებით აგრძელებენ მამის გაკვალილ გზას. დღეს ამ ბინაში უმცროსი ვაჟიშვილი თამაზი აგრძელებს თავის ოჯახთან ერთად ცხოვრებას. რაც შეეხება ბაქარს, მან თელავშივე, დოდაშვილის ქუჩაზე აიშენა საკუთარი ბინა და თავის ოჯახთან ერთად იქ ცხოვრებს.

დაბალ ერთსართულიან ბინაში, რომელიც როგორც აღვნიშნეთ, პირველი საცხოვრისი უნდა ყოფილიყო როსტომაშვილებისა, წლების მანძილზე XXI-ს-ის დასაწყისამდე ღრმა, სიბერემდე ცხოვრობდა ქეთევან როსტომაშვილი. მან თავისი საკუთრება თავის ძმიშვილებს და ძმის შვილიშვილებს დაუტოვა.

მესამე სახლი, რომელიც ამ ორი ბინისაგან ეზოთია იზოლირებული, ეკუთვნოდა მეორე უმცროს ძმას დავითს, რომელიც პროფესიით ინჟინერ-მშენებელი იყო და ეს სახლიც მისი აშენებულია. ახლა მასში მისი შვილი ზურაბი თავის ოჯახთან ერთად აგრძელებს ცხოვრებას.

ნადიკვრის ქუჩის მეორე შესახვევის (გ. რჩეულიშვილის ქუჩა) ბოლო ბინას წარმოადგენს საცხოვრებელ სახლად გადაკეთებული ვახვახიშვილების ციხე-გალავნის ერთ-ერთი ბურჯი. ეს ბინა უწინ, XX საუკუნის 30-იანი წლებიდან ლევან სარალიძის საკუთრებას წარმოადგენდა და აქ ცხოვრობდა სიკვდილამდე თავის ოჯახთან

ერთად. მისი მეუღლე იყო ვაჩნაძეების ასული ქეთევანი, რომელთანაც ჰყავდა ორი შვილი: უფროსი ვაჟი რევაზი (რეზო) და ქალიშვილი დოდო. ეს უკანასკნელი თელავის პედაგოგიური ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ ლავოდების რ-ნში გათხოვდა და იქ დაიდო ბინა.

არც შეეხება რეზოს, ის იყო საკმაოდ განათლებული პიროვნება - პროფესიით არქიტექტორი. წლების მანძილზე იყო ქ. თელავის მთავარი არქიტექტორი, ასევე ხელმძღვანელობდა სპეციალურ არქიტექტურულ განყოფილებას, რომელშიც წარმოებდა ბინათმშენებლობის პროექტების შედგენა-დამუშავება. უნდა აღინიშნოს, რომ ბატონმა რეზომ თავისი გემოვნებით გადააკეთა ზემოხსენებული ბინა, რომელშიც იგი სიკვდილამდე ცხოვრობდა. რ. სარალიძე გარდა თავისი სპეციალობისა, რომელშიც ღრმად იყო დაოსტატებული, თავისუფალ დროს, განსაკუთრებით კი პენსიაზე გასვლის შემდეგ წერდა და აქვეყნებდა ლექსებს, მოთხრობებს, მოგონებებს, რუსული ენიდან ქართულ ენაზე თარგმნიდა რუსი კლასიკოსი მწერლების შემოქმედებას.

არც რეზოს დასცალდა დიდი ხნის სიცოცხლე. მას არც ცოლი და არც შვილი ჰყოლია, მხოლოდ თავის დისშვილებს პატრონობდა. მისი ხელით ნალოლიავეები სახლკარი მის დისშვილებს დარჩათ, რომელიც ამ ბოლო ხანს თბილისიდან ჩამოსულ ერთ-ერთ პიროვნებას სპეციალობით მეღვინეს მამუკა ლავრელაშვილს მიჰყიდეს.

ვახვახიშვილების ციხე-გალავნის ბოლო ბურჯი, რომელიც ჩრდილო-აღმოსავლეთის მხარეს იყო აგებული, სხვა ბურჯი კომპლექსის მსგავსად, XX საუკუნის პირველ ნახევარში, შეიძლება კიდევაც ცოტა ადრეც, საცხოვრებელ ბინად იყო გადაკეთებული. მისი თავდაპირველი მეპატრონე გიორგი ჯაფარიძე ყოფილა, რომელიც შემდეგ მარო ნაცვლიშვილმა შეცვალა. 1939-1940 წ.წ. ეს სახლი ივანე (ვანო) დეკანოზიშვილმა შეისყიდა მ. ნაცვლიშვილისაგან, რომელიც თბილისში გადასახლდა. დღეს, ამ ბინაში ბ-ნი ვანო დეკანოზიშვილის შვილი ქ-ნი ნათელა ცხოვრობს თავის დიდ ოჯახთან ერთად. მისი მეუღლეა ცნობილი პოეტი ფარნა რაიანაული, რომელიც თელავის მწერალთა გაერთიანებას და სალიტერატურო ჟურნალ „ოლეს“-ს ხელმძღვანელობს.

## თეთრიანის ქუჩა

ნადიკვრის ქუჩის მეორე შესახვევის (ახლა გურამ რჩეულიშვილის ქუჩა) გაგრძელებას აღმოსავლეთის მიმართულებით თეთრიანის ქუჩა წარმოადგენს. იგი იწყება მესამე საჯარო სკოლის ეზოს კუთხიდან, მიჰყვება ნადიკვრის გორის ფერდობს და მთავრდება გიორგი ლეონიძის ქუჩის გადაკვეთაზე. იქ, სადაც დღეს დგას სახემეცვლილი ჯორჯაძეების სახლი, იმ მამა-შვილი - საშა და ვლადიმერ ჯორჯაძეებისა, რომლებიც 1924 წლის საბჭოთა რეპრესიებმა იმსხვერპლა.

სხვადასხვა ადამიანების მოგონებებისა და საარქივო მასალების შექერებით ირკვევა, რომ 1924 წლის 5 სექტემბრის იმ ღამით, როცა თელავში დახვრეტები დაწყებულა, თელავის ჰუმანიტარული ტექნიკუმის კურსდამთავრებული საშა (ალექსანდრე) ჯორჯაძე, როგორც კომკავშირელი, „პოლიტიკური ბიურო“-ს შენობაში „მორიგედ“ ყოფილა. „პოლიტიკური ბიურო“-ს შენობის ზედა სართულზე, სამორიგეოდ მყოფ საშას გაუგია, რომ მისი მამა და ბიძა გამოუძახიათ დასახვრეტად ქვედა სართულიდან.

ამ ხოცვა-ჟლეტას გადარჩენილების მოგონებების მიხედვით, საშა ჯორჯაძე შესულა მილიციის უფროს, ე.წ. „სამეულის“ წევრ კოლია ჯაფარიძის კაბინეტში და უთქვამს, რომ „მეც კომკავშირელი ვარ, თქვენი ვარ და მე მაჩუქეთ მამაჩემის და ბიძაჩემის სიცოცხლეო“. ჯაფარიძეს ის კაბინეტიდან გაუგდია. ჯორჯაძე ხელმეორედ შესულა ჯაფარიძესთან იგივე თხოვნით, რაზეც ჯაფარიძეს დაუყვირია - „დაიკარგე აქედან ძალღიშვილო თორემ გაიძულებთ შენვე დახვრიტო მამაშენი და ბიძაშენი“. სხვა მოგონების თანახმად უთქვამს, „თუ კომკავშირელი ხარ შენვე უნდა დახვრიტო მამაშენი“-ო. საშა ჯორჯაძეს მისთვის, როგორც კომკავშირელისათვის ნაჩუქარი ბრაუნინგი ამოუღია და ჯაფარიძესთვის ორი ტყვია დაუხლია, მაგრამ შენდგე იარაღში ჰილში გაჭედია. იგი ტყვიით დაუცხრილიათ და ხმლებითაც აუკუნიათ თავისი მამის და ბიძის თვალწინ.(136)

ამ ქუჩის დასაწყისში, ვახვახიშვილების, შემდგომ რჩეულიშვილების, ახლა კი ფალავანდიშვილების მეზობლად, მომიჯნავედ ნადიკვრის ფერდზე დგას ამ წიგნის ერთ-ერთი ავტორის თეიმურაზ ვახტანგიშვილის სახლი (თეთრიანის ქ. № 2), რომელიც XX საუკუნის

80-იანი წლების დასაწყისში აშენდა. ადრე, ამ ადგილზე ცხოვრობდა საკმაოდ ცნობილი ზოოტექნიკოსი გიორგი ბაძოშვილი. იგი სახელმწიფო პრემიების ლაურეატ ნატროშვილთან ერთად ითვლება შეჭვარების გზით ნაზმატყლიანი თუშური ცხვრის შემქმნელ-გამომგონებლად. მშობლების დალუპვის შემდეგ გ. ბაძოშვილის ნასახლარი, მისმა ქალიშვილებმა ახლანდელ მეპატრონეს მიჰყიდეს. ამ უკანასკნელმა კი იგი ხელახლა ააშენა. ამ სახლის აივნიდან იშლება ულამაზესი ალაზნის ველის და გრანდიოზული კავკასიონის მთების ულამაზესი ხედები.

ამ ქუჩაზე საკუთარ სახლებში ცხოვრობენ: ვეფხიშვილები, მამანაშვილ-კორძაიები, ლოლაძეები, კველიშვილები, ჭიკაძეები, ვახტანგიშვილები, მოდებაძეები, ალაიძინები, სესიკაშვილები (ახლა დავითაშვილები), ბებოშვილები, საფაროვეები, ცაბუტაშვილები, ღურგლიშვილები, კველიშვილები, პატაშვილები, როსტომაშვილები, ვაშაყმაძეები, გაგუნაშვილები, იაგორაშვილები, ლევიშვილები, ჭანიდერები. ამ უკანასკნელების საკუთრებაა ამჯერად ჯორჯაძეების ყოფილი ბინა.

აქვე ცხოვრობს, თელავის III საშუალო სკოლის ყოფილი დირექტორი, არაერთი თაობის აღმზრდელი და დამრიგებელი ქალბატონი მაყვალა ელისაბედაშვილი, რომლის ვაჟი ზურაბ დავითაშვილი ცნობილი პროფესორი და თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების კათედრის (დეპარტამენტის) გამგეა. იგი 2004-2008 წლებში საქართველოს პარლამენტის წევრი იყო.

ასე, რომ თეთრიანის ქუჩა, რომელიც ერთხანს ეკალ-ბარდებით დაფარულ ვიწრო ოღრო-ჩოღრო ორღობეს წარმოადგენდა, ახლა უკვე საკმაოდ მჭიდროდ დასახლებული ხალხმრავალი ქუჩაა.

ჩვენ მიერ მონათხრობი ამჯერად ძირითადად ქ. თელავის ერთ-ერთ ცენტრალურ, ხალხმრავალ და თავისი ისტორიული წარსულით მდიდარ ნაღიკვრის ქუჩას შეეხო. იგი იწყება რა თელავის ცენტრალური მოედნიდან (ერეკლეს მოედანი), მთავრდება თელაველთა სასიყვარულო და სათაყვანებელ ადგილთან, ქალაქის კულტურისა და დასვენების პარკ „ნაღიკვართან“, რომელიც არა მარტო ამ ქუჩას, არამედ მთლიანად ქალაქს ალამაზებს და ჯიდასავით ადგას. იგი არა მარტო მიმზიდველია ძირძველი თელაველებისათვის, ასევე ქალაქში

სტუმრად ჩამოსულ უცხო დამსვენებელთათვისაც. მის მდებარეობას, მწვანე მდელოს, რომელსაც მუდმივად ცივ-გომბორის მთებიდან და ჭალარა კავკასიონის ქედიდან მუდმივად მონაბერი გრილი ნიაფი დასთამაშებს, საამურს ხდის იქ დროებით დასვენებასაც კი. ნადიკვრის გორიდან გადასახედ ხედს, ზღაპრული სილამაზის მქონე ალაზნის ველს, რომელიც ხალიჩასავით არის მოქარგული სხვადასხვა ფერებით, არაერთი უცხო სტუმარი მოუყვანია ალტაცებაში.

საქართველოზე უზომოდ შეყვარებული, კახეთის სილამაზით მოჭადოებული, დიდი ილიას მეგობარი, ცნობილი გერმანელი საზოგადო მოღვაწე არტურ ლაისტი თავის ნაშრომში - „საქართველოს გული“ ღითირამბებით და მხატვრული ეპითეტებით ამკობს ჩვენი სამშობლოს ამ ულამაზეს კუთხეს - კახეთს. იგი წერდა: „ვისაც უნდა სასწაული იხილოს, მან სავსე მთვარიან ღამეში, თელავის აღმოსავლეთ ალაზნის ველს უნდა უყუროს. კველუცო კახეთო! ოქროსფერი ღვინის, სიხარულისა და სიამის ქვეყანავ! „ნათელი კახეთო! ტყიანი მთების გვირგვინი შემოვლებია შენს მწვანე მინდორს! მზე და მთვარე შენი მეგობრებია. მათი სინათლე და ბრწყინვალეობა მომხიბლავად ამკობს შენს სურათს. ვისაც უნდა სასწაული იხილოს, მან კახეთში(137) მზის ამოსვლას უნდა უცქიროს, როდესაც ოქროს სხივი ეხვევა მთელ ველს და ალაზანი ვერცხლისფერი ზონარივით ბრწყინავს“.(138)

2012 წლის თელავის ცენტრალური ქუჩების რეაბილიტაცია ნადიკვრის პარკსაც შეეხო. სამწუხაროდ არ იქნა გათვალისწინებული მოსახლეობის სურვილი და იგი ლამის ორ ნაწილად გადაჭრეს – ხიდი გააკეთეს, რომელიც ამხინჯებს და ანადგურებს, ნადიკვრის გორის შეხედულებას და ფაქტობრივად ამ ადგილის ხორცმეტია.

პრობლემა იმაშიცაა, რომ დღესაც 2020 წელს, ნადიკვრის პარკის რეაბილიტაციის პროექტი ისე დაამტკიცეს, რომ ხიდი უფრო „გამშვინებული“ სახით რჩება ადგილზე, რადგან - „ხიდი უკვე არსებობდა და მისი მოშლა აღარ შეიძლებოდა“.(139) ეს არგუმენტი არადამატერებელია – ნადიკვარზე ხიდი 2012 წლამდე საერთოდ არ არსებობდა. დიდი იმედი გვაქვს, რომ თელავის ხელისუფალნი ამ საკითხს ხალხის მოთხოვნის შესაბამისად გადაჭრიან.

## მარჯანიშვილის და ბიბერახის ქუჩები

ნადიკვრის პარკის შესასვლელთან იწყება დიდი ქართველი რეჟისორის კოტე მარჯანიშვილის სახელობის ქუჩა, რომლის სიგრძეც ძალიან მოკლეა. იგი გ. არსენიშვილის ქუჩის გადაკვეთასთან მთავრდება, ხოლო თვით მარჯანიშვილის ქუჩას ნადიკვრის პარკის სამხრეთის გვერდის გაგრძელებაზე უერთდება ბიბერახის ქუჩა. მას ეს სახელი ქალაქ თელავთან დაძმობილებული გერმანული ქალაქის საპატივსაცემოდ დაერქვა. ქუჩის დასაწყისში, უფრო სწორედ მარჯანიშვილის ქუჩაზე, იქ სადაც ადრე მამრა-ალმასკომის საჯინიბო ოყო, ორსართულიანი ე.წ. საერთო საცხოვრებლის კორპუსია წამომართული.

ბიბერახის ქუჩის დასაწყისში არის კარგი თელაველის, პროფესორ ვახტანგ ბოჭორიშვილის სიკაბუკის მეგობრის დავით გოგოლაძის ბინა, სადაც ამჟამად მისი ვაჟი თელაველების საყვარელი ექიმის, ზაზა გოგოლაძის ოჯახი ცხოვრობს. ბიბერახის ქუჩის მარცხენა მხარეს, ზუროშილების შენობის გაგრძელებაზე იდგა სახლი, სადაც აღიზარდნენ და ცხოვრობდნენ ვახტანგ ბოჭორიშვილი, საქვეყნოდ ცნობილი პროფესორი, აკადემიკოსი და მისი და ასევე ცნობილი მსახიობი ქეთევან ბოჭორიშვილი. დღეს ამ სახლის ნანგრევებიც კი აღარ არსებობს.

ბიბერახის ქუჩა მთავრდება სტადიონის სიახლოვეს, გიორგი ლეონიძის ქუჩის გადაკვეთაზე, სადაც ერთხანს ფუნქციონირებდა სასადილო ე.წ. „აფსაიტი“-ს სახელწოდებით. იგი თელაველების საყვარელ დროის გასატარებელ ადგილს წარმოადგენდა. დღეს ეს სასადილო დანგრეულია და მის ადგილზე საცხოვრებელი კორპუსის აშენებას გეგმავენ, რაც ცხადია, ამ ადგილის ხიბლს დაუკარგავს ნადიკვრის გორაზე მოსიერნე ადამიანს, რადგანაც დაფარავს ხედს „გიგოს გორისკენ“. დღეს უკვე დანგრეული „აფსაიტის“ მოპირდაპირე მხარეს, ქუჩის გადასწვრივ მდებარეობს თელავის სატყეოს ღვანლმოსილი მუშაკის, ელიზბარ სამადაშვილის ბინა, რომელშიც ამჟამად მისი მემკვიდრე, თელავში კარგად ცნობილი პიროვნება, პროფესიით ასევე მეტყვევ-ინჟინერი, მალხაზ სამადაშვილი ცხოვრობს თავის ოჯახთან ერთად.

ბიბერახისა და ლეონიძის ქუჩების გადაკვეთაზე, ყოფილი კაფე-

რესტორნის, ე.წ. „აფსაიტის“ მოპირდაპირედ, აღმოსავლეთით, 1964 წლის გაზაფხულ-ზაფხულში, ახალი სპორტული სტადიონის კეთილმონწყობამ და გ.ღვინიძის ქუჩის მოპირკეთებამ შეინარა იქ არსებული ბაზილიკის ტიპის ნაგებობა, ერთნავიანი „სამების“ სახელწოდების ეკლესია, რომელიც ჩვენი ვარაუდით, გვიანდელი ფეოდალიზმის, თუმცა შესაძლებელია უფრო ძველი, განვითარებული ფეოდალიზმის ეპოქაში იყო აგებული. დღეს ამ ადგილას სტადიონის მთავარი შესასვლელი ჭიშკარია, რომლის თაღს ამშვენებს წარწერა - „გივი ჩოხელის სახელობის სტადიონი“. ჭიშკრის ხელმარჯვენე, „გიგოს გორის“ ჩრდილოეთის ფერდობზე, ოდნავ მომალლო ბორცვზე, აღმართულია ქ.თელავის ძირძველი მკვიდრის, თბილისის „დინამოსა“ და საბჭოთა კავშირის ნაკრების ფეხბურთელთა გუნდების ყოფილი კაპიტნის, ფეხბურთის ქართველ გულშემატკივართა კერპის, სპორტის დამსახურებული ოსტატის, გივი ჩოხელის, ბრინჯაოს ძეგლი. მისი ავტორია ახალგაზრდა თელაველი მოქანდაკე, იოსებ (სოსო) მაისურაძე. „სამების“ ეკლესიის შესახებ საინტერესო ლეგენდაა ჩანერილი თელავის მემკვიდრის, გიორგი მელითაურის, მემუარებში, რომელიც თელავის ისტორიული მუზეუმის სიძველეთსაცავშია დაცული (140). მის შესახებ სხვა წიგნში მოგიტხრობთ.

### **გიორგი არსენიშვილის ქუჩა**

ნადიკვრის ქუჩის პარალელურად, სამხრეთ-აღმოსავლეთის მიმართულებით, „გიგოს გორისკენ“ მიემართება ყოფილი ჯორჯიაშვილის ქუჩა, რომელსაც რამდენჯერმე შეეცვალა სახელი. მას თავდაპირველად ცნობილი ქართველი ფეხბურთელის კახი ასათიანის სახელი მიენიჭა. შემდგომ კი, როდესაც გია (გიორგი) არსენიშვილი გარდაიცვალა, მისი ხსოვნის საპატივსაცემოდ, ქუჩის ერთ ნაწილს, დასაწყისიდან ფალაიაშვილის ქუჩის გადაკვეთამდე გია (გიორგი) არსენიშვილის სახელი მიენიჭა, ხოლო დანარჩენი ქუჩის გაგრძელებას კი, როგორც ვიცით კვლავ კახი ასათიანის სახელი დარჩა.

გია (გიორგი) არსენიშვილის ქუჩა იწყება ზემოხსენებული ილია და ქრისტეფორე ზარაფიშვილების ყოფილი სახლიდან. აქედან ისინი გია არსენიშვილის (ყოფილი ჯორჯიაშვილის) ქუჩის და დავით გურამიშვილის ქუჩების გადაკვეთის კუთხეში ამენებულ ბინებში გადასახლდნენ, (აქ ის გაზეთი) მათ ყოფილ სახლში კი კბილის ექიმი

ბაბე ტყავაძე ცხოვრობდა. ამ ბინის მემკვიდრეს ლია სულხანიშვილს, პროფესიით ექიმს, სახლი ცნობილ თელაველ მხატვარ ჯემალ ლაშქარაშვილის მამისთვის მიუყიდა. იგი მეორე მსოფლიო ომის მონაწილე იყო და იქ დაღუპულა, სახლი კი მის ცოლ-შვილს დარჩა.(141) ახლა ამ სახლის ნაწილში საოჯახო სასტუმრო „სოფია“ არის მოთავსებული.

ამ სახლის გაგრძელებაზე მეზობლად ძმები კოტე და შაქრო ჭელიძეების სახლი იყო, რომლებიც მსახიობები იყვნენ. კოტე ქართულ თეატრალურ დასს ხელმძღვანელობდა. მათი ყოფილი სახლი შემდგომ ვლადიმერ აივაზაშვილმა იყიდა, ახლა იქ სხვები ცხოვრობენ. ამ ბოლო ხანს ეს სახლი გაიყიდა და ახალმა მფლობელმა მთლიანად დაანგრია.

ამ სახლის მოპირდაპირედ, მარჯვენა მხარეს, აქტიური ბოლშევიკის, საბჭოთა პერიოდში კი, უკვე მეცენატ ელენე ოგანეზოვას სახლი იყო, რომელმაც თავისი დანაზოგით თელავში საბავშვო ბიბლიოთეკის შენობა ააგებინა. ამ სახლის მეზობლად მდგარ სახლში ცხოვრობს თბილისის კოტე მარჯანიშვილის სახელობის თეატრის მსახიობი აკაკი მესაბლიშვილი. იგი შვებულების დროს, მუდამ თელავს მიაშურებს ხოლმე და მშობლიურ სახლში ატარებს თავის დასვენების დღეებს.

ელენე ოგანეზოვას ყოფილი სახლის გაგრძელებას წარმოადგენს სიკეთით და ხუმრობა-ნაკვესებით ცნობილი ყელ-ყურის ექიმის გაიოზ ბაკურაძის ლამაზი, ორიგინალური ბინა, რომელიც სულ მწვანესა და ყვავილებშია ჩაფლული. გაიოზი იყო შვილი ცნობილი მსახიობის, თელავის თეატრის დირექტორის და საზოგადო მოღვაწის ვახტანგ ბაკურაძის, რომელიც 1924 წლის სექტემბრის ცნობილი მოვლენების დროს იყო დაპატიმრებული და გარკვეული ხანი მეტეხის ციხეშიც იმყოფებოდა. მართალია, იგი რამდენიმე თვეში გაანთავისუფლეს, მაგრამ 1937 წელს უკვე მორიგი საბჭოთა რეპრესიების მსხვერპლი გახდა. იგი 1937 წლის დეკემბერში, თბილისში შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის ჯურღმულებში, მასთან ერთად დაპატიმრებულ სხვა თელაველებთან ერთად დახვრიტეს.

ამავე ქუჩის გაყოლებაზე ცხოვრობდნენ ოთარ და ბიჭიკო მექვევრიშვილები ერთმანეთის მეზობლად მდებარე სახლებში. დღეს აქ მათი შთამომავლები ცხოვრობენ. მათ მეზობლად მდებარეობს ერთ დროს თელავის მილიციის უფროსის - ალექსი ორკოდაშვილის

ბინა, რომელიც დღეს მისი შთამომავლების საკუთრებაა. ამ ქუჩის გავრძელებაზე ცხოვრობენ ჩეკურიშვილები. მათ მოპირდაპირედ ცხოვრობდა სიკეთით აღსავსე ლეო საჩიშვილი თავის ვაჟებთან - ალიკა (ალექსანდრე) და ზურასთან ერთად.

ქუჩის შემდგომ გავრძელებაზე, საბჭოთა პერიოდში მოქმედი საექიმო ამბულატორიის შენობაა. მისი ისტორია ასეთია - ანა ნიკოლოზის ასულ ყაზახაშვილმა-ჭავჭავაძისამ საქველმოქმედო მიზნებით გამართული წარმოდგენების შემონირულობებით შეაგროვა გარკვეული თანხა და ააშენა ორსართულიანი შენობა დაწყებითი სკოლისათვის. კარგა ხანს ამ სკოლას ანა ნიკოლაევენას სკოლას ეძახდნენ. 1922 წელს ამ შენობაში ჰუმანიტარული ტექნიკუმი იყო მოთავსებული, 1924 წლიდან მეოთხე შვიდწლიანი სკოლა ფუნქციონირებდა, 1930 წლიდან კი დღემდე სამედიცინო დაწესებულებას, ე.წ. „პოლიკლინიკას“ უკავია.(142) ამჟამად მისი ხელმძღვანელია თელავზე შეყვარებული და თელაველებისათვის პატივსაცემი პიროვნება ნიკოლოზ (ნიკო) აივანაშვილი.

## კახი ასათიანის ქუჩა

ფალიაშვილის ქუჩის შესაყართან გიორგი არსენიშვილის ქუჩას, როგორც აღინიშნა, კახი ასათიანის ქუჩა კვეთს, სადაც მარცხნივ მდებარეობდა აბაშიძეების სახლი ვისგანაც შუძენია მოსე აზიკურს. დღეს ამ სახლში მისი შვილიშვილი, იაკობ გოგებაშვილის სახელობით თელავის უნივერსიტეტის პროფესორი გელა აზიკური ცხოვრობს თავისი ოჯახით.

ამ ბინის მოპირდაპირე სახლში კარგი თელაველი ჰაატა ხარატიშვილი ბინადრობს. მის გვერდით კი სოლიკო ჩიკვაიძისეული ბინაა, აქ დღეს მისი შვილიშვილები რეზო და ლევანი ცხოვრობენ. მათ გასწვრივ ძველი ფოსტის თანამშრომლის, მატარებლებიდან მოსული წერილებისა და ბანდეროლების მიმღების ვინმე ბრეუსოვის ბინა მდებარეობდა, რომლის გავრძელებაზე ექიმმა ბურჯანაძემ აიშენა სახლი.

მისი გარდაცვალების შემდეგ, ეს ბინა თელაველებისთვის ასევე კარგად ცნობილმა ყელ-ყურის ექიმმა ილია (ილო) რამაზაშვილმა

იყიდა.(143) მას შესანიშნავი შვილები მარინა და ზურა ჰყავს. მარინა ცნობილი თვალის სპეციალისტი და თელაველების შემწე და დამხმარე ადამიანია. ზურა კი ცნობილი მეცენატი და ასევე საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ბრენდის - „თელავის ღვინის მარნის“ დამფუძნებელი.(144)

მათ მოპირდაპირედ გიორგი ხანდოლიშვილი ცხოვრობდა, რომელიც მილიციაში მუშაობდა. დღეს აქ მისი ვაჟი მერაბი და მისი მეუღლე ნატო (ნატალია), ასევე შვილიშვილი დათო (დავით) ხანდოლიშვილი ცხოვრობენ თავიანთი ოჯახებით. მათი ბინის გაგრძელებაზე კი არსენ და ვახტანგ ყველიაშვილების ბინებია, სადაც მათი ოჯახები ცხოვრობენ. ბატონი არსენი ასაკს არ ეპყება და უვლის ფუტკარს, იგი ფაქტობრივად ამ უბნის ცნობილი მემკვიდრეა.

აღსანიშნავია, რომ კახი ასათიანის ქუჩის ბოლოს მდებარე ერთ-ერთ სახლში ვალერიან (ვალიკო) ჩორგოლიანი ცხოვრობდა, რომელიც წლების განმავლობაში ხის გადამამუშავებელ საამქროს ხელმძღვანელობდა. ამჟამად ვალერიან (ვალიკო) ჩორგოლიანის ბინაში, მისი ვაჟი დავით ჩორგოლიანი ცხოვრობს. სწორედ ამ სახლის სარდაფში ცოტა ხნის წინ, სარემონტო სამუშაოების წარმოებისას და ასევე, მის მიმდებარედ, ქუჩის გაგრძელებაზე მდებარე სახლის ტერიტორიაზე ნაპოვნია ადამიანთა ნეშტის კვალი. ადამიანების ძვლების პოვნა ამ ტერიტორიაზე, რომელიც „თელავის გოლგოთად“ წოდებული „გიგოს გორის“ მიმდებარეა, ადასტურებს უკვე არსებულ ინფორმაციებს, რომ ეს ადგილი საქართველოს ჩეკა-ს ადგილობრივი ორგანოს, თელავის ე.წ. „პოლიტიკური ბიუროს“ შენობის სარდაფებში დახვრეტილ ადამიანთა სასაფლაოდ იყო ქცეული.

დავით ჩორგოლიანის უფროსი ვაჟი ვალერი ჩორგოლიანი ამჟამად ნადიკვრის ქუჩა № 3-ში გაიანე გეურქოვას ყოფილი ბინის ნანილში ცხოვრობს, ხოლო უმცროსი ქალიშვილი ნინო ჩორგოლიანი, თავის მეუღლესთან და გოგონასთან ერთად ნადიკვრის ქუჩა № 3-ში ყოფილი ნიკო სულხანიშვილის ყოფილი ბინის ამჟამინდელი მფლობელია.

ამ ბინის გაგრძელებაზე, ასათიანის და ლეონიძის ქუჩების გადაკვეთაზე, მარცხენა მხარეს მდგარ სახლის ეზოში, რომელიც პირდაპირ გაჰყურებს წამებულთა ადგილს - „გიგოს გორას“, ცხოვრობდა თელავის ერთ-ერთი კოლორიტული პიროვნება ანზორ

ხანნელიძე, მეტსახელად „ბაჭაჯა“. მან ბავშვობიდან მეტად რთული ცხოვრება განვლო. გახდა რა სრულწლოვანი, შეეცადა ისეთი საქმისთვის მოეკიდა ხელი, რომელიც მეტნაკლებად ნორმალურს გახდიდა მის ცხოვრებას, მაგრამ საუბედუროდ მას თითქმის ყველაფერში მოეცარა ხელი, რის გამოც ხელი ჩაიქნია და ჩხუბი არჩია. იგი სიყმაწვილიდანვე თავის ტოლებში გამოირჩეოდა ფიზიკური სიძლიერით. არ იქნება ზედმეტი თუკი ვიტყვით, მას ისეთი ლამაზი აგებულება ჰქონდა, როგორც თითქოსდა მნახველს მიქელანჯელოს ბრინჯაოში ჩამოსხმულ დავითის ქანდაკებას მოაგონებდა, თუმცა მიქელანჯელოს ეს ხელთუქმნელი ძეგლი მარმარილოშია ნაკვეთი. ანზორი (ბაჭაჯა) თავის განუყრელ მეგობარ ვახტანგ (ზახარა) ჯაფარიძესთან ერთად თავის რაინდული, ვაჟკაცური ქცევით იცავდნენ და უფროსილდებოდნენ ქალაქ თელავის ღირსებას. ისინი სამართლიანი ადამიანები იყვნენ. უსაფუძვლოდ არავის არ აუტყებდნენ ჩხუბს, ხშირად მედიატორის როლსაც ასრულებდნენ საქმეების გარჩევას. ფაქტობრივად ისინი არავის პატიობდნენ ქალაქისა და თელაველთა აბუჩად აგდებას, ლანძღვა-გინებასა და მხოლოდ ყოველგვარი იარაღის გამოყენების გარეშე, მუშტით საკადრის პასუხს აძლევდნენ მონინააღმდეგეს.

სამწუხაროდ ორივემ ნაადრევად, თუმცა ღირსეულად დაასრულეს ღმერთისაგან ბოძებული ამქვეყნიური სიცოცხლე მსუბუქი იყო მათთვის მშობლიური თელავის მიწა. დღეს, მამისეულ სახლში მისი ვაჟი გოჩა ცხოვრობს თავისი ოჯახით, შესანიშნავი ახალგაზრდა რომელმაც მამისეული სახლი კიდევ უფრო გააღამაზა და კეთილმოაწყო.

## გიორგი ლეონიძის ქუჩა

ასათიანის ქუჩა მთავრდება გიორგი ლეონიძის ქუჩის გადაკვეთასთან, ე.წ. „გიგოს გორის“ სიახლოვეს, სადაც მდებარეობს ამ წიგნის ერთ-ერთი ავტორის თენგიზ სიმაშვილის სახლი, რომელიც 1960-იან წლებში მისი მშობლების ოთარ და მარინე (მარია) სიმაშვილების მიერ არის აშენებული. მარინე ორკოდაშვილ-სიმაშვილი თელავის III საშუალო სკოლაში წლების განმავლობაში

ასწავლიდა გერმანულ ენას, მისი მეუღლე ოთარი კი მუშაობდა თელავის ფოსტა-ტელეგრაფის სადგურში ტექნიკოსად. იგი იმ ცნობილი მომღერლის, კახური მრავლჟამიერის დიდოსტატის აბრია სიმაშვილის ვაჟი იყო, რომელმაც ქართული ხალხური სიმღერების უბადლო შესრულებით გაითქვა სახელი. ოჯახური გადმოცემის მიხედვით, მე-19 საუკუნის შუა ხანებში ეპიდემიის გამო სიმაშვილების გვარში დარჩენილი ერთადერთი ობოლი ბიჭუნა, აბრიას მამა - ნიკოლოზ (ნიკო) სიმაშვილი, ართანელ თავად კოტე ყარალაშვილს უშვილებია და გაუზრდია. მას სიმღერაც სწორედ თავადის ოჯახში უსწავლია, რაც შთამომავლებისათვის გადაუცია.(145)

ართანელი თავადები - ყარალაშვილები, სწორედ „გიგოს გორაზე“ დახვრიტეს 1924 წელს. თუ აქვე იმასაც დავამატებთ, რომ ოთარ და მარინე სიმაშვილების ოჯახი შვილებთან - თენგიზ და მანია სიმაშვილებთან ერთად, ამ სახლის აშენების პერიოდში მდგმურად ცხოვრობდა თეთრიანის ქუჩაზე მდებარე საშა ჯორჯაძისეულ ბინაში, ალბათ მკითხველისთვის გასაგები გახდება, თელავში საბჭოთა რეპრესიების და „გიგოს გორის“ ტრაგიკული ისტორიის შესწავლით თენგიზ სიმაშვილის დაინტერესება.

აღსანიშნავია, რომ XX ს-ის 60-იან წლებამდე, სანამ „გიგოს გორის“ სიახლოვეს სტადიონი აშენდებოდა, ქუჩა, რომელიც დღეს ცნობილი ქართველი პოეტის გიორგი ლეონიძის სახელს ატარებს, არ არსებობდა. მანამდე აქ რიყე და ბუჩქნარით დაფარული ტერიტორია იყო. აქ, „გიგოს გორის“ სიახლოვეს მდებარეობს 1970-იან წლებში თელავის უნივერსიტეტის ლექტორის, შესანიშნავი მათემატიკოსის მიხეილ (მიშა) მარიამიძის ბინა, სადაც ამჟამად მისი მეუღლე, ცნობილი პედაგოგი ცარო პაპიაშვილი-მარიამიძე და მათი შვილები ცხოვრობენ.

ამ ბინის გადმოსწვრივ კი ჩიხია, რომლის ჩრდილოეთ კუთხეში, 1950-იანი წლების ბოლოს აშენებულ სახლში თელავში ცნობილი ინჟინერი ვანო (ივანე) გოტაძე ცხოვრობდა. დღეს აქ მისი ვაჟი ვასილი, რომელიც ცნობილი ექიმაა და თელავში მდებარე სამედიცინო დაწესებულებების თანამშრომელი, და მისი ოჯახი - მეუღლე ნელი ხუციშვილი, შვილები - ნინო და ვანიკო (ვანო) გოტაძეები ცხოვრობს. აქვე ცხოვრობენ უშანგი ყორანაშვილის შთამომავლები, ხოლო მათ გვერდით თელავის მოამავის, უამრავი სასიკეთო საქმის წამომწყები ქალბატონი ციური ბადურაშვილი ცხოვრობს, თავის შვილ ზაზასთან და

შვილიშვილებთან ერთად.

აქვე აუცილებლად უნდა გავიხსენოთ თენგიზ სამადაშვილი, რომელიც ლეონიძის ქუჩის ჩიხში ცხოვრობდა. მისი ბინა ერთ-ერთი პირველი იყო, რომელიც აქ აშენდა 1956 წელს, რაც დადასტურებულია სახლზე გაკეთებული შესაბამისი წარწერით. თენგიზი ცნობილი ფიზიკის მასწავლებელი და არაერთი თელაველის დამკვალიანებელი იყო უმაღლეს სასწავლებლებში. დამსახურებული პედაგოგი ქალბატონი ლაურა ბართაია კი, 50-ზე მეტი წლის განმავლობაში მუშაობდა თელავის III საშუალო სკოლაში, სადაც ასწავლიდა მათემატიკას. იგი წლების განმავლობაში იყო სკოლის სასწავლო ნაწილი. მისი შვილებიდან ერთ-ერთი ზაზა დღეს ამერიკის შეერთებულ შტატებში ცხოვრობს და ცნობილი პროფესორია მედიცინის დარგში. ამ რამდენიმე წლის წინ იგი ამერიკაში სამედიცინო სფეროში მოღვაწე სპეციალისტების ასეულში დასახელდა, მისი ქალიშვილი მართა კი ჭადრაკში ამერიკის კონტინენტის ჩემპიონია. ბ-ნი თენგიზის მეორე ვაჟი - გურამი, ინფორმატიკაში ფლობს დოქტორის ხარისხს და ასწავლის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ამასთან, იგი არის „თელავის ღვინის მარნის“ ფინანსური დირექტორი, თელაველების „გაჭირვების ტალკვესი“ და საქართველოში ცნობილი სპეციალისტი თავის სფეროში.

აი, ასეთია ზოგადად თელავის ისტორიული წარსული და თანამედროვეობა. ჩვენს მიერ შემოთავაზებული ნარკვევი დაცული არ არის ლაფსუსებისაგან. ჯერ ერთი, რომ იგი მთლიანად ქალაქს კი არა, არამედ მხოლოდ მის ცენტრალურ ქუჩებს და აქ მცხოვრებ თელაველ მოქალაქეთა ნაწილს ეხება. ალბათ ბევრი რამ გამოგვრჩებოდა, რისთვისაც წინასწარ მკითხველის წინაშე ბოდიშს მოვიხდით. არ იქნება ურიგო, თუ რომელიმე მათგანი შეავსებს ჩვენს მონათხრობს და მას უფრო დასრულებული სახე მიეცემა, რითაც ფაქტობრივად შეიძლება ქალაქ თელავის სრული ისტორიაც კი შეიქმნას.

იმედია ჩვენი განეული შრომა მომავალი თაობების ყურადღების მიღმა არ დარჩება.

## *P.S.*

წინამდებარე ნაშრომის სულისჩამდგმელი, იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი ბატონი თეიმურაზ ვახტანგიშვილია, რომელსაც წარდგენა არ სჭირდება. თუმცა, ფართო საზოგადოებამ დღემდე არ იცის მისი, როგორც თელავის ისტორიის შესწავლის მთავარი ისნპირატორის და შემოქმედის შესახებ - სწორედ, ბატონ თეიმურაზ ვახტანგიშვილი იყო თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ დაფინანსებული, 2015 წელს განხორციელებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტის „თელავი - ისტორია და თანამედროვეობა“ (მე-19 საუკუნის ბოლო და მე-20 საუკუნის პირველი ოცნლეული) იდეის სულისჩამდგმელი. მინდა აღვნიშნო, რომ მეც მისი დაჟინებული თხოვნით ჩავერთე თელავის ისტორიის შესწავლაში და დღესაც ვაგრძელებ ამ საქმეს.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ ბატონი თეიმურაზის გარეშე ზემოდასახელებული პროექტი ვერ შედგებოდა. იგი უშუალოდ დადიოდა მუზეუმების და არქივების საცავებში, ეძიებდა მასალებს და ყოვლად უანგაროდ ეხმარებოდა პროექტის მონაწილე დანარჩენ ასაკოვან კოლეგებს, უშურველად უნაწილებდა თავის მიერ მოძიებულ დოკუმენტებს.

ჩვენს ამ ახალ, საერთო ნაშრომში დაკვირვებული მკითხველი იოლად შეამჩნევს განსხვავებას ჩემი და ბატონი თემოს მოსაზრებებს, ნაწერს შორის - იგი თითქოს ეფერება, ესაუბრება გარდასული საუკუნეების თელავის ქუჩებს, მაცხოვრებლებს, იხსენებს უკვე მივიწყებულ დეტალებს და წარმოგვიჩენს გასული საუკუნის თელავის, თელაველების დადებით მხარეებს. ჩემი მონათხრობი კი, მასთან შედარებით მშრალია და დოკუმენტების გამოყენებაზე, ანალიზსა და შეჯერებაზეა ორიენტირებული.

მომავალ წელს ბატონ თეიმურაზ ვახტანგიშვილს დაბადებიდან 80 წელი და თელავის უნივერსიტეტში მუშაობის 52 წელი უსრულდება. გამომდინარე იქიდან, რომ ხშირად საზოგადოება ვერ „ამჩნევს“ მის ღირსეულ შვილებს და დაფნის გვირგვინებს დაუმსახურებლად სჩუქნის იმ ადამიანებს, ვინც ამას ყველაზე ნაკლებად იმსახურებენ, მე როგორც მისი ყოფილი სტუდენტი და ამჟამად კოლეგა, წინასწარ ვულოცავ

იუბილეს. ამ ნაშრომში ჩადებული ჩემი მოკრძალებული შრომა კი, მისთვის 80 წლის იუბილეს მილოცვის ყველაზე მისაღებ ფორმად მივიჩნიე.

ბატონო თეიმურაზ, იმედია მომავალი თაობები შეძლებენ ქალაქ თელავის ისტორიის შესწავლაში განეული თქვენი უზარმაზარი შრომის ჯეროვნად დაფასებას!

თენგიზ სიმაშვილი

## გამოყენებული მასალა და ლიტერატურა

1. გიორგი მელითაურის მიხედვით, აქ მდებარე ე.წ. „კაკლის წყარო“-სთან მდგარა კაკლის ხეები, რომლის ფესვებშიც გარკვეული ავადმყოფობის დროს აძვრენდნენ ჩვილ ბავშვებს. ხევსაც ამ ადგილის სახელწოდების მიხედვით „კაკლის ხევს ეძახდნენ“ - გიორგი მელითაური, „თელავი და თელაველები - კიროვის ქუჩა“, გაზეთი „ალაზნის განთიადი“, 10 ივლისი, 1971 წელი
2. ლევან რჩეულიშვილი, „თელავი“, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1965, გვერდი 5
3. ცისანა ჩიკოიძე, „ქალაქი თელავი (ისტორიულ-არქეოლოგიური გამოკვლევა)“, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 1979, გვ. 85
4. ივანე ჯავახიშვილი, „ქართველი ერის ისტორია“, ტომი II, ტფილისი, 1913, გვ. 11
5. დღესაც თელავის შემოგარენში მრავლად მოიპოვება ამ ჯიშის ხეები, განსაკუთრებით თელავის სამხრეთით. 1990-იან წლებში ტყის მასიური ჩეხვა-განადგურების შემდეგ მათი კვლავ არსებობა მეტყველებს, რომ უნინ ბევრად მეტი იქნებოდა. განსაკუთრებით ბევრია თელავიდან 2-3 კილომეტრში მდებარე ე.წ. „ჯვარპატიოსნის“ ეკლესიის მიდამოებში, სადაც ხეების მოჭრას ტრადიციულად ერიდება მოსახლეობა
6. „Кавказский Календарь“, Тифлис, Гл. упр. Кавказ. наместника, 1845-1916,  
на 1852 год, 1851, ст. 383-388
7. „Кавказский Календарь“, Тифлис, Гл. упр. Кавказ. наместника, 1845-1916, на 1852 год, 1851, ст. 388
8. გიორგი ჯაშიაშვილი, „ზოგიერთი ცნობები ქალაქ თელავის ცხოვრებიდან, 1954 წლის 1 იანვრისთვის“, კახეთის რეგიონალური არქივი, თელავის რაიონი, ფონდი 491, საქმე 2, ანაწერი 1, გვერდი 2
9. გიორგი მელითაური, „ძველი წყაროები თელავის შესახებ“, გაზეთი „კოლმეურნის ხმა“, № 136, 17 ნოემბერი, 1967 წელი
10. თელავის ისტორიული მუზეუმი, გიორგი მელითაურის ფონდი, „თელავი“ (მეგზური), 1972 წელი, გვერდი 1
11. გიორგი ლალიაშვილი, გვიანანტიკური ხანის არქეოლოგიური

მასალები თურდოს ხეობიდან, საქართველოს უნივერსიტეტის სამეცნიერო ჟურნალი „არქეოლოგია“, 2017, გვერდები 48-64

12. გიორგი ლალიაშვილი, გვიანანტიკური ხანის არქეოლოგიური მასალები თურდოს ხეობიდან, საქართველოს უნივერსიტეტის სამეცნიერო ჟურნალი „არქეოლოგია“, 2017, გვერდები 48-64

13. აღსანიშნავია, რომ აქვე გიორგი ლალიაშვილი გამოთქვამს კრიტიკულ მოსაზრებებს სხვადასხვა ავტორების, მათ შორის ვალიკო ელანიძის მიერ გამოცემულ ნაშრომებზე, სადაც ეს უკანასკნელი უწევდა ერთგვარ პოპულარიზაციას იმ მოსაზრებას, რომ ქალაქი თელავი იყო ალბანური ქალაქი ტელადა. გ. ლალიაშვილი წერს - „ავტორი (ვ. ელანიძე) ვრცლად მიმოიხილავს ნ. ლომოურის, ლ. რჩეულიშვილის, ც. ჩიკოიძისა და სხვათა ნაშრომებს და მიდის დასკვნამდე, რომ კლავდიოს პტოლემეაიოსთან ალბანურ ქალაქთა რიცხვში დასახელებული ტელადა იგივე თელავია. აქ ახალი არაფერია, რადგან ეს მოსაზრება, როგორც აღინიშნა, ჯერ კიდევ XX ს-ის 50 იან წლებში იყო გამოთქმული. თუმცა, ჩვენ გვაოცებს ამ მოსაზრების სასარგებლოდ ავტორის მიერ მოხმობილი არგუმენტები და თავად პათოსი, რომლითაც შესრულებულია ნაშრომი. განხილული ნაშრომის მიზანი ის კი არ არის რეალურად გამოარკვიოს კლავდიოს პტოლემეაიოსისეული ტელადას მდებარეობა, არამედ ის, რომ ალოგიკური და აბსურდული არგუმენტებით მკითხველი შეცდომაში შეიყვანოს, როგორმე დააჯეროს ამ უკანასკნელისა და თელავის იგივეობა, რადგან ვ. ელანიძეს უნდა, რომ ეს ასე იყოს. წინასწარგამიზნულ დასკვნებზე აგებული ნაშრომებით კი ობიექტური ისტორია არ იწერება. „ტელადა-თელავის იგივეობის თითიდან გამომდინარე არგუმენტებით მტკიცება, რეალურად, თელავის სიძველეს კი არ ადასტურებს (არქეოლოგიური მონაცემებთ ეს ისედაც ცხადია. იხ. ზემოთ), არამედ ხელს უწყობს ძველი ქართული ქალაქისა და ზოგადად მთელი ალაზნის ველის (დღევანდელი კახეთის) ალბანეთის კუთვნილ მიწა-წყლად განხილვას! ქართულ ისტორიოგრაფიაში მსგავსი ტენდენციების განვითარებას, უცხოურ სამეცნიერო ლიტერატურაში უკვე მოჰყვა შორს მიმავალი დასკვნები, რომლებზეც ვფიქრობთ, ბატონ ვალერიან ელანიძეს კი არა, ქართველ ისტორიკოსთა მცირე ნაწილს თუ აქვს წარმოდგენა.

კერძოდ: ანტიკური ალბანეთის ისტორიისადმი მიძღვნილ, ფაქტობრივად ყველა ნაშრომში იორ-ალაზნის ორმდინარეთი, თურდოსხევამდე (თელავითურთ რასაკვირველია) ალბანურ ტერიტორიად განიხილება [Алиев К., 1992; Искендеров Э., 2012., იხ. იქვე]. ზოგიერთი ავტორი უფრო შორს მიდის და ამ რეგიონს ალბანეთის შემადგენელ ნაწილად წარმოაჩენს ამ სახელმწიფოს არსებობის მოვლს მანძილზე (ახ.წ. X საუკუნემდე!) [Еремян С., 1939; Ямпольский З., 1961]. უფრო მეტიც, - რომ აღარაფერი ვთქვათ დღევანდელი საინგილოს ხუროთმოძღვრული ძეგლების ალბანურად გამოცხადებაზე [Никоноров А., 2004], ისეთ ავტორიტეტულ გამოცემაში, როგორცაა "Православная Энциклопедия", იორ-ალაზნის ორმდინარეთი შეტანილია ალბანური საკათალიკოსოს შემადგენლობაში, შესაბამისად, ალბანურად განიხილება ამ ტერიტორიებზე მდებარე ქართული ქრისტიანული არქიტექტურის ძეგლები, მათ შორის: ბოდბე, გურჯაანის ყველაწმინდა და სხვ. [ჭაფარიძე ა., 2006]. ვფიქრობთ, დასახელებულ უცხოელ ავტორებს ვერც ვუსაყვედურებთ საქართველოს ისტორიისა და კულტურის ტენდენციურად წარმოჩენის თაობაზე, რადგან თავად ქართულმა ისტორიოგრაფიამ შექმნა პრეცედენტი იორ-ალაზნის ორმდინარეთის ალბანურ პროვინციად განხილვისათვის. ხოლო, ტელადა-თელავის იგივეობის შესახებ ზემოთ განხილული მოსაზრებაც, ამ ტენდენციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რგოლია." (გიორგი ლალიაშვილი, გვიანანტიკური ხანის არქეოლოგიური მასალები თურდოს ხეობიდან, საქართველოს უნივერსიტეტის სამეცნიერო ჟურნალი „არქეოლოგია“, 2017, გვერდები 48-64)

14. ალექსანდრე ორბელიანი, „თელავი“, გამომცემლობა „ლომისი“, თბილისი, 1997 წელი

15. ალექსანდრე ორბელიანი, „თელავი“, გამომცემლობა „ლომისი“, თბილისი, 1997 წელი, გვერდი 9

16. Платона Иоселиани, „Старые Города Грузии“, Тифлиси, 1859

17. თელავის ისტორიული მუზეუმი, არჩილ ციხისთავის ფონდი № 9412, საქმეები №2-8

18. Проф. А. Л. С. Хаханов. Материалы по Археологии Кавказа. Выпкск VIII, под ред. графа Уварова. Москва, 1898 г. Экспедиции на Кавказ 1892,

1893 и 1895 г.г.; თელავის ისტორიული მუზეუმი, ივანე პაატაშვილის ფონდი № 4315, რვეული № 7-8, გვერდი

19. ვახუშტი, „აღწერა სამეფოსა საქართველოსა (საქართველოს გეოგრაფია)“, თ. ლომოურის და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 1941 წელი, გვერდი 100

20. ლევან რჩეულიშვილი, „თელავი“, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1965

21. ცისანა ჩიკოიძე, „ქალაქი თელავი (ისტორიულ-არქეოლოგიური გამოკვლევა)“, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 1979

22. ი. აფხაზავა, გ. ჩანგაშვილი, „თელავი“ (გზამკვლევი), გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1978

23. ჯ. ხარიტონაშვილი, „თელავი“, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1990

24. ჰამლეტ დათიშვილი, „საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარება და მშრომელთა განმათავისუფლებელი ბრძოლა XX საუკუნის პირველ ოცნლეულში (თელავის მაზრის მასალების მიხედვით)“, გამომცემლობა „მეცნიერება“, 1976 წელი

25. Н. А. Караулов. Сведения арабских географов X и XI веков, Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа (СМОМПК), изд. Управлением Кавказского учебного округа, Тип. Главного управления Наместника Кавказского, Тифлис (1881-1915), ст. 3-6

26. რუსეთის იმპერიის მიერ ქართლ-კახეთის სამეფოს ძალდატანებით შეერთებამდე

27. „Кавказский Календарь“, Тифлис, Гл. упр. Кавказ. наместника, 1845-1916, на 1852 год, 1851, ст. 387-388

28. 2019 წლის 30 დეკემბერს, თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წარვუდგინეთ თელავის მოქალაქეთა განცხადება, 1124 ადამიანის ხელმოწერით, სადაც ვითხოვდით „გიგოს გორის“ ისტორიულ-რეკონსტრუქციულ და რეპრესირებულთა მემორიალურ პარკად ქცევას. დიდი იმედი გვაქვს, რომ ადგილობრივი ხელისუფლება გაითვალისწინებს საზოგადოების სურვილს და „გიგოს გორას“ არ გაასხვისებს და შესაბამის სტატუსს მიანიჭებს

29. თელავის ისტორიული მუზეუმი, ივანე პაატაშვილის ფონდი № 4315, რვეული 7,8, გვერდები 64-66

30. მკითხველის გასაგონად გვინდა აღვნიშნოთ, რომ ეს შენობა ჩვენც გვახსოვს რამდენადმე შეცვლილი სახით, რომელიც თავდაპირველად ერთგვარად შეიცვალა სასტუმრო „ინტურისტის“ მშენებლობისას, თუმცა მაინც შერჩენილი ჰქონდა თავისი ესთეტიკური სილამაზე, ხის მოაჯირებში იყო ჩასმული. თუმცა, 2012 წელს, მსოფლიო ბანკის დაფინანსებით განხორციელებულმა ე.წ. „რეაბილიტაციამ“ ფაქტობრივად მოსპო. იგი ისე დამახინჯდა, რომ ახლა მის მნახველს ვერაფრით გააკვირვებ

31. ძალიან საინტერესოა, რომ ავტორი ჭადარს ათასწლოვანი ასაკის ხედ მოიხსენიებს, რადგან რეალურად თელავის მშვენების - ისტორიული ჭადრის ასაკი დადგენილი არაა

32. ამის შესახებ ჩვენ ქვემოთ გვაქვს მოთხრობილი, აღარ განვმეორდებით

33. თელავის ისტორიული მუზეუმი, ივანე პაატაშვილის ფონდი № 4315, რვეული 7,8, გვერდები 64-66

34. თელავის ისტორიული მუზეუმი, ივანე პაატაშვილის ფონდი № 4315, რვეული 7,8, გვერდები 64-66

35. დაწვრილებით იხილეთ - თეიმურაზ ვახტანგიშვილი, „თელავის საქალაქო თვითმმართველობის ისტორიიდან“, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი, 2017

36. დაწვრილებით იხილეთ - თამარ თამარაშვილი, „თელავის განათლება და კულტურა XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისში“, გამომცემლობა „ედვერთ სტუდიო“, თბილისი, 2017

37. ცნობილია, რომ ბესიკ გაბაშვილს თელავში დიდხანს არ უცხოვრია და არც შთამომავლები დარჩენია

38. გიორგი ჯაშიაშვილი, „ზოგიერთი ცნობები ქალაქ თელავის ცხოვრებიდან, 1954 წლის 1 იანვრისთვის“, კახეთის რეგიონალური არქივი, ფონდი 491, საქმე 2, ანაწერი 1, გვერდი 9

39. ილია ზარაფიშვილი (ნადიკვრელი), „წერილი თელავიდან“, გაზეთი „ივერია“, № 271, 18 დეკემბერი, 1898 წელი, № 271

40. თელავის ისტორიული მუზეუმი, ივანე პაატაშვილის ფონდი № 4315, საქმე №13, გვერდი 1

41. საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი 204
42. დაწვრილებით იხილეთ - მირიან თვალთაშვილი, „თელავის განაშენიანება, ქუჩები, ბაზრები, ხელოსნები, ამქრები XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისში;“ გამომცემლობა „ედვერო სტუდიო“, თბილისი, 2017
43. ვგონებთ, გვარად პაპიკიანი უნდა ყოფილიყო
44. საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი 204
45. თელავის ისტორიული მუზეუმი, ივანე პაატაშვილის ფონდი № 4315, საქმე №13, გვერდი 8; თეიმურაზ ვახტანგიშვილი, „თელავის საქალაქო თვითმმართველობის ისტორიიდან,“ გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი, 2017, გვერდი 58
46. საქართველოს საისტორიო არქივი, ფონდი 197, საქმე 37, გვერდები 2-5; თეიმურაზ ვახტანგიშვილი, „თელავის საქალაქო თვითმმართველობის ისტორიიდან,“ გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი, 2017, გვერდები 62-63
47. გიორგი მელითაური, „მელითაურის მოგონება თავის უშუალო მოღვაწეობაზე თელავში“, კახეთის რეგიონალური არქივი, ფონდი 475, საქმე 4, ანაწერი 1, გვერდი 3, 4; თელავის ისტორიული მუზეუმი, გიორგი მელითაურის ფონდი, „მასალები თელავის ქუჩების ისტორიისათვის,“, წიგნი პირველი, 1967 წელი
48. თელავის ისტორიული მუზეუმი, გიორგი მელითაურის ფონდი, „მასალები თელავის ქუჩების ისტორიისათვის,“, წიგნი პირველი, 1967 წელი
49. თელავის ისტორიული მუზეუმი გიორგი მელითაურის ფონდი, „მასალები თელავის ქუჩების ისტორიისათვის,“, წიგნი პირველი, 1967 წელი, გვერდი 1
50. იოანე ბატონიშვილი, „კალმასობა“, ვ. კეკელიძის და ალ. ბარამიძის რედაქციით, სახელგამი, თბილისი, 1948 წელი
51. თელავის ისტორიული მუზეუმი გიორგი მელითაურის ფონდი, „მასალები თელავის ქუჩების ისტორიისათვის,“, წიგნი პირველი, 1967 წელი ; გიორგი ჯაშიაშვილი, „ზოგიერთი ცნობები ქალაქ თელავის ცხოვრებიდან, 1954 წლის 1 იანვრისთვის“, კახეთის რეგიონალური არქივი, ფონდი 491, საქმე 2, ანაწერი 1, გვერდები 17-20
52. ხელოსნობის განვითარებაზე

53. ნ. აბესაძე, „ქ. თელავის ხელოსანთა ამქარი, მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, XX, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 1979, გვერდები 45-50

54. ი. ნანობაშვილი, „საამქრო ნაგებობანი თელავში“, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტომი II, თბილისი, 1963, გვერდები 511-513

55. მირიან თვალიაშვილი - „თელავის განაშენიანება, ქუჩები, ბაზრები, ხელოსნები, ამქრები XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისში;“ გამომცემლობა „ედვერთ სტუდიო“, თბილისი, 2017

56. „Кавказский Календарь“, Тифлис, Гл. упр. Кавказ. наместника , 1845-1916, на 1852 год, 1851, ст. 387-388

57. კახეთის რეგიონალური არქივი, თელავის რაიონი, „მასალები თელავის რუსული საშუალო სკოლის ისტორიისათვის. 1932 წლიდან 1957 წლების მონაცემებით, გიორგი მელითაურის ფონდი ფონდი 475, აღწერა 1, საქმე 10, გვერდი 3

58. გიორგი ჯაშიაშვილი, „ზოგიერთი ცნობები ქალაქ თელავის ცხოვრებიდან, 1954 წლის 1 იანვრისთვის“, კახეთის რეგიონალური არქივი, ფონდი 491, საქმე 2, ანაწერი 1, გვერდი 15

59. ჩვენი აზრით, მოგონების ავტორი გიორგი ჯაშიაშვილი ცდება, ჯერ ერთი ის, რომ სომხები 1760 წელს არ ჩამოუსახლებია და მეორე, ერეკლე II-ს იმ ხანად, ჯერ კიდევ არ ჰქონდა მჭიდრო ურთიერთობა რუსეთთან, რომ მსგავსი სახის თხოვნა, ან დავალება შეესრულებინა

60. სავარაუდოდ, საუბარია სომეხ-თათრების შეტაკებებზე, მათ შორის ბაქოში და თბილისში 1905 წელს

61. საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი 17, აღწერა 2, საქმე 671, გვერდი 21

62. საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი 17, აღწერა 2, საქმე 8692, გვერდი 4

63. 2008 წლის აგვისტოს საქართველო-რუსეთის ომის დროსაც, პირველადი მოხმარების საგნებზე და განსაკუთრებით პროდუქტებზე, ფასების უცაბედი, არნახული ზრდა დაფიქსირდა, რასაც მხოლოდ ერთი ახსნა აქვს - ვაჭრის ეროვნებას ფასების მატებასთან კავშირში არაა. სამწუხაროდ როგორც ჩანს, ამ პროფესიის წარმომადგენლების უმეტესობას მხოლოდ ფულადი მოგების მიღება აინტერესებს

64. დაწვრილებით იხილეთ - თენგიზ სიმაშვილი, „თელავი - ძალისმიერი სტრუქტურები, პოლიტიკური პარტიები და საზოგადოებრივი ვითარება XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისში“, გამომცემლობა „ედვერთ სტუდიო“, თბილისი, 2017

65. საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი 160, აღწერა 2, საქმე 12, გვერდი 29

66. თელავის ისტორიული მუზეუმი, გიორგი მელითაური, „მასალები თელავის რუსული საშუალო სკოლის ისტორიისათვის, 1932 წლიდან 1957 წლების მონაცემებით, გიორგი მელითაურის ფონდი № 475, აღწერა 1, საქმე 10, გვერდი 7

67. თელავის ისტორიული მუზეუმი გიორგი მელითაურის ფონდი, „მასალები თელავის ქუჩების ისტორიისათვის“, წიგნი მეორე, გვერდები 105-107

68. გაზეთი „ივერია“ 1888 წელი №64, გვ.2; თეიმურაზ ვახტანგიშვილი-„თელავის საქალაქო თვითმმართველობის ისტორიიდან,“ გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი, 2017, გვერდი 74

69. გიორგი ჯაშიაშვილი, „დასაწყისისთვის“, 1971 წელი, კახეთის რეგიონალური არქივი, ფონდი 491, საქმე 6, ანაწერი 1, გვერდი 12

70. თელავის ისტორიული მუზეუმი, გიორგი მელითაურის ფონდი, „თელავი“ (მეგზური), 1972 წელი, გვერდი 14

71. ადრე აქ ბავშვთა პოლიკლინიკა იყო მოთავსებული

72. თელავის ისტორიული მუზეუმი, გიორგი მელითაურის ფონდი, „მასალები თელავის ქუჩების ისტორიისათვის“, წიგნი პირველი, გვერდები 36-37

73. გიორგი ჯაშიაშვილი და გიორგი მელითაური ე.წ. „ბატონის ციხეს“ კრემლადაც მოიხსენიებენ

74. გიორგი ჯაშიაშვილი, „დასაწყისისთვის“, 1973 წელი, კახეთის რეგიონალური არქივი, ფონდი 491, საქმე 8, ანაწერი 1, გვერდი 17

75. ამ თემატიკით დაინტერესებულმა პირებმა შეგიძლიათ ნახოთ, შსს არქივის მიერ გადაღებული დოკუმენტური ფილმი „გიგოს გორა – თელავის გოლგოთა“, რეჟისორი მიხეილ ბერიანაშვილი

76. პარტიის რაიკომის პირველი მდივანი ალექსანდრე ვარდოშვილი, რაიონული აღმასკომის თავმჯდომარე მედეა

მეზერიშვილი

77. გიორგი ჯაშიაშვილი, „დასაწყისისთვის“, 1973 წელი, კახეთის რეგიონალური არქივი, ფონდი 491, საქმე 8, ანაწერი 1, გვერდი 17

78. თელავის ისტორიული მუზეუმი, გიორგი მელითაურის ფონდი, „მასალები თელავის ქუჩების ისტორიისათვის“, წიგნი II, 1968 წელი, გვერდი 77

79. თელავის ისტორიული მუზეუმი გიორგი მელითაურის ფონდი, „თელავი“ (მეგზური), 1971 წელი, გვერდი 14

80. გიორგი ჯაშიაშვილი, „დასაწყისიდან“, 1971 წელი, კახეთის რეგიონალური არქივი, ფონდი 491, საქმე 5, ანაწერი 1, გვერდი 2, 3

81. იგი ფაქტობრივად ჩასმული იქნა სრულიად უსახურ, თეთრ ყუთში, რომელსაც თანამედროვეობის ცნობილმა ქართველმა პოეტმა, თელავზე უზომოდ შეყვარებულმა, თელავის საპატიო მოქალაქემ დავით მალარაძემ „რაფაელის ყუთი“ უწოდა. დღეს ეს სახელწოდება შემორჩა არამართო ყოფილ უნივერსიტეტის „ნადიკვრის“ შენობას, არამედ ასევე ყოფილი თელავის სახელმწიფო თეატრის ადგილზე ამენებულ, ასეთივე უსახურ ნაგებობას, ე.წ. „იუსტიციის სახლს“. ჩვენი აზრით, აღნიშნულ ნაგებობათა გარეგნული სახეები არ ჯდება თელავში აგებულ რეაბილიტაციის შედეგად ევროპულ და ქართულ სტილზე გადაკეთებულ შენობათა ანსამბლში.

82. თელავის ისტორიული მუზეუმი, გიორგი მელითაურის ფონდი, „მასალები თელავის ქუჩების ისტორიისათვის“, ნაწილი პირველი, გვერდი 55

83. საქართველოს საისტორიო არქივი, ფონდი 197, საქმე 8, ფურცელი 70-72; თეიმურაზ ვახტანგიშვილი - „თელავის საქალაქო თვითმმართველობის ისტორიიდან“, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი, 2017, გვერდი 101

84. აქვე გვინდა შენიშვნის სახით ერთგვარი სამდურავი გამოვთქვათ იმის შესახებ, რომ თელაველებმა, განსაკუთრებით კი ქალაქის თავკაცებმა, ღვანწლოსილ ადამიანთა ნაკლები დაფასება ვიცით. თელავის ზოგიერთ ქუჩას ისეთი სახელები აქვთ შერქმეული, რომლის შესახებაც თვით ქალაქის მესვეურებმაც კი არ იციან. ბატონი ნიკო ქორთუას სახელი კი მისი გარდაცვალებისთანავე არავის გახსენებია. პიროვნება, რომელიც თითქმის 30 წლის განმავლობაში

ხელმძღვანელობდა თელავის უმაღლეს სასწავლებელს, მის შენარჩუნებასა და ფეხზე დადგომას. მას ხომ „ლომის წილი“ მიუძღვის ერეკლე მეორის სასახლიდან მისი თელავის თავში, ე.წ. „ტრინკაანთ ბაღში“ გადატანაში, სასწავლო კორპუსებისა და საერთო საცხოვრებლის მშენებლობაც, ხომ მის დამსახურებად ითვლება (ვფიქრობთ, ამაში ბევრი თელაველი და არა მარტო თელავის მკვიდრი დაგვეთანხმება). მით უმეტეს, 2019 წელს შესრულდა საიუბილეო 80 წელი თელავის სამასწავლებლო ინსტიტუტის (ამჟამად უნივერსიტეტის) დაარსებიდან. იქნებ ქალაქის ხელისუფლებმა იფიქრონ, რომ პატივი უნდა მიაგონ კახეთის რეგიონის ერთადერთი უმაღლესი სასწავლებლის ამავდარ, ყოფილ რექტორს ბატონ ნიკო ქორთუას. ჩვენი აზრით, თუნდაც მისი ფასდაუდებელი ღვაწლის გასახსენებლად არ იქნებოდა ურიგო ერთ-ერთ ქუჩას ბატონი ნიკო ქორთუას სახელი დარქმეოდა.

85. ქალბატონი ზაირა იყო პანკისის ქისტების დიდი განმანათლებლის და საზოგადო მოღვაწის მათე ალბუთაშვილის შვილიშვილი, მეუღლე ცნობილი ქართველი ისტორიკოსის აბელ კიკვიძის ვაჟის, ასევე ისტორიკოს-არქეოლოგის იაზონ კიკვიძის. ქ-ნი ზაირა 1989 წლის 9 აპრილის ტრაგედიის მსხვერპლი იყო. ამიტომაც მიენიჭა მისი სახელი ზემოაღნიშნულ ქუჩას, სადაც მისი მამა-პაპა ცხოვრობდნენ. სამწუხაროდ მათე ალბუთაშვილის სახლი დღეს ძალიან სავალალო მდგომარეობაშია.

86. ჩვენი მოკრძალებული აზრია, რომ აღნიშნული შენობა, რომელიც საკმაოდ უსახურია და ფარავს თელავის უძველეს კულტურულ ძეგლს, V-VI საუკუნეებში აგებულ „ღვთაების“ ეკლესიას, ვჰიქრობთ გადასატანია სხვა ადგილზე. საბჭოთა პერიოდში ამ შენობის აშენებით „ღვთაების გორაზე“ აგებული თელავის ცნობილი ღირმესანიშნაობის ხილვის საშუალება მოუხსნეს დამთავარიელებელს, რაც ალბათ იდეოლოგიური მიზნებითაც იყო განპირობებული.

87. თელავის ისტორიული მუზეუმი, გიორგი მელითაურის ფონდი, „მასალები თელავის ქუჩების ისტორიისათვის“, ნიკი პირველი, 1967 წელი

88. გიორგი მელითაური, „მელითაურის მოგონებები თელავის მაზრკომის მდივან გიორგი ელისაბედაშვილის შესახებ 1923-1925

წლებში", კახეთის რეგიონალური არქივი, ფონდი 475, საქმე 8, ანაწერი 1, გვერდი 2; თელავის ისტორიული მუზეუმი, გიორგი მელითაურის ფონდი, „მასალები თელავის ქუჩების ისტორიისათვის“, წიგნი პირველი, 1967 წელი, გვერდი 36

89. მედიკო ლომიძე, თელავის ძველი უბნების სახელწოდებების ისტორიისათვის, თელავი, 1986. ხელნაწერი

90. ივანე პაატაშვილი, სტატია „თავისუფლების მოედანი“, გაზეთი „ალაზნის განთიადი," № 13, 1957 წელი,

91. გიორგი მელითაური, სტატია „ერთი შაბათობა თელავში“, გაზეთი „ალაზნის განთიადი," 1969 წელი, 15 აპრილი; გიორგი მელითაური, „მელითაურის მოგონებები თელავის მამრკომის მდივან გიორგი ელისაბედაშვილის შესახებ 1923-1925 წლებში“, კახეთის რეგიონალური არქივი, ფონდი 475, საქმე 8, ანაწერი 1, გვერდი 2; თელავის ისტორიული მუზეუმი, გიორგი მელითაურის ფონდი, „მასალები თელავის ქუჩების ისტორიისათვის“, წიგნი პირველი, 1967 წელი, გვერდი 2

92. გიორგი მელითაური, სტატია „ერთი შაბათობა თელავში“, გაზეთი „ალაზნის განთიადი," 1969 წელი, 15 აპრილი; გიორგი მელითაური, „მელითაურის მოგონებები თელავის მამრკომის მდივან გიორგი ელისაბედაშვილის შესახებ 1923-1925 წლებში“, კახეთის რეგიონალური არქივი, ფონდი 475, საქმე 8, ანაწერი 1, გვერდი 2

93. თელავის ისტორიული მუზეუმი, გიორგი მელითაურის ფონდი, „მასალები თელავის ქუჩების ისტორიისათვის“, წიგნი პირველი, 1967 წელი, გვერდები 18-19

94. თელავის ისტორიული მუზეუმი, გიორგი მელითაურის ფონდი, „მასალები თელავის ქუჩების ისტორიისათვის“, წიგნი მეორე, 1968 წელი, გვერდი 5; გიორგი მელითაური, „მელითაურის მოგონებები თელავის მამრკომის მდივან გიორგი ელისაბედაშვილის შესახებ 1923-1925 წლებში“, კახეთის რეგიონალური არქივი, ფონდი 475, საქმე 8, ანაწერი 1, გვერდი 2

95. ბიბლიოთეკის გვერდზე იყო ე.წ. ნეკროპოლი, ძმათა სასაფლაო, რომელშიც განისვენებდნენ 1919-1923 წლებში საბჭოთა ხელისუფლების მოპოვებისა და მისი შენარჩუნებისათვის მებრძოლი „ბოლშევიკური სულით“ „გაჟღენთილი“ თელაველები. ამ

ნეკროპოლის გაუქმება და მიცვალებულთა ნეშტების გადატანაც თელავის ახალ სასაფლაოზე თელავის რეაბილიტაციის დროს განხორციელდა.

96. თენგიზ სიმაშვილი, „საბჭოთა რეპრესიები თელავში 1924 წლის სექტემბერში“, V საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „კულტურათაშორისი დიალოგები“, თელავი, შრომები, 2019

97. თელავის ისტორიული მუზეუმი, გიორგი მელითაურის ფონდი, „მასალები თელავის ქუჩების ისტორიისათვის“, წიგნი მეორე, 1968 წელი, გვერდი 15,16

98. საქართველოს ახალი და უახლესი ისტორიის არქივი, ფონდი 1935, ანაწერი 1, საქმე № 1037, გვერდი 38

99. დაწვრილებით იხილეთ, ელიზბარ მაყაშვილი, „სისხლიანი ფურცლები“, ჟურნალი „კავკასიონი“, № X, პარიზი, 1965 წელი; ზაირა არსენიშვილი, „ვა, სოფელო“, კახური ქრონიკები, 1990 წელი; ირაკლი რაზმაძე, „შემოდინდა სიკვდილი ცელით“, გაზეთი „ლიტერატურული საქართველო“, 2 ივნისი, 1989 წელი.

100. თელავის ისტორიული მუზეუმი, გიორგი მელითაურის ფონდი, „მასალები თელავის ქუჩების ისტორიისათვის“, წიგნი მეორე, 1968 წელი, გვერდები 15-16

101. თელავის ისტორიული მუზეუმი, „აკადემიკოსი ნიკო მარი თელავში“, 1950 წელი, ივანე პაატაშვილის ფონდი № 4315, რვეული 3, 4

102. გიორგი მელითაური „თელავი და თელაველები, ჭადრის ქუჩა“, გაზეთი „ალაზნის განთიადი“, 15 ნოემბერი, 1970 წელი

103. თელავის ისტორიული მუზეუმი, გიორგი მელითაურის ფონდი, „მასალები თელავის ქუჩების ისტორიისათვის“, წიგნი პირველი, 1967 წელი, გვერდი 112

104. საქართველოს ისტორია უძველესი დროიდან 2009 წლამდე, თბილისი, 2012, გვერდი 433

105. ერთი ვერსიით საფრანგეთში, მეორე ვერსიით შვეიცარიაში

106. თელავის ისტორიული მუზეუმი, გიორგი მელითაურის ფონდი, „მასალები თელავის ქუჩების ისტორიისათვის“, წიგნი პირველი, 1967 წელი, გვერდი 112; თელავის ისტორიული მუზეუმი, ივანე პაატაშვილის ფონდი № 4315, რვეული 7, 8, გვერდები 92-93; თელავის ისტორიული

მუზეუმი, „გულგულის კომუნა“, 1948 წელი, ივანე პაატაშვილის ფონდი № 4315, რეეული 1, გვერდები 1-2; ირაკლი ხვადაგიანი, „გულგულის კომუნა“, კრებული „ინიციატივა ცვლილებებისათვის“, თბილისი, 2015 წელი, გვერდები 22-35

107. თელავის ისტორიული მუზეუმი, გიორგი მელითაურის ფონდი, „მასალები თელავის ქუჩების ისტორიისათვის“, წიგნი პირველი, 1967 წელი, გვერდები 115-116

108. თელავის ისტორიული მუზეუმი, ივანე პაატაშვილის ფონდი № 4315, რეეული 11-13; თამარ თამარაშვილი, „თელავის განათლება და კულტურა XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისში;“ გამომცემლობა „ედვერთ სტუდიო“, თბილისი, 2017 წელი, გვერდი 43

109. „მალაროელი“, „თბილისიდან თელავამდე მგზავრის შთაბეჭდილებანი“, გაზეთი „დროება“, №119, 13 ივლისი, 1885 წელი

110. თელავის ისტორიული მუზეუმი, გიორგი მელითაურის ფონდი, „მასალები თელავის ქუჩების ისტორიისათვის“, წიგნი პირველი, 1967 წელი, გვერდი 181

111. გიორგი ციციშვილთან და სხვა თელაველებთან ერთად გიორგი ხიზანიშვილი, რომელიც ასევე ეროვნულ-დემოკრატიული პარტის წევრი იყო, დახვრიტეს 1924 წლის სექტემბრის დასაწყისში „გიგოს გორაზე“

112. თელავის ისტორიული მუზეუმი, „უკრაინელი პოეტი ქალი ლესია უკრაინკა ლარისა პეტრეს ასული კოსაჩი და უკრაინელები თელავში“, ივანე პაატაშვილის ფონდი № 2760, № 42, გვერდები 3-7

113. მისი აგების იდეა და მშენებლობა ანგარდაცვალებულ ბატონ გია (გიორგი) არსენიშვილს და თელავის მოამაგე ქალბატონ მედეა მებვრიშვილს ეკუთვნით. ეკლესიის მშენებლობა 2002 წელს დასრულდა

114. თელავის ისტორიული მუზეუმი, გიორგი მელითაურის ფონდი, „მასალები თელავის ქუჩების ისტორიისათვის“, წიგნი პირველი, 1967 წელი, გვერდი 19

115. თელავის ისტორიული მუზეუმი, გიორგი მელითაურის ფონდი, „მასალები თელავის ქუჩების ისტორიისათვის“, წიგნი პირველი, 1967 წელი, გვერდები 19-23

116. ზაირა არსენიშვილი, „ვა, სოფელო“, კახური ქრონიკები, 1990

წელი; ირაკლი რაზმაძე, „შემოდიოდა სიკვდილი ცელით“, გაზეთი „ლიტერატურული საქართველო“, 2 ივნისი, 1989 წელი

117. თელავის ისტორიული მუზეუმი, გიორგი მელითაურის ფონდი, „მასალები თელავის ქუჩების ისტორიისათვის“, წიგნი პირველი, 1967 წელი, გვერდი 70

118. თელავის ისტორიული მუზეუმი, გიორგი მელითაურის ფონდი, „მასალები თელავის ქუჩების ისტორიისათვის“, წიგნი პირველი, 1967 წელი, გვერდები 19-23

119. წიგნის გარეკანზე განთავსებულ ფოტოზე ღვთისმშობლის მიძინების სახელობის ეკლესია ჩანს, გადაღებულია ფიქრის გორიდან

120. აღნიშნული მოგონება გადმოგვცა ბატონმა ვალიკო კიკნაძემ, რისთვისაც დიდ მადლობას მოვახსენებთ

121. თელავის ისტორიული მუზეუმი, გიორგი მელითაურის ფონდი, „მასალები თელავის ქუჩების ისტორიისათვის“, წიგნი პირველი, 1967 წელი, გვერდები 68-69

122. თელავის ისტორიული მუზეუმი, გიორგი მელითაურის ფონდი, თელავის ისტორიული მუზეუმი, გიორგი მელითაურის ფონდი, „თელავი“ მეგზური, 1971 წელი, გვერდი 14

123. თელავის ისტორიული მუზეუმი, გიორგი მელითაურის ფონდი, „მასალები თელავის ქუჩების ისტორიისათვის“, წიგნი პირველი, 1967 წელი, გვერდები 60-61

124. დაწვრილებით იხილეთ, ელიზბარ მაყაშვილი, „სისხლიანი ფურცლები“, ჟურნალი „კავკასიონი“, № X, პარიზი, 1965 წელი; ზაირა არსენიშვილი, „ვა სოფელო“, კახური ქრონიკები, 1990 წელი; შსს-ს მიერ გადაღებული დოკუმენტური ფილმი „გიგოს გორა - თელავის კოლგოთა“, რეჟისორი მიხეილ ბერინაშვილი, 2019 წელი

125. თელავის ისტორიული მუზეუმი, გიორგი მელითაურის ფონდი, „მასალები თელავის ქუჩების ისტორიისათვის“, წიგნი პირველი, 1967 წელი, გვერდი 71

126. თელავის ისტორიული მუზეუმი, გიორგი მელითაურის ფონდი, „მასალები თელავის ქუჩების ისტორიისათვის“, წიგნი პირველი, 1967 წელი, გვერდი 69

127. თამარი 1906 წლის აგვისტოში, ტერორისტ აქვსენტი სიღამონიძის მიერ დაჭრილი, თელავის სამხედრო გარნიზონის

ოფიცრის გვარად გააზის გასროლილ ბრმა ტყვიას ემსხვერპლა

128. თელავის ისტორიული მუზეუმი, გიორგი მელითაურის ფონდი, „მასალები თელავის ქუჩების ისტორიისათვის“, წიგნი პირველი, 1967 წელი, გვერდები 71-72

129. თელავის ისტორიული მუზეუმი, გიორგი მელითაურის ფონდი, „მასალები თელავის ქუჩების ისტორიისათვის“, წიგნი პირველი, 1967 წელი, გვერდი 62-63

130. მარინა გოგბაძე, გიორგი ჯავახიშვილი, „ქალთა განათლების კერები თელავში“, თბილისი, 2010, გვერდი 81

131. თელავის ისტორიული მუზეუმი, გიორგი მელითაურის ფონდი, „მასალები თელავის ქუჩების ისტორიისათვის“, წიგნი პირველი, 1967 წელი, გვერდები 60-61

132. გიორგი მელითაური, „მელითაურის მოგონება თავის უშუალო მოღვაწეობაზე თელავში“, კახეთის რეგიონალური არქივი, ფონდი 475, საქმე 4, ანაწერი 1, გვერდი 3, 4;

133. თელავის ისტორიული მუზეუმი, გიორგი მელითაურის ფონდი, „მასალები თელავის ქუჩების ისტორიისათვის“, წიგნი პირველი, 1967 წელი, გვერდი 71

134. საუბარია არა ჩვენს მიერ ზემოთ ნახსენებ ივანე საჩინოს ძე ჯაფარიძეზე, არამედ სხვა პიროვნებაზე

135. თელავის ისტორიული მუზეუმი, გიორგი მელითაურის ფონდი, „მასალები თელავის ქუჩების ისტორიისათვის“, წიგნი პირველი, 1967 წელი, გვერდი 71-73

136. დანვრილებით იხილეთ, ელიზბარ მაყაშვილი, „სისხლიანი ფურცლები“, ჟურნალი „კავკასიონი“, № X, პარიზი, 1965 წელი; ზაირა არსენიშვილი, „ვა სოფელო“, კახური ქრონიკები, 1990 წელი; ირაკლი რაზმაძე, „შემოდინდა სიკვდილი ცელით“, გაზეთი „ლიტერატურული საქართველო“, 2 ივნისი; თელავის ისტორიული მუზეუმი, გიორგი მელითაურის ფონდი, „მასალები თელავის ქუჩების ისტორიისათვის“, წიგნი პირველი, 1967 წელი, გვერდი 109

137. ჩვენი აზრით, ალბათ, ნადიკვარს გულისხმობდა არტურ ლაისტი

138. არტურ ლაისტი, "კახეთი", ტფილისი, 1927, გვერდი 4

139. „ნადიკვარის“ პარკის რეაბილიტაცია კვლავ დაპირისპირების

საგნად იქცა", 1 ივლისი, 2020, <https://ptn.ge/nadikvris-parkis-reabilitatsia-kvlav-dapirispirebis-sagnad-iqtsa/?fbclid=IwAR2It9AdbkqYfMIB4Wj8DGOVXZje-0dieJRJp8ICSySVLCeJzj3v2xQXZac>

140. თელავის ისტორიული მუზეუმი, გიორგი მელითაურის ფონდი, „თელავი“ მეგზური, 1972 წელი, გვერდი 5

141. თელავის ისტორიული მუზეუმი, გიორგი მელითაურის ფონდი, „მასალები თელავის ქუჩების ისტორიისათვის“, წიგნი მეორე, 1968 წელი, გვერდი 41-50

142. თელავის ისტორიული მუზეუმი, გიორგი მელითაურის ფონდი, „მასალები თელავის ქუჩების ისტორიისათვის“, წიგნი მეორე, 1968 წელი, გვერდი 41-50

143. თელავის ისტორიული მუზეუმი, გიორგი მელითაურის ფონდი, „მასალები თელავის ქუჩების ისტორიისათვის“, წიგნი მეორე, 1968 წელი, გვერდი 41-50

144. ზურა რამაზაშვილის დაფინანსებულია ზემონახსენები დოკუმენტური ფილმის „გიგოს გორა - თელავის კოლეგოთა“ გადაღება

145. მარინა კვიციანიძე, „ანდრო სიმაშვილი“, თბილისი, გამომცემლობა უსტარი, 2015 წელი, გვერდი 14.

# შინაარსი

რედაქტორის წინასიტყვაობა .....	5
წინათქმა .....	9

## თავი I

თელავის ისტორიული წარსული და აწმყო (ზოგადი მიმოხილვა) .....	14
ქალაქ თელავის შესახებ არსებული ნაშრომების (ისტორიოგრაფიის) ზოგადი მიმოხილვა .....	19
„ფიქრის (ვახვახიშვილების) გორა“ თელავში (ივანე პაატაშვილის ნარკვევი).....	28
თელავის საქალაქო თვითმმართველობა .....	33
თელავის საგანმანათლებლო და კულტურული მდგომარეობა (ზოგადი მიმოხილვა) .....	37
ქალაქის მოსახლეობის დინამიკა და განაშენიანება .....	45

## თავი II

„ძველი თელავი“-ს უბანი - ქაქუცა ჩოლოყაშვილის ქუჩა .....	50
ერეკლე II-ის გამზირი .....	65
თელავის ცენტრალური მოედანი .....	84
რუსთაველის გამზირი და მისი სახეცვლილებები .....	91
ისტორიული ჭადარი .....	95
ნადიკვრის და ელენე ახვლედიანის ქუჩები .....	100
გურამ რჩეულიშვილის ქუჩა .....	126
თეთრიანის ქუჩა .....	132
მარჯანიშვილის და ბიბერახის ქუჩები .....	135
გიორგი არსენიშვილის ქუჩა .....	136
კახი ასათიანის ქუჩა .....	138
გიორგი ლეონიძის ქუჩა .....	140
გამოყენებული ლიტერატურა .....	145